

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

675-1 /  
1981 / 2

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

3. 1981





ენისა და ლიტერატურის  
სერია

СЕРИЯ  
ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ

16890



თბილისი  
ТБИЛИСИ

3. 1981

ქ. შარტავის სახ. საქ. სსრ  
სახელმწიფო რესპუბლიკა  
ბიბლიოთეკა

ქურნალი დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

**ს ა რ ე ლ ა ქ ი ი ო კ ო ლ ე ზ ი ა :** ალ. ბარამიძე (რედაქტორი),  
თ. ვამერელიძე, ალ. ვეახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,  
ს. ცაიშვილი, შ. ძიმიგური (რედაქტორის მოადგილე)  
პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:** ბარამიძე ა. გ. (редактор),  
Гамкრелидзе Т. В., Гвахарია А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),  
Ломтатидзе К. В., Метревели Е. П., Цайшвили С. С.

Ответственный секретарь Г. А. Глonti

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია,  
1981, № 3

---

რ ე ღ ა ქ ე ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი : თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19 ტელ. 37-24-07  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

---

გადაეცა წარმოებას 19.V.1981; ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.XI.1981; უე 15043;  
ქალაქის ზომა 70×108<sup>7</sup>/<sub>16</sub>; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 16.80; სააღრიცხვო-  
სავეამომცემლო თაბახი 15.20; ტირაჟი 1 800; შეცვ. 1825; ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ე რ ი ლ ე ბ ი

რ. ჩხარტიშვილი, 30-იანი წლების ქართული პოეზია და ქურნალი „მნათობი“	5
ა. ცანავეა, მითოსური ნაკადი ქართულ საბჭოთა რომანში	27
ლ. ქრეღაშვილი, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ატრიბუციისა და გამოცემის ისტორიის საკითხები	45
ქ. გაფრინდაშვილი, ადამიანის იდეალი „დავით გარეჯელის ცხოვრების“ მიზედვით	58
რ. ჩოლოყაშვილი, ცხოველთა ზღაპრის პერსონაჟის გაგებისათვის	73
ლ. კოტაშვილი, აღმოსავლური წარმოშობის ტერმინები ქართულ ხალხურ ზღაპრებში	81
გ. ნინუა, ერთი ქართული ზელნაწერის ისტორია	93
ნ. ჩინუა, ლინგვისტური კატეგორიების სტატუსი მხატვრული პროზის ექსტენსიონალში	101
ა. ჰარისი, ენებითი ქართულში	109
ა. კიზირია, -თვის -ზე და გამო -ზე თანდებულთა მონაცვლეობა	117
ც. ბიჩინაშვილი, გერმანული რთული სიტყვები და მათი ქართული შესატყვისები	122
მ. მთვარელიშვილი, ინდიკატივის აწმყო დროის ფუნქციები სხვადასხვა სასტემის ენებში (ინგლისური და ქართული ენების მაგალითზე)	133
თ. გვანცელაძე, უარყოფის არატიპური წარმოება აფხაზურ-აბაზურ ზმნებში	142
ც. სარიშვილი, -gil, -gilân, ginân ფორმათა შესახებ აზერბაიჯანულში	154
ლ. ცოცხაძე, იარაღისა და ადგილის აღმნიშვნელი დერეფაციული ველების ურთიერთშემდეგბა თანამედროვე სემიტურ ენებში (არაბულსა და ებრაულში)	159

მეცნიერის იუბილე

ა. ბარამიძე, ე. მებერეველი, ნ. ჯანაშია, კალისტრატე სალია 80 წლისა	170
---	-----

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

პ. შურადიანი, პასუხი რეკენზენტს	174
ბ. გასანოვი—გ. ჯანგიძე, ინგილოური დიალექტი აზერბაიჯანში, 1978	182

ქრონიკა და ინფორმაცია

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში სადოქტორო დისერტაციითა თემების დამტკიცება	183
---	-----

## СОДЕРЖАНИЕ

### Статьи

Р. Ч. Чхартишвили, Грузинская поэзия 30-х годов и журнал «Мнатоби»	5
А. В. Цанава, Мифологические аспекты в грузинском советском романе	27
Л. П. Чрелашвили, Вопросы атрибуции и история издания произведений И. Чавчавадзе	45
К. Г. Гаприндашвили, Идеал человека по «Житию Давида Гареджели»	58
Р. К. Чолокашвили, К понятию персонажа в сказках о животных	73
Л. Н. Коташвили, Термины восточного происхождения в грузинских народных сказках	81
Г. А. Нинуа, История одной грузинской рукописи	93
Н. Ш. Чичуа, Статус лингвистических категорий в экстенционале художественной прозы	101
А. Харрис, Пассив в грузинском	109
А. И. Кизириа, Чередование послелогов - <i>tvis</i> — <i>-ze</i> и <i>gamo</i> — <i>-ze</i> в грузинском языке	117
Ц. Н. Бичинашвили, Немецкие сложные слова и их соответствия в грузинском	122
М. Д. Мегрелишвили, Функции настоящего времени индикатива в разносистемных языках (на материале английского и грузинского языков)	133
Т. И. Гванцеладзе, Нетипичное образование отрицания в абхазско-абазинских глаголах	142
Э. Р. Саришвили, О формах - <i>gil</i> , - <i>gilān</i> , - <i>gipān</i> в азербайджанском языке	154
Л. В. Цоцхадзе, Взаимодействие деривационных полей инструментальности и локативности в современных семитских языках (на материале арабского литературного и еврейского языков)	158

### Юбилей ученых

А. Г. Барамидзе, Е. П. Метревели, Н. С. Джанашиа, Каллистрату Салия — 80 лет	170
--	-----

### Критика и библиография

П. М. Мурадян, Ответ рецензенту	174
Б. С. Гасанов, — В. Т. Джангидзе, Ингилойский диалект в Азербайджане, 1978	182

### Хроника и информация

В Комиссии по установлению академического текста поэмы Ш. Руставели «Витязь в барсовой шкуре»	183
Утверждение тем докторских диссертаций	

## წ ე რ ი ლ ე ბ ი

რედაქცია ჩხარტიშვილი

30-იანი წლების ქართული პოეზია და ჟურნალი  
„მნათობი“

ოცდაათიანი წლები, ჩვენს ქვეყანაში ხასიათდება სოციალიზმის მძლავრი შეტევით ყოველგვარი დრომოჭმულისა და ძველის წინააღმდეგ. ამიტომ სოციალისტურმა აღმშენებლობამ ბუნებრივად დაამკვიდრა შემტევი, მებრძოლი, შემოქმედებითი სულისკვეთება საბჭოთა საზოგადოებრიობის ეკონომიკურ და სულიერ ცხოვრებაში. მშენებლობის პათოსმა განსაზღვრა საბჭოთა ლიტერატურის შინაარსი და ფორმა. პოეზიაში ფართოდ შეიჭრა ახალი თემები და პრობლემები, ახალი მოტივები და განწყობილებები. 30-იანი წლების პირველი ნახევრის გმირია სოციალიზმის მშენებელი ადამიანი, ეს იქნება მუშა თუ კოლმეურნე, ინჟინერი თუ ექიმი, ხელმძღვანელი მუშაკი თუ რიგითი ადამიანი. იმ პერიოდის პოეტურ ნაწარმოებებში რეალისტური ფერებით იყო მოცემული ასეთი საბჭოთა ადამიანის გმირობა და თავდადება, პატრიოტიზმი და საქმისადმი ერთგულება, სისადავე და თავმდაბლობა. ამგვარი თვისებების მქონე ადამიანებს წარმოსახავდნენ რუსი საბჭოთა პოეტები ნ. ტიხოზოვი და ე. ბაგრიცკი, ალ. სურკოვი და ა. ბეზიმენსკი, ვ. ლუგოვსკოი და ს. კირსანოვი, ი. სელვინსკი და მ. ისაკოვსკი და სხვ.

საბჭოთა პოეზიის ამგვარ თვისებრივ სიახლეს თამამად უერთებდა თავისი ჯანსაღ ნაკადს 30-იანი წლების ქართული პოეზია. ქართველ პოეტთა მოწინავე რაზმმა ორგანულად გაითავისა მხატვრული ასახვის ახალი მეთოდი — სოციალისტური რეალიზმი. ამ მეთოდის ათვისებამ ახალი მიღწევები და წარმატებები მოაპოვებინა თავიანთ შემოქმედებით გზაზე ქართველი პოეტების ძველ თაობას: გ. ტაბიძეს, გ. ლეონიძეს, ა. აბაშელს, ი. გრიშაშვილს, ს. ჩიქოვანს; ყოფილ ცისფერყანწლებს — პ. იაშვილს, ტ. ტაბიძეს, ვ. გაფრინდაშვილს, კ. ნადირაძეს; პირველ კომკავშირელ პოეტებს — ალიო მირცხულავას, კ. კალაძეს; ოცდაათიანი წლების წინა და მის შემდგომ პოეტურ თაობას — ირ. აბაშიძეს, გრ. აბაშიძეს, ალ. გომიაშვილსა და სხვ. სოციალისტური რეალიზმის აშკარა ნიშნებით გამსჭვალულ მათ პოეტურ ნიმუშებს უხვად აქვეყნებდა ჟურნალი „მნათობი“, რითაც საგრძნობლად უწყობდა ხელს ოცდაათიანი წლების ქართულ პოეზიაში სოციალისტური რეალიზმის განვითარებას.

ოცდაათიანი წლების ქართული მხატვრული ლიტერატურისათვის ორგანული და აქტუალური თემა გახდა ხალხთა ძმობა და მეგობრობა. სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი თვალსაჩინო მონაპოვარი სწორედ ეს დიდი გრძნობა გახლდათ. სოციალისტური ცხოვრების ახალმა წესმა ფართოდ მოიკიდა ფეხი საბჭოეთის მიწაზე, სხვადასხვა კუთხის შეილები ერთი მიზნით გამსჭვალა და საერთო საქმეს ერთი სულისკვეთებით დაუქვემდებარა. ეს იყო მსოფლიოში ჯერ არნახული ძმობისა და მეგობრობის, ხალხთა შორის ინტერნაციონალიზმის გრძნობის უიშვიათესი მაგალითი. ამ გრძნობამ მტკიცედ შე-

ჰკრა და მეგობრობის გულწრფელი სიყვარულით შეადუღაბა საბჭოთა ქვეყნის ხალხები.

30-იან წლებში მოღვაწე ქართველ პოეტთაგან ერთ-ერთმა პირველმა გალაკტიონ ტაბიძემ უმღერა საბჭოთა ხალხების მეგობრობას, მათ ძმურ ურთიერთკავშირს. „ეროვნებათა მარში“, რომელიც 1932 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“ (№ 3-4), ხალხთა შორის მეგობრობის ნამდვილი ჰიმნი იყო. ლექსში ნათლად გამოიკვეთა საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანი სულისკვეთება, მუხლჩაუხრელი შრომა და ბრძოლა სოციალიზმის ასაშენებლად, გაფთვრებული პროტესტი ომის მოწადინება მიმართ, მსოფლიო რევოლუციური პროცესის ვადვივება, მისი უქვევლი პერსპექტივები.

არსებითად „ეროვნებათა მარშის“ იდეურ-თემატური გაგრძელებაა ლექსი „10 წელი“, რომლის ქვესათაურია „მსოფლიო, გენიალური ჰარმონიისათვის“<sup>1</sup>. ამ ლექსში პოეტი მსოფლიოს ხალხების ურთიერთმეგობრობაზე ლაპარაკობს, მათ ძმურ დამოკიდებულებასა და ვაგებაზე, რაც უტყუარ საწინდარს წარმოადგენს მსოფლიო მშვიდობისათვის. ამ ლექსის პოლიტიკური სიმახვილე და იდეური სიძლიერე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღეს, როცა საერთაშორისო პოლიტიკური ატმოსფერო გარკვეულ დაშვინდას მოითხოვს, რისთვისაც ასე თავგამოდებით იღვწის ჩვენი ქვეყნის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

როგორც ცნობილია, 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან სრულიად ახალ ფაზაში შევიდა სოციალისტური აღმშენებლობა, საბჭოთა ქვეყანა ტრიუმფალურად მიუახლოვდა სოციალიზმის გამარჯვების მწვერვალებს. საბჭოეთის დიდ და ძმურ ფერხულში სიამაყით იდგა საბჭოთა საქართველოს აღორძინებული რესპუბლიკა. ქართველი ხალხის გმირულმა შრომამ ერთბაშად უცვალა სახე ჩვენს რესპუბლიკას, აყვავდა და განვითარდა მისი ყოველი კუთხე. საქართველოს ამგვარ განახლებას შეუძლებელი იყო ცხოველყოფელი ზეგავლენა არ მოეხდინა ქართული კულტურის მოღვაწეებზე, ახალი შთაგონების წყაროდ არ ქცეულიყო იგი. ასე დაიბადა გალაკტიონის „ლექსი განახლებულ ქვეყანაზე“<sup>2</sup>, სადაც ავტორი პოეტური შთაგონებით უმღერის საუკუნოვანი ჭაობებისაგან ამოშრობილ და ციტრუსებით აზურმუხტებულ კოლხეთის მხარეს. ამ განახლებაში ერთნაირი მისწრაფებით იღვწის მოხუცი და ახალგაზრდა („თმაქალარა და ჭაბუკი“):

მოხუცი არ გულმაიწყოხს,  
 ახალგაზრდას სდევს ოცნება.  
 და ორივეს სურს დაიწყოს  
 ოცნებათა შემოწმება.  
 სიყვითლით და დაობებით  
 რომ ბორგავდა წინათ ფოთი,  
 შრება ძველი ჭაობები  
 და რიონის ცხრება შფოთი.

პოეტი ალტაცებით უყურებს იმ სიახლეს, რაც ახალმა დრომ, ახალმა ეპოქამ, ახალმა ადამიანებმა მოიტანეს ამ ნაჭაობარ ადგილებში:

დრომ კი ძველი მალარიით  
 მოშააშული ატმოსფერა,

<sup>1</sup> ე. „მნათობი“, 1934, № 11—12, გვ. 7.

<sup>2</sup> ე. „მნათობი“, 1936, № 2.



ახალ ჩაით, ახალ იით  
 ახლად გააოქროსფერა.

სიახლის განცდა უშუალო და ახლობელი იყო საბჭოთა ადამიანისათვის, რომელიც თავად იყო ამ სიახლის შემოქმედი.

ამ გამარჯვებებითა და განახლებული ქვეყნის სიძლიერითაა შთაგონებული 1938 წელს (№ 6) დაწერილი ლექსი „აწმყოს დიდება დიდი“, სადაც პოეტი გულის სიღრმიდან წამოსული სტრიქონებით უმღერის დღევანდლობას, რეალურ სინამდვილეს, მბორგავსა და მოქმედს, შემტევესა და მღელვარეს:

ჩემო ლექსებო, მუდამ გქონდეთ მსუბუქი ფრთები,  
 აყვავებული მდელო, გასაოცარი მთები!  
 რუსთაველი და მშვიდი? დამშვიდება და ვაჟა?  
 (აწმყოს დიდება დიდი და დღეს მომავალს—გაშა!)

აქ მოხდენილადაა ჩართული ჩვენი დიდებული წინაპრების ნათელი სახელები, დღევანდლობასაც რომ ეხმიანებიან თავიანთი „მბორგავი“ სულით. ყოველ სასიკეთო საქმეს წინაპრის უკვდავი სული უდგას თავდებად. სინამდვილე კი უთუოდ სულის შემძკრელია, შთამაგონებელი და ცხოველმყოფელია. პოეტი აღფრთოვანებულია სინამდვილის სიღიადით, მისი წინსვლითა და გამარჯვებებით, უძლველობითა და მომხიბლაობით:

გალაკტიონი ზედავს, რა სასწაულეს ახდენს  
 ის გამარჯვება, რითაც სუნთქავს მშობელი ერი,  
 იმ უბოლოოდ მდგარ და საიმედო საყრდენს—  
 წინსვლას, რომელსაც ვერ სძლევეს ვერავითარი მტერი!

თავისებური სიმბოლური გააზრება აქვს ლექსს „ოქტომბრის გემი“<sup>3</sup>. ლექსის მიხედვით ადვილად გაიზრება, რომ მსოფლიოში პირველ სოციალისტურ ქვეყანას აგრესიულად შემოესია იმპერიალისტური ქვეყნები, ყოველნაირი საშუალებებითა და ხერხებით სცადეს მისი მოსპობა და განადგურება, მაგრამ რადგან ახალი ქვეყნის სიმართლე აშკარა და ცხადი იყო, ვერაფერი დააკლეს. და აი, ოქტომბრის გემი ძლევამოსილად უახლოვდება იმ ნაპირს, რისთვისაც ასე ხანგრძლივი ბრძოლისა და შეტევის გზა განვლო: „რამდენი ტალღა უტევედა მკერდით მის წინგაწევას, ან შეფერხებას“. ოქტომბრის გემი სოციალისტური რევოლუციის ის სანუკვარი მონაპოვარია, რომლის დაცვა თითოეული საბჭოთა მოქალაქის წმიდათა წმიდა ვალია, მისი სისხლხორციეული საქმეა, რადგან იგი აწმყოსთან ერთად მომავალსაც გვინათებს:

და თუ მღელვარე ტალღები აღსდგა—  
 გემთან მებრძოლი შორი ზღვისანი,—  
 ჩვენი გემთან ერთად ვიბრძოლებთ, რადგან  
 მზეებზე ნათელი გვინათს მიზანი!  
 ჩვენ ყველაფერი გავიგეთ ზეალის,  
 ჩვენ ყველაფერი გავიგეთ ზეგის,  
 არ დავიშურებთ ბრძოლათა ხალისს,  
 რომ ვიყოთ მტერთა წინააღმდეგი.

ლექსის დაწერის თარიღი სამამულო ომის დაწყების წინა ხანას განეკუთვნება. ამ დროისათვის ევროპის თავზე საავდროდ იგრაგნებოდა ომის შავი

<sup>3</sup> ე. „მნათობი“, 1938, № 11.

ღრუბლები. გერმანული ფაშიზმი დღითიდღე შემზარავად აელარუნებდა სასიკვდილო იარაღს. ასეთ გართულებულ და დაძაბულ ვითარებაში მრისხანე პროტესტად გაისმოდა გ. ტაბიძის ზემოთ განხილული ლექსი. ამ თვალსაზრისით განუზომელი მნიშვნელობა ენიჭებოდა მას.

აქვე, ჟურნალის ამავე ნომერში (1938, № 11) დაბეჭდილია ვალაკტიონის ლირიკის ბრწყინვალე ნიმუში, აზრისა და განცდის უიშვიათესი სინთეზი „წყალტუბოდან ქუთაისში“. ლექსის ფილოსოფიური სიღრმე და ლირიკული სინატიფე ახალ ეტაპს ქმნიდა 30-იანი წლების ქართულ ლირიკაში.

1940 წელს „მნათობში“ (№ 2) ვალაკტიონი ბეჭდავს თავის განთქმულ ვრცელ პოეტურ ტრაქტატს „საუბარი ლირიკის შესახებ“. აღნიშნულ ნაწარმოებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვე ამყარდაც ლირიკის, საერთოდ, მხატვრული ნაწარმოების არსის, მისი როლისა და მნიშვნელობის გასარკვევად საზოგადოებრივი ცხოვრების წარმართვის საქმეში. პოეტის აზრით, ლირიკა (იგივე ხელოვნება) ხალხთან მჭიდრო კავშირში უნდა იმყოფებოდეს, მისი სულის თანაზიარი უნდა იყოს, ჭირსა და ღზინში თანამდგომი. ამიტომ დღია და განუზომელი პოეტის როლი და ღვაწლი პოეტური სიტყვის სრულყოფაში. პოეტური სიტყვის სრულყოფა კი დაუღალავ შრომასა და შემოქმედებითს ძიებას მოითხოვს. ლირიკა სინამდვილეს უნდა უსწორებდეს მხარს, მის დიად საქმეებს უნდა ეხმაურებოდეს. პოეტის მხატვრული კონცეფციაა გამოხატული ამ სტრუქტურაში:

არ არის ქნარის დუმოლისთვის რამე მიზეზი  
 მხარეში, სადაც მშენებლობა გვაქვს უდიდესი.  
 რა დიადია, რა მაღალი ეს მშენებლობა!  
 რა მრავალია კიდევ მეტი შესაძლებლობა!..  
 ჩვენ პოეტები, საუკუნით ვართ მოვალენი,  
 რომ მის ნათებას მოწიწებით მივაპყროთ თვალი,  
 გზა გავუკაფოთ სხვებთან ერთად დიად იდეებს,  
 იმათ დროშებს და სიმალღეებს, მათ სიდიდეებს\*.

ქვეშარტი ლირიკა მუდამ მიჰყვებოდა ცხოვრებას მხარდამხარე:

ლირიკა თრთოდა, მძლავრდებოდა, პქუხდა საერთოდ  
 კაცობრიობის სვლასთან ერთად, მასასთან ერთად!  
 რევოლუციით ვიღოდა წინ—როს უახლესი  
 კაცთა ცხოვრების იდეალი ჩნდა უმაღლესი\*.

პოეტის აზრით, უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ენიჭება „სიმართლისათვის მებრძოლ ლირიკას“, რაშიც უაღრესად აშკარადაა გაცხადებული თვით გ. ტაბიძის პოეტური კრედი, მისი პოეზიის სამოქალაქო მოტივების საიდუმლო გასაღები. ამ ნაწარმოებით გ. ტაბიძეს „თითქოს სურდა განვლილი შემოქმედებითი გზის გამოცილებანი ერთ ნაწარმოებში განეზოგადებინა როგორც საკუთარი პოეტუკური დოქტრინის აღფა და ომეგა“, შენიშნავდა აკად. გ. ჯიბლაძე<sup>6</sup>.

ქართული მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატი გიორგი ლეონიძე ჟურნალ „მნათობის“ ერთ-ერთი აქტიური ავტორი იყო, რომლის პოე-

\* ე. „მნათობი“, 1940, № 2, გვ. 16.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 17.

<sup>6</sup> გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტუდები, III, 1959, გვ. 105.



ზია არა მარტო ლირიკული სინატიფით, მუსიკალობითა და მეტაფორული სურათებით გამოირჩეოდა, არამედ მასში უაღრესად რეალისტურ გამონათქვამებს პოულობდა აღნიშნული პერიოდის რეალური სინამდვილის დამახასიათებელი მოვლენები, ეპოქის ნიშნული თვისებები. გ. ლეონიძემ, რომელიც 1918 წელს დაუკავშირდა ქართველ სიმბოლისტებს, შემოქმედებითად ათვისისა ის ჩანსალი ელემენტები, რაც ციფერყანწლებმა შემოიტანეს და დაამკვიდრეს ქართულ პოეზიაში (ლექსის ტექნიკური მხარე, მუსიკალობა და სხვ.), რის გამოც პოეტმა მალე დათმო ადრინდელი შემოქმედებითი პოზიცია, გულით აღიქვა საბჭოთა სინამდვილე და მისი ერთ-ერთი აქტიური მშენებელი და მომღერალი გახდა. 30-იან წლებში იგი მთელი არსებით თანაუგრძნობს სოციალისტურ სინამდვილეს და მის სიახლეებსა და გარდამქმნელ პროცესებს გულწრფელი ლირიკული ხმით უმღერის.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა გ. ლეონიძის „პოეტის შენიშვნები“, რომელიც „მნათობის“ ფურცლებზე 1932 წელს (№ 7) გამოაქვეყნა. აქ პოეტი თავისებურ შეხედულებას გამოხატავს აწმყოზე, მიმდინარე ცხოვრებისეულ პროცესებზე, რომელთა სირთულეების ასახვა არ ძალუძთ იმ „ბატისფრთიან პიიტებს“, ვინც დიდებულ წინაპართა ჩრდილში მოქცეულან და პოეტური უსუსურობა მოძალებია მათ სტრიქონებს. ნაწარმოების პირველ ნაწილში<sup>7</sup> კი ავტორი ქება-დიდებათ მოიხსენიებს შოთა რუსთაველს, ბესიკ გაბაშვილს, დავით გურამიშვილს, ჯიხტყავიან ვაჟა-ფშაველას და სხვას.

ვინც საქართველოს ხმით შეაბერდა  
 ზოგი მღეროდა ვარდების ბაღში,  
 სხვა უნაგირის ტახტაზე წერდა.  
 მღეროდნენ, როგორც დიდი წვიმები  
 და ფრინველები ათასხმიანი,  
 მათ მოჭიმული ჰქონდათ სიმები  
 და არ იცოდნენ ლექსის ხრიალი.  
 ხმალმა, ხანძარმა, კალიამ, ჭირმა  
 მათი სიმღერა ვერ გაანელა...<sup>8</sup>

მათი თავგამოდებული მოღვაწეობა სულიერ ენერგიას უთაკეცებდა მშობელ ხალხს, ჭირში თუ ლხინში მუდამ გვერდით ედგნენ:

მორწყეს საშობლო ლექსის მდინარით  
 და ენაზედაც თავლი სდენიათ,  
 იყურებიან სახე მბრწყინავი,  
 შუბლზე ნათელი შეუფენიათ.  
 მაინც ელივიან დედაშიწიდან,  
 არ გათავდებია მათი ნუგეში.  
 და სამუდამოდ ჩაბუღრებულან  
 სიმებისაგან დაწულს ბუდეში.<sup>9</sup>

ნაწარმოების მეორე ნაწილში პოეტი მთელი სიმკაცრით ამხელს უნიკო მჯღაბნელებს, რომლებიც სხვათა ჩრდილში მოკალათებულან და „ერთი გაძლომისათვის“ ახურდავებენ კალამს, ამრუდებენ სიტყვას. პოეტი მათ „ლირიკულ ქარიყლაპიას“ უწოდებს, რომელთაც

<sup>7</sup> დასახელებული ნაწარმოები წარმოადგენს ორ თავს პოეტის მიერ ჩაფიქრებული პოემიდან.

<sup>8</sup> ე. „მნათობი“, 1932, № 7, გვ. 6.

<sup>9</sup> იქვე.

წარეცხილი აქვთ საძირის კვალი  
 და ენის ტარი მათი დამბალა,  
 ჩვენთვის კი არა, საღმე ხატისთვის  
 იქნებ ევარგონ ზეთის ლამპარად.

ასეთები ისე აღგვილან მიწის პირისგან, ოდნავი კვალიც კი არ დაუტოვებიათ.

მე დავინახე ბევრი მათგანი  
 ქუჩამ გასრისა, როგორც პეპელა.  
 განა რომელი გამოგვადგება  
 ჩვენი დღეების მასწავლებელად—  
 დასძრას ლექსები ცხენოსანივით,  
 ავარდეს ბუქი უკან ამტყდარი,  
 ხელდროშინი გაგიძღვეს წინა  
 გამაპობელი ბაირახტარი,  
 მაგრამ განა მათ მოეთხოვებათ,  
 გაუძლონ ჩვენი დროის მარწუხებს..,

30-იანი წლების მღელვარე დღეების სიღიაღე ჰემშარიტად მოითხოვდა სიტყვის იმგვარ ძალას, რომელიც უტყუარად წარმოსახავდა ეპოქის ძარღვიან მაჯისცემას, გაშლილ სოციალისტურ მშენებლობას, ახალი აღმნიანების მიზნებსა და მისწრაფებებს. სინამდვილის რეალისტური განსახივრება სიტყვის ოსტატთა უმთავრესი ამოცანა იყო, რასაც ნათლად ემსახურებოდა გიორგი ლეონიძის სიწრფელით აღსავსე ლირიკა.

1933 წელს (№ 8—9) გ. ლეონიძე ბეჭდავს ლექსს თბილისური ციკლიდან „საათნავა“. ამიერკავკასიის ხალხების საერთო მგოსანი საიათნოვა იმთავითვე იქცა გ. ლეონიძის შემოქმედების შთაგონების ერთერთ წყაროდ. ამ ლექსში ქართველი პოეტი თვით საიათნოვას პოეტური სტილით იძლევა მგოსნის პოეტურ პორტრეტს, მის შთაგონებულ სახეს, წარმოგვიდგენს სიყვარულის უნაზესი გრძნობით ანთებულ მიჯნურს, ხალხთა მეგობრობის უბადლო მომღერალს.

იმავე წლის მეათე და მეთორმეტე ნომრებში პოეტი ბეჭდავს ლექსებს „მთაწმინდიდან ქარს მოჰქონდა“ და „მყვირალობა“. პირველ მათგანში ცოცხალი პოეტური ფერებითაა წარმოსახული თბილისური ნაირფეროვანი დილა, გაქლენთილი „ლექსებისა და ტარხუნის სურნელით“, ხოლო მეორე ლექსში ლეონიძისეული ომახიანი ამოძახილია სიყვარულით გახელბული მიჯნურისა მყვირალობის დროს:

გაღმებული ხარი ვარ,  
 გეშს ვიღებ ნიავქარზედა,  
 ჩემი ოცნება მაჩვენეთ,  
 რქა ზედ მივაფშხენა რქაზედა,  
 სულ მივამტვირო, დავეღწო,  
 გულში რაც გადაირახა,  
 შევეყირებ, როგორც ირმები  
 ყვირიან ყარაიასა!<sup>10</sup>

1934 წელს (№ 7—8) პოეტი აქვეყნებს ლექსებს თბილისური ციკლიდან „თბილისის განთიადები“ და „რა საჭიროა ლექსისთვის ტაში“. თბილისური ციკლის ერთ ლექსს ჰქვია „გათენებისას მერძევე მოვა“, რომელშიც თბილი-

<sup>10</sup> ქ. „მნათობი“, 1933, № 11, გვ. 48.



სურ კოლორიტულ დილასთან ერთად კიდევ ერთხელ გახშიანდებარული ფიროსმანის შთამბეჭდავი სახე:

ქცეულა ქართლი ზურმუხტის ზღვათა,  
მოფრიალებენ ტყემლის აფრები  
და ფიროსმანი დუქანში ხატავს  
ქიქა არაყზედ ფრინველს გაფრენილს.<sup>11</sup>

ამავე ციკლის მეორე ლექსი «მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“» შთაგონებულია სამშობლოს სიყვარულის იმ უდიდესი გრძნობით, რაც ასე ძლიერად და მრავალფეროვნად არის გამოხატული გიორგი ლეონიძის მდიდარ შემოქმედებაში. «ქართლის ცხოვრების» თემატიკაზე ადრეც დაუწერია პოეტს ლექსები, მაგ. «წიგნი „ქართლის ცხოვრება“» (1928 წ.), «მინაწერი „ქართლის ცხოვრებაზე“» (1928 წ.). როგორც ჩანს, წინამდებარე ლექსიც «მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“» ადრე აქვს დაწერილი (1929 წ.)<sup>12</sup>, მაგრამ 1934 წლამდე არ გამოუქვეყნებია. მასში ეფექტურად არის გავლებული პარალელი «ქართლის ცხოვრებაში» აღწერილ ამბებსა და დღევანდელობას შორის.

სოციალისტური სინამდვილის რეალური სურათები ახალი შთაგონებით აღანთებს მშობლიური ქვეყნის წარსულსა და აწმყოზე შეეყვარებულ პოეტს. წარსულისა და აწმყოს დაპირისპირებით ნათელი სურათთა წარმოსახული ქართველი ხალხის გმირული წარსულისა და დღევანდელობის გრანდიოზული მშენებლობისა. პოეტს არაჩვეულებრივ სიამაყეს გვრის საქართველოს გაუგონარი სიმტკიცე, უმაგალითო სიმამაცე და გმირობა აურაცხელ მტერთან ბრძოლაში. მაგრამ არანაკლებ სიამაყითა დღევანდელი საქართველოს არნახული წარმატებები, წინსვლა და გამარჯვებები:

მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“  
წუხელის დიდხანს გათენებამდი,—  
როგორ გლეწავდნენ, ჩემო ქალაქო,  
სისხლით მოედნებს როგორ ლებავდი.  
გამოვევარდები: ხარ თუ აღარა,  
კიდევ გაისმის ქუჩებში ჩეხა?—  
ვხედავ შენს სახლებს, ვხედავ შენს აბრებს  
და მიხარიან, რომ ისევ დგეხარ....  
შევხარი დილის ორთქლიან პურებს,  
ახალ სართულთა წითელ აგურებს...

მშობლიური ქვეყნისადმი უანგარო სამსახური ქეშმარიტი ხელოვანის წილნევედრია, რის გამოც მშობელი ხალხი გულწრფელად შემოსავს ნიჭიერ შემოქმედთ დაფნითა და გვირგვინით. ეს სიყვარული თავისთავად მოდის, მას არავითარი ძალდატანება არ სჭირდება, ვერც ოფიციალური სიგელ-გუჯრები და ჩინ-მედლები ვერ განსაზღვრავს ხელოვანთა ნიჭსა და ტალანტს. ნიჭისა და ტალანტის ერთადერთი უტყუარი საზომი და ქეშმარიტი დამფასებელი ის ხალხია, ვისთვისაც გული შეუწირავს ხელოვანს. ამიტომ სრულიადაც არ არის საჭირო ლექსისთვის ტაში, შენს ფიქრს, შენს გულის ზრახვას, გამსჭვალულს მშობელი ხალხის სიყვარულით, ისედაც მიგიხვდება მკითხველი, ისედაც იგრ-

<sup>11</sup> ე. „მნათობი“, 1934, № 7—8, გვ. 58.

<sup>12</sup> გ. ლეონიძე, ერთგომელი, 1954, გვ. 144.

ძნობს და გაითავისებს. ამ სულსკვეთებით იყო გამსჭვალული ილია ჭავჭავაძის პოეტური სტრიქონები:

ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?  
რასაც ვმსახურობ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ,  
ჩვენ უმინდა სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში,  
ბოროტთ საკლავად, მათ სულთ ხდომის სერის ვუყუროთ<sup>13</sup>.

გ. ლეონიძის ქვემოთ მოყვანილი ციტატაც სხვას არაფერს გულისხმობს, თუ არა დიდსა და უნაგარო სიყვარულს თავისი ხალხისას, თავგანწირულსა და ერთგულ სამსახურს ხელოვნებისადმი, რადგანაც პოეტის გული თავისთავად არის ნაპერწყლიანი:

რა საჭიროა ლექსისთვის ტაში,  
ყველა ხევსური, ვიცი, დანტვა,  
ვიცი, ბელურას პატარა ფრთაში  
დაკვესებული<sup>14</sup> ცეცხლი ანთია.  
ვიცი, დამდნარი თოვლის წკრიალი  
ბესიყის ხმაზედ უფრო ტკბილია,  
ქვაც ყველა არი ნაპერწყლიანი,  
გული რომ იყოს—გასაკვირია<sup>15</sup>!

წინამდებარე ლექსი თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ ავტორის პოეტურ კრედილად, მისი შემოქმედების იმ საიდუმლო გასაღებად, რითაც შეგვიძლია ჩავწვდეთ პოეტის ლირიკის სიწრფელისა და სინაზის ძირებს, მაცოცხლებელ წყაროებს. დასახელებული ლექსი მეოცე საუკუნის ქართული ლირიკის უბრწყინვალესი ნიმუშია, და არა მარტო ქართული ლირიკისა.

არსებითად იგივე აზრია გაცხადებული უსათაურო ლექსში „მზემ როცა მიწას მოუგერისა“, რომელიც 1935 წელს გამოქვეყნდა „მნათობში“ (№ 9). პოეტმა იცის, ერის ჭეშმარიტი მესიტყვე რომ გახდეს, დიდი და თავაულებელი შრომა და ბრძოლაა საჭირო, იცის ვის მიანათოს გულის ჩირაღდანი, ვის მიუძღვნას ჩანგი. პოეტმა ისიც კარგად იცის, ახალი ცხოვრების სიდიადის მხატვრული ასახვა „ხალხის ნაღარის“ გახდომის აუცილებელი პირობაა.

1936 წელს „მნათობის“ პირველ ნომერში გ. ლეონიძემ სამი ერთმანეთზე უკეთესი ლექსი გამოაქვეყნა. ესენია: უსათაურო — „აქ ყველა ბიჭი საზანდრობს“. „მეტივეები“ და „წვიმა შავ ზღვაზე“. პირველი ლექსი ლ. გუდიაშვილს ეძღვნება. მასში კვლავ გახშირდა ფიროსმანის სახელი. ლექსში მხატვრულად არის წარმოსახული თბილისის ახლო წარსული, რომელიც შეპირისპირებულია დღევანდელი თბილისის „მხარგამოლილომბასთან“.

1938 წლის „მნათობის“ მეორე ნომერში პოეტი აქვეყნებს ლექსებს „მცხეთის მთებში“ და „არწივები“. ამ უკანასკნელის ქვეტექსტში არწივისებური სიმალისა და სიძლიერისაკენ ლტოლვა იგულისხმება. „მცხეთის მთებში“ კი ეძღვნება შორეულ წარსულს, დიდებულ წინაპართა ნათელ სახელებს, რომელთა შთამომავალი გულმხიარულად უმღერის დღევანდელი ცხოვრების სიდიადეს, მის ნათელ დღეებს, უმღერის ორიგინალურად, პოეტური შთაგონებით; მხოლოდ საკუთარი ხმით:

<sup>13</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1957, გვ. 54.

<sup>14</sup> ჟურნალში „დაკვესებულის“ ნაცვლად წერია „არხისტრატეი“.

<sup>15</sup> ე. „მნათობი“, 1934, № 7—8, გვ. 59.

არ მინდა ჩანგი მე ხელნაჭერი,  
 ნარტყამი ხმალი სააკაძისა.  
 არ მინდა სირჩა სხვისი ნასვამი,  
 ვარსკვლავი სხვისი შარავანდითა...  
 მე მიპოვნია ჩემი სიმღერა,  
 ჩემი სიტყვები გამაპოხელი!—  
 სიტყვა ამტყდარი წვიმასავითა,  
 ცისარტყელებით ვარაყფრქვეული.

აწმყოს სადიდებლად წარმოთქმული ლექსი მარადის დარჩება, როგორც დასტური ქეშმარიტებისა:

დე, ჩემი ლექსი დარჩენილიყვეს,  
 ვით ხმლის ნატეხი დაძველებული,  
 ვით წყალდიდობის ქაფი შემზმარი  
 დიდი მდინარის ნაპირებისა...  
 შიგ დღევანდელი ხმა დაიძახებს,  
 ჩემი გულის ხმა სიცოცხლიანი...  
 ახალ ვაქცათა ახალ ღონითა,  
 ახალ ქართლის მზით გაჩაღებულნი!..

ზემოთ განხილული ლექსებით გ. ლეონიძეს აქტიური წვლილი შეჰქონდა 30-იანი წლების ქართული პოეზიის კლასიკური ტრადიციების გამდიდრებისა და გაღრმავების საქმეში, რითაც საგრძნობლად უწყობდა ხელს ქართულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის განვითარებას.

30-იანი წლების ქართულ პოეზიაში ღრმა კვალი დატოვა ტიციან ტაბიძემ. როგორც ცნობილია, ქართულმა სიმბოლისტურმა სკოლამ, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი გახლდათ ტ. ტაბიძე, 30-იანი წლების დასაწყისში არსებობა შესწყვიტა და მისი წარმომადგენლები სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე დადგნენ. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არც მიჩანიკურად მომხდარა და არც ერთი ხელის დაკვრით. რეალიზმის რაციონალური მარკვლები იმთავითვე მოიპოვებოდა ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედებაში. მით უფრო ამ მარკვლებმა საკმაო სიძლიერით იწყო გაღვივება 20-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა სოციალისტური სინამდვილე უფრო ძლიერ იკიდებდა ფეხს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მხატვრული სიტყვის ნიჭიერი ოსტატები ორგანულად განიცდიდნენ ახალი ქვეყნის სიდიადეს, მის ძლევამოსილ წინსვლას, რისი აღიარებაც შემოქმედებითი პრაქტიკით უნდა დადასტურებულყო. ერთ-ერთი სიმბოლისტი პოეტი, რომელმაც გულწრფელად აღიარა ახალი ქვეყნის გამარჯვებები, ტიციან ტაბიძე იყო. იგი ჯერ კიდევ 1928 წელს წერდა:

ნუ გაიკვირებ, როცა გეტყვიან,  
 რომ ჩუმად არის ახლა ტიციან,—  
 პოეტი დღეს სხვა ოცნების ტყვეა,  
 ამის შესახებ მათ არ იციან.  
 რა საჭიროა აქ პირფერობა,  
 მართლა მხიბლავდა მე ერთ ღროს „დადა“,  
 მტანჯავი იყო ეს გაორება,  
 მონანიება კი არის სადა!®.



წარსული შემოქმედებითი პოზიციების უარყოფა და ახალ სინამდვილესთან მისვლის აუცილებლობა უფრო მკვეთრად არის გამოხატული ამავე ლექსის ბოლო სტროფში:

დაფასთან ვდგავარ და ვმლი ძველ ლექსებს,  
ცარცთ კი არა, — სისხლით რომ ვწერდი.  
საბჭოთა მიწავ! გიჟოცი ფესვებს,  
ახალ ცხოვრების ვარ ალავერდი<sup>17</sup>.

1932 წლიდან, მას შემდეგ, რაც ერთ კავშირში იქნა გაერთიანებული საბჭოთა მწერლები, სრულიად ახალი ხანა იწყება ტიცთან ტაბიძის შემოქმედებითს ცხოვრებაში. იგი ახალი შემოქმედებითი ენერგიით მოგვევლინა 30-იანი წლების „მნათობში“. იმავე წლის აგვისტო-სექტემბრის ნომერში (№ 8—9) ტ. ტაბიძე აქვეყნებს სამ საუკეთესო ლექსს — „მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი“, „მეწყერი მეწყერს“ და „წინათ თუ ერთი იყო მთრეხელი“. ამ ლექსებს ნათელ ლიტმოტივად გასდევს ახალი ცხოვრების გმირული პეროიკა, იმ სიდიდის შეგრძნება და განცდა, რაც საბჭოთა სინამდვილემ დაამკვიდრა ჩვენს ქვეყანაში. ამიტომ რეფრენივით გასდევს პირველ ორ ლექსს ერთი და იგივე სტრიქონები:

რა საჭიროა მელნად გიშრის ტბა  
და კალმად კიდევ მინა რხეული,  
თუ ამ მღვრიე მზით გული გაგიტობა,  
თუ ამ ქრუანტელს იგრძნობს სხეული.<sup>18</sup>

ხოლო მესამე ლექსში („წინათ თუ ერთი იყო მთრეხელი“) ლაპარაკია ხალხთა თავისუფლებაზე, ახალი ცხოვრების სიდიადეზე, იმ მედგარ ბრძოლებზე, რამაც ხალხს თავისუფლება მოუტანა:

იქმარა ხალხმა წამება ტყვილად  
და გამოიღო საომრად ხელი,  
რომ ათასია ეხლა გულადი,  
წინათ რომ ერთი იყო მთრეხელი.  
დარილიდან ღართისკარამდე  
და ან სანამდე თვალი მიუწევს  
სოფლიდან სოფლად, აულით აულს,  
ახალ ცხოვრებას ეყრება ფუძე.  
თავისუფლება წინაც და ეხლაც  
არ აკლდა მყინვარს, თერგს და დარიალს.  
თავისუფლება დღეს ხალხს იახლა  
და ყველა აულს სხივით დაიარს.  
ყველა არაგვის და ქსნის ერისთავს,  
ყველა ნუგზარს და ლღუშაურებს,  
სისხლის წვიმების ცოდვა რომ ტვირთავს,  
მიწას აჭმევს და ქვეშას შეურევს<sup>19</sup>.

პოეტის მშობლიური კუთხის, ორპირის განახლებისა და აღორძინების რეალური სურათია წარმოსახული ლექსებში ციკლიდან „აბრილი ორპირში“, სადაც პოეტი ალტაცებით ამბობს: „არ ვიცი წინათ ეს რას ნიშნავდა, რომ იმ-

<sup>17</sup> ტ. ტაბიძე, თხზულებანი, 1, 1966, გვ. 87.

<sup>18</sup> ქ. „მნათობი“, 1932, № 8—9, გვ. 35, 36.

<sup>19</sup> ქ. „მნათობი“, 1932, № 8—9, გვ. 37.



დეროდნენ სულ ჩაირამას, ამას კი ვხედავ, გადაქცეულა დღეს იმერეთის<sup>20</sup> და რამათ<sup>20</sup>. ხოლო 1935 წელს „მნათობში“ (№ 7—8) პოეტი ბექდავს საკმაოდ ვრცელ ლექსს „ორდენოსან საქართველოს“<sup>21</sup> (194 სტრიქონი). ლექსში პოეტი შთაგონებით უმღერის საქართველოს დიდებულ წარსულს და კიდევ უფრო დიდებულ აწმყოს, რისთვისაც ჩვენმა რესპუბლიკამ ქვეყნის უმაღლესი ჯილდო ლენინის ორდენი დაიმსახურა. როგორც ვხედავთ, ლექსი შთაგონებულია ამ ისტორიული მოვლენით — ლენინის ორდენი საქართველოს ეკონომიკური და კულტურული გამარჯვების გვირგვინი იყო. ლექსში აგრეთვე პოეტურად არის გაცხადებული ავტორის მოქალაქეობრივი პოზიცია, მისი შემოქმედების პერსპექტივები:

ორმოცი წლის ვარ, კიდევ ორმოც წელს  
 აღარ მომავლებს ლექსი ფრანტელს,  
 ოღონდ ვხედავდეთ ასე ბედნიერს  
 შენ და შენ ვაზრდილ მსოფლიო ნათელს<sup>22</sup>.

როგორც ვხედავთ, 30-იანი წლების საბჭოურმა სინამდვილემ ტ. ტაბიძის შემოქმედებაში ახალი თემატიკა, ახალი განწყობილებები დაამკვიდრა. მისი ლექსები უფრო ნათელი და გამჭვირვალე გახდა, მეტაფორული აზროვნება დაიხვეწა, ლექსიკა ყოველდღიურ სინამდვილეს დაუახლოვდა. პოეტი ბევრს მოგზაურობს საბჭოთა რესპუბლიკებში; წერს ლექსებს საბჭოთა სიმხეთზე, დაღესტანზე („დაღესტნის ვაზაფხული“). ტიციანის პოეზია მდიდრდება ისეთი თემით, როგორც არის ხალხთა მეგობრობა და ინტერნაციონალიზმი. ყოველივე ეს უშუალოდ ეხმიანებოდა ახალ მხატვრულ მეთოდს. სოციალისტური რეალიზმი უეჭველად გულისხმობს ინტერნაციონალიზმის ნათელი იდეის ასახვას. ამ თვალსაზრისით ტ. ტაბიძე მტკიცედ დგას, ერთი მხრივ, ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციებზე, ხოლო, მეორე მხრივ, აღრმავებს და ამდიდრებს ამ ტრადიციებს. ეს კი თავის მხრივ ნოვატორობის პრიორიტეტს ანიჭებდა უნიჭიერეს ქართველ პოეტს.

ხალხთა მეგობრობის თემისადმი მიძღვნილი ლექსი „ბაღდადის ზეცა“ ტ. ტაბიძემ 1936 წელს გამოაქვეყნა „მნათობში“ (№ 4). ლექსი დიდ რუს პოეტს ვლ. მაიაკოვსკის მიუძღვნა. აქ სრული და ნათელი სურათია მოცემული საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტისა, რომელმაც მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრება ახალი ქვეყნის ნათელ ინტერესებს შესწირა.

ახალი ქვეყნის აღორძინების ნათელი სურათი უხვი პოეტური ფერებით წარმოსახა პოეტმა ლექსში „ალავერდობა“ („მნათობი“, 1936, № 10—11):

ტკბილო კახეთო, მადლი შენს გამჩენს,  
 შენ ბარაქიან და რაიან ცურებს,  
 ღრუბელი ცაზე მიაგავს კამეჩს  
 და კამეჩივით ღამე მისცურავს.  
 სდგას ოზშივარი და ორთქლი მწვადის,  
 კაცი ამ ბოლში თვალს ვერ გაახელს.  
 ირემი ირემს ბალახს მიაწვდის  
 სახე ღვინის ჯამს კახელი კახელს.

<sup>20</sup> ე. „მნათობი“, 1933, № 5, გვ. 27.

<sup>21</sup> გვიან ამ ლექსს „საშობლო“ დაერქვა. იხ.: ტ. ტაბიძე, თხზ., 1, 1966, გვ. 50.

<sup>22</sup> ე. „მნათობი“, 1935, № 7—8, გვ. 39.

სდგას ფიროსმანი, ხატავს დღეობას  
 და ჩარდახიან ურმების მორევს.  
 ვაჟა-ფშაველა უჭებს ხელობას  
 ჯიხვი შაირით შესცვლის მეორეს.

თავისებურ მხატვრულ კრედიტს უნდა მივიჩნიოთ ტიციანის „ლექსის და-  
 ბადება“, რომელიც 1937 წელს დასტამბა „მნათობის“ მესამე ნომერში. ამ  
 ლექსში ტ. ტაბიძემ მთლიანად გაამყლავნა მისი შემოქმედებითი პოზიციები,  
 სრულად შეაფასა მხატვრული ნაწარმოების როლი და მნიშვნელობა საზოგადო-  
 ლობრივი ცხოვრების განვითარებაში, ახსნა ლექსის წარმატების საფუძველი,  
 შემოქმედის დამოკიდებულება საკუთარი ქმნილებისადმი, იმ წვისა და შე-  
 მოქმედებითი ძიების მტანჯველი გრძნობები, რაც წინ უძღვის ლექსის შექმ-  
 ნას:

არც ერთი სიტყვა არ დამცდენია,  
 მხოლოდ იმისთვის, ლექსი რომ მეთქვა,  
 როცა ბჭკარები ბჭკარებს სდევნიან  
 საკუთარ გულის მაშინებს ფეთქვა.  
 სანამ წარმოსთქვამ ლექსი შენია,  
 იტყვი და ხალხი მას დაიტაცებს,  
 და თუ ვაჟაკის ხელი სჩენია,  
 ზამინ სხვის ხელშიც ის ივავაკებს.  
 ლექსი ლექსია, მაგრამ იმატებს.  
 თუ სიყვარულის ბოლმა გამურა,  
 მაშინ უყურე შენს ბაიათებს,  
 დაუტაცია ხალხს სალამურად.  
 და გეჩვენება, რომ ლექსის ძაფი  
 უძილო ღამის ხელში ირთება,  
 მოსკდება წვიმა თქმით და ქაფით  
 ლექსი წელკავად დაგაფრინდება.  
 გაითარეშებს მთაში და ველად  
 როგორც კალია გათელავს ყანას  
 და დაუნთება თაფლის სანთელად,  
 რომ გაანათოს მთელი ქვეყანა<sup>23</sup>.

სამწუხაროა, რომ ამ ნათელი შემოქმედებითი პერსპექტივების განხორ-  
 ციელება არ დასცალდა შემოქმედებითი ნიჭის სრული გაფურჩქვნის ასაკში  
 მყოფ პოეტს, უახლესი ქართული პოეზიის ერთ-ერთ საამაყო რაინდს ტიციან  
 ტაბიძეს.

30-იანი წლები, შეიძლება ითქვას, სრულიად ახალი ხანა, ახალი შემოქ-  
 მედებითი წვისა და ძიების პერიოდი იყო ყოფილი სიმბოლისტებისათვის,  
 ამასთან, წარმატებული ძიების პერიოდი. სოციალისტურმა სინამდვილემ, ახა-  
 ლი ქვეყნის ეკონომიკურმა და კულტურულმა აღორძინებამ, სოციალური ში-  
 ნაარსის განახლებამ ეკვიპოტანელ რეალობამდე მიიყვანეს ყოფილი ცისფერ-  
 ყანწელები, რომელთა შემოქმედება რადიკალურად დაუპირისპირდა მთსავე  
 აღრინდელ პოზიციებს, ორგანულად შეიგრძნეს ახალი ეპოქის მაჯისცემის ძა-  
 ლუში ფეთქვა და მისი ნათელი პერსპექტივები გულწრფელად აღიარეს.

1932 წელს „მნათობის“ მეშვიდე ნომერში პ ა ო ლ ო ი ა შ ვ ი ლ ი,

<sup>23</sup> აღნიშნული ლექსი რამდენადმე შესწორებული და დამატებითი სტროფებითაა დაბეჭდი-  
 ლი ტ. ტაბიძის თხზულებებში. იხ: ტ. ტ ა ბ ი ძ ე, თხზულებანი, 1, 1966, გვ. 34.



ცისფერყანწლოთა სკოლის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი, აქვეყნებდა ლექსებს „მაგიდა — ჩემი პარნასი“ და „როგორც აფრის ტკაცუნია“. სინამდვილის რეალური შეგრძნება, ახალი ყოფის სიღრმე და მისი უეჭველი პერსპექტივები პოეტს რეალურად აბრუნებს დედამიწისათან (ვ. გაფრინდაშვილის ლოზუნგის — „მიწისთან დაბრუნების“ პრაქტიკული ხორცშესხმა) და იგი სრულიად ახალი კუთხით, ახალი თვალთახედვით აღიქვამს გარემო სინამდვილეს, რეალურ სამყაროს. ეს ხალასი და უტყუარი განცდაა გამოხატული ლექსში „მაგიდა — ჩემი პარნასი“:

თითქოს უბრალოდ მე ვწირდე წერილს,  
გამოადვილდა უყურად შრომა,  
და როგორც შუქზე მოფრენა მწერის,  
სიტყვას სცელის სიტყვა და ზომას ზომა.  
მარცვლების ძებნას დაიწყებს ცერი,  
აავსებს წერილს წუხანდელ ცის დარდი,  
და მღერის, მღერის კალამის წვერი  
კალამის წვერი, ბულბულის ნისკარტი<sup>24</sup>.

იგივე აზრი, ოღონდ ახალ კონტექსტში, გააცხადა პოეტმა ლექსში „როგორც აფრის ტკაცუნია“, სადაც პოეტი ომახიანად გაიძახის:

როგორც აფრის ტკაცუნია  
მოვარდნილი ზღვიდან,  
ისეთი ვაქცატური  
ვაქროლება მინდა<sup>25</sup>.


პოეტის სურვილი წრფელია და ნათელი. „მინდა სიტყვის თარეში ჩემი ყველამ ნახოს“, წერს იგი ამავე ლექსში. რამდენად კონკრეტულად აცხადდა პოეტის სურვილი სინამდვილესთან მისი ორგანულად მისვლისა, ნათლად გამოიკვეთა მის შემდგომ ლირიკულ ლექსებში, რომლებიც ამ პერიოდის „მნათობში“ გამოქვეყნდა, აგრეთვე იმ პოემაში („გზა მშვიდობისა“), რომლის ორი თავი 1936—1937 წლებში დაიბეჭდა „მნათობის“ ფურცლებზე და რომლის დასრულება პოეტს არ დასცალდა.

ქურნალის იმავე ნომერში (1932, № 7) დაბეჭდილია პ. იაშვილის თემატიკურად და შინაარსობრივად განსხვავებული კიდევ ორი ლექსი „ვიქტორ გოგლიძეს“ და „ბადის ამბავი“. ვიქტორ გოგლიძე, ჭადრაკის ქართველი დიდოსტატი, როგორც ჩანს, ახლო მეგობარი იყო პოეტისა. პ. იაშვილი საინტერესო მიგნებას გეთავაზობს: „არავის არ სძინავს ისე აბნეულად, როგორც რომ ლექსის და ჭადრაკის ოსტატებს“. ამ ორიოდ ფრაზაში ნათლადაა გამოკვეთილი ორი დიდოსტატის — სიტყვისა და ჭადრაკის ოსტატების მუდმივი ფიქრისა და ძიების მტანჯველი წუთები, როცა შემოქმედებითი წვა და ცეცხლი განუყრელად თან დასდევს შემოქმედს, ღამითაც რომ არ აძინებს და მოსვენებას უკარგავს: „შენ უკვე გაიგე, რა არის ძილის წინ უეცრად შეხტომა კაცს რომ არ აძინებს, შენ უკვე გაიგე, მკაცრია თბილისი და თავის არჩეულს თვალს არ მოაცილებს“<sup>26</sup>.

<sup>24</sup> ქ. „მნათობი“, 1932, № 7, გვ. 3.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 5.

<sup>26</sup> ქ. „მნათობი“, 1932, № 7, გვ. 3.





„ბალის ამბავში“ წვიმიანი დღის იშვიათი სურათთა გამოხატული. მთელი წელიწადი, თემატურად „ბალის ამბავი“ განსხვავდება ზემოთ განხილული წელიწადისაგან, მაგრამ ის საერთო ნიშანი, სადაც გადმოცემულია შემოქმედის მტანჯველი ფიქრი და ძიება, ამ ლექსშიც არის გამოხატული:

დაეთენებო, მომინდება ამინდის სინჯვა  
ბევრი ნდომია მუშაობა ლექსების ბერტყვას...<sup>27</sup>

დილის არაჩვეულებრივი სურათი, როცა შრომის უჩვეულო ენერჯია ფეოქავს ირგვლივ, მკვეთრი მხატვრული ფერებითაა წარმოსახული ლექსში „დილა“, რომელიც 1934 წელს გამოაქვეყნა პოეტმა „მნათობში“ (№ 7—8). ამავე ნომერში დასტამბულია მეგობრებისადმი მიძღვნილი ლექსი „მწვერვალებიდან“, სადაც პოეტი ომბახიანად მოუწოდებს თანამოკალმე მეგობრებს:

შრომაში, ომში, ქარიშხალში—ვიქნებით სადაც,  
ყველგან სიცოცხლის ქადაგებად უნდა ჩავებათ!<sup>28</sup>

1933 წელს პოეტი ბექდავს ლექსებს „აფთიაქარი“ და „ლირიკული ლექსებიდან“. პირველში პოეტი მშობელი მამის რეალისტურ პორტრეტს ხატავს, ხოლო მეორე ეძღვნება სიყვარულის იმ უნახვს გრძნობას, ასე რომ ამაღლებს და აკეთილშობილებს ადამიანებს, თმაში შემატებული ქილარა კი სიყვარულს სინათლეს მატებს. „ნუ გეშინია, ჩემო კარგო, თმაში ქილარა ეს სინათლეა, სიყვარულს რომ შემატებია“, — აცხადებს პოეტი. მისი დამოკიდებულება სიყვარულის ამ ნათელი გრძნობისადმი სათუთია და ნაზი, რაც იმ ტრადიციების გაგრძელებაა, ასე ძალუმად რომ დაამკვიდრა შ. რუსთაველმა გენიალურ „ვეფხისტყაოსანში“.

ამგვარად, 3. იანვლის მიერ ქურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებულ ლექსები აშკარად წარმოადგენდა იდეურ-თემატური თვალსაზრისით სრულიად ახალ ეტაპს არა მარტო პოეტის შემოქმედებაში, არამედ მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში. ქურნალში დასტამბული პოეტური ნიმუშები თავისი მხატვრული აზროვნებით, ასახვის რეალისტური მანერით, გამოსახვის საშუალებებით, წერის კლასიკური სისადავით მტკიცედ ემყარებოდა სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, რასაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა 30-იანი წლების ქართული პოეზიის განვითარებაში.

30-იანი წლების სოციალისტურმა სინამდვილემ განსაკუთრებული კეთილისმყოფელი ზეგავლენა მოახდინა ორთოდოქსი სიმბოლისტის ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაზე. მართალია, „მიწასთან დაბრუნების“ ლოზუნგი (1927 წ.) ცისფერყანწელთა შორის ვ. გაფრინდაშვილს ეკუთვნის, მაგრამ თავისი შემოქმედებითი პოზიცია მას დიდხანს არ დაუთმოია. და თუ მაინც მოხდა რადიკალური ცვლილებები ცისფერყანწელთა მხატვრული აზროვნების კულტურაში, ეს ისევ და ისევ იმ რაციონალური მარცვლის გაღვივება და განვრცობა იყო, მათი აზროვნების რეალისტურ მანერაში რომ შეინიშნებოდა. ცისფერყანწელები კლასიკურ პოეზიასა და თანამედროვე პოეტთა დიდ უმრავლესობას მარტოდენ თემატური შინაარსით კი არ დაუპირისპირდნენ, არამედ ქართული ლექსის ფორმისეული განახლებაც განიზრა-

<sup>27</sup> იქვე, გვ. 4.

<sup>28</sup> ვ. „მნათობი“, 1934, № 7—8, გვ. 4.

ხეს, რასაც უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ამ თვალსაზრისით, მათ დადებითი კვალი დატოვეს მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში. მართებულად შენიშნავს თ. ჩხენკელი: „ცისფერყანწელებმა დრომოკმული ფორმებისა და გაცვეთილი თემების ბალასტისაგან გაწმინდეს ახალი ქართული ლირიკის გზა და ნიადაგი შეუმზადეს „მ ი წ ა ს თ ა ნ დ ა ბ რ უ ნ ე ბ ი ს“ ბრწყინვალე პოეზიას. ისინი თავად იყვნენ თავიანთი დიდი პოეზიის წინამორბედები“<sup>29</sup>.

ამგეარად, მიუხედავად ვ. გაფრინდაშვილის „პოეტური სიჭიქის“ ხანგრძლივობისა, იგი მაინც დაადგა მხატვრული აზროვნების რეალისტურ გზას. ეს მოხდა, ერთი მხრივ, მას შემდეგ, რაც „ცისფერი ყანწები“, როგორც ლიტერატურული სკოლა, ორგანიზაციულად გაუქმდა, ხოლო, მეორე მხრივ, ს.კ.კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის 23 აპრილის ისტორიული დადგენილებისა და საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის (1934 წ.) შემდეგ. როგორც ცნობილია, საბჭოთა მწერლების პირველმა ყრილობამ ახალი გრანდიოზული ამოცანები დაუსახა საბჭოთა მწერლებს, მათ შორის ქართველ მწერალთა მოწინავე რაზმს.

ვალერიან გაფრინდაშვილმა ფრიად ნაყოფიერად იმოღვაწა 30-იანი წლების „მნათობში“. ჯერ კიდევ 1932 წელს (№ 5—6) ვ. გაფრინდაშვილი წერდა: „იარა ვართ ეპოქის ჩვენ მხოლოდ მხლებელი“. პოეტი ორგანულად განიცდის თანადროული ცხოვრების განახლებას, საზოგადოებრივი ატმოსფეროს სისურველ აღორძინებას, რაშიც თითოეულმა მოქალაქემ, ყველა საბჭოთა ადამიანმა, იქნება იგი პოეტი თუ კოლმეურნე გლეხი, მუშა თუ ინჟინერი, აქტიური წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის წინსვლასა და სამეურნეო მიღწევებში. ირგვლივ როცა ასეთი შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევს, უხერხულია თანამედროვეობის მხატვარი ოთახში იჯდეს და სარკმილიდან ჰკერუტდეს გარდაამქნელ პროცესებს. პოეტი ცხოვრების შეაჯულში უნდა ტრიალებდეს, რისთვისაც საჭიროა სულ უბრალო რამ: „თავი დაეაღწიოთ ოთახის უღლეობას, სჩქეფს შემოქმედება ირგვლივ გასაკვირი“<sup>30</sup>.

თავის მოწოდებას ვ. გაფრინდაშვილი შემოქმედებითი პრაქტიკით ახორციელებდა. რევოლუციური სინამდვილე პოეტისთვის ორგანული და ახლობელი გახდა. და აი, პოეტის ლექსში („რევოლუციის წარსულიდან“) ორიგინალურად ცოცხლდება რევოლუციის დიდი შემოქმედის, გენიალური ბელადის სახე:

როცა მოვარდა ოქტომბერი ქარის სისწრაფით,  
 როცა უსშენდნენ მას მუშები თრთოლვით, ცახცახით,  
 რევოლუციამ მოიგლიჯა თავის ნიღაბი  
 და გამოცხადდა ლენინის სახით!<sup>31</sup>

ვ. ი. ლენინის უკვდავ სახეს ეძღვნება ვ. გაფრინდაშვილის ლექსი „ათი წლის წინათ“ („მნათობი“, 1934, № 1—2), რომელშიც გამოხატულია ის სამწუხარო განცდა და დაუვიწყარი ტრაგიკული წუთები, როცა კაცობრიობას სამუდამოდ გამოეთხოვა დიდი ბელადი. ეს საყოველთაო დიდი მწუხარება ასე გამოხატა პოეტმა:

<sup>29</sup> თ. ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი, წერილები, თბ., 1972, გვ. 35.

<sup>30</sup> ე. „მნათობი“, 1932, № 5—6, გვ. 9.

<sup>31</sup> ე. „მნათობი“, 1932, № 8—9, გვ. 34.

რომელ ბეთხოვენს და რომელ ვაგნერს  
 შეეძლო ჩვენი სევდის მხილება?  
 ღრუბლებმა სული შავად დაგრაგნეს  
 და შექმნეს სულ სხვა განწყობილება....  
 ბელადს მიწისთვის ვერ ვიმეტებდით  
 და ვაცოცხლებთ გვიწოდოდა მისი,  
 მაგრამ ობოლ ფიქრს ვაიმედებდით  
 გმირის კუბოსთან დადებულ ფიცით.

ლენინის ხსოვნის წინაშე დადებული ფიცი რევოლუციისადმი ერთგულე-  
 ბის ფიცი იყო, რაც უჩვეულო მხატვრული სიმახვილით გადმოსცა პოეტმა  
 თავის ლექსში.

არსებითად, რევოლუციის თემის გაგრძელებაა 1933 წელს დაწერილი  
 ლექსი „კარლ მარქსი“. იმდენად დიადი და შთამაგონებელია კარლ მარქსის  
 სახელი ქართველი პოეტისათვის, რომ იგი მოკრძალებით აცხადებს: როცა  
 მარქსის სახელს ეხები, აქ ისეთი ტიტანების ძალა და ნიჭია საჭირო, როგორც  
 არიან ჰომეროსი, დანტე, შექსპირი:

აქ საჭიროა ჰომეროსი, შექსპირი, დანტე...  
 და თუ ვერ ებოვებ მე გამოძახილს,  
 მაინც ჩემ სიტყვას შევეურთებ  
 მრავალი ხმების დიდ კორიანტელს<sup>32</sup>.

ეს სტრიქონები არა მარტო რევოლუციური სინამდვილის აღიარებას მოწ-  
 მობს, არამედ მის ორგანულ განცდასაც, რითაც პოეტის მიერ გარემო სინამდ-  
 ვილე სრულიად ახლებურად აღიქმება.

თანამედროვეობის სუნთქვითაა გაყვნილი ვ. გაფრინდაშვილის ისეთი  
 ლექსები, როგორცაა „საოპერო თეატრის ქანდაკიდან“, „ბუკინისტი“, „წყნე-  
 თის გზაზე“ („მნათობი“, 1933, № 1—2), „უცნობი ქუჩა“ („მნათობი“, 1933,  
 № 12), „სალამო საგურამოში“ („მნათობი“, 1935, № 2), „ქუთაისი“ („მნათო-  
 ბი“, 1935, № 3), „ბალადა შლეიფისა და მარაოს შესახებ“ („მნათობი“, 1935,  
 № 7—8), „ბუნებას“ („მნათობი“, 1939, № 6) და სხვ.

წინაპარ მწერალთა სახეები გაგვიცოცხლა პოეტმა თავის ლექსებში „ჩემი  
 შეხვედრა ეგნატესთან“ და „სალამო საგურამოში“. პირველ ლექსში ე. ნინო-  
 შვილის ღვაწლი და შრომა ამგვარადაა შეფასებული:

წინამორბედო! შენ გმირობის ველზე დაეცი,  
 რომ ბატონობის დაგმსხვრია მძიმე უღელი,  
 სოფლის ქვითინი, სისხლიანი შენი დაისი  
 დღეს აღმობრწყინდა გამარჯვებულ ხალხს ქუხილით<sup>33</sup>.

გარდა იმისა, რომ აქ გაჭირვებულთა და დაჩაგრულთა ქომაგის სახე მკვე-  
 თრი შტრიხებითაა გამოხატული, რეალისტურადაა ასახული ახალი ყოფის  
 ნიშნეული თვისებები.

ამ ასპექტითაა მოცემული ილიას დიდებული სახელი ლექსში „სალამო  
 საგურამოში“, სადაც წარსულისა და დღევანდლობის ხელშეხახები სურათე-  
 ბია წარმოსახული:

<sup>32</sup> ქ. „მნათობი“, 1933, № 3, გვ. 3.

<sup>33</sup> ქ. „მნათობი“, 1934, № 5—6, გვ. 3.

„კაკო ყაჩაღის“ სტრიქონებს ყურში  
 ხე ჩამჭრჩულვებს ვით მოგზაური,  
 და მესალმება სიციცხლე ურჩი  
 მოწაფეების ნორჩი ხმაურით.  
 ახალი ყოფის პირველ მგოსნებად  
 საგურამოზე ვარსკვლავანი სჩანან.  
 და ის ქალარა ჩემს საოცნებოდ  
 ღამეში ამბობს ტკბილ იავ-ნანას.<sup>34</sup>

ე. გაფრინდაშვილის ლექსების გამოქვეყნებით ჟურნალი „მნათობი“ არა მარტო პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ახალ და ნათელ ფურცელს ქმნიდა, არამედ მკვეთრად აყალიბებდა თვით ჟურნალის ლიტერატურულ პროფილს, რომელშიც ხელშესახებდალ გამოიკვეთებოდა საბჭოთა ლიტერატურის ახალი მხატვრული მეთოდი — სოციალისტური რეალიზმი. ეს ახალი მეთოდი თანდათან მტკიცედ და მკვიდრად იკიდებდა ფეხს ისეთ მწერლებშიც კი, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ ანტირეალისტურ პოზიციებზე იდგნენ.

ამ თვალსაზრისით, ჟურნალმა „მნათობმა“ განსაკუთრებული როლი ითამაშა, რითაც ქართული საბჭოთა პოეზია ახალი საგანძურით შეავსო.

30-იან წლებში ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე ბევრმა ქართველმა ახალგაზრდა პოეტმა აიდგა ფეხი, რომელმაც შემდგომ თავისი ადგილი დაიმკვიდრა მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ისტორიაში. მათ შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკუთვნის გრიგოლ აბაშიძეს, რომლის პირველი ნაწარმოები 1933 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობის“ მეთერთმეტე ნომერში. ეს იყო პოეტური ეპოსი „უკანასკნელი ხატისკაცი“, დაწერილი 19 წლის ახალგაზრდა პოეტის მიერ. მართალია, პოემა დასრულებული არ იყო, ჟურნალში ნაწარმოების მხოლოდ რამდენიმე თავი იყო გამოქვეყნებული, მაგრამ ერთი რამ ცხადად ცხადი იყო: პოეტის ამ პირველ ნაწარმოებში თვალნათლივ იგრძნობოდა, რომ ავტორს წერის უაღრესად მაღალი კულტურა ჰქონდა, ღრმად იცნობდა ლექსის თეორიას, სწვდებოდა პოეზიის იდუმალ სამყაროს, გამახვილებული ჰქონდა რიტმისა და რითმის გრძნობა. ამასთან, რამდენადაც დაბეჭდილი თავები იძლეოდა ამის თქმის საშუალებას, პოეტს ოსტატურად ძალუძდა სიუჟეტური ქარგის მწყობრი, დინამიკური გაშლა. თუმცა სიუჟეტის განვითარების თავისებური ოსტატობა გრ. აბაშიძემ არაერთხელ გამოავლინა მის შემდეგდროინდელ პოეტურ ეპოსებში, რითაც ქართული საბჭოთა პოეზია, რომელიც თავის პოზიციებს თმობდა პოემის ქანრში, ქანრობრივად გაამრავალფეროვნა.

„უკანასკნელი ხატისკაცი“ უშუალო გამოხმაურება იყო ოცდაათიან წლებში მიმდინარე კოლექტივიზაციის პროცესისა. ძველისა და ახლის ძალთა დაპირისპირებამ მკვეთრად გამოხატა იმ პერიოდის საზოგადოებრივი ცხოვრების ნიშნული თვისებები. კოლექტივიზაციის წინააღმდეგ სამეკდრო-სასიციცხლე ბრძოლა გამართეს კლასობრივი მტრის უკანასკნელმა ნარჩენებმა, რომელთა წარმომადგენელი იყო კულაკი ხატისკაცების უკანასკნელი ნაშეიერი. მის გააფრთხილებულ ბრძოლას ახლისა და პროგრესულის წინააღმდეგ გამარჯვება არ ეწერა. ასეთია ამ დაუმთავრებელი პოემის პათოსი, რაც მის მხატვრულ ჩანაფიქრსაც განსაზღვრავს.

<sup>34</sup> ე. „მნათობი“, 1935, № 2, გვ. 69.

გრიგოლ აბაშიძის ოცდაათიანი წლების პირველი ნახევრის პოეზია, გადაუჭარბებლად უნდა ეთქვას, საგრძნობლად განირჩეოდა ამავე პერიოდის მისივე თანამოკალმე პოეტებისაგან თვისებრივად. რა დასაძლია და 30-იანი წლების პირველ ნახევარში ბევრი ქართველი პოეტი სკოლადეად მხატვრული სრულყოფის თვალსაზრისით. მათს ბევრ ლექსში ლირიკული გმირი ცალმხრივად იყო წარმოსახული, მისი გრძნობები გაღარიბებულად გამოიყურებოდა, ემოცია გაშიშვლებული იყო, ლექსის შინაგანი პათოსი რიტორიკულობისა და დეკლარაციულობის ფარგლებს ვერ სცილდებოდა, რის გამოც, შეიძლება ითქვას, ლექსი ყურს უხეშადაც კი ზედებოდა. ერთი სიტყვით, ლექსს ლირიკული სინაზე აკლდა, შიშველმა პათეტიკამ გრძნობა დაახშო, ე. წ. „წყნარი“ თუ „ჩუმი ლირიკა“ პოეზიიდან განიდევნა და მისი ადგილი „მყვირალა, ხმაურიანმა ლირიკამ“ დაისაკუთრა. ქართველი პოეტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ საშიშროებას მალე აულეს ალღო და 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან რადიკალურად შესცვალეს პოეზია — მათ პოეზიაში თანდათან დაიკავა ადგილი ემოციურ-გრძნობისმიერმა მხატვრულმა მეტყველებამ.

აღნიშნულ პერიოდში (ოცდაათიანი წლების პირველი ნახევარი) ალბათ გრ. აბაშიძე იყო ერთ-ერთი, ვინც წინდაუხედავად არ აპყვა საერთო ფეხის ხმას და საკუთარი ლექსით საკუთარ გულისთქმას არ დააშორა. ის ზომიერი ემოცია და მგრძნობელობა, რაც გრ. აბაშიძის პოეზიას დაჰყევბოდა მთელი მისი პოეტური მოღვაწეობის მანძილზე, იმთავითვე ნიშნული და არსებითი იყო მისი ლექსებისათვის. თვით ისეთ ლექსებშიც კი, როგორც არის „სიჭაბუკის გაზაფხული“<sup>35</sup>, რომელიც, ერთი შეხედვით, მყვირალა პათეტიკას და აღტყინებას უნდა გამოხატავდეს, პოეტი ჩვეული ლირიკული სინაზით, აუღლევებელი ხმით წარმოგვისახავს გაზაფხულის მშვენიერ ბუნებას, რომელიც ასოციაციით წარმოუდგენს ლირიკულ გმირს „პირველი ულვაშის აშავეების“ ულამაზეს და დაუფიწყარ ხანას, პირველი სიხარულის განუცდელ მღელვარებას, ახალი ცხოვრების სიღიადეს.

ამ პერიოდში, ესეც გულახდილად უნდა ვალიართ, ძალზე იშვიათი იყო ისეთი მარადიული თემა, როგორც არის სიყვარული. მაგრამ გრ. აბაშიძე ბეჭდავს ლექსებს სატრფიალო თემაზე, სადაც ორიგინალურად, თავისებურად წარმოგვიდგინა ეს გაუხუნარი გრძნობა, მისი სილამაზე და ძალმოსილება. ეს არის 1934 წელს დაბეჭდილი ლექსები „ციცინათელა“ და „ღამე ნაპურალში“ („მნათობი“, № 9).

ასევე ნაზი ლირიკული განცდილობა გადმოცემული ბუნების გამოლევების გრანდიოზული სურათი ლექსში „გამოლევება“, რომლის სიმბოლური გააზრება ჩვენი ცხოვრების განახლებას წარმოგვისახავს. ეს ლექსიც დაბეჭდილია 1935 წლის „მნათობის“ მეოთხე ნომერში.

1935 წელს პოეტმა უკრაინაში იმოგზაურა. ამ ახალი შთაბეჭდილებების გამოძახილი მან ლექსად გარდათქვა, რომლის თემატიკა ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ურღვევ კავშირს ეხმიანება. ლექსს „გურამიშვილის სამყოფელში“ ჰქვია და დაბეჭდილია იმავე წლის „მნათობის“ მეცხრე ნომერში. პოეტის ასოციაციური წარმოსახვა გურამიშვილის ეპოქაში გადადის, როცა საქართველოდან ლტოლვილი პოეტი სამუდამო თავშესაფარს უკრაინაში პოეებს. ამ ქვეყნის ბედი ტყუპის ცალივით ჰგავს საქართველოს ბედს. ალბათ ამიტომ

<sup>35</sup> ე. „მნათობი“, 1934, № 5—6.



შეეთვისა ქართველი პოეტი უკრაინელ ხალხს, მის ზნე-ჩვეულებებს და მის წილში ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი, სადაც ლექსების გარდა სხვა ნაშეიერი არ დარჩენია. თანამედროვე პოეტი გულმოკლული მიმართავს დიდი წინაპარი პოეტის აჩრდილს:

სხვის კარზე ჩაკედი სადღაც შვიერი  
 და საფლავის ქვეც არ დაგარჩენია<sup>36</sup>,  
 არც სამოსახლო, არც ნაშეირი  
 კაცსაც ვერ ვნახავ ალბათ შენთან.

დღევანდელი უკრაინა კი ახალი მზით არის განათებული და ახალი სიცოცხლე ჰყვავის მის არემარეში. ამგვარად განახლებული უკრაინის ზილვა უთუოდ გაახარებდა ქართველ კაცს, რომელმაც თავისი ხანგრძლივი, მაგრამ ბედკრული სიცოცხლის დღენი უკრაინაში დაასრულა:

ნეტავ შეგეძლოს ჩემებრ უშვირო  
 ახალ სიცოცხლეს უკრაინაში!

აღნიშნული ლექსი ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის ნათელი გამოხატულებაა.

1936 წლის „მნათობის“ მეცხრე ნომერში იბეჭდება პოეტის ლექსი „ესპანელ მებრძოლებს“. ფაშიზმის შავ ჭირთან შეჭიდებული გმირი ესპანელი ხალხი თავგანწირვით იცავდა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ამ ბრძოლის მძაფრი სურათი მეტად მუქი ფერებით წარმოგვისახა პოეტმა:

შემოდის, როგორც დაფეთებული  
 ვით შავი ჭირი და დარღუბალა,  
 ვით დასანგრევად აფეთქებული  
 მილიონების კართან ეუმბარა.  
 შლეგი ხარივით დგას უდიერი  
 ტორს სევს და სისხლის შორევს ატბორებს,  
 დაჯახებხართ და გულის ძვერით  
 შეგუერებთ ზღაპრულ ტორეადორებს.

პოეტის მეგობრული დამოკიდებულება ესპანელი ხალხისადმი აშკარაა. მას ღრმად სწამს, რომ ესპანელი ხალხის მტკიცე ნებისყოფას და უტეხ სულს, მათ თავდადებულ სიყვარულს სამშობლოსადმი მტერი ვერაფერს დააკლებს, მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა კი ესპანეთის სამართლიან სახალხო ბრძოლას ერთსულოვნად უჭერს მხარს, რომლის ნათელი გამოხატულებაა ქართველი პოეტის ზემოთ დასახელებული ლექსი:

თქვენს ძლიერ ნებას, თქვენს ძლიერ ჭებირს  
 ვერ გავრღვევენ, დროშა იხსნიეთ!  
 ნეტავ თქვენ გვერდით ჩემი ლექსებიც  
 იბრძოდნენ როგორც მოხალისენი!

ხალხთა დიადი მეგობრობის ნათელი გამოხატულებაა აგრეთვე ლექსი „მოსკოვი“, რომელიც 1938 წელს დაიბეჭდა „მნათობის“ მერვე ნომერში. ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში ყოფნამ უშუალოდ განაცდევინა ის ძმური სიყვარულისა და მეგობრობის გრძნობა, რაც ახალმა ყოფამ, სოციალისტურმა ეპოქამ დაამკვიდრა რუსსა და ქართველს შორის:

<sup>36</sup> იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი დ. გურამიშვილის საფლავი.

გავყვები ქუჩებს ლექსის ჩურჩულით,  
 ამ ლექსებს სხვა დროს რას ვუწველიდი,  
 ბედნიერების ერთი ბუღბუღი—  
 სამბრეთის შვილი და რუსთველიდი.  
 მე მოველ არა ყმა, მგლოვიარე,  
 არა მოხარკე, მეც, ჩრდილოეთის  
 გზა სიყვარულით გამოვიარე  
 და სატახტოში ლექსით მოვედი.  
 იგიც თბილია თავისებურად  
 ის თბილისელთა სატახტოც არი—  
 ბრძოლით და ძმობით დამტკიცებულა,  
 როგორც სიგელი გასაოცარი.

საინტერესო მხატვრული გააზრებით გამოირჩევა „თელავის ციხის ლეგენდა“, რომელიც ავტორმა 1939 წელს დაბეჭდა „მნათობის“ მეორე ნომერში. შედამებისას, როცა თელავის მიდამოებში სრული სიწყნარე დაისადგურებს, უცნაური ფიქრები მოეძალება მეფე ერეკლეს აჩრდილს, მერე ხმაღს დაავლებს ხელს და ციხის გალავანზე ვეფხვივით გამოიჭრება. გავგნებულ მეფეს უკვირს, რომ ქალაქში სიწყნარეა და არ ისმის ბრძოლის ხმაური:

არ გუგუნებენ, უკვირს, ზარები,  
 არ ისმის ჩეხვის ხმა ასპინძური,  
 აღარ შემოდის გულის ამრევი  
 საქურისების დასტა ბინძური.  
 სამხრიდან ურდო არ იძვრის რისხვით,  
 არ მოჩანს ხანძრის ბოლო დასაელით,  
 აღაზნის ველზე ვაზი ურიცხვი  
 ჩამწყრივებულა როქის სპასაივით.  
 და ნაცხარში სძინავთ ფარ-შუბებს,  
 ცახცახებს კოშკის ჩრდილი ცალთვლით,  
 ხელდაბლულ ფარს დინჯად დაუშვებს  
 და ჩაფიქრდება დიდი სარდალი.

თელავის შემოგარენში ახლა ახალი სიცოცხლე და მშვიდობიანი ცხოვრება სჩქედს. ეს მისი, მეფე ერეკლეს წყალობაც არის, მისმა წინდახედულმა და გამჭრიახმა გონებამ იხსნა საქართველო მტერთა გამუდმებული თარეშისა და თავდასხმებისაგან; დიდ რუს ხალხთან უზადო მეგობრობამ ახალი სული შთაბერა საქართველოს ძლიერებას და ქვეყანა განახლებისა და აღორძინების გზაზე დააყენა.

ასევე საინტერესო გააზრებით გამოირჩევა ისტორიულ თემატიკაზე დაწერილი ლექსები: „სვენწყის ჩვენება“ (1939 № 1), „ქართლის ბუღბუღის შთამომავალი“ (1939, № 8), „შვიდი მეციხოვნე“ (1940, № 2). ლირიკული გმირის თვითგამოხატვის მშვენიერი ცდაა მოცემული უსათაურო ლექსებში — „ავანთოთ შუქი ჩვენ ჩვენი ხეცდრი“, „ძალითაც რომ დაგისუქონ, გაახილე თვალი“, „დააცადე, ლექსმა გულში კიდევ დაიზამთროს“ (1940, № 3). ფილოსოფიური სიღრმითა და ორიგინალური გააზრებით გვხვბლავს „ანდერძნამავი“ (1939, № 5) და „ზედარგნის ღამე“ (1939, № 8). სამშობლოს სიყვარულის უნახვის განცდაა გამოხატული უსათაურო ლექსში „ფიქრის უსწრაფეს მიჰქრიან დღენი“ (1940, № 2).

როცა „მნათობის“ ფურცლებზე გრ. აბაშიძის პოეტურ მოღვაწეობას ვაანალიზებთ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოთ მის პოეტურ

ეპოსს „შავი ქალაქის გაზაფხული“, რომელიც 1938 წელს გამოქვეყნდა „მნათობის“ მეორე ნომერში. ეს პოემა მრავალმხრივ არის საყურადღებო. პირველ ყოვლისა „შავი ქალაქის გაზაფხული“ ა. მირცხულავას „ენგურთან“ და კ. კალაძის „უჩარღონთან“ ერთად დიდად განაპირობებდა ქართული ტრადიციული სიუჟეტური პოემის აღორძინებას 30-იანი წლების ქართულ პოეზიაში, მეორე მხრივ, უეჭველად უწყობდა ხელს ამ პერიოდის ქართული პოეზიის უანრობრივ გამდიდრებას, რაც მთავარია, პოემის ნათელი სტილი, მისი იდეური სიღრმე, ისტორიულ-რევოლუციური თემატიკა, მხატვრული გადაწყვეტა მთელი სიცხადით ეფუძნებოდა სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, მის ძირითად პრინციპებს, რამაც საგრძნობი გავლენა მოახდინა ოცდაათიანი წლების ქართული პოეზიის განვითარებაზე.

ოცდაათიანი წლების „მნათობის“ ფურცლებზე არაერთი საუკეთესო ლექსი გამოაქვეყნა ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ვიქტორ გაბესკირიამ. მის ლექსებში თავისებურ ასახვას პოულობდა სოციალისტური სინამდვილე, ლირიკული გმირი თანამედროვე ადამიანის განცდებს წარმოსახავდა, მოცემული იყო ხვალისდელი დღის ნათელი პერსპექტივები. ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ვ. გაბესკირიას ლექსებში გაშუქებული აქტუალური თემები და პრობლემები არასოდეს არ სცილდებოდა ემოციურ ფარგლებს და არ ვარდებოდა შიშველ პათეტიკაში. თვით ისეთი ლექსიც კი, როგორც არის „ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები“ (1936, № 4). დროის ძახილი ზომიერებით არის მოცემული.

ლირიკული გმირის ემოციურ გრძნობებს გამოხატავს ლექსი „ნაცნობი ეზო“ (1938, № 3), „ბალი“ (1939, № 3). საქართველოს ისტორიულ წარსულზე მოგვითხრობს პოეტი ლექსში „ძველ საქართველოში“ (1940, № 3). მაგრამ რა თემაზეც არ უნდა დაეწერა პოეტს თავისი ნაწარმოები, მისი იდეური გააზრება თანამედროვეობის პოზიციიდან იყო მოცემული. ყოველივე ეს ვ. გაბესკირიას ლექსებს უშუალოდ აახლოებდა სოციალისტური რეალიზმის პრინციპებთან.

ზემოთ დასახელებული პოეტები მხოლოდ მცირე ნაწილია ამ პერიოდის „მნათობში“ მოღვაწე პოეტებისა, რომელთაც გარკვეული მიზეზების გამო აქვერ შევხებით, მაგრამ ზემოთქმულის შედეგად მაინც ხდება შესაძლებელი გარკვეული დასკვნები გავაკეთოთ:

ოცდაათიანი წლების მიმდინარე ლიტერატურულ ცხოვრებაში აქტიურ როლს თამაშობდა ჟურნალი „მნათობი“. მის ფურცლებზე უხვად იბეჭდებოდა პოეტური ნიმუშები სრულიად სხვადასხვა რანგისა და ასაკის პოეტებისა, რომელთა შემოქმედებაში ფართო ადგილს იჭერდა თანადროული ცხოვრების ამსახველი თემები და მოტივები, წარმოსახული იყო ცხოვრებისეული მტკიცეული პრობლემები, ხვალისდელი დღის პერსპექტივები, ახალი ცხოვრების გმირები, თანამედროვე ადამიანთა დაუვიწყარი სახეები.

ოცდაათიანი წლების პოეტური ნაწარმოებების თემატიკა და შინაარსი განუყოფლად იყო დაკავშირებული იმ დროის საზოგადოებრივი ყოფის სინამდვილესთან. არ ყოფილა ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში რაიმე ისეთი ღირსშესანიშნავი მოვლენა, რომელიც 30-იანი წლების ქართულ პოეზიაში არ ასახულიყო. ამ პერიოდის პოეტთა მოწინავე წარმომადგენლებმა არა მარტო რაოდენობრივად შეაესეს ქართული პოეზიის ისტორია, მათ თვისებრივად გადაახალისეს ქართული ლექსი, შემოიტანეს და დაამკვიდრეს გამოსახვის ახალი



საშუალებები, გაამდიდრეს და ახალ საფეხურზე აიყვანეს რითმა, ეს ბრწყინვალე ატრიბუტი ქართული კლასიკური ლექსისა, საერთოდ, დახვეწეს და გააფაქინეს წერის კულტურა. ქართული პოეზია თემატიკურად და ქანობრივად საგრძობლად მრავალფეროვანი გახდა.

სოციალისტური რეალიზმის დამკვიდრებამ, ერთი მხრივ, ახალი მიღწევები მოაპოვებინა ისეთ პოეტებს, როგორც იყვნენ: გ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, ალ. აბაშელი, ს. შანშიაშვილი, ი. მოსაშვილი, ვ. ვაბესკირია და სხვ., ხოლო, მეორე მხრივ, ახალი პოეტური თვისებებით, თემებითა და განწყობილებებით აღჭურვა პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, კ. ნადირაძე, გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი და სხვ., რომლებიც დიდხანს უხდიდნენ ხარკს სიმბოლისტურ-დეკადენტურ მოტივებსა თუ ფუტურიზმის უაზრო ცდუნებებს.

სოციალისტური რეალიზმის ათვისებამ უშუალოდ დააკავშირა სოციალისტური ცხოვრებისა და მშენებლობის პერსპექტივებთან ახალი სინამდვილის მომღერლები ალ. შირცხულავა, კ. კალაძე, ირ. აბაშიძე, გრ. აბაშიძე და სხვ.

„მნათობის“ ფურცლებზე დაფრთიანდა 30-იან წლებში გამოხული ახალი პოეტური თაობა მისი საუკეთესო წარმომადგენლების — ლ. ასათიანის, მ. გელოვანის, ვლ. უბილაძის, ალ. საჭაიას, ი. ნონეშვილის, რ. მარგვიანის, გ. კალანდაძის, შ. ამისულაშვილის, ლ. სულაბერიძისა და სხვათა სახით. მათი ახალგაზრდული პოეტური ხმის ნაკადი ძალუმად ერთვოდა თანადროული ქართული პოეზიის დიდ მდინარეს.

ოცდაათიანი წლების ქართული პოეზია მეტად მდიდარი და საინტერესო ეტაპია მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ამ საინტერესო ეტაპის შექმნა უშუალოდ უკავშირდება ამავე პერიოდის ჟურნალ „მნათობისა“ და მისი სარედაქციო კოლეგიის დაუცხრომელ მოღვაწეობას, რომელთა მიზანი იყო ჟურნალის ირგვლივ აქტიურად შემოეკრიბა ქართველ პოეტთა მოწინავე რაზმი, პოეტური სიტყვის სახელმძღვანელო ოსტატები, ასევე იმედის მომცემი ახალი პოეტური თაობა. როგორც ვხედავთ, ამ ამოცანებს ჟურნალმა „მნათობმა“ წარმატებით გაართვა თავი.

#### Р. Ч. ЧХАРТИШВИЛИ

### ГРУЗИНСКАЯ ПОЭЗИЯ 30-х ГОДОВ И ЖУРНАЛ «МНАТОБИ»

#### Резюме

В труде проанализированы те произведения, которые определили существенные тенденции грузинской поэзии 30-х годов XX века. Для этого периода характерно становление и развитие нового творческого метода социалистического реализма.

Журнал «Мнатоби» часто предоставлял свои страницы лирике Г. Табидзе, Г. Леонидзе, Ал. Абашели, И. Гришашвили, Т. Табидзе, П. Иашвили и др. В лирических произведениях этих поэтов явно выражены принципы социалистического реализма.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ჟურნალისტიკის განყოფილება

წარმომადგენა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

## აკოლონ ცანავა

## მიტოლური ნაკადი ქართულ საბჭოთა რომანში

1978 წლის მარტის „ლიტერატურაზე გაზეტასა“ და 1980 წლის თებერვლის „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გაიმართა დისკუსია მითის ადგილის შესახებ საბჭოთა ლიტერატურაში. „ჩვენს კრიტიკას, — აღნიშნული „ლიტერატურული საქართველოს“ სარედაქციო სტატიაში, — ფართო, პროფესიული საუბარი არ გაუმართავს ბოლო წლებში ქართულ ინტელექტუალურ რომანზე, მითოსის ნაკადზე, რომელიც ასე სახიერად გამოიკვეთა ქართულ პროზაში. მითოლოგიურ სახეთა და სიუჟეტთა გაცოცხლება, თანამედროვეობის მწვავე პრობლემებთან მათი დაკავშირება საერთოდ მთელი მსოფლიოს ლიტერატურული ფაქტია. მთავარია, დადგინდეს ჯა გამოიკვეთოს, რამდენად დგებიან ეს მითოლოგიური სიუჟეტები თანამედროვეობის სამსახურში, რამდენად სწორად წყვეტენ ისინი სადღესო პრობლემებს, არიან თუ არა თავიანთი არსით, სათქმელთ თუ პრობლემატიკით თანამედროვე ნაწარმოებები“ („ლიტერატურული საქართველო“, 1980 წელი, № 5).

1979 წელს „მნათობის“, ხოლო 1980 წლის „გოპროსი ლიტერატურის“ (№ 1) ფურცლებზე დაიბეჭდა ნოდარ დუმბაძის ინტერვიუ მითთან მისი დამოკიდებულების თაობაზე. ინტერვიუში ნათქვამია: „დრო კი დადგა... მთელი სიღრმით გაირკვეს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში მითოლოგიისა და მითისქმნადობის როლი... მითოსის და ბიბლიის გამოყენება ლიტერატურაში ახალი არ გახლავთ. ამას ჩვენს ლიტერატურაში დიდი და შორეული ტრადიცია აქვს... მითიცა და ბიბლიაც ორთავე მე თავად უდიდეს ლიტერატურად მიმაჩნია.“

ვიღრე ბიბლიაცა და მითოსიც ავტორთა მიერ, როგორც პირველწყარო ან სიუჟეტის დამხმარე მასალა მხოლოდ ისტორიულ რომანებში გამოიყენებოდა, მათდამი განსაკუთრებული პრეტენზია არავის არ გააჩნდა, მაგრამ როგორც კი ბიბლია და მითოსი თანამედროვე ლიტერატურაში გადმოსახლდა და მის ორგანიულ ნაწილად იქცა, ამან დიდი აურზაური, დაბნეულობა და მითქმამოთქმა გამოიწვია, უპირველეს ყოვლისა კრიტიკაში.

მითოლოგიური და ბიბლიური თემების, სენტენციებისა და ღოგმების გათანამედროველობა მათი თემატიკისა და თუნდაც სიუჟეტური მომხიბვლელობით კი არ უნდა ახსნათ, არამედ გაჩენის დღიდან ადამიანის ხასიათისა და მისი ბუნების სტაბილურობით... ღვთაებათა და ადამიანთა შორის აღწერილი ურთიერთობანი, ენებები, ფსიქოლოგიაში, და თუ გნებავთ, ფილოსოფიაც კი ზოგ შემთხვევაში იმდენად რეალური, მიწიერი და აქედან გამომდინარე თანამედროვეა, რომ მათი მხოლოდ მითოლოგიურ და რელიგიურ ასპექტში წაკითხვა, ჩემის აზრით, შეცდომაა და მკრეხელობა. ეს თემები უზომო სიმკვრივის კვაზარულ ვარსკვლავებს ჰგვანან, რომლებიც თავის თავში გასაოცარ ენერჯიასა და მასას იტევენ“ (კ. იმედაშვილი, მითი და თანამედროვე ქართული პროზა, „მნათობი“, 1980, № 2, გვ. 155—156).

კ. იმედაშვილის მეტად საინტერესო წერილში „მითი და თანამედროვე ქართული პროზა“ ნაჩვენებია მითოლოგიზაციის, მითისადმი დამოკიდებულე-



ბის სხვადასხვა ასპექტები მე-19 საუკუნის 10—20-იანი, 30—40-იანი და 60-იანი წლების პროზაში. კრიტიკოსის თქმით, „მთვარის მოტაცება“ გმირ ქვეყნა 1935 წელს და „იგი იქცა არა მარტო ქართულ, არამედ საბჭოთა პროზის მნიშვნელოვან ნაწარმოებადაც... ამ რომანიდან მოყოლებული ვიდრე 60-იან წლებამდე ქართულ პროზაში დემითოლოგიზირების პროცესი მიმდინარეობდა თავისი დადებითი თუ უარყოფითი გამოვლინებებით“ (დასახ. წერილი, გვ. 152—153). რემითოლოგიზაციის პროცესი იწყება 60—70-იანი წლების პროზაში. კრიტიკოსი ასახელებს იმ მწერლებს, რომლებიც სხვადასხვა ასპექტით იყენებენ ქართულ, ბერძნულ, შუამდინარულ, ახალი და ძველი აღქმის მითოლოგიურ მოდელებს. ეს მწერლებია: გ. შატბერაშვილი, თ. ჭილაძე, ა. სულაიაური, ნ. წულეისკირი, ნ. ღუმბაძე, თ. ჭილაძე, ვ. ამირეჯიბი, გ. გეგეშიძე, გ. მალულარია და გ. დოჩანაშვილი.

რემითოლოგიზებული პროზის პოეტიკის ნიშნებად ასახელებს ციტირებას, არქეტის, პარალელიზმს, დროის, მოვლენის, გმირის შექცევადობას, მითის გავრცობას, პაროდირებასა და მითის ქმნადობას.

ჩვენ გვინდა შევნიშნოთ პატივცემულ მკვლევარს, რომ „მითის ქმნადობის“ ცნება არ შეიძლება გაუთანაბროთ „ავტომითს“, ახალი მითის შექმნას. კ. იმედაშვილი წერს: „მწერლები საკმაოდ ხშირად თვით მიმართავენ მითის ქმნადობას“, რომ „მითის ქმნადობა დამახასიათებელია ნ. ღუმბაძისათვის, ჭ. ამირეჯიბისათვის, ნ. წულეისკირისათვის“... და ა. შ. (დასახ. წერილი, გვ. 157). კრიტიკოსის აზრით, ნ. წულეისკირმა შეთხზა არგის მითი, ჭ. ამირეჯიბმა კი — თუთაშხიასი.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ყველა მითოსური ფაქტი ისტორიამდელ ეპოქაში მოხდა. „ქვეყნიერების შესაქმნიდან წარღვნამდე, — მათ შორის განვლილ დროში მოხდა ყველა მითოსური ფაქტი, ისტორიულ ხანაში მომხდარ მოვლენათა არქეტიპები“ (ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1979, გვ. 11). ახალი მითის შექმნა ისევე შეუძლებელია, როგორც ახალი ჯადოსნური ზღაპრისა. კ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალი „ილიადა“ და „ოდისეა“ არასოდეს არ შეიქმნება, რადგან ის მითოლოგიური ნიადაგი, რომელიც კვებავდა ჰომეროსის ფანტაზიას, ხელახლა არ გამეორდება. კ. იმედაშვილი დაბეჯითებით ამბობს, რომ ჭ. ამირეჯიბისეული თუთაშხიას მითი „ქართულმა მითოლოგიამ... არ იცის. იგი ავტორის მისტიფიკაციის ნაყოფია, მაგრამ ეს მისტიფიკაცია ეყრდნობა მითის შინაგანი კანონზომიერების ზუსტ ცოდნას“ (კ. იმედაშვილი, დასახ. წერილი, გვ. 160). ამ შემთხვევაში მითოსური მოტივების (ურჩხულის უძლებობა, მოჭრილი თავის სანაცვლოდ ახლის ამოსვლა, ჩანთქმული ადამიანებისა და სხეულის ნაწილების უკან ამონთხვევა, გულის ამოჭრა და ურჩხულისათვის მირთმევა, თვითშეწირვა და ამაღლება, ღმერთად გახდომა და ა. შ.) გარკვეული მიზანდასახულობით გამოყენებასთან, რეკონსტრუქციასთან გვაქვს საქმე და არა ავტომითთან. ყოველ ნიჭიერ მწერალს სხვადასხვა მითოსური მოტივის გამოყენებით შეუძლია შექმნას მისთვის საჭირო ისეთი კონსტრუქციის სიუჟეტი, რომლის ტოლფარდი არ იცის ხალხურმა შემოქმედებამ, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს ახალი მითის შექმნას — „ავტომითს“, რადგან ყოველი მისტიფიკაცია მაინც მითის შინაგან კანონზომიერების ცოდნას ემყარება და მისი დანაწევრება ცალკე მითოსურ ერთეულებად მეტად ადვილი საქმეა.

კ. გამსახურდიას ფოლკლორისადმი დამოკიდებულების საკითხს ჩვენ ბროშურა ვუძღვევით. ამჟამად გვიანტერესებს საკოლმეურნეო წყობილების ჩამოყალიბების პერიოდის ამსახველი რომანის „მთვარის მოტაცების“ ორი მითოსური ასპექტი, რომელიც გარკვეული მხატვრული მიზანდასახულობითაა გამოყენებული ძველი და ახალი ყოფის დასაპირისპირებლად.

ქართულ და მსოფლიო მითოლოგიაში ცნობილია, რომ მთვარე (ასევე მზე) შეიძლება გაუჩინარდეს (დედამიწაზე ჩამოვიდეს, ზღვაში ან ქვესკნელში ჩაეშვას), შემდეგ კვლავ თავის სამყოფელს დაუბრუნდეს, განახლდეს. ერთ-ერთ ხეთურ თქმულებაში გადმოცემულია, თუ როგორ ჩამოვარდა ციდან მთვარე. მიწაზე ჩამოვარდნილ და ქვესკნელში მიმავალ მთვარეს ჭეჭა-ქუხილის ღმერთმა წვიმა დაადევნა, დასველა და აიძულა ისევ ცას დაბრუნებოდა („ციდან ჩამოვარდნილი მთვარე“, მცირე აზიის ძველი ლიტერატურა, თარგმანი ვ. ივანოვისა, მოსკოვი, 1977, გვ. 50, რუსულ ენაზე). სვანური თქმულების მიხედვით, მიწაზე ჩამოსულმა მთვარემ გააჩავრა დედა, რომელიც ძროხას წველიდა. გაჩაგრებულმა დედამ შეიღს ძროხის ფუნა ესროლა და სახეზე მიაგლისა. ამიტომ ჩანს მთვარეზე შავი ლაქებიო (ბ. ნიჟარაძე). ბუმბენები ასე მიმართავენ ახალ მთვარეს: „წაიღე ჩემი სახე და მომეც მე შენი... სახე, რომელიც სიკვდილში გადასულს, ისევ ცოცხალს გაბრუნებს. ო. მთვარევ, ადრე შენ ამბობდი, რომ სიკვდილის შემდეგ ჩვენც კვლავ დაგვიბრუნდებოდა ცხოვრება“ (ე. კოტლიარი, აფრიკული მითები და ზღაპრები, მოსკოვი, 1975, გვ. 73, რუსულ ენაზე). ოდესღაც დიდი ოკეანე წაეჩხუბა ცას და მზე მოიტაცა. იგი ქვესკნელში წაიყვანა. ჭეჭა-ქუხილის ღმერთმა თავის შვილი გაუგზავნა ოკეანეს და მზე უკან დააბრუნებინა. როცა ადამიანებმა ხაინ (მთვარე) მოკლეს და შეჭამეს, მზემ (იშკომ) შური იძია მკვლელებზე და ისინი აფორებად გადააქცია (ე. კოტლიარი, დასახ. წიგნი, გვ. 74). პერსეფონე როცა ქვესკნელში მიჰყავს პოსეიდონს, ან როცა ოსირისი შორდება ნილოსის ნაპირებს, გამრავლება წყდება, გვალვა ისადგურებს, ყველაფერი ხმება; როცა ისინი ბრუნდებიან, — ბუნება ყვავილობს, განახლება იწყება.

ღვთაებათა სიკვდილი ან დროებით გაუჩინარება, შემდეგ კი მკვდრეთით აღდგომა, ან კვლავ განახლება და დაბრუნება — უძველესი ავარარული მითების კუთვნილებაა. მთვარის და მზის ზესკნელ-ქვესკნელში მოგზაურობა (სიკვდილი და გაცოცხლება) სტადიალურად გვიანდელი მოვლენაა, მის არქეტიპად მიჩნეულია ვეგეტატიური ღვთაებები. მითოლოგიის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ყველა ამ ფუნქციას ანთროპომორფული ღვთაებები ისაკუთრებენ (იშთარი, ოსირისი, აღონისი, დიონისე, პერსეფონე, ქრისტე და ა. შ.).

კ. გამსახურდია თავის წერილში „მთვარის მოტაცების გამო“ მიუთითებს, რომ მან აღიდებული ენგური რევოლუციის სიმბოლოდ დასახა, რომელმაც „რელიგია დაანგრია... რელიგიური ფენომენი დაანგრია“ (რჩ. თხზ., VII, თბ., 1965, გვ. 398). აქ იგულისხმება მთვარისა და მისი მონაცვლე წმინდა გიორგის კულტიდან მომდინარე წეს-ჩვეულებები, რომლებსაც დიდი გულმოდგინებით ასრულებენ ღომკაც ესვანჯია, ლუკაია ლაბაზუა, კაც ზვამბაია, თარამ ემხვარი, ქორა მახეში, თამარი, ბაბუა ტარიელი და სხვა.

რომანის სათაურის არქეტიპი მთვარის მითოსურ უკვდავებასთან არის დაკავშირებული. საერთოდ, მხატვრული ნაწარმოების სათაურის თაობაზე

კ. გამსახურდია წერდა: „არაფერი ისე არ ახასიათებს მწერალსა და მის სტილს, როგორც სათაური... სათაური იგივეა, რაც თვალი ადამიანისა, ან სარკვევით კაცთა სამყოფოსი... უთუოდ სათაურია პირველი დერიტა შემოქმედებისა. სათაური ჰგავს მეომარის მიერ პირველ მოქნევას ხმლისას“ (რჩ. თხზ., VI, თბ., 1963, გვ. 145—146).

რომანის სათაურის — „მთვარის მოტაცების“ სიმბოლური მნიშვნელობის საყურადღებო ინტერპრეტაციას იძლევა კრიტიკოსი ა. ბაქრაძე. მისი აზრით, თარაშ ემხვარის გარეგნული ბრწყინვალეობა, ვაჟკაცობა, სილამაზე, განათლება ის სინათლეა, „რასაც მთვარე აშუქებს. მთვარეც ანათებს, მთვარეც ბრწყინავს, მაგრამ ნასესხებია ის სინათლე, მთვარის სინათლე არ იძლევა განაყოფიერების საშუალებას. ვერავის გაათბობს იგი... ვერავითარ თესლს ვერ დაამწიფებს. ცივია და მკვდარი მთვარის სინათლე, ცივია და მკვდარი თარაშ ემხვარის ცოდნაც, განათლებაც, ვაჟკაცობაც, სილამაზეც. აქედან არის ალბათ თარაშისა და მთვარის ანალოგიაც და რომანის სახელწოდებაც“ (ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, მითოლოგიური ენგარდი, თბ., 1969, გვ. 91—92).

რომანის სათაურის ა. ბაქრაძისეულ გაგებას ეთანხმება ა. გომართელი. იგი ამ ნაწარმოებს მიიჩნევს „ტრაგიკულ ეპოპედ“ და თარაშ ემხვარის დაღუპვასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „თარაშ ემხვარის დაღუპვაში გაცხადებულია თარაშ ემხვარის კლასისა და მისი საზოგადოების დაღუპვა. შავ ჩოხასაც სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩოხა იყო იმ ეპოქისა და საზოგადოების ფორმა... ენგურში უნდა დაიღუპოს სწორედ ჩოხიანი და არა ევროპულ კოსტუმიანი თარაში“ (ამირან გომართელი, „მთვარის მოტაცების“ სათაურის გაგებისათვის, პირველი სხივი, IX, თბ., 1973, გვ. 403). ჩვენ ვფიქრობთ, რომ რომანის სათაურში მითოლოგიზირებულია მთვარის უკვდავების, გაუჩინარების, გაქრობისა და ხელახალი დაბრუნების, აღორძინების მითოსური მოდელი.

მთვარე ხელიდან გამოსტაცა ადიდებულმა ენგურმა თარაშ ემხვარს, რადგან მას, მთვარის მსგავსად, ხელახალი განახლება, აღორძინება არ შეუძლია. რომანის პროლოგსა და ეპილოგში მთვარის მითოლოგიზირების ორი ასპექტია მოცემული: პროლოგში მამა-შვილი (კაც ზემამბია და არზაყანი) ღამით გადასტურავენ ადიდებულ ენგურს. ენგურის ტალღებში „ცეკვავენ თეთრი მთვარე“ (თუთარჩელა). ცაზე დავანებული ნამდვილი მთვარე კი „უღუპველი სიმალიდან გადმოსცქეროდა გრილით მიმავალ ენგურს“ (რჩ. თხზ., I, თბ., 1958, გვ. 26). მამის დახმარებით თუთარჩელა ღამეს არზაყანმა (ახალი ცხოვრების მოციქულმა) მშვიდობიანად გადალახა მწერლის მიერ რევოლუციის სიმბოლოდ დასახული ენგური. ეპილოგში, ასევე ადიდებულ ენგურს შევიღებულ ემხვარსა და არაბიასაც დაჰნათოდათ თავზე იგივე მთვარე, მაგრამ მალე „მოთალხო ღრუბელი გადაეფოფრა“ მას. ენგურის ტალღებმა გზააბნეულ ემხვარს არაბია გამოსტაცა. წუთით კვლავ გამოანათა ღრუბლებიდან მთვარემ და „აკაჰკაჰდა წყლის ზედაპირი“. ყოინა დასცა ემხვარმა, ისევე გაახილა თვალი, მთვარე უკვე ძირს ჩამოსულიყო და „მისცურავდა გასარკულ წყლის პირზე“. გაშალა მკლავები თარაშმა და მთვარეს ჩაეხვია. მთვარევე მთვარის დისკომ ემხვარს თვალი მოსტაცა, თითქოს „უფსკრულეთს დარჩენილ ცეცხლებზე მგზნებარე მეორე თვალი და მიყვა მთვარეს ცნობაწართმეული ცურვით“ (იქვე, გვ. 725). ენგურზე ჩამოსულ მთვარეს ემხვარი ქვეყნულში უნდა ჩაჰყვეს, რადგან ცალი თვალი იქა აქვს დარჩენილი. მაგრამ „იძალა ის ევ





ენგურმა, იბურთავა მთვარე, გამოსტაცა ქანცმილენურ მცურავს და გააქანა უფსკერო შავეთში“. სწორედ აქ იხსენება სასათაუროდ აღებული მითოსური მოდელის ძირითადი აზრი. ენგურმა მთვარე გამოსტაცა ემხვარს ხელიდან, რადგან თარაშს არ შეეძლო ხელახალი აღორძინება, განახლება, რომელიც მითოსური მოდელის მიხედვით, ღვთაების, ან ღვთაებამდე ამაღლებული (წილხვდომილი) გმირის ხვედრია. თარაშ ემხვარის ცხოვრებისეული მრწამსი, მისი იდეები და შეხედულებები განწირულია დასაღუპავად. მათი აღორძინება ან განახლება შეუძლებელია.

გარდა რომანის სათაურის თანამედროვე პოზიციებიდან მითოლოგიებისა, კ. გამსახურდია მთვარის მოტაცებაში იყენებს მეზირის კულტის მითოსურ მოდელს და მეტად ხელშესახებად გვიხატავს საბჭოთა წყობილების დამყარების შედეგად ძველი პატრიარქალური დიდი ოჯახის რღვევის მტკიცუნულ პროცესებს. სვანეთის დიდი ოჯახის მეთაურის ქორა მახვშისათვის პრინციპულად მიუღებელია საბჭოთა წყობილება. ამდენად, ახალი გზის შემოყვანა სვანეთში ქორა მახვშის სიკვდილსაც ნიშნავს. ახალი გზით ახალი იდეები შემოდის, რომელიც პრინციპულად უპირისპირდება პატრიარქალურ ყოფას. არზაყან ზემბაია რევოლუციით კლავს პატრიარქალური ოჯახის მფარველ ანგელოზს — მეზირს (გველს), ამით იგი კლავს დიდი ოჯახის მეთაურ ქორა მახვშსაც. ეს იმ დღეს მოხდა, როცა ახალი გზის მშენებელთა ლაღუმების გრიალმა ქორა მახვშის სახლამდე მოაღწია. თვით ქორა მახვშს ჩაესმა ეს ხმა ყურში. ამას მეზირის სიკვდილიც რომ დაემატა, გამწარებულმა მახვშმა თავში ხელი წაიშინა, ლოგინზე დაეცა და სული განუტევა.

პატრიარქალური ოჯახი და მისი მფარველი ძალა — მეზირი განუყოფელი იყო. მეზირის მოკვლით არზაყანმა სიმბოლურად მოსპო ძველი პატრიარქალური დიდი ოჯახი, რომელიც სრულიად შეუფერებელი იყო ახალი იდეების, საბჭოთა წყობილების დამკვიდრებისა და გამარჯვებისათვის.

მწერალ აკაკი გელოვანთან კამათისას, კ. გამსახურდია აღნიშნავდა: „თქვენ მეზირის გამო მედავებით. ეს ეთნოგრაფებისაგან გამიგონია. სად ვნახე მე ასეთი რამ? ეს არაა მთავარი. არარსებულის და დაუჯერებელის არსებულად და დამაჯერებლად ქცევა, ეგ არის ხელოვანის მიზანი... რაც შეეხება კულტს, ეს არ მინახავს, როგორც დანტეს არ უნახავს ჯოჯოხეთი“ („საქართველოს ბუნება“, 1969, № 10).

ჩვენ მიერ 1976—1977 წლებში, სვანეთის სამეცნიერო-ფოლკლორული ექსპედიციების დროს მოპოვებული ახალი მასალები ერთხელ კიდევ ადასტურებენ სვანეთის ყოფის ცნობილი მკვლევარების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მეზირის კულტი სვანეთში ნამდვილად არსებობდა (ამის შესახებ იხ.: ბ. ნიქარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, გვ. 75—76; მიხ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961, გვ. 172—175).

ეს კულტი, როგორც სამართლიანად აღნიშნავს დავით წერეთიანი, ხტონური წარმოშობისაა. „მეზირი ოჯახის მფარველი ძალაა, რომელიც ქვეწარმავლისა თუ სხვა ცხოველის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. თავდაპირველად მეზირის განმასახიერებელი ცხოველები ასე მრავალგვარი არ იქნებოდა. იგი ისეთი სულდგმული უნდა ყოფილიყო, რომელსაც მიწასა და სიბნელეში ჰქონდა ადგილსამყოფელი. ამ კულტის კავშირი მდინარესთან და „პილიშის“ დღეობასთან გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად მეზირი მხოლოდ გველი



შეიძლებადა ყოფილიყო“ (დავით წერედიანი, სენატური საკულტურო-გალობლები, „მაცნე“, 1970, № 6, გვ. 170). ძველი სარწმუნოებრივი მითოლოგიური წარმოდგენების მიხედვით გველი ძირითადად წყალთან იყო დაკავშირებული და მდინარე გველის, ხოლო გველი მდინარის სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენდა.

მეზირის კულტი მთელს საქართველოში იყო გავრცელებული. გველის, გველ-ვეშაპის მითოლოგიება შოთა რუსთაველის, აკაკი წერეთლის, ვაჟას, კ. გამსახურდიას, დ. შენგელაიას და სხვათა შემოქმედებაში შეპირობებულია ეროვნული მითოლოგიური მონაცემებით. იგი მყარი, ნაციონალურ-კულტურული მოდელის ერთ-ერთი ასპექტია. მსოფლიო მითოლოგიაში გველი ტიპობრივი ხტონური ცხოველია. დრაკონების მკვლელი გმირების გამოჩენით იწყება ხტონიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. დემონოლოგიურ თვისებებთან ერთად, „წმინდა გველის კულტი ითვლებოდა ერთ ყველაზე ცოცხალ და გავრცელებულ კულტად ანტიკურ სამყაროში“ (ა. ლოსევი, ანტიკური მითოლოგია, მოსკოვი, 1957, გვ. 42, რუსულ ენაზე). მშენიერი ათინა-პალადი, ორფიკული მითების მიხედვით, გველია. მის ტაძარში ერთი ან ორი წმინდა გველი ჰყავდათ. არგოსში გველი ხელშეუხებელი იყო. აფრიკის ერთ-ერთ ტომში არსებობდა სპეციალური წმინდა ადგილი, რომელიც გველებს სამყოფად ითვლებოდა. თუ რომელიმე გველი ამ ადგილს მოშორდებოდა და ვინმეს სახლში შევიდოდა, ქურუმს მიმართავდნენ. ქურუმი აიძულებდა გველს თავის წმინდა ადგილს დაბრუნებოდა. ვინც გველს შეხვდებოდა, ვალდებული იყო „მიეცა სასმელი და ეკოცნა მისთვის“ (ე. კოტლიარი, აფრიკული მითები და ზღაპრები, გვ. 40).

მოხვევთა რწმენით, ზოგიერთ ოჯახში დაბუდებულია ფუძის გველი, ან ალალი გველი (ანკარა). „ფუძის გველს დიდი მზრუნველობით უვლიან და, რომ არ გააჯავრონ, მას რძეს უდგამენ“ (ს. მაკალათია, ხევი, ტფილისი, 1934, გვ. 195). ზემო იმერეთის სოფ. რგანში ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალები დასტურდება, რომ შემენს (შემოჩვეულს), ე. ი. გველს, საქონლის ზაკში, ჯამით რძეს უდგამდნენ. ასე იქცეოდა ტაია შელიაც. იგი ფუძის ანგელოზს — გველს რძიან ჯამს ლოგინის ქვეშ უდგამდა.

1979 წელს ყაზბეგის რაიონში ჩვენ დავადასტურეთ მეზირის კულტის არსებობა. აქ მოპოვებული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ჯადოსნურ ზღაპრებში გავრცელებულ „გველის თოლის“, ხვითოს სასწაულებრივი თვისება (აღამიანის გამდიდრება) დაკავშირებულია გარკვეულ რწმენასთან. გველს სასწაულოქმედი თვალი (თოლი) ამოაქვს ქუდბედიანი კაცის საფლავიდან. იგი წილხვდომილი (ქუდბედიანი) კაცის თვალია (შდრ. „ჩავასკენებენ საფლავში, შემოგვევლება ცხენიო, მაჯებს დაგიხვრენ ჭიანი, თოლებს ამოვთხრის გველიო“).

სამეგრელოში გავრცელებული მითოლოგიური გადმოცემების მიხედვით, გველი ასეთ ძვირფას თვალს (ხვითოს) ქათმის კვერცხივით დებს. რასაც ეს თვალი (ხვითო) შეეხება, ყველაფერი ოქროდ იქცევა (ალ. ცაგარელი, მეგრული ეტიუდები, 1880, გვ. 9, რუსულ ენაზე). ქრისტიანულ ლეგენდას შიის მარანზე თავის საფუძველი ადრინდელ მითოლოგიურ რწმენაში ეძებნება. ზემო იმერეთში ჩვენ მიერ 1978 წელს ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით (სოფ. რგანი, ჭიათურის რაიონი), შემქმენი (გველი) რომელი კურის ძროზე (ძირზე) დაიბუდებს, იმ ქუტიდან ღვინო არ გამოიღევა. რამდენსაც მოაკლებს პატრონი, იმდენივე ემატება.

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ კ. გამსახურდიას მეზირის კულტი კი არ გამოუგონია, უშუალოდ საქართველოს ეთნოგრაფიული ყოფიდან აულია. ეს კულტი არა მარტო სვანების ყოფაში იყო შემორჩენილი, არამედ იგი საქართველოს თითქმის ყველა კუთხისათვის იყო დამახასიათებელი.

ასეთი მყარი ნაციონალურ-კულტურული მოვლემები თავისებურ გააზრებასა და ასახვას პოულობენ ლიტერატურასა და ხელოვნებაში, როგორც ზოგადმნიშვნელოდი იდეისა და მიზანდასახულობის მითოლოგიზაციის საშუალება. კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“ მეზირის კულტს უაღრესად სიმბოლური დატვირთვა აქვს დაკისრებული და თავისებური ასპექტით გვიდასტურებს საბჭოთა წყობილების გამარჯვების აუცილებლობას ძველ, დრომოქმულ პატრიარქალურ ყოფასთან შედარებით.

„მთვარის მოტაცების“ პროლოგში მოხსენებული „თეთრი მთვარე“ სამეგრელოში „თუთარჩელას“ სახელწოდებითაა ცნობილი. საესე, ყვითელი მთვარის მიერ დაღვრილ სინათლეს, სითეთრეს „თუთარჩელა“ ჰქვია. ეს სითეთრე, შ. რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მზიანი ღამე“, მისი ღვთაებრივი ძალმოსილება, თავისებური მხატვრული პრინციპითაა მითოლოგიზირებული ნ. წულუისკირის რომან „თუთარჩელაში“. მოქმედება წარმოებს ისტორიული თეთრი მთის (ჩეგოლას) მიმდებარე სოფლებში, სახელდობრ, საკლანდარიოში. „ყვითელი მთვარე ნელ-ნელა ამოცურდა და საკლანდარიო თეთრ ბურუსში გახვია... თუთარჩელა თეთრი მთიდან დაიძრა... თუთარჩელას სიჩუმე უყვარს... სითეთრე და სიჩუმე ციდან ჩამოაქვს... თეთრი მთა თუთარჩელაში ენას იდგამს, თეთრ ღამეს, ძველისძველ მეგობარს საიდუმლოს უმხელს“ (ნ. წულუისკირი, რომანი და მოთხრობები, თბ., 1973, გვ. 7). და ეს საიდუმლო სწორედ ის მითოსური მოვლეა („ჩარჩო“), რომელსაც მწერალი თავის ძირითადი მიზანდასახულობის გამოსაკვეთად იყენებს. გუგუ კლანდარიას არქექტიპია არგი და ოდოია, ანინასი კი ღვთაება ნანა. არგიმ თვითშეწირვის გზით აღმართა სალოცავი კაპუნია, რომლის ძალით ქვეყნიდან განდევნა უცხო დამპყრობლები, შემდეგში ექვი შეიტანა ცხენისწყლის ნაპირიდან თეთრ მთაზე ატანილ ხულას ტოლა ქვის (კაპუნიას) ყოვლისშემძლეობაში. შემდეგში ოდოიამ დაამხო კაპუნია და მის სანაცვლოდ მთვარის სალოცავი ტაძარი ააშენებინა. ამ ტაძარში დაეყუდა მთვარეს შეწირული (თუთაში) ოდოია. „მიწიერ მშვიდ და უზრუნველ ცხოვრებაზე კვლავ უარი თქვა, ჯაჭვები აისხა, თუთარჩელაში თავის ღმერთებთან საუბარი განაგრძო“ (იქვე, გვ. 19). უსაზღვრო თვითგვემითა და შეურყეველი რწმენის წყალობით ჯაჭვასხმული ოდოია საწადელს აღწევს. „ერისიონიდან გაუდგა გზას“ მთვარისაკენ. მთვარემ ერთგული თუთაში ოდოია ღმერთად აკურთხა, მაგრამ ერთხელ ციას დახმარებით მესამე ციდან მან ულამაზეი ღვთაება ნანა მოიტაცა და მიწაზე ჩამოიყვანა. ამ არქექტიპში მთავარია მითის ხარისხი, რომლის მიხედვით, თვითშეწირვის გზით ბოროტება აუცილებლად უნდა დაითრგუნოს, სიკეთემ უსათუოდ გამარჯვება უნდა იზეიმოს. თუთაშივით ჯაჭვასხმული გუგუ კლანდარია წილხედომილია, ამაღლებული, არაჩვეულებრივი. „წინაპართა მსგავსად, გუგუს სხეულს მუდამ თან ახლდა ღვთაებრივი თვისება... თითქოს თუთაშებმა თუ დიდმა მოწამეებმა უანდერძეს გუგუ კლანდარიას ეს თილისმა“ (გვ. 69). ღვთაებრივი მეუღლის წუთიერი გატაცებით გამოწვეული ღალატის შედეგად სოფელში თითით საჩვენებელი გუგუ კლანდარია, განთქმული ექიმი 3. მაყნე, ენასა და ლიტერატურის სერია, 1981, № 3

და სიკეთით სავსე ადამიანი, ჯაჭვებს აისხამს და თუთარჩელაში გადაეშვება. საქმოსანმა გვაჩი კალანდარიამ გზა-კვალი აუბნია ანინასა და გუგუს. განუზომელი ფიზიკური და სულიერი ტკივილები მიაყენა მათ ადამიანურ მეობას. გუგუ კალანდარია შეუდგა გოლგოთის გზას, შიშველ ტანზე ჯაჭვები აისხა, ზედ პერანგი გადაიფარა და დაბინდული გონება თუთარჩელას მიაპყრო. თუთაში ოღოია ეცხადება მას და უმტკიცებს, რომ „როცა ჭეშმარიტი სიყვარულია, უნდა იტანჯო... ტანჯვის გზას მივყევართ სიყვარულისაკენ. სიყვარულს დიდი რწმენა სჭირდება“ (გვ. 233). გუგუ კალანდარიამ გაიარა წამების დიდი გზა და კვლავ შეუერთდა ამალღებულ, ღვთაებრივ სიყვარულს, კვლავ დაუბრუნდა ცხოვრებას, ოჯახს.

„თუთარჩელაში“ მითოლოგიზირება თვითმიზანი არ არის. აქ არც ახალი მითის შექმნასთან გვაქვს საქმე. მითოსური მოდელი აქ გამოყენებულია ახალი, თანამედროვე საბჭოთა ადამიანის ამალღებული თვისების — ურყევი რწმენისა და შეუდრეკელი ნებისყოფის მხატვრულ ასპექტში გამოსაკვეთად, რომ ბოროტება დროებითია და, რამდენიც არ უნდა გაიხანგრძლივოს მან თავისი არსებობა, საბოლოოდ მაინც დაითრგუნება. სიკეთეს დამარცხება არ უწყერია.

ქართულ კრიტიკაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მითოლოგიური სტრუქტურა ნ. წულუისკირის რომან „თუთარჩელაში“ პარალელიზმის პრინციპზეა აგებული. ავტორი ქართულ მითოლოგიაზე დაყრდნობით ქმნის არგისა და ოღოიას მითს და ამ მოდელის შემდეგ იქმნება რეალური პლასტი — გიორგის ამბავი, რომელიც გენეტურად უკავშირდება როგორც ერთს, ისე მეორეს, მაგრამ... გიორგის ხაზი ზოგადად იმეორებს მითოლოგიური მოდელის ლოგიკას. იგი ასევე ახლობლობას ავლენს თეთრი გიორგისა და ქრისტეს მითთან ამა თუ იმ მითოლოგეით... სამი პლასტი — არგის, ოღოიასი და გიორგის — ერთმანეთის პარალელურად არსებობს და, ამავე დროს, ავრცობს, აგრძელებს კიდევ ერთმანეთს“ (ც. იმედაშვილი, დასახ. წერილი, გვ. 158—159). ჩვენს ადრინდელ წერილში მივუთითეთ გიორგის (იგივე გუგუ) კალანდარიას არქეტპად არგისა და ოღოიას გამოყენებაზე (იხ. „კრიტიკა“, 1979, № 4). ასევე გიორგის მეუღლის ანინას სახე პროეცირებულია არქეტპის — თუთას ქალიშვილის — სიყვარულის ღვთაება ნანას სახესთან. ეს ნანა აღმოსავლურ მითოლოგიაში ცნობილი ღვთაებაა, რომლის კულტი საქართველოშიაც არსებობდა და საწესჩვეულებო საგალობლებში რეფერენის სახით დღემდე შემონახული (იხ. ჯ. ბარდაველიძე, ქართული ხალხური ლექსი, თბ., 1979, გვ. 80).

„თუთარჩელაში“ ქართული მითოლოგიური მოდელია გამოყენებული. პირველი თავის სათაურია „ჰეკატეს ბალი“, მაგრამ ეს ჰეკატე კოლხური წარმომავლობის ქალი ღვთაებაა, აიეტის მეუღლე მედეას დედა. ბერძნულ მითოლოგიურ პანთეონში ეს სახე კოლხეთიდან შეტანილად ივარაუდება.

საბჭოთა ექიმის გუგუ კალანდარიას ბაბუას (მამის მამას) გერგებებს სახელგანთქმული ბალი ჰქონდა. ამ ბალს „გერგების ბალს“ ეძახოდნენ. გერგებებს ამ ბალში მოჰყავდა სამკურნალო ბალახები. „თვალის ჩინივით უვლიდა ამ ბალს მოხუცი“. ზოგჯერ „ვო, ბაბუა გერგებებს“ ძახილით შემოვიარებოდა რომელიმე კალანდარიას ბიჭი და თხილის ჯოხს დაუდებდა ფეხებთან. ექიმბაში „გერგებე თავის ჯადო თვალს ჯოხს დაასობდა და დაიწყებდა: „არე, მარე, სარე, მარე სისაკურელი მარე. დუდი შხუ ღო კუდელი ჰოფე, ნინა გო-

ბარზალეზური“ (გველის ნაკენის ეს ტიპობრივი შელოცვა მრავალგზის არის ჩაწერილი სამეგრელოს სამეცნიერო-ფოლკლორული ექსპედიციების დროს 1965—1972 წლებში. იგი დაახლოებით ასე შეიძლება ითარგმნოს: „არე, მარე, სარე, მარე შე საკვირველო მარე, თავი მსხვილი და კუდი წვრილი, ენა გასანსალეული“). „ბაღში ბროწეულს მოძებნიდა, ბალახებში ლაქარდიას გამოარჩევდა... ერთად დანაყავდა და ბიჰს დააბარებდა, ეს წამალი ნაკებზე დაადეთო“ (გვ. 38). მწერლის თქმით, „შეეტარიანი დანითა და წყლით, თხილის ჭობითა და ნახშირით გერგებეს სასწაული მოუხდენია, მაგრამ ეს არ იყო მაინც მთავარი. მას თავისი წამლებით უფრო აფასებდნენ, ვიდრე ჭადოჭობით“ (გვ. 37). „კოლექტივიზაციის დროს, მის ეზოში ქურუ (უბირი) კალანდარიები შემოვიდნენ და ბალი აჩვენეს“ (გვ. 39).

ახალგაზრდა ექიმმა გუგუ კალანდარიამ სოფელში დაბრუნებისთანავე ბაღს სახელი გამოუცვალა და «თავისი ძველისძველი, ნამღვილი სახელი დაუბრუნა „ჰეკატეს ბაღს“» (გვ. 40).

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია მედეას სამკურნალო საქმიანობასთან დაკავშირებული „სამკურნალო მცენარეთა ბაღის არსებობის საკითხი კოლხეთში, რომელიც ჰეკატეს (მედეას დედისა) და თვით მედეას სახელთან არის დაკავშირებული“ (მიხეილ შენგელია, უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა, თბ., 1979, გვ. 102).

ნოქალაქევ-არქეოპოლისში მცხოვრებთა შორის ქართული მედიცინის ისტორიის მკვლევართა მიერ 1972 წელს მოპოვებული მასალები მტკიცედ მიუთითებენ, რომ „მეფეს ჰყავდა ქალიშვილი მედეა, რომელიც განთქმული იყო თავისი წამლებით. არჩენდა ჭრილობებს. შეეძლო მკვდრის გაცოცხლება“ (იქვე, გვ. 109). დღემდე შემონახულა გადმოცემა „მედეას ვარდის“ არსებობაზე. „მედეას ვარდს“, მიქმელთა გადმოცემით, „ჭრილობის სამკურნალოდ იყენებდნენ და ეზოში სპეციალურად დარგული ჰქონდათ დგებუაძეების ოჯახში“ (იქვე, გვ. 110). მედეამ სამკურნალო მცენარეებისადმი სიყვარული დედისაგან (ჰეკატესაგან) მიიღო, როგორც გუგუ კალანდარიამ გერგებესაგან. სოფლის საავადმყოფოდან დაბრუნებული დაღლილი გუგუ კალანდარია „ჰეკატეს ბაღისაკენ“ გაემართებოდა ხოლმე. იქ ეგულვებოდა „ჰეკატეს ბაღის დედოფალი“ ჭრელი გველი, რომელთანაც „საიდუმლო პაემანი“ ჰქონდა დანიშნული. „გუგუს ბევრჯერ უცქერია გველისათვის თვალეზში, სტუდენტობისას ცხოველთა პიანოზე მუშაობდა... საერთაშორისო სიმპოზიუმებსაც კი დაესწრო... მაგრამ ის, რასაც „ჰეკატეს ბაღის დედოფალი“ უამბობდა, არც ერთ სიმპოზიუმზე არ გაეგონა... ექიმი ჩაფიქრებული გამოდიოდა ჰეკატეს ბაღიდან. ბაღი კი შრიალით მოსძახოდა: „ჯალინოზ აქიმი ასეთი აქიმი და ფილოსოფოსი იყო რომე, სადაც გაიაროს ან საცა ხე, ბალახი დახუდის, ყოველმან ხემან და ბალახმან ენა ამოიდგის და ჯალინოზ აქიმს ხმაი სცეს და უანბის, თუ ბრძანებითა და შეწყენითა ღვთისათა, მე ეს და ეს მქვიანო და მე ესაო. აე ამ სენისა და ჭირის მკურნალი აქიმი ვარო და მე ესაო“ (იქვე, გვ. 44—45). ასეთი პანო მწერალს სჭირდება გამჭვირვალე მხატვრული სახის, მთავარი გმირის ტიპობრივი ხასიათის გამოსაკვეთად. გუგუ კალანდარიასათვის აღნიშნული მითოლოგიური მოდელები გაცნობიერებულია. მას ყველაფერი ეს აინტერესებს გარკვეული ცდის ჩასატარებლად, რაღაცის დასამტკიცებლად ან უარსაყოფად. „ჰეკატეს ბაღის დედოფალის“ თვალეზში ხანგრძლივმა და პირისპირ ჩა-

ხედვამ თითქოს მითურ ჯალინოზ ექიმად ვახადა გუგუ კალანდარია. თითქოს მას მცენარეები და ბალახები ამცნობენ, თუ რომელი რისი წამალია.

„თუთარჩელაში“ თავისებური რეკონსტრუქციითაა გამოყენებული ფაბულატური მითოლოგიური გადმოცემა ოჩოკოჩისა და ტყაშმაფას ცალმხრივ სიყვარულზე, რომელიც ტიპოლოგიურად მსგავსია ბერძნული პანის სიყვარულისა ნიმფა სირინქსისადმი. თუკი დემნა შენგელაიამ „ბათა ქვეიაში“ უღარესად დასამახსოვრებელი, შთამბეჭდავი ფერებით ასახა ტყაშმაფას დაუოკებელი სიყვარული ახალგაზრდა ბათას მიმართ, „თუთარჩელაში“ პოეტურიზებული დრამატიზმითაა წარმოდგენილი ოჩოკოჩის მძაფრი სიყვარული ტყაშმაფად ქცეულ ღმერთქალ ციასადმი (ნ. წულგისკირი ახდენს მიათის რეკონსტრუქციას: ოჩოკოჩი ადრე ოდოია იყო, ტყაშმაფა — ღმერთქალი ცია. თუთაში ოდოია ერთგულებისათვის მთვარემ ღმერთად (ანთარად) აკურთხა, ხოლო ციამ მესამე ციდან მოატაცებინა ღმერთქალი ნანა. ასეთი თავხედობისათვის მთვარემ ოდოია (ანთარი) ოჩოკოჩად აქცია, ცია კი — ტყაშმაფად. ასეთ მითს ქართული ფოლკლორი არ იცნობს, მაგრამ ოდოია, მთვარე, ტყაშმაფა და ოჩოკოჩი ქართული მითოლოგიის ცნობილი პერსონაჟებია. ოჩოკოჩისა და ტყაშმაფას ურთიერთობაც მრავალ ვარიანტად არის ჩაწერილი).

ოჩოკოჩს „ოქროსთმიანი ტყაშმაფა შემადარწუნებელი კვილით გაურბის. ოჩოკოჩი საშიშია მთვარის მოქცევის დამეს. როცა მთვარე ციდან გაბრძანდება და თავის მეუღლეს, ბაეას ლოვინში ჩაუწეება, ოჩოკოჩი გაშმაგებული დაეძებს ტყაშმაფას... ოქროს თმაში სწვდება და ყვირილითა და კვილით ტყესა და ველს იკლებენ. ზოგჯერ მთელი ღამე გრძელდება ორთაბრძოლა. იმტვრევა და ილუწება ტოტები, ითელება ბალახი, ველური წივილ-კვილი... ვენბათა ღელვა სოფელსაც გამოაღვიძებს. სოფლიდან ატყდება სროლა, შეძახილები, მაგრამ თუ ოჩოკოჩმა ტყაშმაფას თმაში ხელი წაატანა, გრძნეული თავს ველარ დააღწევს, ოჩოკოჩის ბანჯგვლიან და ღონიერ სხეულს ველარსად წაუვია... თუ ოჩოკოჩმა საწაღელს მიაღწია და დაიმორჩილა, ტყაშმაფას დარდი და მწუხარება აიტანს. მთვარიანი ღამით სასოწარკვეთილი დაბორილობს ტყეში, დაჯდება მდინარის პირას. ცერის სიმსხო ცრემლსა ჰღერის და ჩამოშლილ თმას ვერცხლის სავარცხლით ივარცხნის... მწარედ ჰგლოვობს, — მის სხეულში ბოროტი სულია ჩასახლებული. მოლოგინების შემდეგ კი მოძებნის მაღალ კლდეს, წივილით გარბის... უკანასკნელად საზარლად შეჰკვივლებს ქვეყნიერებას და ხრამში გადაიჩეხება.

ვენბააშლილი ოჩოკოჩი კი ტყეში დაბუყბუყებს, დაკვლენაობს, დაათრევს დუემორეულ ლაშებს და ანთებული თვალებით ტყაშმაფას დაეძებს“ (იქვე, გვ. 20—21).

ტყაშმაფას მაქციობის მოტივი პროეცირებულია გუგუ კალანდარიას მშვენიერი მეუღლის ანინას სახეში. გვაჩი კალანდარიას წარმოდგენით მეგობრის მეუღლეს „ანინას ლანდივით თან სდევს ირემი. შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ქალი ირმად გადაიქცეს, აიჭრეს თეთრ მთაზე, ირმის ნახტომით ცაში ავარდეს და იქიდან გადმოხედოს გუგუსაც და გვაჩისაც. ყოველ წამს ანინა — ირემი ელანდება გვაჩის“ (იქვე, გვ. 51).

ცხოვრება სიკეთისა და ბოროტების შეუწყვეტელი ბრძოლაა. ეს ბრძოლა სხვადასხვა ვითარებაში განსხვავებული თვისებებით ვლინდება.

გუგუ კალანდარია, რომელიც სიკეთეს განასახიერებს და ცდილობს თავისი პროფესია მოხმაროს ხალხის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის



სამსახურს, უამრავ წინააღმდეგობას აწყდება. იგი შეძრწუნებულმა ძმების გულქვაობით, რომლებიც ცდილობენ მომაკვდავი მამა პარტყუ კალანდარია ერთ-ერთმა დაისაკუთროს და მისი სიკვდილის შემდეგ გამდიდრდეს. ავადმყოფის სანახავად მოსულ გუგუ კალანდარიას პარტყუს უფროსი ვაჟი გუჩა ეუბნება: „მკვდარს თუ კარგი პატრონი ჰყავს, დღეს ფული ღირს. პარტყუ თუ მე დაემარხე, ასი თასი მაინც შემომივა, თუ პართემ დამარხა ორმოცდაათს უნდა დაჯერდეს, ასი კოკიმ დამარხა, არ ექნება დიდი მოგება. მაგრამ თუ ჭუჭუიამ დამარხა, წააგებს ჭუჭუია... გუგუ ელდანაცემი დასცქეროდა გუჩას პოპლიკა თავს“ (იქვე, გვ. 81—82). იგი იძულებული შეიქმნა ჰიპნოზი გამოეყენებინა, რადგან „წარსული დაბეჩავების უფლებას არ იძლევა“. ეგონა ახსნა-განმარტებით... დამარწმუნებელი საუბრით მიზანს მიაღწევდა... აღარავინ მოუსმინა... გუგუს კი უკან დახვევა არ უნდოდა... კალანდარიების სულში უნდა შეეღწია, იქ ახალი სამყარო უნდა აეშენებინა, პარმონია და წესრიგი უნდა დაემყარებინა... ისიც კარგად იცოდა, მარტო ჰიპნოზით ფონს ვერ გავიღოდა“ (გვ. 104—105).

ჰეკატეს ბაღში ჩატარებული ჰიპნოზის სეანსისას, გუგუს სურს გამოაღვიძოს სიყვარულის ჯადოსნური ძალა, „თქვენ უნდა აღდგეთ, ალორძინდეთ... თქვენ კოკი, თქვენ პართე, თქვენ გუჩა! (სათითაოდ შეახო ხელი) თქვენ გიყვართ თქვენი მამა, სათნო მოხუცი... თქვენი მამა დიდხანს იცოცხლებს... თქვენ გიყვართ იგი და არ შეიძლება მისი სიკვდილი გინდოდეთ... მე თქვენ უშთავაგონებთ სიყვარულს, ჰეშმარიტ, უანგარო სიყვარულს... ურწმუნო სული უძლურია სიყვარულისთვის, სიყვარულს დიდი რწმენა სჭირდება“ (გვ. 103—104). გუგუ კალანდარიას ამაღლებლობა და მისი ხასიათის პროეცირება მითოლოგიურ არგისთან რომანში სულ უფრო და უფრო იკვეთება. არგამაც, თვითმწიფრის გზით, უდიდესი ტანჯვითა და წამებით შეძლო გამოეღვიძებინა დაბეჩავებული, დასნეულებული და ადამიანური თვისება დაკარგული თანამომკმეები, დაენერგა მათ შორის სიყვარული და მომავლის რწმენა. არგის არქეტობა ბოლომდე გასდევს გუგუ კალანდარიას ამაღლებულ ხასიათს. ყოველ ფეხის ნაბიჯზე სიძნელეთა გადალახვამ და ბოლოს უახლოესი მეგობრების — მშვენიერი მეუღლისა და ძმადნაფიცი გვაჩი კალანდარიას მოულოდნელმა ღალატმა შეარყია გუგუ კალანდარიას ფსიქიკა, იგი მძიმე ავადმყოფი გახდა. არქეტების მსგავსად (ამ შემთხვევაში ოდოიას მსგავსად) შიშველ ტანზე ლურსმნებგაყრილი ჯაჭვი აისხა და თუთარჩელაში გადაეშვა, თუთარჩელას მიაპყრო დაბინდული მზერა. ასეთ მძიმე ვითარებაში მას ეცხადება თავის მიოთსური არქეტები — არგი და ოდოია.

„მე თქვენ ყოველ დამე სასოებით გელოდებით, თქვენი ნახვა იმედს მაძლევს, ძალას მმატებს... ჩემი სული სავსეა ეჭვითა და იმედით... როცა თქვენ ჩემთან ხართ... ვივსები რწმენით... იმედით... ოდოია მშვიდად... იწყებს საუბარს. — სიყვარულმა აგვიხილა თვალები... ჩვენი სიყვარული იყო ხილვა, წვა და ლტოლვა. როცა ჰეშმარიტი სიყვარულია უნდა იტანჯო... ტანჯვის გზას მივყავართ სიყვარულისკენ, სიყვარულს მივყავართ მზისკენ. ოდოიას არგმა ჩამოართვა სიტყვა... — სიყვარული უმაღლესი შემოქმედებაა... ადამიანს ძალა არ შესწევს უარყოს იგი... — სიცრუეა! — შესძახა გუგუმ... ჩვენ ადამიანებმა გამოვიგონეთ ისინი. არაფერი არსებობს ამ ქვეყნად... ზევით სიბნელეა, სიცალიერე... სიკვდილი... — იქ მზეა! — შეაწყვეტინა არგომ. — მაგრამ მზეც ხომ ერთი დღის სიმართლეა... ერთი დღის სიცხადეა... სული კი მარადი-



სობას დაეძებს. — ურწმუნო სული უძღურია სიყვარულისთვის, ჩაერეა ბარში ოდოია, — სიყვარულს დიდი რწმენა სჭირდება, ურწმუნო სული ყველა“ (გვ. 232—233).

გუგუ შეება, სახე გაუნათდა და, თვალები აუციმიმიდა, რადგან საკუთარი ნააზრევი ოდოიამ უთხრა. გუგუ მუხლებზე დაემხო და ლანდებს ხეფწნამულარა დაუწყო... „მაშ, არ გაეჭრებით უკვალოდ... თქვენს ხმას მე ვაგიგონებ, ჩემსას თქვენ ვაიგონებთ, ჩვენ შვილებიც, შვილთაშვილებიც ჩვენ მოგებოდავენ... ეს იმედია!“ (იქვე, გვ. 234). ამას მოსდევს ავტორის მიერ რეკონსტრუირებული მითოსური ვედრება: „მთვარე, წინამძღოლო! მზე, ბედნიერო და მშვენიერო! ზეციერო ანთარო, ბატონო, გამარჯვებულო! წმინდა მირსაჲ! ნერჩიპატენი! ჯუმავ, საკვირველო! მრისხანე თარხონ! ელოცულობ კალანდარიების სულისთვის (გვ. 234).

გუგუ კალანდარიას დაბინდულ გონებაში კვლავ სიყვარულმა და ადამიანისადმი სიკეთის რწმენამ გაიმარჯვა. იგი ვაივლის გოლგოთის გზას და ისევ ამალღებულ სიყვარულს ეზიარება, უბრუნდება ოჯახსა და საზოგადოებას.

რომანის შესავალში თეთრი მთა დასახულია ოლიმპოს მსგავს წმინდა მთად, სადაც „მიწიერ საქმეთა მოსაგვარებლად თუთა მობრძანდებოდა. თუთას თან ახლდნენ სხვა ღმერთები: ნათელი დედა ღმერთი ბეა, თავისუფლებისა და ომის ღმერთი მრისხანე თარხონ!... ბედისწერის ღმერთი... მირსი (მირსა); ტაროსის ღმერთი — მხიარული ვობი; მწყემსების მფარველი, საკვირველი ჯუმა; ნადირთა და ფრინველთა პატრონი ცოლ-ქმარი მესეტები; დედაამიწის ღმერთი — მორჭმული და მოწყალე ნერჩი“ (გვ. 11). ყოველ ღმერთს თავისი ფუნქცია ჰქონდა. ყველა მოწიწებით უხრიდა თავს მორჭმულ, ძღვევამოსილ თუთას, რომელიც თავის ოქროს ტახტზე იყო დაბრძანებული. „კაკა თუთარჩელაში ადამიანისა და ქვეყნის ბედი წყდებოდა“. თეთრ მთაზე არასოდეს ჩამოდიოდა თუთას ქალიშვილი, სილამაზის ქალღმერთი მშვენიერი ნანა... მას განუყრელად თან ახლდა ყვაილების ქალღმერთი ოქროსთმიანი გრძნეული ცია. გრძნეული ცია კიდით კიდემდე დაჰქროდა როგორც ეროსი და ნანას ბრძანებით უამრავი ყმაწვილის გულს კოდავდა. «დღენიდაგ გაისმოდა უიმედო შეყვარებულთა სედიანი „ოუ, ნანა“ და „დიდავოი, ნანა“» (გვ. 12).

უმაღლეს ღვთაება თუთას ჰყავდა თუთაშები, როგორც ფშავ-ხევსურულ მორიგე ღვთაებას ხატის მკადრები (გახუა მეგრელაური, მინდია და სხვა). კალანდარიებს, თუთაშებს „მთვარის კაცებს“ ეძახდნენ. ზოგი თუთას სცემდა პატივს, ზოგი თუთას საგამგებლოში მყოფ ღვთაება ჯუმას, ან ვობის, ან მირსას, ნერჩს და ა. შ. მწერალს კარგად აქვს შენიშნული, რომ თანდათან ცალკე ღვთაებების მიმართ შესრულებული რიტუალი „დღესასწაულად იქცა, ღმერთებისათვის ღამის თენება წელიწადში ერთხელ იმართებოდა, მაგრამ ეს იყო დიდი ზეიმი — თანაფა“ (გვ. 12). ნ. წულეისკირი სქოლიოში განმარტავს, რომ „თანაფა — ღამისთევა, თენება. როგორც ჩანს, ეს დიდი დღესასწაული ქრისტიანობამ გამოიყენა. მართალია დღესასწაულს ძველი შინაარსი გამოაცალა, მაგრამ სახელი ძველი შერჩა. დღეს თანაფა აღდგომაა“ (იქვე). აქ ისეთივე დამთხვევასთან გვაქვს საქმე, როგორც ებრაელთა „პასექის“ დღესასწაულსა და ქრისტიანულ „აღდგომას“ შორის არსებობს. ამ საკითხს ნ. წულეისკირმა სპეციალური, მეცნიერულად დასაბუთებული ვრცელი გამოკვლევა უძღვნა (იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 1977 წლის 14 იანვარი).



მწერლის მიერ გამოყენებული მითოსური არქეტიპები თრქემის ცნობილია ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ სამეცნიერო ლიტერატურაში (ი. ჯავახიშვილი, თ. სახოკია, ს. მაკალათია და სხვა). ნ. წულეისკის ღრმად აქვს გააზრებული უძველესი კოლხურ-იბერიული ღვთაებათა პანთეონის წევრთა ფუნქციები და თანამედროვე პოზიციებიდან ახდენს მათთვის მიკუთვნებულ ზოგადმნიშვნელადი ხასიათების მითოლოგიზაციას. არგი და ოდოია, როგორც აღვნიშნეთ, გუგუ კალანდარიას არქეტიპებია. ოდოიამ, თუთაშების მსგავსად, თვითშეწირვის გზით მიაღწია ღვთაებრივ ამაღლებას. არგიმ დაბეჩავებულ, მონობას შეჩვეული და დაავადებული თანამომკვებები გამოაღვიძა, ჰიპოსის (ცხენისწყლის) ნაპირზე ნაპოვნი ხელას ოდენა ქვა ზურგით აიტანა თეთრ მთაზე და ღვთაება კაპუნიად აკურთხა.

„არგს შეუსვენებლად უნდა აეტანა თავისი ტვირთი თეთრ მთაზე. ცხრა დღესა და ცხრა ღამეს მიიწვედა წინ არგ. ხალხი სულთი ხორცამდე შესძრა ამ ამბავში. მეფე ცხენისწყლისპირეთი საოცარი მარტვალობის მოწმე გახდა. ასეთი ტვირთი ჯერ ქვეყნად არც ერთ გოლიათს არ ეტვირთა. მალარიისავან ქანცაწყვეტილი ხალხი ფეხზე დადგა... თეთრი მთის ძირს მიაშურა... გლახაკნი იმედის თვალთ შესცქეროდნენ დეკაკის დაქიმულ კუნთებს... კაპუნია, კაპუნია, სქანი სახელი ხვამილი (კაპუნია, ~~კაპუნია~~ დაილოცოს შენი სახელი), — ბუტბუტებდა არგ და წინ მიიწვედა... ცერის სიმსხო ოფლს ასხამდა... ოფლის მსხვილ წვეთებს სისხლის წინწყლები გაერია. თეთრი მთის აღმართს რომ შეუდგა, მხარი გაუსკდა. სისხლის წითელი ზოლები გამოძვრენ ტყავკაბიდან და შიშველი ბარბაყები მოუფორავეს... მეცხრე დღეს არგმა თეთრი მთის ერთ-ერთ მწვერვალზე აიტანა კაპუნია... ხალხი ამბობდა: როცა არგმა კაპუნია თავის ადგილას დაასვენა, თვალები კერპს ჯადოსურად აენთოო... დაიძრა და დაიძრა ხალხი კაპუნიასკენ. მოჰქონდათ შესაწირავი „ოკაპუნე“ და დახმარებასა და შველას შესთხოვდნენ... წინანდებურად ამხედრდა არგ თავის ბედაურზე, იხმო ერთგული მოწაფეები, წინ წარუძღვა ხალხს და კაპუნიას სახელით, კაპუნიას იმედით დამპყრობლებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა ისკიას (მდინარე ტარჩენის ძველი ბერძნული სახელწოდება) პირას... ხალხმა გაიმარჯვა... არგმა გააერთიანა ჰიპოსისა და ფაზისის პირას მცხოვრებნი და დიდი სახელმწიფო არგის ქვეყანა შექმნა“ (გვ. 13—15). ყველას სწამდა, რომ კაპუნია იხსნა დაბეჩავებული ერი. „გლეხკაცი ყოველ წელიწადს დიდი გულმოდგინებით ზრდიდა და ასუქებდა ოკაპუნე ღორს... მხოლოდ ერთმა კაცმა, არგმა იცოდა, რომ კაპუნია არ იყო ჰემმარიტი ღმერთი. იცოდა და სულს უშფოთებდა ეს ცოდნა“ (გვ. 15).

მწერლის მიერ აქ თავისებურად არის რეკონსტრუირებული კაპუნიათა მითი, მაგრამ მას ჩვენ მაინც ვერ მივიჩნევთ ავტომითად, რადგან კაპუნიათა ღვთაებრიობა და მერე მისი დემონოლოგიურ პერსონაჟად გარდაქმნა ეჭვს არ იწვევს. დღემდე მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში შემონახულია ილიომური გამოთქმა „კაპუ ქიგრთოკოლაფუდასია“ (კაპუ ჩაგივარდესო, ხმის ამოდება ვერ შეძლო, მომკვდარიყვე). ვალექსებებში სტერეოტიპად ითვლება გამოთქმა: „მუჭი კიბირი გიძგიძგანს, ოკაპუნე ღეჯიკალო“ (კბილეთ ისე დაგიკრეჭია; როგორც საკაპუნე ღორსო). გადმოცემების მიხედვით, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ 1978 წელს, კაპუნია მეგრულ მითოლოგიაში წარმოდგენილია დიდი ფრინველის სახით, რომელიც ცაზე დაფრინავს განუწყვეტლივ და რომელზედაც დამოკიდებულია დოვლათის, მოსავლის ბარაქიანობა, ადამიანის ჯანმრთე-



ლობა და სხვა. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არაა მთავარი, მწერალმა კაპუტინელმა არსებული გადმოცემა და რიტუალი გარკვეული მიზანდასახულობით გააძლიერა ცნობილი რომანში. თვით არგი „მარგალი“, „არგონაქტი“, ან „არდი“ — მზე და ა. შ.) ცნობილია იბერიულ-კოლხურ მითოლოგიაში. გუგუ კალანდარიას არქეტისად არგის გამოყენება კანონზომიერია და არ ეწინააღმდეგება მითოლოგიზაციის ბუნებრიობას. რომანის ბოლო ნაწილში ნათლად იგრძნობა გუგუ კალანდარიას ხასიათის პროეცირება არგის არქეტისში. მოვუსმინოთ თვით მწერალს:

დიდთოვლობისას, დეკემბრის თვეში, ყინვებთან ერთად, იწყება „დიდო თუთარჩელები“. ჯაჭვებასხმული გუგუ კალანდარია ყოველ თუთარჩელა ღამეს მიდის ანინას სახლში, ლაფაროზე დადებულ ჭირკვზე ჯდება და გათოშის არაფერი ესმის, „ამ ქვეყნის აღარაა, თუთარჩელას შეერთვის მისი სული“. და, აი, არქეტისის მსგავსად, გუგუ კალანდარიას „მხარზე ხელასოდენა კაპუნია გაუდევს და თეთრი მთისკენ მიემართება... სისხლის ნაკვალევს სტოვებს თოვლზე და დაყინებით მიიწვეს წინ. „საწყალი გუგუ კალანდარია!“ — გაისმის ხალხში... დიდსა და პატარას აინტერესებს თავისი ექიმის ნახვა... გუგუს თავისთავისა სჯერა, თავისი ტანჯვა-წვალებისა სჯერა... არგისებურად მშვიდად და მედგრად მიიწვეს წინ. თეთრი ხალათი სულ მთლად სისხლით შეეღება. ალბათ ძარღვები დაუწყვიტა ლოდმა... უკან ზღვა ხალხი ზიშზიშმებს. აღარ წამოყვნიენ გუგუს, შორიდან შესცქერაინან“ (გვ. 253—254). მწერალი აქ ოსტატურად ურთავს „აღმაშენებლის“ სახელით ცნობილი საკალანდარიოს სოფლის საბჭოს თავმჯდომარის პაროდირებას. საბჭოს თავმჯდომარეს მხოლოდ ცარიელი დაპირებები და კარგი პურმარილი აინტერესებს. იგი უკვე დამთვარალა. „აღმაშენებელს ჩვენი სალამი“ — გაჰკვივან ერთგან. აღმაშენებელი თავისი ამალით გარშემორტყმული თოვლში ღვას და ციკაბო ფერდობისკენ თითს იშვერს:

„— აქ, ბაბა, მშვენიერი ტრამპლინი აშენდება!

— ნამდულად! ნამდულად — კვერს უკრავენ ყოველის მხარიდან.

— თეთრი მთა ჩვენი საუნჯეა... აქ უნდა აშენდეს კურორტი...

ასეთი კურორტი მეორე არ იქნება... ერთი იქნება ბაკურიანი, ბაბა, მეორე თეთრი მთა... აქ აშენდება, ბაბა, საციგურაო მოედანი! როგორც ტელევიზორში დასრიალებენ, ჩვენც ისე უნდა ვისრიალოთ...

— ნამდულად, ნამდულად — უდასტურებენ ამალის წევრები (გვ. 254—255).

გუგუ უკვე შორს არის. არ ესმის კალანდარიების ხორზოცი. ხომ არ სჯერათ კაპუნისის, მაინც უნდა აიტანოს იქ, სადაც არგმა აიტანა. „გუგუმ ძალა მოიკრიბა... თეთრი მთის თხებისკენ გაიხედა, იქ საქორწილო კაბაში გამოწყობილი ანინა დგას. ანინა გუგუს გაღიმებული ელოდება... „ან ძვირფასო!“ ჩურჩულებს და გრძობს, რომ მუხლები ეკვეთება. უცებ... ანა დაეკარგა... ტვირთის ქვეშ კენესის გუგუ... ან, ძვირფასო! ანულოა!“ (გვ. 255).

ამ დაძახებას მოსდევს ნამდვილი ანინას ჩამოსვლა ოდა სახლიდან. გუგუსთან შეხვედრა. ავადმყოფის სახლში შეყვანა. გათბობა. ერთად დაწოლა. გუგუს გამოფხიზლება და „ოჩოკოჩის ვნებით წამოდგომა“. გუგუ განიკურნა. დაუბრუნდა ოჯახსა და თავის საყვარელ საკალანდარიოს.

მთვარის მითოსურ სახესთან (თუთაშებთან) პროეცირებული გუგუ კალანდარია, მთვარის მსგავსად, ხელახლა განახლდება. თარაშს ემხვარს ამგვა-

რი მეტამორფოზა არ შეუძლია და იგი უნდა დაიღუპოს, მას ენგურმა განაწესა ლების სიმბოლო მთვარე ხელიდან გამოსტაცა. ვუგუ კალანდარია, თუთაშების მსგავსად, განახლდა, კვლავ თავის საყვარელ საქმეს დაუბრუნდა.

ანინამ ტატუს ახარა შვილის მორჩენის ამბავი.

„— რა ბედნიერები ვართ, დედა, ჯერ კიდევ არ ვიცით, რა ბედნიერები ვართ“. გახარებულმა ტატუმ სამახარობლოს აღსანიშნავი რიტუალი ჩაატარა: „რძალს თავი დაუჭირა, ჯერ ერთ თვალში აკოცა, შემდეგ მეორე თვალში, მარჯვენა ხელი მალა ასწია, სამი თითი ერთად შეჰყარა, ისე, როგორც პირჯვარის საწერად შეპყრიან ხოლმე და ანინას თავზე სამჯერ შემოავლო: — სქანი საწირუო, ნანა, სქანი სანთლო (შენს შესაწირავად (მაქცია), ნანა, შენს სანთლად (მაქცია)“ (გვ. 263). დიდკოსტასაც გვეგო ეს ამბავი და „თოფს ცას ესროდა, თითქოს ხარებაო“.

როგორც ვხედავთ, მითოსურ არქეტიპებს მწერალი სათანადო მიზანდასახულობითა და გარკვეული იდეურ-თემატური დატვირთვით იყენებს. საბჭოთა სინამდვილეში შემორჩენილი ტრადიხა „აღმშენებლებისა“, კომინატორებისა და კერძომესაკუთრული სულით შეპყრობილი ადამიანების წინააღმდეგ ბრძოლას სჭირდება ამალღებული, შეუპოვარი, მტკიცე რწმენისა და უმწიკველო სიყვარულის ბოლომდე ერთგული ადამიანი. ასეთ ადამიანთა ხასიათების პროეცირება მითოსურ არქეტიპებთან, რომლებიც რწმენის შედეგად არიან შექმნილნი, უფრო სრულყოფილს, ხელშესახებასა და დასამახსოვრებელს ხდის ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლ გმირს.

„თუთარჩელაში“ პერსონაჟის თავისებური ხასიათის გამოსაკვეთად კარგად არის გამოყენებული ზოგიერთი ეთნოგრაფიული წესჩვეულება, რომელსაც დღესაც იცავენ ხანში შესული ადამიანები. ვუგუ კალანდარიას მამა ალექსანდარია სამამულო ომში დაიღუპა. დაქვრივებული ტატუ წმინდად ინახავს ძვირფასი ქმრის სახელს. იგი რძალსა და შვილს უარს ეუბნება საცხოვრებლად ახალშენებულ ოდასახლში გადასვლაზე. „მე რომ თქვენთან წამოვიდე, ცოდვაა, იმის სული ცოდვაა!.. სამზადში რომ შემოვა, სადაც დამტოვა, იმ ადგილას რომ ვერ მნახავს, შეწუხდება, ნანა, იმისი სული შეწუხდება“ (გვ. 75). ამ თითქოსდა მიამიტ აღსარებაში ნათლად არის გადმოცემული დაქვრივებული ქართველი ქალის ამალღებული და გაუტეხელი ბუნება. იგი იმედით ცოცხლობს და იმითაც კმაყოფილი იქნება, თუკი ქმრის მაგივრად დაბრუნებულ სულს, თავის პირვანდელ სამყოფში დახვდება. ტატუ ახალ მთვარეს ყოველთვის ასეთი ვედრებით მიმართავს: „თუთა ახალი, სი გაახარი ჩქიმი სქუა დო მოთა“ (ახლო მთვარე, შენ გაახარე ჩემი შვილი და შვილიშვილი) (გვ. 167).

შეიძლება დავასკვნათ, რომ გარკვეული ხასიათებისა და პასაჟების მხატვრულად წარმოსახვის მიზნით „თუთარჩელაში“ ეფექტურად არის გამოყენებული ქართული მითოლოგიური პანთეონის პერსონაჟი ღვთაებები, რომელთა ხასიათების რეპროდუცირება მისადაგებელია თანამედროვე საბჭოთა სინამდვილის ზოგიერთი მტკივნეული პრობლემის მხატვრულ წარმოსახვასთან. სამეცნიერო კრიტიკაში აღინიშნა, რომ ნოდარ წულღისკირის რომანში „თანამედროვეობა სწორედ მუღმივად არსებული მითოლოგიური სიმბოლოების მეშვეობით განზოგადდა, მაგრამ მას არ დაუკარგავს არც კონკრეტულობა და არც აქტუალობა“ (ქ. იმე და შვილი, მითი და თანამედროვე ქართული პროზა, „მნათობა“, № 2, 1980, გვ. 154).



ჭაბუა ამირეჯიბის რომანის მთავარი მოქმედი გმირი დათა თუთაშვილი წილხვდომილი, ღმერთამდე ამაღლებული ზნეობრივი გმირია. იგი განსახიერებაა. „თუთაშხია არაა ხასიათი, მით უმეტეს, ტიპი. იგი აღდგა, სიმბოლოა... მას ჰყავს ნაწარმოებში წინარე სახე — მითოსური თუთაშხია... თუთაშხიას მითის განხილვა არსებითად თუთაშხიას მოქმედების განხილვა იქნებოდა“ (ბ. ბარდაველიძე, ზნეობისა და სიკეთის გმირი, „მნათობი“, 1976, № 5, გვ. 165). თუთაშხიას არქეტები ღვთაება თუთაშხა თვითშეწირვის გზით, ქვესკნელში ჩასული მთვარის მსგავსად, ხელახლად უნდა აღორძინდეს, განახლდეს. მას, როგორც მთვარესთან წილხვდომილს, სიკვდილი არ უწერია. გარდაიხვედით თუთაშხიას მიიჩნევს არაჩვეულებრივ ადამიანად, ყველასაგან გამოირჩეულა. იგი კარიძეს ასეთი კითხვით მიმართავს: „ჩვენს დროში... პიროვნული და საყოველთაო სულმოკლეობის პირობებში, დათა თუთაშხიას კეთილშობილება და სულგრძელობა ანაქრონიზმად არ მიგაჩნიათ? („დათა თუთაშხია“, ნაწ. II, 1975, გვ. 273). ამ კითხვაზე კარიძის პასუხში ნათლადაა გამოკვეთილი თუთაშხიას ზნეობრივი სახე, მისი ზოგადკაცობრიული მისია — ბიბლიური ნოეს მსგავსად კაცთა მოდგმის გადარჩენის მისია. ნოემ დათა დააპატარავა, ბოთლში ჩასვა და ზღვაში გადააგდო, რათა „წარღვნის შემდეგ სადმე გარიყულიყო და ხელმეორე ცხოვრება დაეწყო. ღმერთებმა ნოეს ხელით კაცობრიული სულგრძელობა, მაღალი ზნეობა გადაარჩინეს... რამდენჯერაც უნდა გაირყვნას და დაეცეს კაცთა მოდგმა... იმდენჯერ გადაარჩენს განგება დათა თუთაშხიას, როგორც კვეთს და მაწვნის დედას“ (გვ. 274). როგორც ვხედავთ, რომანში გარკვევით არის მითითებული თუთაშხიას ამაღლებულ, ღვთაებრივ მისიაზე, მაგრამ ასეთი ამაღლებულობა მხოლოდ თვითშეწირვის გზით მიიღწევა. თუთაშხიას ცხოვრების გზა არ არის ჩვეულებრივი ადამიანის უბრალო ისტორია. მასში გადატანილია ხალხური ეპოსისა და მითოლოგიური პანთეონის წილხვდომილი გმირების საუკეთესო თვისებები. რომანის მითოსურ მოდელში დათას არქეტების — ღვთაება თუთაშხას შესახებ ნათქვამია: „ჰყავდა ერსა გამგებლად და მორიგედ ქვეყნიერთა საქმეთა ჭაბუკი პირმშვენიერი და რაინდი კეთილანდაგი — თუთაშხა, არა იყო იგი სულდგმული ერთი და ძე ხორციელი, არამედ სული კრებითი“ („დათა თუთაშხია“, ნაწ. I, 1973, გვ. 5). თუთაშხა მიუხდა ქვეყნის დამმონებელ ურჩხულს და „ჩათსცა შუბი ხახასა შინა, განართხო მიწასა ზედა და მოჰკვეთა თავი იგი“. მოკვეთილი თავის ადგილას ახალი და ახალი თავები ამოიყარა. დაღვრილმა სისხლმა კი ქვეყანა წალეკა. საჭირო იყო სხვა გზის გამოხახვა და, მართლაც, თუთაშხამ — „სულმა კრებითმა“ ძე ხორციელად გარდაქმნა განიზრახა, რადგან ძე ხორციელს შეუძლია ეზიაროს კაცთა ბუნებას. მხოლოდ მტკიცე და ურყევე რწმენას შეუძლია შთაუწერგოს ადამიანს ბოროტების სიკეთელ გარდაქმნის ნიჭი. მართლაც, „მიეცა თუთაშხა ნებითა თვისითა წამებასა უმომისს“ (აქ არქეტინად იგულისხმება ქრისტეს გოლგოთაზე ასვლის მითი). მოიკვეთა მარცხენა მკლავი და ურჩხულს შეაჭამა, თუთაშხას მიბაძვით, სხვებმაც მოიჭრეს სხეულის ეს ნაწილი და მისცეს ურჩხულს. თუთაშხამ ორივე ფეხი მოიკვეთა და ურჩხულს შეაჭამა. სხვებმაც ასე გააკეთეს. ურჩხულმა საზოგადოარი ფერი იცვალა, ორფეხზე დადგა, დინგი კაცის სახედ ექცა. მაშინ თუთაშხამ მკერდი გაიპო, გული გამოიღო და ურჩხულს გაუწოდა. ურჩხულმა არ ინება მისი ჭამა და კაცის ენით უთხრა: „აღარა ვარ მწყურვალი სისხლთა, აღარა მიძს სურვილი ჭამად კაცთა“ და მოკვეთილი სხეულის ნაწილები ყველას უკან დაუბრუნა.

ბოროტების დათრგუნვისა და მისი სიკეთედ გარდაქმნის შემდეგ, ძე ლად ქცეული თუთაშხას სული „აღველინა ცად, დაჯდა მთოვარედ და იქმნა ძე იგი ხორციელი — ღმერთად“ (ნაწ. II, გვ. 297—298). ამ მითოსური მოდელის მიხედვით, ზღვაში გაუჩინარებული დათა თუთაშხია უნდა აღდგეს, განახლდეს, როგორც მისი არქეტები თუთაშხა.

თუთაშხია ებრძვის ყველა სახის ბოროტებას, რომელიც ურჩხულის სახითაა მითოლოგიზებული. მრავალთავიანი ურჩხულის ერთ-ერთი ჰიპოსტასი მუშნი ზარანდიაა. მან მოაკვლევინა დათა თუთაშხია საყუთარ შვილს, მაგრამ, როგორც ურჩხულმა, თუთაშხას თვითშეწირვით განცვიფრებულმა, უკან დაიხია და მიატოვა ადამიანთა დამღუპველი ჩვეულება (მათი შთანთქმა), ასევე ზარანდიამ, დათას სასწაულებრივი გაუჩინარების შემდეგ, სახე იცვალა. იგი გულხელდაკრეფილი იდგა თუთაშხიას ამღლების ადგილზე. „შემდგომში მუშნი ზარანდიას ავადმყოფობა მელანქოლიის მძიმე ფორმით დაიწყო და სამიოდე წლის მერე... სიკვდილით დამთავრდა“ (ნაწ. II, გვ. 636).

სამართლიანად შენიშნავს მკვლევარი, რომ „თუთაშხას მითის ფონზე გამოიკვეთა რომანისა და მისი მთავარი გმირის ეპიკური სახე. დათა თუთაშხია მითების, ლეგენდების, ეპიურ თხზულებათა გმირების გვერდით დგას თავისი მაღალი ზნეობით, მაძიებელი ბუნებით, ქმედებათა ხასიათით, უჩვეულო სულიერი და ფიზიკური ძალით“ (ბ. ბარდაველიძე, დასახ. წერილი, გვ. 165).

„დათა თუთაშხიას“ ეკრანიზაციასთან დაკავშირებით მრავალი რეცენზია დაიბეჭდა. ზოგი მიუთითებდა, რომ თუთაშხია იმიტომ გაუჩინარდა, რომ გულუნას დაპირებული ფული არ მიეღო და ამით მამას გადაერჩინა უკეთურობის გზაზე დამდგარი შვილი. ზოგი კრიტიკოსის აზრით, თუთაშხია ზღვაში არ უნდა გაუჩინარებულიყო და კარგი ქნეს, რომ იგი სივრცეში — მიწასა და ცას შუა გააქრეს, რადგან „ამას მისი განვლილი ცხოვრება განაპირობებდაო“. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, მთვარის ზოგადი მითოსური ასპექტი და „დათა თუთაშხიას“ კონკრეტული არქეტები ღვთაება თუთაშხა უსათუოდ გულისხმობს დათას ზღვაში გაუჩინარებას. მას სიკვდილი არ უწერია. ზღვაში გაუჩინარება ხელახლა აღორძინებას და, არქეტების მზგავსად, ცაზე დაჯდომას გულისხმობს. იგი ბოროტების სიკეთედ გარდაქმნისათვის მებრძოლი კაცთღვთაებაა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ მთვარის კულტთან დაკავშირებული მითოსური მოდელი ფართოდ და ეფექტიანადაა გამოყენებული თანამედროვე საბჭოთა პროზაიკოსების შემოქმედებაში. საერთოდ, მითოსური სახეებისა და მოდელის გამოწვლილვით შესწავლა ხალხურ შემოქმედებასა და მწერლობაში, მათ შორის არსებული შინაგანი კანონზომიერების დადგენა და მხატვრულ-შემეცნებითი ღირებულების განალიზება, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობისა და ფოლკლორისტიკის ერთ-ერთ მორიგ ამოცანად უნდა მივიჩნიოთ.

A. V. ЦАНАВА

 МИФОЛОГИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ В ГРУЗИНСКОМ СОВЕТСКОМ  
 РОМАНЕ

## Резюме

В романах К. Гамсахурдия «Похищение луны» и Н. Цулейскири «Тутарчела» с современных позиций отображены мифологические аспекты культа Луны и культа Мезиры (змеи).

В романе «Похищение луны» защитник старых порядков Тараш Эмухвари не смог возродиться подобно Луне. Волны Ингури, символизирующие в романе революцию, похищают из его рук символ обновления — Луну — и он погибает.

В романе Цулейскири «Тутарчела» («Свет Луны») советский врач Георгий Каландария преодолевает все возникающие перед ним сложные психологические препятствия и, подобно Луне, постоянно возрождается. В аналогичном аспекте рассматривается в романах культ Мезиры.

В романе Ч. Амiredжиби «Дата Туташхия» основная целенаправленность главного героя спроецирована на мифическое бессмертие Луны.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

ლევან ზომბარაშვილი

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აბრიჯაციისა და გამომცემის  
ისტორიის საკითხები\*

დოკუმენტური მასალების ნაკლებობის გამო დღემდის არასწორადაა გაგებული ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ხელნაწერი კრებულების ისტორიის საკითხები. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ილიას ნაწერები ჟურნალ-გაზეთებიდან 1892 წლის გამოცემისათვის გადააწერინა ქართველთა შორის წიგნის გამავრცელებელმა ამხანაგობამ და, რადგან პუბლიცისტური ნაწერები მაშინ არ დაიბეჭდა, ავტორს ეს ხელნაწერები არც კი უნახავს, რომ არაფერი ეთქვათ მათ რედაქტირებაზე. ახლად გამოვლენილი დოკუმენტები ცხადყოფს, რომ აღნიშნულ შეხედულებასთან ერთად სავსებით მცდარია აქედან გამომდინარე დასკვნებიც; მტკიცდება, რომ ილია მისთვის დამახასიათებელი გულმოდგინებით ხელმძღვანელობდა მისი ნაწერების სრული კრებულის გამოსაცემად მომზადებას: ნაწერები ჟურნალ-გაზეთებიდან ამოაწერინა სულ სხვა პირებს, ზრუნავდა მათთან ანგარიშსწორებაზე და ხელნაწერები სათანადო ხელშეკრულებით თვითონ გადასცა ქართველთა შორის წიგნის გამავრცელებელ ამხანაგობას.

ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტების მიხედვით წინა შრომებში მთლიანობაში შევისწავლეთ სფირიდონ ჩიტორელიძის ფსევდონიმით ჟურნალ „საქართველოს მოამბესა“ და გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებული ნაწარმოებების აბრიჯაციის საკითხი. მისი შესწავლა დაეწყოთ გაზ. „ივერიაში“ დაბეჭდილი წერილების რაობის გარკვევით. ჩვენ ისინი ილია ჭავჭავაძის თხზულებებად მიგვაჩნია, რადგან ამოწერილი და შეტანილია ილიას ხელმძღვანელობით შედგენილ ხელნაწერ კრებულში. დ. გამეზარდაშვილი, რომელიც ჩვენს შრომას „თეზისების“ მიხედვით იცნობდა, ახალ თვალსაზრისს მისთვის დამახასიათებელი ირონიით შეხვდა. „მადლობელი ვართ ლ. ჭრელაშვილისა, — წერს მკვლევარი, — რომელმაც თავის „თეზისებით“ ვერაფერი დაამტკიცა, მაგრამ სამაგიეროდ მან კიდევ ერთხელ აშკარა გახადა „ღირსება“ იმ ხელნაწერი კრებულებისა, რომელთაც სადავო საკითხის გარკვევაში შეუძლიათ შესარულონ სულ სხვაგვარი როლი, ვინემ მათ ამას დღემდე აკისრებდნენ. კერძოდ, ის გარემოება, რომ ამ კრებულებში შეტანილია არა მარტო „საქართველოს მოამბეში“ სფირიდონ ჩიტორელიძის ფსევდონიმით გამოქვეყნებული „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“, არამედ ამავე ფსევდონიმით „ივერიაში“ დაბეჭდილი სტატიებიც, რომელთა მიხ. ყიფიანისეულიობა უდავოა, საბოლოოდ ჰფენს შუქს სადავო საკითხს. ამის შემდეგ უკვე აშკარაა, თუ როგორი „ავტოგრაფის“ უფლებები უნდა მიენიჭოს ამ კრებულებს“<sup>29</sup>. ზემოთ, ვფიქრობთ, ნაჩვენები იყო, რამდენად სარწმუნოა „ივერიის“ სადავო პუბლიცისტური ნაწერების „ყიფიანისეულობა“. მკვლევრები თავის თავდაჭერებით შეურაცხმყოფელ მდგომარეობაში აყენებენ მათემატიკური სახელ-

\* გაგრძელება, დასაწყისი იხ. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სმრია, 1981, № 2.

<sup>29</sup> დ. გამეზარდაშვილი, განსაჯოს კაცმან პირუთენელმან, თბ., 1980, გვ. 56—57 (ხაზი ჩვენია.—ლ. ჭ.).



მძღვანელობით, მართლაც, ილიას სიტყვით რომ ვთქვათ, სასიკადალურად ღვაწეს: იგი, თუ დაეუჯერებთ დ. გამეზარდაშვილს და სხვებს, ერთ და იმავე დროს თბილისშიც იმყოფებოდა და კავკავშირს. ვფიქრობთ, ცხადია, რომ ეს მ. ყიფიანის ერთობ უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენებაა. ამ მოღვაწისადმი პატივისცემა მოითხოვს, ჩამოვაშოროთ მის სახელს „სფირიდონ ჩიტორელიძე“. საწინააღმდეგო თვალსაზრისის ავტორები, ცხადია, შეუგნებლად შეურაცხყოფელ მდგომარეობაში აყენებენ თვით ილია ჭავჭავაძესაც, რადგან საერთოდ მცდარ საფუძველს ეყრდნობიან, როცა მსჯელობენ აღნიშნულ ხელნაწერებზე და ამ ხელნაწერების გამო სფირიდონ ჩიტორელიძის ვინაობის გარკვევაზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხელნაწერების ისტორიის შესახებ არასწორი წარმოდგენა აქვთ არა მარტო დ. გამეზარდაშვილს და სხვებს, არამედ ეს საკითხი საერთოდ არასწორად არის გაშუქებული ჩვენს ფილოლოგიურ მეცნიერებაში. ჩვეულებრივ მიღებულია, რომ ილიას ხელნაწერი კრებულები XIX საუკუნის 90-იან წლებში გადაწერილია ქართველთა შორის წიგნის გამავრცელებელი ამხანაგობის მიერ, რაც დოკუმენტურად მთლიანად მცდარი დებულება აღმოჩნდა.

ილია ჭავჭავაძემ, ჩანს, ადრევე იგარძნო, რომ მისი ნაწერების სრული კრებულის გამოცემასაც მიმდინარე ცნობებებში აქტუალური როლის შესრულება შეეძლო და ამიტომ მისთვის დამახასიათებელი თადარიგანობით შესდგომია თავის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემას. მას სათანადო ხელშეკრულება ჰქონდა 1885 წელს დაუდგვია ცნობილ გამოცემელ ვარლამ ჭილაძესთან. 1891 წლის 22 მაისს უკანასკნელმა ქართველთა შორის წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობას წარუდგინა „მოხსენება“, რომელშიც იგი წერდა: „1885 წელს მე შევეარი თავადს ილია გიორგის ძეს ჭავჭავაძეს პირობა იმის ნაწერთა გამოსაცემად და შევუდექი იმათ შეკრებას, რაიც, როგორც კარგათ მოეხსენება გამგეობას, მოითხოვს დიდს ჯაფას და ხარჯს. შევერიბე კიდეც და გადავაწერინე ცალკე რვეულებად, რომლებიც გადავცეცი ბ. ილიას და რომლებითაც ახლა, როგორც ვაგიგე, სარგებლობს პატივცემული საზოგადოების გამგეობა, როგორც იმ თავითვე მოვახსენე თავადს ილიას, იმის ნაწერთა შეკრებასა და გადაწერაში დაეხარჯე 180 მანეთი. 40 კაპ., რომელიც მიეცა შემკრებელს და გადაწერელს თავადის ასულს პელაგია წულუკიძისას, რომლის ბარათს ფულის მიღებისას აქვე გიგზავნით. გთხოვთ შემოხსენებული ფული, ვინაიდგან გადაწერილი რვეულები საზოგადოების ხელშია, გადამიხადოთ და, თუ შეიძლება, გადასცეთ „ივერიის“ რედაქციას.

თქვენი მონა მოსამსახურე

ვარლამ ჭილაძე“.

„მოხსენებას“ აქვს მინაწერი: „პელაგია წულუკიძისაგან ვარლამ ჭილაძისადმი მიცემული ბარათი მივიღე ისევ ვარლამ ჭილაძისადმი გადასაცემად. გრ. ვოლსკი“<sup>30</sup>.

როგორც მოყვანილი საბუთებიდან ჩანს, ი. ჭავჭავაძეს თავის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემაზე ზრუნვა უკვე 1885 წლიდან დაუწყია. ეს იყო კერძო თაოსნობა მწერლისა. ირკვევა, რომ პელაგია წულუკიძემ ამოწერა ვარლამ ჭილაძის მიერ გადმოცემული, იგულისხმება ავტორთან შეთანხმებულ-

<sup>30</sup> ცსია, ფ. 481, ანაწ. I, საქმე 61, გვ. 28 (ხაზი ჩვენია.—ლ. ჭ.)



ლი, ტექსტები და ეს ამოწერილი მასალა ხელთ ჰქონდა ილია ჭავჭავაძეს. ტექსტების ამოწერაზე ავტორის კონტროლი თავისთავად იგულისხმება, რადგან საქმეს ჰქონდა წმინდა კომერციული მხარეც: ამომწერისათვის ფული უნდა გადაეხადათ. — პელაგია წულუკიძის — ხელით გადაწერილი ჩანს ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ილია ჭავჭავაძის ფონდიდან უპირატესად ადრეული, ვაზ. „ივერიის“ 1886—1888 წლებისა და ნაწილობრივ 1889 წლის თხზულებათა პირები, ესენია ფონდის ხელნაწერთა ნომრები: №№ 60, 159, 160, 164, 177, 178, 179, 180. სხვა ხელი მამაკაცისაა, ესენია: №№ 168, 172, 214, 217. პელაგია წულუკიძის მიერ ამოწერილ თხზულებებს შორის არის ფსევდონიმებით, მაგ., „სფირიდონ ჩიტორელიძის“, და ხელმოწერადად გამოქვეყნებული ნაწერები, მაგ. ვაზ. „ივერიის“ მოწინავე წერილები. ასეთი „ამოწერისათვის“ გამომცემელს — ვარლამ ჭილაძეს, ცხადია, ავტორის მითითებანი უნდა ჰქონოდა ხელთ (რომ აღარაფერი ვთქვათ საერთოდ დავალებათაზე, რადგან ხელშეკრულებამ იცის მხოლოდ ორი მხარე: შემკვეთი და შემსრულებელი).

არსებული ცნობების მიხედვით, უცნაურად მოჩანს, ვარლამ ჭილაძემ „მოხსენებით“ რატომ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას მიმართა და არა ქართველთა შორის წიგნის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომელიც ახორციელებდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის პირველ გამოცემას. ირკვევა, რომ ვარლამ ჭილაძის შემდეგ, რომელმაც, ალბათ, პირობის თანახმად გამოცემის დაბეჭდვა ვერ შეძლო, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა განუზრახავს თვით წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობას ჯერ კიდევ 1889 წელს. ამა წლის 24 დეკემბრის ოქმში ეს გარემოება შემდეგნაირად არის აღნიშნული: „საგნის განხილვა — 4. ეთხოვთ ი. ჭავჭავაძეს, რომ დავეითმოს დასაბეჭდად თავის ნაწერები საზოგადოდ და ჯერჯერობით კი პირველი ტომისა, ე. ი. ლექსებისა და პოემებისა. ეთხოვოს ესევე აგრეთვე აკაკი წერეთელს“. სხდომამ მიიღო იგივე შინაარსის „განჩინება“<sup>31</sup>. მეორე წელს საზოგადოებას ხელშეკრულებაც დაუდვია ავტორთან, აი ისიც:

#### „პ ი რ ო ბ ა

1890 წელს, დეკემბრის დღესა, ჩვენ, ქვემოთ ამის ხელის მომწერთა, თვადმა ილია გრიგოლის ძემ ჭავჭავაძემ და გამგეობამ „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ შევეკარით შემდეგი პირობა:

1. მე, ი. ჭავჭავაძე, კუთმობ „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობას სრულს კრებულს ჩემის ნაწერებისა და დასაბეჭდად მხოლოდ ერთხელ გამოცემისათვის. ამ ერთის გამოცემის გაყიდვის შემდეგ გამგეობას ნება აღარა აქვს გამოცემისა.

2. გამგეობას ნება აქვს, მთელი კრებული ნაწერებისა ორგვერად დაიბეჭდოს ერთი და იმავე დროს: დიდ ტომებად და იგივე ტომები წვირილ იაფფასიან წიგნაკებად დაჰყოს.

3. გამგეობამ და ავტორმა შუაზედ უნდა გაიყონ მოგება თითო ტომისა ცალკე, მხოლოდ მაშინ კი, როდესაც გამგეობას სრულიად დაუბრუნდება ხარ-

<sup>31</sup> ცნოა, ფ. 461, ანაწ. I, საქმე 198, გვ. 28.

ჯი იმ ტომის გამოცემისა, და ამას გარდა ავტორს უნდა დაეთმოს უსასყიდლოდ ოცი ეგზემპლარი ძვირფასი გამოცემისა დაბეჭდვის უმაღლეს.

4. თუ ზემოაღნიშნულ რიცხვიდან ერთის წლის განმავლობაში ერთი ტომი მანც არ დაიბეჭდა, ან თუ ხუთის წლის განმავლობაში სრულიად არ გამოიცა ის ნაწერები, რასაც ავტორი ხელს მოაწერს, მაშინ ავტორს ნება აქვს, დაარღვიოს ეს პირობა და დაიბეჭდოს უფლება გამოცემისა.

5. უკანასკნელი კორექტურა უნდა გასინჯოს ავტორმა და იმის ხელმოწერადაც არ დაიბეჭდოს, მხოლოდ ორ დღეზე მეტი არ უნდა დაინარჩუნოს ავტორმა ხელში.

6. სხვა ყოველი პირობა შესახებ დაბეჭდვისა, ე. ი. ეგზემპლარების რაოდენობისა, ხასიათისა, ფასისა და სხვანი, გამგებობაზეა დამოკიდებული.

ილია ჭავჭავაძე

ე. თაყაიშვილი

ი. მაჩაბელი

ალ. ჭიჭინაძე

ა. ჭყონია

ნ. ცხევიძე

გ. იოსელიანი

ნ. მთვარელიშვილი<sup>42</sup>.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემის ისტორიის საკითხების გარკვევისათვის მნიშვნელობა აქვს საქმის მსვლელობის ზუსტი თარიღების დადგენასაც, როგორც „პირობაში“ აღნიშნული, იგი დადებული იქნა „1890 წელს დეკემბრის დღესა“, მაგრამ ირკვევა, რომ „პირობა“ მაშინვე არ დამტკიცებულა. იგი გამგებანს განუხილავს 1890 წლის 12 დეკემბრის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდნენ ილია ჭავჭავაძე და მისი ამხანაგი ი. მაჩაბელი. ოქმში ჩაწერილი იქნა: „საგნის განხილვა — 2. გამგებამ უნდა განიხილოს პირობა, შეკრული ილია ჭავჭავაძესთან შესახებ ი. ჭავჭავაძის ნაწერების სრულის კრებულის გამოცემისა.“

განიხიება — ხელმოწერილი პირობა საქმეში ჩაკვერდეს.

ი. მაჩაბელი“.

როგორც ჩანს, 1890 წლის 12 დეკემბერს „პირობის“ ტექსტი გამზადებული არ იყო, რადგან 1891 წლის 1 მაისის სხდომის ოქმში წერია: „საგნის განხილვა — 2. წარსულ კრებაზე წარმოდგენილი იყო განსახილველად ილია ჭავჭავაძის (წიგნების) ნაწერების დაბეჭდვის საქმე და გადაიღო დღეისათვის, რომ წარმოდგენილ იქნას ხელშეკრულება ილია ჭავჭავაძესი.“

განიხიება: გამგებამ გადასწყვიტა, შეუდგეს თ. ილია ჭავჭავაძის თხზულებების ბეჭდვას თანახმად ხელშეკრულებისა. რაც შეეხება სტამბის ანგარიშს, წარმოდგენილს ი. მანსეტოვისაგან, ცნობების შეკრება დაბეჭდვის ხარჯის გამო და ფორმატისა და ქალაქის ამორჩევა მიენდოს ბ. იაკობ მანსეტაშვილს, ბ. პ. უმიკაშვილს და მდივანს საზოგადოებისას ი. მაჩაბელს“.

მოყვანილ „განიხიებაში“ მოხსენებული „სტამბის ანგარიში“ არქივში დაცულია ი. ჭავჭავაძესთან დადებულ „პირობასთან“ ერთად. „ანგარიში“ მნიშვნელოვანი დოკუმენტია. იგი გვიჩვენებს წ. კ. გ. საზოგადოების მიერ ჩატარებულ მუშაობას და ზოგიერთი ცნობით ავსებს „პირობას“, ამიტომ იგიც მოგვაქვს აქვე:

<sup>42</sup> ცსიპ, ფ. 481, ანაწ. I, საქმე 250, გვ. 14 (ხაზი ჩვენია.—ლ. ჭ.)



„ვარაუდით შედგენილ ანგარიში ხარჯისა, რომელიც მოუნდება ჭავჭავაძის თხზულებათა პირველ წიგნის, ე. ი. ლექსებისა და პოემების დაბეჭდვას:

თანახმად გამგეობის გადაწყვეტილებისა და ავტორთან შეკრულ პირობისა, მთელი კრებული თხზულებათა უნდა დაიბეჭდოს ორ გვარად: ერთი ძვირფას ქაღალდზე და მეორე მდარეზე. ამისდა მიხედვით, პირველი ნაწილის დაბეჭდვა დაჯდება:

ა) პირველი ნაწილი გამოვა 7—8 თაბახამდე.

1. აწყობა და დაბეჭდვა თაბახისა, ე. ი. 32 გვერდისა, აკადემიის ასოთი ელირება 15 მან. სულ მაშასადამე — 105 მ. — 120 მან.

2. ქაღალდი 600 ეგზ. მოუნდება: თითო თაბახს 1 ოზმ. 1/4 7—8 თაბახს 9—10 1/4 ოზმამდე. ოზმა დიდის ფორმატისა ღირს 16 მან. სულ მოუნდება 144 მან. — 164 მან.

3. აკინძვა შეკერვით . . . . . 15—18 მან.

4. გარეკანის ქაღალდი და მისი დაბეჭდვა . . . . . 6 . . .

სულ 270 მ. — 308 მან.

ბ) იგივე მდარე ქაღალდზე 200 ეგზემპლიარად და წიგნაკებად:

1. აწყობის გადაკეთება (перевёрстка набора) და დაბეჭდვა 6—7 თაბახისა, თაბახი 10 მან.; ელირება . . . . . 60 მ. — 70 მან.

2. ქაღალდი 27-ვე ოზმამდე, ოზმა 5 მან. დაჯდება 135—140 მან.

3. აკინძვა . . . . . 20 მ. — 30 მან.

4. გარეკანი დაბეჭდვით . . . . . 15—15

სულ 235—255

და სულ 505 მ. — 563 მ.

ამას მიემატება ხარჯი: სურათის ამოსაჭრელი თავში ჩასართავად და ზოგიერთი ასოების ამოჭრა. ყველა ამას დაახლოებით მოუნდება 100 მანეთამდე. გარდა ამისა, გამგეობამ უნდა სახეში იქონიოს შემდეგი:

1. ვარლ. ჭილაძე, რომელსაც წინად ჰსდომებია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემა და რომელსაც ამ განზრახვით გადაუწერიანებია კიდევ, გადასაწერში თხოულობს 180 მან. და ამ ხარჯსაც ჭავჭავაძე გამოცემლებს აკისრებს.

2. ი. ჭავჭავაძე თხოულობს, რომ პირობაში მოხსენებული მუხლი, ე. ი. რომ ერთი ნაწილი მეორეს დაუყოვნებლივ და შეუწყვეტლად მოჰყვეს, უხდა აღსრულებულ იქნას უსათუოდ.

3. გამგეობამ უნდა მიანდოს ვისმე კორექტურა და საქმის ასაჩქარებლად კორექტურა, რაც შეიძლება, მალე უნდა სწორდებოდეს.

სტამბა ი. მანსვეტოვისა“ (ცსია, ფონდ. 481, ანაწ. I, საქმე 250, გვ. 12).

ჩანს, ი. მანსვეტაშვილი აქტიურ როლს ასრულებდა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემისათვის მზადების საქმეში არა მარტო როგორც სტამბის მფლობელი, არამედ როგორც ერთ-ერთი მოთავე და ორგანიზატორი. ირკვევა, რომ მწერლის თხზულებათა ამოწერა, რომელიც დაიწყო ვარლამ ჭილაძემ, გაუგრძელებია თვით წ. კ. გ. სახოგაძოებს და, ჩანს, ამ საქმეს ხელმძღვანე-

4. მაღნი, ენისა და ლიტერატურის სერია, 1981, № 3



ლობდა სწორედ ი. მანსვეტაშვილი, ამაზე და ზოგიერთ სხვა გარემოებებში მიგვიითხებებს, მსგავსად ვარლამ ჭილაძისა, შიო ქუჩუკაშვილის (მღვიმელის) მისთვის ვერ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისადმი მიცემული „თხოვნა“, სადაც შ. მღვიმელი წერდა: „მაქვს პატივი მოვახსენო პატივცემული საზოგადოების გამგეობას, რომ როდესაც გამგეობამ განიზრახა თ. ილია ჭავჭავაძის პირველის ტომის გამოცემა, ამავე საზოგადოების მდივანმა ბ. ი. მანსვეტოვმა მომანდო ყველა ლექსების და პოემების ამოკრება სხვადასხვა ეურნალ-გაზეთებიდან და თეთრად გადაწერა ცენტრისათვის წარსაღვენად, რაიცა შესრულებულ იქმნა ჩემ მიერ. რადგან წერა-კითხვის საზოგადოებას აღარ მოუხდა გამოცემა ზემოხსენებულ ავტორის თხზულებისა და გამოსცა ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობამ, ამიტომ ჩემი შრომის ფასი მოვსთხოვე იმათ. ქ. წიგ. გამ. ამხანაგობამ არ შეიწყინარა ჩემი თხოვნა და მომწერა პასუხად წერილი, რომელსაც ამ თხოვნასთან ერთად ვარდგენ.

უმორჩილესად ვსთხოვე წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას ან თავად მიზოდოს და ან იმ საზოგადოებას გამომირთვას ჩემი შრომის ფასი<sup>33</sup>.

შიო ქუჩუკაშვილი

18  $\frac{26}{V}$  92 წ.“

დღემდის არსებული ცნობების მიხედვით ჩვენს მეცნიერებაში საყოველთაოდ მიღებულია, რომ ილიას ფონდში დაცული ხელნაწერები, რომლებიც მწერლის დაბეჭდილ თხზულებათა პირებს წარმოადგენენ, წიგნის გამავრცელებელი ქართველთა ამხანაგობის მიერ 1892 წლის გამოცემისათვის გაკეთებული ამონაწერებია. სინამდვილეში, როგორც ვხედავთ, ახალი დოკუმენტების მიხედვით მთლიანად სხვა სურათი იშლება; ირკვევა, რომ სამუშაო სულ სხვა პირებს და ორგანიზაციას შეუსრულებია თვით ილიას უშუალო მონაწილეობით; საქმე დაწყებულა მწერლის კერძო თაოსნობით. მას კერძო გამომცემელთან დაუდგია პირველად „პირობა“. ვარლამ ჭილაძემ და წ. კ. გ. საზოგადოებამ ი. ჭავჭავაძისთან დადებული ხელშეკრულებებით შეასრულეს მთელი ის წინასწარი მოსამზადებელი სამუშაო, რომელიც აქამდის წიგნის გამავრცელებელ ქართველთა ამხანაგობას მიეწერებოდა. უკანასკნელს წ. კ. გ. საზოგადოებიდან, პირადად თვით ილიასგანაც მზამზარეულად გადაეცა ვარლამ ჭილაძისთან ხელშეკრულებით ანეტა წულუკიძის მიერ და წ. კ. გ. საზოგადოების დავალებით შიო მღვიმელის მიერ ეურნალ-გაზეთებიდან ამოწერილი ილიას ნაწერების პირები. ეს გარემოება პირდაპირ არის აღნიშნული წ. კ. გ. საზოგადოების მიერ ვარლამ ჭილაძისა და შიო ქუჩუკაშვილის „მოსხენებებზე“ (როგორც მათთვის, ისე წიგნის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის) გაცემულ პასუხებში.

წ. კ. გ. საზოგადოებაში ვარლამ ჭილაძის მიერ „მოსხენების“ წარდგენამდის მდგომარეობა შეიცვალა. ამ საზოგადოებას ახლად ჩამოყალიბებულმა წიგნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ სთხოვა, მისთვის დაეთმო ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა. წ. კ. გ. საზოგადოების 1891 წლის 6 ივნისის სხდომის ოქმში აღნიშნულია: „განხილვის საგანი — 8.

<sup>33</sup> ცხია, ფ. 481, ანაწ. I, საქმე, 310, გვ. 6.

თხოვნა ქართველთა წიგნების გამოცემ ამხანაგობისა, რომ დაეთმოს ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემა იმ პირობითვე, რა პირობითაც წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას აქვს მიღებული.

განჩინება — თუ თ. ილია ჭავჭავაძე თანახმა იქნება და გააუქმებს იმ ხელშეკრულებას, რომელიც გამგეობამ შეჰკრა მასთან, მაშინ გამოეცხადოს ამხანაგობას, რომ გამგეობა არ იქნება წინააღმდეგი, რომ ამხანაგობამ იკისროს თ. ჭავჭავაძის ნაწერების გამოცემა და ამის თაობაზე შეჰკრას თავის მხრით პირობა თვით ილია ჭავჭავაძესთან.

- ა. ჭყონია
- ე. თაყაიშვილი
- ეკ. გაბაშვილი
- ი. გოგებაშვილი“

აღსანიშნავია, რომ იმავე სხდომაზე მეორე საკითხად განუხილავთ აგრეთვე ვარლამ ჭილაძის „მოხსენება“, რომლის შესახებ აღნიშნულია: „საგანი განხილვისა — 2. თხოვნა ვარლამ ჭილაძისა, რომელიც იუწყება, რომ იგი თ. ილია ჭავჭავაძეს პირობით შეჰკვრია 1885 წელს მისი თხზულებათა დაბეჭდვის შესახებ და ამ პირობის ძალით მას უკვე დაუწყვია შეკრება თ. ი. ჭავჭავაძის წერილების და სტატიებისა და ამ ნაწერების შეკრება-გადაწერაში მას დაუხარჯავს 180 მან. ბოლოს ბ. ჭილაძე იწერება: „გთხოვთ ზემოხსენებული ფული, ვინაიდან გადაწერილი რეეულები საზოგადოების ხელშია, გადამიხადოთ.“

განჩინება — რადგანაც ი. ჭავჭავაძის ნაწერების გამოცემას კისრულობს ქართ. წიგნების გამ. ამხანაგობა, ამიტომ ეპასუხოს ვ. ჭილაძეს, რომ იგი მიიტყეს იმ ამხანაგობასთან.

#### ა. ჭყონია“<sup>34</sup>.

მართლაც, მაძიებელს გაეგზავნა შემდეგი პასუხი:

„ვარლამ ჭილაძეს

თქვენი თხოვნა 22 მაისისა 1891 წ. მოისმინა წერა-კითხვის გამგეობამ და დაადგინა: უარი ეთქვას ბ. ჭილაძეს, რადგან ჩვენი ხელშეკრულება ილ. ჭავჭავაძესთან გადაეცა ქართველთა შორის წიგნების გამომცემელ ამხანაგობას.

საზ. თავმჯდომარე [ი. ჭავჭავაძე]

საქმეთ-მწარმოებელი მ. ჯანაშვილი“<sup>35</sup>

წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობამ 1892 წლის 26 მაისის სხდომაზე შიო მღვიმელის „თხოვნაც“ განიხილა და დაადგინა: „მიეწეროს ჩვენგან, რომ ამ გასამრჯელოს მიცემა ამხანაგობის მოვალეობაა, რადგან ამხანაგობამ გამოიყენა და იხმარა.“

ილია ჭავჭავაძე“<sup>36</sup>

30 მაისს ამ დადგენილების საფუძველზე წიგნების გამომცემელს ქართველთა ამხანაგობის გამგეობას კი მისწერეს: „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას აქვს პატივი გაუწყოთ, რომ ილია ჭავჭავაძის ლექსები, რომლების დაბეჭდაც გამგეობამ დაუთმო წ. კ. გ. ქართველთ ამხანაგობას, გადაწერილია შიო ქუჩუაშვილის მიერ. როდესაც გამგეობამ მზამზარეუ-

<sup>34</sup> ცსიბ, ფ. 481, ანაწ. I, საქმე 198, გვ. 117 (ხაზი ჩვენია.—ლ. ჭ.)

<sup>35</sup> ცსიბ, ფ. 481, ანაწ. I, საქმე 61, გვ. 29.

<sup>36</sup> ცსიბ, ფ. 481, ანაწ. I, საქმე 310, გვ. 8.



ლად გადაწერილი ლექსები გადმოგვცათ, ამხანაგობას გადამწერის გასამრჯელოს შესახებ არაფერი პირობა დაუდვია რა იმ მოსაზრებით, რომ მშრომელის დაჯილდოება მიიჩნდა მოვალეობად იმისა, რომელიც ნაშრომით ისარგებლებდა. რადგან ბ-ნის ქუჩუკაშვილის ნაშრომით ისარგებლა წიგნების გამომცემელმა ამხანაგობამ, ამიტომ წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობა უმორჩილესად სთხოვს, რომ დააკმაყოფილოს ბ. ქუჩუკაშვილი გასამრჯელოს მიცემით.

თავმჯდომარე საზოგადოებისა [ი. ჭავჭავაძე]  
 მიღიანი დ. კარიჭაშვილი<sup>37</sup>

ვფიქრობთ, ამ მეტყველი დოკუმენტების კომენტარი ზედმეტია. ცხადია, რომ წ. კ. გ. საზოგადოებამ და თვით ილია ჭავჭავაძემ წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობას, როგორც გამგეობაც აღნიშნავს, „მზამზარეულად გადაწერილი“ ილიას ნაწერები გადასცა, ქართველთა ამხანაგობისავე თხოვნით, წ. კ. გ. საზოგადოებასთან ი. ჭავჭავაძის მიერ დადებული ხელშეკრულებით — სრული კრებულის გამომცემისათვის. მართალია, წიგნის გამაერცელებელ ამხანაგობასთან ილიას მიერ დადებული ხელშეკრულება ხელთ არა გვაქვს, მაგრამ უფლებამოსილი ვართ, ასეთად მივიღოთ წ. კ. გ. საზოგადოებასთან დადებული „პირობა“, რადგან თვით „ამხანაგობა“ გამომცემის უფლებას თხოულობდა „იმ პირობითვე, რა პირობითაც წერა-კითხვის გამაერცელებელ საზოგადოებას აქვს მიღებულიო“.

ამრიგად, ვფიქრობთ, ცხადია, რომ ერთ მხარეზე გვაქვს მკვლევართა წარმოდგენა, რომ ხელნაწერი კრებულები „ქართული წიგნის გამომცემელ ამხანაგობის დავალებით გადაუწერიათ სათანადო პირებს“<sup>38</sup>, ხოლო, მეორე მხრივ, კი ზღვა საბუთებისა, რომ ამ საქმეში „ქართული წიგნის გამომცემელი ამხანაგობა“ არაფერ შუაშია; ხელნაწერი კრებულები გადმოწერილია ილიასთან ხელშეკრულებით (დავალებით) ვარლამ ჭილაძისა და წ. კ. გ. საზოგადოების მიერ. მცდარ საფუძველზეა აგებული საწინააღმდეგო თვალსაზრისის ავტორთა დებულებები: დ. გამეზარდაშვილი წერილიდან წერილში და წიგნიდან წიგნში დაჟინებით ამტკიცებს — „ოთხმოცდაათიან წლებში... ი. ჭავჭავაძე თავის კრიტიკულ-პუბლიცისტურ მემკვიდრეობას არ გამოაქვეყნებდა“<sup>39</sup>. ილია ჭავჭავაძე კი ხელშეკრულებაში საგანგებოდ აღნიშნავს: „მე, ი. ჭავჭავაძე, ვუთმობ წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობას სრულს კრებულს ჩემის ნაწერებისას დასაბეჭდად“. მწერალი ხელშეკრულებით არამეტუ თავის ყველა ნაწარმოების გამომცემას უთმობს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას, არამედ მეოთხე მუხლით იმუქრება კიდევ: „თუ... ერთის წლის განმავლობაში ერთი ტომი მაინც არ დაიბეჭდა, ან თუ ხუთის წლის განმავლობაში სრულად არ გამოიცა ის ნაწერები, რასაც ავტორი ხელს მოაწერს, მაშინ ავტორს ნება აქვს, დაარღვიოს ეს პირობა და დაიბრუნოს უფლება გამომცემისა“. მეტიც, ასეთი შეთანხმების საფუძველზე გაზ. „ივერიაში“ გამოცხადდა, რომ უნდა გამოცემულიყო ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად<sup>40</sup>. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იგივე ხელშეკრულებით ბეჭდავდა ილიას ნაწერებს ქართველთა შორის წიგნის გამაერცელებელი საზოგადოებაც. 1891 წელს რით

<sup>37</sup> ცხია, თ. 481, ანწ. I, საქმე 310, გვ. 9.

<sup>38</sup> დ. გამეზარდაშვილი, განსაკოს კაცმან პირუთენელთან, გვ. 28.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 66.

<sup>40</sup> ახალი ამბები, გაზ. „ივერია“, 1891, № 29, გვ. 4.

უნდა შევეხებულყო ათი ტომი, თუ ილია პუბლიცისტურ ნაწერებს არ შეიტანდა გამოცემაში, ვფიქრობთ, ცხადია, რომ მკვლევრის წარმოდგენა უსაფუძვლოა.

დამოწმებულ უსაფუძვლო წარმოდგენას ემყარება დ. გამეზარდაშვილი, რომელიც აცხადებს: სფირიდონ ჩიტორელიძის ნაწერების „ვინაობის გარკვევაში აღნიშნულ ხელნაწერ კრებულს არავითარი როლის შესრულება არ შეუძლია“, რადგან „ილია ქავჭავაძე მტკიცედ იდგა ზემოაღნიშნულ თავის გადაწყვეტილებაზე (პუბლიცისტურ ნაწერებს არ გამოვეცემო. — ლ. ქ.) და ხელიც არ უხლია იმ ხელნაწერი კრებულებისათვის, რომლებიც „ქართველთა საგამომცემლო ამხანაგობის“ მითითებით მომზადდა“<sup>41</sup>. ვფიქრობთ, მოყვანილი დოკუმენტებიდან ცხადია, რომ აქ მკვლევარს შეცდომა ყოველ წინადადებაში აქვს: რვეულები არც ქართველთა საგამომცემლო ამხანაგობას მოუმზადებია და არც ილიას არასოდეს ჰქონია აზრად, რომ იგი პუბლიცისტურ წერილებს არ გამოსცემდა. ამიტომ დაძალება იქნება დავიჯეროთ: რვეულები გადაწერეს ილიასთან ხელშეკრულებით, ილიას წლობით ჰქონდა ისინი სახლში და მოითხოვდა მათზე ფულის გადახდას; მანვე გადასცა წიგნის გამავრცელებელ ამხანაგობას სრული კრებულის გამოცემისათვის და შიგ კი არ ჩაუხედიდა, არ იცოდა, რა ამოწერეს მასთან ხელშეკრულებით და რას სთავაზობდა გამომცემლებს.

ამჟამად, როცა სულ სხვანაირად გაიჩვენა ხელნაწერი კრებულების შედგენის ისტორია, ვფიქრობთ, დ. გამეზარდაშვილისთვისაც კი უხერხული იქნება ხელნაწერებთან უშუალო დამოკიდებულებიდან გამორიცხოს ილია ქავჭავაძე. წარმოუდგენელია, საქართველოს მამას დაეწამოთ, რომ ქვეყნის მოგლა შეეძლო და სახლში რა ჰქონდა და რა არა, იმასა კი არაფერი იცოდა. სწორედ მიგვაჩინა მკვლევრის ნათქვამი: „აბსურდია იმის მტკიცება, რომ თავის სიტყვებში ილიას ვინმესთვის უფლება მიეცა, რედაქცია გაეკეთებინა მისი ნაწერებისათვის“<sup>42</sup>. ფაქტია, რომ ხელნაწერ კრებულზე რედაქციული მუშაობა დაწყებულია: წერილებს, და მათ შორის თვით სფირიდონ ჩიტორელიძეს ნაწარმოებებს, გაკეთებული აქვს თემატიკური დანაწილებისათვის საჭირო მინაწერები ისეთი ლურჯი ფანქრით, რომლითაც ილია მუშაობდა თავის ბიბლიოთეკის წიგნებზე, ჩვენი აზრით, ეს მინაწერები ყველა ილიას ეკუთვნის, რადგან კრებულები მას ჰქონდა ხელთ და თვითონ ამზადებდა მათ გამოსაცემად.

დ. გამეზარდაშვილი, ხელმძღვანელობს რა საკუთარი წარმოდგენებით, დაქინებით კითხულობს: „განა ვინმემ რითმე დაამტკიცა, რომ ეს „ხელნაწერი ტომები“ ილიას მითითებით იყო გადაწერილი“. ხელშეკრულებები ილიამ დაუდო, კრებულები ილიას ჩააბარეს, ფულის გადახდის საქმეზე ილია ზრუნავდა, — აბა, ვისი მითითებაა თუ არა ილიასი? დღემდის ხელშეკრულებამ მხოლოდ ორი მხარე იცის: შემკვეთი და შემსრულებელი. როგორც ჩანს, დ. გამეზარდაშვილისა და ი. ლორთქიფანიძისათვის ის უფრო წარმოსადგენია, რომ მ. ყიფიანი კავკასიონზე ელვისებურ დაქროდა, ვიდრე ის, რომ ილია თავის ნაწერებს კრებულში ჩაიხედავდა. ორივე მოღვაწისათვის შეუზღებამყოფელია მკვლევართა წარმოდგენები, რომლებიც არსებული საბუთების მიხედვით უსაფუძვლოა.

<sup>41</sup> დ. გამეზარდაშვილი, განსაჯოს კაცმან პირუთენელმან, გვ. 66.

<sup>42</sup> იქვე, გვ. 95.



როცა კამათის დროს ილიასაც კი არ ერიდებიან, აღარ გვიკვირს, რომ დ. გამეზარდაშვილი მკვლევართა გაბიბრუებას ცდილობს. თეზისებში ვწერდით: „4. სფირიდონ ჩიტორელიძის ფსევდონიმით ჟურნ. „საქართველოს მოამბეში“ და გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებულ თხზულებათა ავტორი ილია ჭავჭავაძეა.“

5. საკითხის გარშემო არსებული სამეცნიერო ლიტერატურის პოზიტიური დასკვნები, რომლებიც მიღებულია ტექსტების შესწავლით, ადასტურებენ, რომ ჟურნ. „საქართველოს მოამბეში“ და გაზ. „ივერიაში“ სფირიდონ ჩიტორელიძის ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწერების ავტორი ერთია ან მათ ერთი და იგივე ავტორის ხელი ატყვია. ჩვენი აზრით, ეს ერთი ავტორი ჭავჭავაძეა.“

ვფიქრობთ, ნათელია, რომ ვამბობთ, ყველა სადავო ნაწარმოები ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის. დ. გამეზარდაშვილს კი „ვერ გაუგია“ ჩვენი შეხედულება და ციტირებას ახდენს სიტყვების — „არსებული სამეცნიერო ლიტერატურის“ — გამოტოვებით. ამ გზით იგი მკვლევართა განსხვავებულ აზრებს ჩვენ მოგვაწერს და სერიოზულად წერს: ჭრელაშვილს „როგორც ჩანს, ჯერ საბოლოოდ თვითონაც ვერ გადაუწყვეტია თუ რომელი „ვარიანტი“ შემოგვთავაზოს: ილია ჭავჭავაძე გაზ. „ივერიაში“ სფირიდონ ჩიტორელიძის ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილების ავტორია, თუ მხოლოდ მისი რედაქტორული ხელი ატყვია ამ წერილებს“. პროფ. დ. გამეზარდაშვილი ამის შემდეგ ისევ სერიოზულად გვასწავლის, რას ნიშნავს ავტორობა და რას ნიშნავს რედაქტორობა. განა ჭეშმარიტების დადგენა ასეთი მანიპულაციებითა და ცინიზმით ხდება? სპეციალურ თეზისში გამოთქმული შეხედულების „ვერ გაგება“ ხომ სასიფათო ბუმერანგია მხოლოდ. მას რა აქვს საერთო მეცნიერების ინტერესებთან? არაფერი!

ახლად გამოვლენილი ზოგიერთი საარქივო დოკუმენტების მიხედვით დამატებით მტკიცდება, რომ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1892 წლის გამოცემა ავტორისეული გამოცემაა. საერთო მდგომარეობას გვიჩვენებს „ბაზალეთის ტბის“ მაგალითი. როგორც ცნობილია, არსებობს ამ ნაწარმოების 1883 წლით დათარიღებული სამი ავტოგრაფული ვარიანტი. ლექსი პირველად გამოქვეყნდა 1890 წელს, იგი დაიბეჭდა ჟურნ. „ჯეჯილში“. „ბაზალეთის ტბის“ ტექსტი სრულად მხოლოდ 1892 წლის გამოცემაშია შესული. „ჯეჯილში“ მას ცნებურის მიერ ჩამოცილებული ჰქონდა ბოლო სტროფები:

იჭნება მასში ის ყრმა წევს,  
რომლის არ ითქმის სახელი  
და რომელსაცა დღე და ღამ  
ჩუმად ნატრულობს ქართველი?  
თუ ესე არის, ნეტა მას  
ვაყაყცა სახელოვანსა,  
ვისიცა ხელი პირველად  
დასწვდება იმა აყვანსა.  
თუ ეგრე არის, ნეტა მას  
დედასა გამარჯვებულსა,  
ვინც იმ ყრმას პირველს მიაწვდის  
თვის ჭუჭუნს მადლით ხებულსა.





მოყვანილი სტროფისადმი ცენზურის დამოკიდებულება ირკვევს: 11883 პ. წლის საარქივო მასალთ. დოკუმენტები გვიჩვენებენ, რომ თავის დროზე დიდი მკვლევარი პავლე ინგოროყვა სამართლიანად ფიქრობდა, როცა იგი წერდა: „ჩვეილში“ დაბეჭდილ ტექსტში უკანასკნელი სამი სტროფი გამოშვებულია, ჩანს, ცენზურის მიზეზით».

მართლაც, ი. ჭავჭავაძეს „ბაზალეთის ტბის“ ეურნ. „ივერიამი“ დაბეჭდვა უცდია 1883 წელსვე, მაგრამ საცენზურო კომიტეტს იმ დროს ლექსის არა მარტო სტროფები, მთლიანი ტექსტის დაბეჭდვა აუკრძალავს. არქივში დაცულია ცენზორისთვის წარდგენილი „ბაზალეთის ტბის“ საკორექტურო ფურცლები. პირველ საკორექტურო ფურცელზე მოცემულია ლექსის სრული ტექსტი, ხოლო მეორე საკორექტურო ფურცელზე კი არის იგივე ტექსტი ზემოთ მოყვანილი სტროფების გარეშე; როგორც ჩანს, ცენზორმა ჯერ მათი მოხსნა მოსთხოვა რედაქციას, ხოლო შემდეგ ნაწარმოების დაბეჭდვა საერთოდ აკრძალა, მეორე საკორექტურო ფურცელს ახლავს კომიტეტის სათანადო დადგენილება<sup>43</sup>.

ამრიგად, ნაბეჭდი წყაროს საშუალებით 1892 წლის გამოცემაში შეუძლებელი იყო „ბაზალეთის ტბის“ სრული ტექსტის შეტანა; ასეთი რამ მხოლოდ ავტორს შეეძლო გაეკეთებინა. ამ გამოცემაში დაბეჭდილი სხვა მხატვრული ნაწარმოებების ნაირწყაიბეები, რომლებიც ზედმიწევნით აქვთ აღრიცხული ილიას თხზულებათა მომავალი აკადემიური გამოცემის I—II ტომების გამოცემლებს; რ. კუსრაშვილს, ე. შარაშენიძეს და ლ. სანაძეს, იმავეს გვიჩვენებენ: მათში მრავალი ისეთი წაკითხვები, რომლებიც არ დასტურდება არც ერთ მანამდის არსებულ ბეჭდურ წყაროში. „ბაზალეთის ტბის“ ტექსტის ბეჭდვის ისტორიასთან ერთად ეს ფაქტებიც თვალსაჩინოდ ადასტურებენ, რომ ი. ჭავჭავაძემ შემოქმედებითად განახორციელა წ. კ. გ. საზოგადოებასთან დადებული „პირობის“ (რომელიც შემდეგ გადაიქცა წიგნის გამავრცელებელ ამხანაგობაზე) მოთხოვნა: „უკანასკნელი კორექტურა უნდა გასინჯოს ავტორმა და იმის ხელმოწერა არ დაიბეჭდოს“ არაფერი. როგორც ჩანს, გამოცემაში ილიას მონაწილეობა მარტო უკანასკნელი კორექტურითაც არ შემოფარგლულა. „ბაზალეთის ტბის“ მაგალითი უდავო რწმუნების ხასიათს ანიჭებს ალ. ჯაბდარის მოწმობას, რომელიც წერს: „ჩვენ გამოვეცით ავტორის მიერ ორჯერ გადასინჯულ-გასწორებული მისი ნაწერები“ („მნათობი“, 1934, №1—2, გვ. 274).

წიგნის გამავრცელებელ ქართველთა ამხანაგობას ი. ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემის საქმე გაუადვილდა, რადგან საჭირო წინასწარი მუშაობა ჩატარებული ჰქონდა ილიას, წ. კ. გ. საზოგადოებას და ვარლამ ჭილაძეს. მაგრამ, ჩანს, თავის მხრივ ეს საზოგადოებაც ფართო მეცნიერული მუშაობის გაშლისათვის ემზადებოდა. მას ცოტა გვიან, 1893 წლის დასაწყისში, აურჩევია სოლიდური სარედაქციო კომისია, რომელიც შედგებოდა: ე. თაყაიშვილის, ა. ჭყონიას, ნ. მთვარელიშვილის, ი. ბაქრაძისა და ი. მანსვეტაშვილისაგან. მაგრამ<sup>44</sup>, როგორც ცნობილია, „საზოგადოებამ“ ილიასთან დადებული „პირობა“ ვეღარ შეასრულა და გამოცემა დაუსრულებელი დარჩა. სამწუხაროდ,

<sup>43</sup> ცნობა. ფ. 480, საქმე 548, გვ. 69, 70.

<sup>44</sup> „წიგნის გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიში“. 1893 წ. „ივერიამი“ გამოქვეყნებულ ინფორმაციებში წიგნის გამავრცელებელი ქართველთა ამხანაგობის სარედაქციო კომისიის არსებობა 1890 წლიდანვე იხსენიება.

„ამხანაგობის“ არქივი არსად ჩანს. იგი, ცხადია, ბევრ დამატებით ცნობას მოგვემდღა 1892 წლის გამოცემის შესახებ. გარდა ამ საზოგადოების მიერ გამოცემული ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ოთხი ტომისა, რომელიც თავისთავად დიდი ისტორიული ფაქტია, „ამხანაგობის“ სარედაქციო მუშაობის შესახებ ჩვენთვის ცნობილი გახდა კიდევ ერთი, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელსაც შეიცავს ალ. ჯაბადარის პირადი წერილი ივანე მაჩაბელისადმი. როგორც ჩანს, გამომცემლების წინაშე წამოჭრილა საკითხი, ი. ჭავჭავაძის თხზულებებში უნდა შეეტანათ თუ არა შექსპირის „მეფე ლირის“ თარგმანი და საკითხის გამოსარკვევად ალ. ჯაბადარს მიუმართავს ი. მაჩაბელისადმი. აი, ეს მიმართავს:

„თ. ივანე მაჩაბელს  
 18 ნოემბერი 1892 წ.

ბატონო ივანე

უმორჩილესად გთხოვთ, გვაუწყოთ, შეიძლება „მეფე ლირი“ მოვათავსოთ თ. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მესამე ტომში თუ არა? თუ შეიძლება — გვაცნობეთ.

თქვენი პატივისმცემელი  
 ალ. ჯაბადარი<sup>45</sup>.

ალ. ჯაბადარის მიმართავზე ი. მაჩაბლის პასუხი არ მოგვეპოვება, მაგრამ ფაქტია, რომ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1892 წლის გამოცემის მესამე ტომში, სადაც მოთავსებულია თარგმნილი სხვადასხვა ნაწარმოები, „მეფე ლირი“ დაბეჭდილი არ არის. ეს გარემოება თავისთავად გასაგებია ხდის ი. მაჩაბელის პასუხსა და პოზიციას. როგორც ჩანს, პასუხი უარყოფითი იყო, რომელსაც საავტორო უფლების გათვალისწინებით გვერდი ვერ აუარეს ვერც გამომცემლებმა და ვერც ი. ჭავჭავაძემ. როგორც ცნობილია, „მეფე ლირი“ საკუთარი დასაბუთებით პ. ინგოროყვამ ჩვენს დროში ილიას ათტომეულში შეიტანა, მაგრამ ზემოთ მოტანილი ცნობის გამო, ჩვენი აზრით, საკითხი კვლავ სერიოზულ განხილვას თხოვლობს. ილიას თხზულებათა მომავალი აკადემიური გამოცემის რედკოლეგია, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ალ. ჯაბადარის მიმართებით გამორკვეულ ი. მაჩაბლის საავტორო ნებას გვერდს ვერ აუვლის. ფაქტი ფაქტად დარჩება 1892 წელს ი. მაჩაბელსა და ი. ჭავჭავაძეს შორის გამწვავებული ურთიერთობის გათვალისწინების შემთხვევაშიც; არ არის გამორიცხული, რომ თვით ამ ურთიერთობის გამწვავებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა მესამე ტომში „მეფე ლირის“ დაბეჭდვის საკითხის მიმართ ი. მაჩაბლის მიერ დაკავებულმა პოზიციამ. ამასთანავე, ცხადია, ანგარიში უნდა გაეწიოს პ. ინგოროყვას დასკვნებს, რადგან „მეფე ლირი“ მათ კარგი ურთიერთობის დროს ორივეს ხელმოწერით გამოსცეს...

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის სრულყოფისათვის კიდევ მრავალი საკითხის გადაწყვეტა იქნება საჭირო; ამას ვგაძნობთ ჩვენს ხელთ არსებული სხვა მასალების მიხედვითაც, მაგრამ, ცხადია, ყველაფრის ერთად გაკეთება შეუძლებელია. ვფიქრობთ, შრომაში წარმოდგენილი ცნობები და შეხედულებანი გარკვეულ სამსახურს გაუწევენ დღის წესრიგში დამდგარი დიდი ამოცანის შესრულებას.

<sup>45</sup> გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმი, № 14210.

Л. П. ЧРЕЛАШВИЛИ

ВОПРОСЫ АТРИБУЦИИ И ИСТОРИЯ ИЗДАНИЯ  
ПРОИЗВЕДЕНИЙ И. ЧАВЧАВАДЗЕ

Резюме

В труде опубликованы выявленные Л. Чрелашвили документы о собрании сочинений И. Чавчавадзе издания 1892 года. Ими подтверждается, что рукописные копии произведений, хранящихся в фондах писателя, в свое время были переписаны из журналов и газет не Товариществом распространения книги в Грузии, а Обществом распространения знаний среди грузин и издателем Варламом Чиладзе, а исполнено это было по договору, заключенному с Ильей Чавчавадзе. Переписчиками были Пелагея Цулукидзе и Шио Мгвимели. Илья Чавчавадзе непосредственно руководил перепиской произведений и им же они были приняты. Впоследствии он их передал Товариществу распространения книги в Грузии. На основании нововыявленных документов Л. Чрелашвили делает выводы: указанные рукописные сборники Ильи Чавчавадзе с точки зрения атрибуции имеют значение автографов, и спорными не должны быть внесенные туда произведения Спиридона Читорелидзе — во всех случаях это псевдоним Ильи Чавчавадзе.

В труде опубликован архивный материал из печатной истории стихотворения И. Чавчавадзе «Базалетское озеро» и письмо Ал. Джабадари Ив. Мачабели о возможности опубликования перевода трагедии У. Шекспира «Король Лир» в III томе собрания сочинений И. Чавчавадзе.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

## კომიუნა ზაფინდაშვილი

## ადამიანის იდეალი „ღვთით გარეჯაღლის ცხოვრების“ მიხედვით

ქვეყნის სოციალური თუ პოლიტიკური მოვლენები, რაც ერის ისტორიას ქმნის, ადამიანებთან, მათ პრობლემებთანაა დაკავშირებული. ესა თუ ის ისტორიული მოვლენა რომ ავხსნათ, აუცილებელია შევისწავლოთ ის პიროვნებანი, რომელთაც ისტორიული მოვლენები წარმოშობს და რომელთა მოქმედებაზედაცაა დამყარებული ამ ისტორიის არსი.

ამიტომ, ცხადია, ლიტერატურულ ძეგლში ადამიანის რაობა, მისი მხატვრული წარმოსახვის თავისებურებანი მნიშვნელოვანი გარემოებაა.

ჩვენი ნარკვევი ეხება „ღვთით გარეჯელის ცხოვრებაში“ მოქმედ პირთა მხატვრული ასახვის კონცეფციის, მათი იდეალების გარკვევას, განსაკუთრებით, თვით ღვთის პიროვნებას, რომელიც დიდმა სოციალურმა ძვრებმა შეაპირობა. ამ სოციალურ მოძრაობას ადგილი ჰქონდა V—VI სს. წინა აზიასა და საქართველოში.

ადამიანის იდეალი ჰაგიოგრაფიაში ქრისტიანული კულტურის მიერ შექმნილი თეორიული და პრაქტიკული გააზრების საერთო კანონზომიერებებს ასახავს. ამდენად, ჰაგიოგრაფიული იდეალის ევოლუციისათვის თვალის გადაეხედება საკუთრივ ქრისტოლოგიური აზრის ისტორიული კანონზომიერებათა შესაბამისი განვითარებისათვის თვალის გადაეხედებაცაა.

ადრეულ ქრისტიანულ კულტურაში, კერძოდ მისი „აპოსტოლური პერიოდისათვის“<sup>1</sup>, დამახასიათებელია ადამიანის ისეთი იდეალი, რომელიც არაა ჯერ კიდევ მთლიანად გათავისუფლებული ანტიკური კულტურის ზოგადი შაბლონებისაგან.

აქ იგულისხმება შემდეგი: როცა ქრისტიანობა ფორმირების პირველ ეტაპზე ქმნის თავისი კულტურის სახეს, იგი მეტ-ნაკლები სიზუსტით იღებს ანტიკურ ფორმას, მაგრამ ფიზიკურის მიღმა მასში შეაქვს სულიერი, თვისებრივად ახალი, მისთვის დამახასიათებელი კონკრეტიზაცია—ფიზიკურის ფორმაში ესთეტიკურის გამოვლენა იქცევა ზოგადად, ამ ფორმის სულიერ შინაარსად (მაგ. ცნობილი «Мосховор» და ქრისტიანული „მწყემსი კეთილი“)<sup>2</sup>.

ქრისტიანული კულტურის შემდგომ ეტაპზე ხდება საბოლოოდ უკუგდება ყოველივე იმისა, რაც ანტიკურ სამყაროსთან სიახლოვეს მიანიშნებს თუნდაც ასოციაციების, უკიდურესად აბსტრაქტიზებულ დონეზე. ამავე სქემებს მხატვრობის თვალსაზრისით ემყარება ხატმებრძოლეობის წინარე ბიზანტიური ფერწერა. ლიტერატურის მიმართ აღნიშნული თვალსაზრისი ვრცელდება V—IX სს. ქართულ ჰაგიოგრაფიაზეც.

ამ პერიოდში ყალიბდება ადამიანის ადრეული ქრისტიანული იდეალი.

ხანგრძლივი და მშფოთვარე დოგმატურ-კონფესიური ძიების შემდგომ (რომლის მწვერვალსაც ხატმებრძოლეობის ეპოქის ბიზანტიური ნორმატიული ესთეტიკა წარმოადგენს) თანდათანობით ხდება დაინტერესება ადამიანის

<sup>1</sup> С. С. Аверинцев, Па ристика. Философская энциклопедия, т. IV, М., 1967, 33. 225.

<sup>2</sup> Ривкин Б. И., Малая история искусств. Античное искусство, М., 1972, 33. 64.

ამქვეყნიური ცხოვრებით. ყველაზე ადრე ეს ადამიანის, როგორც ქრისტიანული აზროვნების ცენტრალური სახის, გააზრებას დაეცყო. ამას ჰქონდა რიგი თეორიულ-რელიგიური წინამძღვარი, რომელთა შორის მაკრო- და მიკრო-კოსმოსის ანალოგიის, „სიმპათიის“ თეზის ეკავა და რომლის სრულყოფილი გამოხატულება ადამიანი იყო. ამავე ესთეტიკური პრინციპების ნიშნითაა აღბეჭდილი ადამიანის კონცეფცია „ასურელ მოღვაწეთა“ ცხოვრების რედაქციებში.

უძველესი ქართული ლიტერატურის ძეგლების მიხედვით ადამიანი იხატება არა ისეთი, როგორც იყო, არამედ ისეთი, როგორც უნდა ყოფილიყო.

დ. ი. ლიხაჩოვიც აღნიშნავს: «В этой монументальной характеристике рязанские князья обрисованы такими, какими они должны казаться людям...» «Куда ни обратится князь, всюду он лучший из лучших, для всех он такой, каким он должен быть, с точки зрения древнерусского автора»<sup>3</sup>.

ასევე ხორციელდება აღნიშნული პრინციპი „დავით გარეჯელის ცხოვრებაში“<sup>4</sup>.

მაგრამ, მაინც რა სახის პიროვნება უნდა ყოფილიყო დავით გარეჯელი და საერთოდ ყველა ის, ვინც ამ პრინციპებს მიჰყვება?

ეს პიროვნებანი ზნეობრივი სრულყოფის მისაღწევად თრგუნავენ ყოველივე ამქვეყნიურს და მიწიერი, ჩვეულებრივი ადამიანური სურვილების სრულ იგნორირებას ახდენენ.

„პერსონაჟი თითქოსდა დაცლილია ადამიანური განცდებისაგან, წარმოდგენილია, როგორც განყენებული იდეის კონკრეტული ხორცშესხმა და არა თავისთავადი, რეალური ცხოვრებისეული იმპულსებითა და მიზნებით გამსჭვალული ადამიანი“<sup>4</sup>.

აი, ასეთი პიროვნება უნდა ყოფილიყო დავით გარეჯელი და ასევე ჰყავს იგი წარმოდგენილი მისი ცხოვრების ავტორსაც. „აწ უკუე განმწნდი, ძმაო, და განძლიერდი, რამეთუ მოლუაწეთანი არიან გვრგვნნი და არავინ თვნიერ მბრძოლთა ძლევისა და ჭირთა თავს-დებისა გვრგვნოსან იქმნების, ხოლო ღმერთმან სახიერებათაებრ მისთა გამოგუზარდნეს ჩუენცა სხუათავე თანა უმარნი ესე მონანი მისნი“<sup>5</sup>.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ დავით გარეჯელი არ იყო ზემოჩამოთვლილი თვისებების მატარებელი, მაგრამ ცხოვრებაში ჩართული ფაქტები მეტყველებენ იმას, რომ ავტორი აშკარად აზვიადებს, როცა წარმოვიდგენს დავითს გაზეკაცებულ და ღვთიურ ძალამინიჭებულ პიროვნებად. რადგანაც ეს პრინციპი საერთოა ჰაგიოგრაფიული ლიტერატურისათვის, ამიტომ ასეთი პიროვნება არა მარტო დავით გარეჯელი, არამედ ყველა ასურელი მამა. „საღმრთოთა იოანე განაზრახებდა მათ განფრთხოზად სიღერაგეთა მიმართ ეშმაკისათა და განუცხადებდა შურსა და სიძულილსა, რომელსა მქონებელ არს კაცთა ნათესაისა მიმართ მოშურნე...“ საღმრთო იოანე: „სწავლიდა მათ მარხვისა მიერ და შლვძარებისა და ლოცვისა სამარადისოჲსა განკრძალვად მანქა-

<sup>3</sup> Д. С. Лихачев, Человек в литературе Древней Руси, М., 1970, გვ. 32.

<sup>4</sup> რ. ბ ა რ ა შ ი ძ ე, ადამიანის ასახვა ადრეულ პროზაში, ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 5.

<sup>5</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1955, გვ. 154 (ქვემოთ: ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებანი).

ნებათა მიმართ მაცთურისა სატანაჲსათა და დაქნობისა მიერ კორცთა ამით მბრძოლთასა ამცნებდა მათ დამკობასა გულის-თქუმათა და გემოთასა<sup>6</sup>. ისინი „იდეალური ადამიანები არიან და არა ჩვეულებრივი მიწიერი“ და სწორედ, „აგეოგრაფიული მწერლობის თავისებურებაც იმაში მდგომარეობს, რომ ეს იდეალური ადამიანები ამავე დროს ისტორიული პიროვნებანი არიან“<sup>7</sup>.

დავით გარეჯელი არის განსახიერება იდეალური ადამიანისა, იდეალური ქართველი მოღვაწისა, რომლის სახეში ნაჩვენებია მოცემული ეპოქისათვის დამახასიათებელი დიდი სოციალური იდეალები. «В основе каждого явления лежала лишь одна идея. Следовательно, передавая эту идею, необходимо было строго придерживаться ее сущности—так как сущность ее была неизменной, и раз навсегда установленной»<sup>8</sup>.

მსჯელობს რა ხასიათების პრობლემებზე, დ. ლიხაჩოვი თავისი წიგნის ერთ-ერთ თავში («Проблема характера в исторических произведениях нач. XVII в.») აღნიშნავს, რომ: „Исторические памятники XIV—X V вв. не дают нам возможности живо воспроизвести облик каждого из этих князей“<sup>9</sup>.

ქართული ჰაგეოგრაფიული ლიტერატურის კვლევისას ამას ყოველთვის მთლიანად ვერ დავგვიყარებთ. მართალია, ზოგადად ასურელი მამები ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ, მეორე მხრივ, ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული არიან. მათზე ვერ ვიტყვივით მთლიანად იმას, რასაც დ. ლიხაჩოვი ამბობს რუსული ლიტერატურის პერსონაჟებზე: «Все московские князья до Ивана III как две капли воды похожи друг на друга, так что наблюдатель иногда затрудняется решить, кто из них Иван и кто Василий»<sup>10</sup>. ე. ი. ერთ პიროვნებას, რომ მეორის სახელი დავარქვავთ, ამით არც პიროვნების ხასიათი შეიცვლება, არც მისი მსოფლგაგება და არც ნაწარმოები.

შოი მღვიმელმა სამოცი დღე დაპყო მშვიერ-მწყურვალმა: „განასრულა ღირსმან შოი სამეოცი დღე ყოვლად მიუღებელმან საზრდელისა და სასუმელისამან“<sup>11</sup>. დავითმა „ვეითარცა მიიწივნეს, პირველ თქუმულსა მას უღაბნოსა შეიშთებოდეს წყურილითა და თანად სიცხითა შეიწუებოდეს, რამეთუ ესე ადგილი მრავლად შემწუელი არს მზისა მცხინვარებითა“. შემდეგ მუღაბნოეებმა „პოვეს, რომელსამე ნაპარლსა შინა კლდისასა წყალი მცირე ცუართაგან წვიმისათა შეკრებული და ამისგან მიმღებელთა სუეს რაოდენ დამაცხრობელად წყურილსა შემამფოთებელსა“<sup>12</sup>.

აქედან უკვე აშკარაა, რომ მათი შეგნება, შეხედულება, იდეალი მიიწვ გარკვეულად განსხვავებულია.

ყურადსაღებია, ამ პერიოდის ადამიანში სულიერი სიმტკიცის, ძლიერებისა და მთლიანობის გამოკვეთა. ყველაფრის ამოსავალი არის სიკეთე. მხოლოდ და მხოლოდ ამ თვისების მატარებელ პიროვნებას შეუძლია გახლეს „მო-

<sup>6</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებანი, გვ. 149—150.

<sup>7</sup> რ. სირაძე, თეორიულ-ლიტერატურული მოსაზრებანი ადამიანთა მხატვრული სახეების შესახებ, მველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ., 1975 გვ. 196—197.

<sup>8</sup> Лазарев В. Н., Византийская эстетика. История Византийской живописи, М., 1947, გვ. 29.

<sup>9</sup> დ. ლიხაჩოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 6—7.

<sup>11</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებანი, გვ. 92.

<sup>12</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებანი, გვ. 151—152.

ნა ღმრთისა“: „ავიოგრაფიულ თხზულებაში იდეა მოწოდებულია დადებითად მაგალითზე და არა უარყოფითის დაგმობით“<sup>13</sup>. ამ შემთხვევაში, რა თქმაუნდა, გამორიცხულია აბსოლუტური სიკეთის ქმნადობა, რაც ღმერთს ახასიათებს. „ამის ლოცვისა სრულ მყოფელმან მიყო კელი თვისი და შეახო მარჯუნესა მის ბარბაროსისასა და მყის შინა განიკურნა იგი და მოეგო ვითარცა მეორე იგი კელი“<sup>14</sup>.

განვიხილოთ, თუ როგორ პოეებს გამობატულებას მაკრო- და მიკროკოსმოსი ადამიანში.

შუა საუკუნეთა ესთეტიკური კანონის, როგორც კულტურის ზოგადი პრინციპის, გაცნობიერების მთავარი კრიტერიუმი მოიცავს რიგ ისეთ წინამძღვრებს, რომელთა უდავო სახით მიღება საეალღებულოა თვითონ შუასაუკუნეობრივი ესთეტიკისათვის.

არ შეიძლება ორიოდ სიტყვით არ აღინიშნოს, რომ მიკრო- და მაკროსამყაროს გაგების თვალსაზრისით შუასაუკუნეებში სრულიად ერთნაირი, უცვლელი მდგომარეობა როდი გვაქვს. აქ გაირჩევა ადრინდელი და უფრო გვიანდელი თვალსაზრისი მაკროს და მიკროს შეთანაზომებისა: ჩვენ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების მიხედვით აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის დროს საქმე ადრეული შუა საუკუნეების ქრისტოლოგიასთან გვაქვს.

ადამიანი ესაა მიკროკოსმოსი თავისი სულიერი და ფიზიკური რეალობით.

«Для византийца вселенная неизменно распадалась на два резко обособленных мира—мир чувственный и мир духовный, ... в котором царил полная гармония. Здесь каждый материальный предмет находит свой идеальный прообраз, свои идеи, представлявшие творческие мысли бога. Эта же двойственность проявлялась и в человеке, как микрокосм в макрокосме, распадавшемся на духовное и материальное начало»<sup>15</sup>.

ადამიანმა უნდა დათრგუნოს თავის თავში მატერიალური, ანუ ხორციელი და განავითაროს სულიერი საწყისი, ანუ ღვთაებრივი, მაგრამ ადამიანს უჭირს ეს.

ყოველივე აქედან ცხადია, რომ ადამიანი შუა საუკუნეების ხელოვნებისათვის რჩება იმ სიდიდედ, რომლის გარშემო თავს იყრის ფიზიკური და სულიერი ცხოვრების ყველა განზომილება და, რადგან ჩვენ გვიანტერესებს ლიტერატურული სახე, უნდა გვახსოვდეს, რომ მის გარშემოა თავმოყრილი ეთიკური, ლოგიკური და ესთეტიკური პრობლემები.

დავით გარეჯელის იდეალი, ისევე როგორც ჩვეულებრივად სხვა ასკეტი ბერებისა, სწორედ ამქვეყნიური, ხორციელი ბუნების დაგმობაა, რათა ეზიაროს სულიერს, ღვთაებრივს.

„მცირედ ჟამ დაითმინეთ კნინი ესე სატკივარნი და საუკუნოდ იხარებდით ტკბილთა მათ შინა განსასუენებელთა კეთილთა ნაცვალის მომცემელისა ღმრთისა მიერ“<sup>16</sup>.

ამით დავით გარეჯელი ჩვეულებრივ ადამიანურზე მაღლა დგას. რაც უფ-

<sup>13</sup> რ. ს ი რ ა ძ ე, დსახ. ნაშრომი, გვ. 201.

<sup>14</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებანი, გვ. 171.

<sup>15</sup> ვ. ლ ა ხ ა რ ე ვ ი, დსახ. ნაშრომი, გვ. 23.

<sup>16</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებანი, გვ. 185—186.



რო შორდება ხორციელ სამყაროს, მით უფრო უახლოვდება ღმერთს<sup>17</sup>. ზვენიტაძის ოგრაფის იდეა ასეთია: საჭიროა ამალღება ჯერ დავითის შეგნებამდე და შემდეგ ღმერთამდე. პირდაპირ ღმერთთან მისვლა შეუძლებელია, დავითია განსახიერება ღმერთისა და ხალხის კავშირისა. ამიტომ დავით გარეჯელი გარკვეული იერარქიის ცენტრალური ფიგურაა: ხალხი-დავითი-ღმერთი. სანატრელმა დავითმა „ვითარ მზემან უკუნსა წყუდიადსა შინა მსხდომარე ერი ქართველთა განანათლა მოძღურებითა მიერ და სწავლათა თვსთა და საკრველებათა და ნიშთა, რომელთა აღასრულებდა მის მიერ მადიდებელთა მისთა მადიდებელი უფალი“<sup>18</sup>.

დავით გარეჯელის პიროვნება იკვეთება შემდეგი გზებით:

1. ავტორისეული დახასიათება. დავითი იყო „შობასა და აღზრდასა მიმთხუეული კეთილთა მშობელთა მიერ და საღმრთოთა სწავლათა მიერ განათლებული და ზეციერთა პურითა განმტკიცებული, ესე იგი არს საუფლოთა და ღმერთ-მყოფელთა სიტყუათა მიერ სახარებისათა“<sup>19</sup>.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ დავით გარეჯელის ცხოვრების ძირითად მომენტებზე. ძველი არაა გადატვირთული ზედმეტი ფაქტებითა და აღწერით. ავტორს არ აინტერესებს დანაწევრებულად, დაწვრილებით, ღრმა ჩაწვდომით გადმოგვეცეს პერსონაჟის ცხოვრება. მისთვის მთავარია გვაჩვენოს დავითის მოწამებრივი სახე, ამისათვის იგი პერსონაჟს უქმნის მოქმედების ისეთ ფონს, რომ მისი მოწამებრივი ხასიათი უფრო გაამკვეთროს და გაამძაფროს. ავტორისათვის მთავარია შექმნას სახე იდეალური ასკეტი ბერისა, სახე იდეალური მოწამისა და პიროვნებისა (მოწამისაო, იმიტომ ვამბობთ, რომ ცხოვრებათა პერსონაჟების თავდადებაც მოწამეობად ითვლებოდა). სწორედ ამით მისდევს იგი ჰაგიოგრაფიულ ტრაფარეტს.

კიდევ მეორე ძირითადი მომენტი, რაც აგრეთვე ჰაგიოგრაფიული მწერლობისათვისაა დამახასიათებელი და რასაც დავით გარეჯელის ცხოვრებაშიც ვხვდებით, ესაა მოკლედ გადმოცემა პერსონაჟის სიყრმის პერიოდისა; გვიჩვენოს, რომ ეს იდეალები, მისი სწრაფვანი გვიან მონიჭებული, შეძენილი კი არაა, არამედ თანდაყოლილი, იმთავითვე მისთვის დამახასიათებელი: „ამან მონაზონებრივისა მოქალაქობისა შემტკობელმან სიყრმითგანვე აღილო ჯუარი უფლისაჲ, მკართა ზედა და მოსწრაფებით შეუღდა კეთილსა მოძღუარსა და მასწავლელსა უფალსა თვსა“<sup>20</sup>.

გარდა ამისა, ავტორს სურს გამოკვეთოს პერსონაჟის ხასიათები, მისი სიმდაბლე: „ყოველითურთ მიბაძვებასა მოძღურისასა მოსწრაფე იყო სახესა მონაზონებისასა მიმღებელი და ტკბილსა მას უღელსა მტკრთველი უფლისა მცნებათაჲსა, და ყოველსავე სიმდაბლესა და მორჩილებასა მარუენებელი მოძღურისა მიმართ თვისსა, ვითარ სიმაღლისა სიმდაბლისა მიერ მომვაჟრებელი წერილისაებრ, რამეთუ ყოველმან, რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“ სიტყვსაებრ მაცხოვრისა“<sup>21</sup>.

<sup>17</sup> «Это учение о воплощении является центральной догмой всего восточного христианства, играя в нем несравненно более значительную, нежели на Западе, роль. На нем базируется частичная реабилитация материального мира, на нем основана вера в грядущее преодоление греха и смерти, через него человек становится среди всех плотских существ наиболее близким к богу созданием». Лазарев В. Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

<sup>18</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებანი, გვ. 145.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 148.

<sup>20</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებანი, გვ. 148.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 148.



II. პერსონაჟის დახასიათება ხალხის თვალთახედვით. „ქემარიტად დიდება ღმრთისა, რომლისათვის შენ შრომათა და ლუაწლათა მოთმინებამ აღგვირჩევინ უდაბნოსა ამის შინა ყოვლითურთ უღონოსა და უპოვარსა, არამედ ჩუენცა, ვითარ ქრისტეს სამწყსოდ მყოფნი, გვზიარენ სიწმიდისა შენისა, ღმერთშემოსილო მამაო, რათა სრული ღმრთის მეცნიერებაჲ ვისწაოთ შენ მიერ, რამეთუ ჩუენ ამიერიითგან არღარა დაგიტეოთ შენ ერთგზის მპოვნელთა სულიერისა საუნჯისათა, არამედ დავადგრეთ შენ თანა და ვითარცა უფალსა და მოძღუარსა სულთა ჩუენთასა გამსახურებდეთ“<sup>22</sup>.

როგორც ვხედავთ, აქ სწორედ იმის დადასტურებაა, რაზედაც ადრე შევნიშნეთ. ხალხს შეცნობილი აქვს, რომ დავითმა მიიყვანა და აზიარა ისინი სიწმინდეს, რომ იგი არის სწორედ შემაერთებელი ხიდი ხალხისა და ღმერთისა. ამ გაგებით დავითი არის ღვთაების სულიერი მადლის მონაწილე და ხალხის ღვთაებამდე ზემყვანებელი.

III. პერსონაჟის ხასიათის თვითგახსნა: თუ პერსონაჟის ხასიათის თვითგახსნაზე შეიძლება ლაპარაკი ჰაგიოგრაფიაში, მხოლოდ ერთი აზრით: პერსონაჟი თავის თავზე საუბრობს მხოლოდ სინანულისა და სიმდაბლის გამოხატვის მიზნით: „მე მონა ვარ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი და ვევედრები მოწყალებათა მისთა მოტევებად ცოდვათა ჩემთა სიმრავლესა და რათა უშფოთველად ღირს მყოს წარსლვად წუთისა ამის საწყუთოასა“<sup>23</sup>.

„სინანულისა და სიმდაბლისაგან განსხვავებული მხოლოდ ერთი განწყობა შემოდის — ესაა ბოროტების დათრგუნვა“<sup>24</sup>. ასეთია, მაგალითად, დავითის და ვეშაპის ურთიერთდაპირისპირება: „უკუეთუ არა სრულ ჰყო სიტყუაჲ ჩემი და არა წარხვდე ამიერ, ამით კუერთხითა და ჭუართა ქრისტესითა განხვებოქო მუცელი შენი“<sup>25</sup>.

„მითოლოგიური პერსონაჟებისადმი აგიოგრაფიის, ასე ვთქვათ, პოზიტიური მიმართებაც ახასიათებდა. მითოლოგიაში საუკუენთა მანძილზე ყალიბდებოდა ეროვნული გმირის სახე. მასში ჩაქსოვილი იყო სხვადასხვა ურთიერთგანსხვავებული ეპოქის პლასტები. ისინი, თუ შეიძლება ითქვას, „დალექილი“ იყო წინაქრისტიანული გმირის სახეში და ხალხის შეგნებაში განმტკიცებული. აგიოგრაფიულ მწერლობასაც, ასე თუ ისე, ანგარიში უნდა გაეწია მათთვის“<sup>26</sup>.

მართალია, არაგადამწყვეტ, მაგრამ ზოგჯერ მაინც გარკვეულ ფუნქციას ასრულებს გმირის სახეში ფიზიკური ძალა: „აღმპყრობელი კუერთხისა, რომელი მოაქუნდა ჯელთა შინა მისთა, რისხვით აქადებდა მკეცსა მას მეტყუელი“<sup>27</sup>.

ქრისტიანული და ანტიკური მსოფლშეგრძნების შედარება მეტი რელიეფურობით გამოიჩინს მშვენიერების ანტიკურ და ქრისტიანულ კრიტერიუმებს.

ამ თვალსაზრისით წინამოვალ კულტურასთან ჰაგიოგრაფიის შეპირისპირება იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ თვალნათლივ გამოჩნდეს, თუ რა ევო-

<sup>22</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებანი, გვ. 164.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 169.

<sup>24</sup> რ. ს ი რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 201.

<sup>25</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებანი, გვ. 159—160.

<sup>26</sup> რ. ს ი რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 198.

<sup>27</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებანი, გვ. 159.



ლუცია განიცადა ფიზიკური და სულიერი მშვენიერების იდეალმა, რელიგიური-ისტორიული ეპოქის ევოლუციის კვალობაზე.

როცა ვაღარებთ ანტიკურსა და ქრისტიანულ იდეალებს, ერთი კანონზომიერება ვლინდება: ანტიკური ეპოქის მთავარი იდეალია მშვენიერება, ქრისტიანულისა — ამაღლებული. მშვენიერება იმგვარი მხატვრული მოვლენაა, რომელიც ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს, ამაღლებული კი იწვევს შთაგონებას, ჩვენ სულიერ ამაღლებას.

მშვენიერების ესთეტიკური ბუნება გარეგნულადაც მქლავნდება, ე. ი. იგი ითხოვს პერსონაჟი იყოს გარეგნობით და ქცევით მომხიბლავი. ამაღლებული სახე მხოლოდ მისი სულიერი ბუნებით ფასდება ქრისტიანულ ხელოვნებაში. (სხვაგვარია ამაღლებული ანტიკურ ხელოვნებაში. აქ ამაღლებულობას ქმნის გრანდიოზულობა არქიტექტურისა ან ქანდაკებისა, ან გმირის ზებუნებრივი ფიზიკური ძალა).

ამიტომაც, პავლოვარაფი ავტორები ხატავენ პერსონაჟთა სულიერ სიღრმეს. გმირის შინაგანი სამყარო მიმართულია ყველაზე უფრო ამაღლებული-საკენ, ანუ ღვთაებისაკენ.

ხორციელი-სულიერის ოპოზიცია — გარკვეულად უკავშირდება რელიგიის თეორიულ დებულებას პირველცოდვის მემკვიდრეობითობის თაობაზე. ცოდვის სათავე ადამიანის ხორციელი, მატერიალური ბუნებაა, რომლისგანაც სულის გამოთავისუფლების ცდაა მთელი სიცოცხლე წმინდანისა.

საფიქრებელია, რომ სწორედ ამის გამო აცხადებს უარს დავით გარეჯელი იერუსალიმში შესვლაზე: „არა, მჰანო, არა, არღარა ვიკადრო მე ამით ადგილით წაღმართ სვლად, რამეთუ ყოვლად უღირსად ვსჯი თავსა ჩემსა, მხოლოდ მიახლებად წმიდათა მათ ადგილთა, ხოლო თქუენ წარვედით და ჩემ ცოდვისათსცა ლოცვა-ყავთ ღმრთის შემწყნარებელსა საფლავსა ზედა“<sup>28</sup>.

აქად. ქ. კეკელიძე აქ დავითის ბიოგრაფიული სინამდვილის გადმონაშთს ხედავს. იგი მიუთითებს, რომ „ამ ეპიზოდში ჩვენ გვაქვს ბუნდოვანი გამოძახილი რალაც სინამდვილისა, ... დავითის ქალაქში შეუსვლელობა გამოწვეული იყო იმით, რომ ის მონოფიზიტი იყო, იერუსალიმი კი ამ დროს დიოფიზიტ პატრიარქების ხელში იყო და მონოფიზიტობა აქაც სასტიკად იდევნებოდა. სამი ქვის გამოტანაში მაშინდელმა იერუსალიმის ქალკედონიტ-პატრიარქმა დაინახა „იერუსალიმის „მადლის“ მოტაცება მონოფიზიტების მიერ, მას არ უნდოდა ეს „მადლი“ მწვალებელისათვის დაეთმო და შეეცადა უკან დაებრუნებია იგი“<sup>29</sup>.

შესაძლებელია ასეც იყოს, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ მთავარი ის კი არ არის, დავითი ნამდვილად წავიდა, მართლა მონოფიზიტები და დიოფიზიტები იბრძოდნენ თუ არა და ა. შ., ე. ი. ნაწყვეტიდან რეალური ამბავი ამოვიკითხოთ. ავტორს რომ ეს სდომებოდა, მაშინ მას წასვლის აზრის რეალური საფუძველი უნდა მოეცა, ან ეჩვენებინა ამ ბრძოლის ანარეკლი. მაშასადამე, უნდა დაენახებინა დავითის წასვლის მიზანი. თუ ავტორს რეალური ამბის გადმოცემა სურდა, ასე გაუგებრად რატომ გამოხატა იგი? რისთვის დასჭირდა ეს ავტორს?

<sup>28</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებანი, გვ. 178—179.

<sup>29</sup> ქ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში შემოსვლის შესახებ, ეტიუდები ქველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 1, თბ., 1956, გვ. 31.

ეფექტობთ, რომ აქ მთავარია ავტორის დამოკიდებულება დავით გარეჯელის პიროვნებისადმი, ე. ი. მთავარია წმინდანობის ნიშან-თვისება.

მართალია, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, დავითი ხალხზე მაღლა დგას თავისი სულიერი ამოღებულობით, მაგრამ ასეა თუ ისე, ის მაინც ჩვეულებრივი ადამიანია, ჩვეულებრივი მოკვდავი და ისევე, როგორც ყველა ადამიანი, ისიც ცოდვილია. პოტენციურად ამ ცოდვის მემკვიდრეა. ამის დაძლევა მისი მოღვაწეობის სულიერი შინაარსი, ამიტომაც უწოდებს იგი თავის თავს ხშირად უღირსსა და ცოდვილს:

„ემა სიწრფოვებასა და სიმარტივესა საღმრთოსა ამის მამაკაცისასა, რომელი ესოდნთა გზათა შრომასა თავს-მღებელი და წმიდათა კელთა შინა მქონებელი სასურველისა და საძიებელისა უღირსად სჯდა თავსა თვსსა მხოლოდ დათრგუნვად ფერჯითა თვსითა და მიახლებად ღმერთ-მყოფელსა მიმთხუეულთასა“<sup>30</sup>.

რადგან უმთავრესი თვალსაზრისი სამყაროს წარმოშობაა, მისი განვითარების მიზანი იყო სწორედ პირველყოფა — დაცემის კონსმოსური საწყისი აქტი.

ამ რიგის საკითხები საფუძვლიანად აქვს შესწავლილი ლ. გრიგოლაშვილს თავის ნაშრომში „დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ კონცეფციისათვის“<sup>31</sup>.

თავდაპირველად ღვთაებრივი, როგორც ერთადერთი განმსაზღვრელი ნიშანი, მთლიანად მოიცავდა მთელ არსებობას. იგი იყო მისი ერთადერთი ფორმა და მისგან განსხვავებული ფორმა არ არსებობდა. სამოთხის ცენტრში მოაზრებული „ცხოვრების ხის“ სიმბოლო პოტენციურად ადამიანის ღვთიური არსის რეალიზაციას წარმოადგენდა. ღვთით შემოსილ და მასში რეალიზებულ პირველარსებობას გადმოსცემს ზეციური ადამი, ზეციური პირველადამიანი, სრულყოფილი და საბოლოო მიზანი არსებობის ნამდვილობის თვალსაზრისით. „ხილულა სამყაროს შექმნამდე შეიქმნა სამყარო უხილაგი“.

უხილავება-ხილულობაში, მის თავდაპირველ სტადიაზე ჯერ კიდევ არ იგულისხმება ორი სამყაროს (ცა-მიწის) არსებობა, რადგან არსებობს მხოლოდ ერთიანობა. ნათლის სამოსელით შემოსილი ადამის არსებობა არის ღვთიური არსებობის გარკვეული ასპექტი, სულის გამოვლენის გარკვეული სტადია, რასაც არ გააჩნია ფიზიკური მატერიალური განხორციელება.

როგორც კი პირველად ადამიანმა ისურვა თავისი მზერა ღვთაებრივი სულის ასპექტიდან თვითშემეცნებისაკენ გადაეტანა, მაშინვე გაქრა „ცხოვრების ხის“ იდეა და მისი ადგილი „ცნობადის ხემ“, როგორც სიკვდილის სიმბოლომ, დაიკავა. ამ კონსმოსური კატასტროფის ჩამოყალიბებაში ისევ და ისევ საკუთარი ნება — თავისუფალი არჩევანის შინაგანი მოთხოვნილება არის განმსაზღვრელი და არავითარ შემთხვევაში ღვთიური ჩარევა, რაც დიალექტიკურად ხსნის, აუქმებს ბოროტების არსებობას და რასაც ქრისტიანობაში განმსაზღვრელი როლი ენიჭება. პირველყოფის აქტი თვითშემეცნების იმპულსს უკავშირდება. ისაა ნაყოფი თავისუფალი ნებისა, მის შედეგად ხდება დაცილება პირველყოფიერებისაგან, სადაც არ არის გარჩევა დედაკაცისა და მამაკაცისა, ღვთიურისა და ადამიანურისა ამ გაყოფის, გათიშვის, დაცილების იმ-

<sup>30</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებანი, გვ. 179.

<sup>31</sup> ლ. გ რ ი გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლიტერატურის საკითხები, II, თბ., 1971.

5. მ ა ც ნ ე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1981, № 3

პულსების ბოლომდე რეალიზაცია ბადებს ბოროტებას — სიკვდილს. პირველ-  
 ცოდვის ასეთნაირი გავლენა არის მისი მატერიალიზაციის საწყისი. „დაევალ-  
 დი მსგავსებას და დაებადე ბოროტი“ როგორც ფორმულა განსაკუთრებით  
 გარკვეულია.

ბოროტება არის მხოლოდ სიკეთის მსგავსების დაკლება და შესაბამისად  
 იგი არაა დამახასიათებელი ღვთიური საწყისისათვის.

ქრისტიანული მონიზმით სიკეთეში წილი მხოლოდ ერთ ღვთაებრივ ნე-  
 ბას ან ენერგიას უდევს. ამიტომ მისგან დაცილების საბაზი და მიზეზი არ მოი-  
 ძებნება მის გარეთ, სხვა საწყისში; ეს თავიდანვე პრინციპულად და თავისთა-  
 ვად მოხსნილია, რადგან სხვა რამ როგორც საწყისი არ არსებობს. მაშასადა-  
 მე, თუ მაინც გამოვლენილია როგორც „ცნობადის ხის“ სიმბოლო, აქ იგი  
 შემთხვევით ხასიათს ატარებს და არ გააჩნია სუბსტანციური, საწყისისეული  
 საყრდენი, ესე იგი მხოლოდ დროებითი მოვლენაა. ამიტომ ბოროტების არა-  
 სუბსტანციურობა საბოლოოდ თვალნათლივია როგორც ფაქტი, რადგან არეო-  
 პაგელის თვალსაზრისით, იგი საერთოდ არ არსებობს არც არსთა შორის, არ-  
 ცა არაარსთა. ბოროტებას მხოლოდ იქა აქვს ადგილი, სადაც ღვთაებრივი ნა-  
 თელი სუსტდება და, ამდენად, იგი ჩრდილის სარკისებურად არეკლილის შემ-  
 თხვევით გავლენას წარმოადგენს. ნაწარმოების პერსონაჟები გამოხატავენ  
 აღამიანის ზოგადი ბუნებიდან ერთ-ერთს: ან ღვთიურს, ან შემთხვევითს, არა-  
 სუბსტანციურ ბოროტ საწყისს. ორივე შემთხვევაში ამ გაგებას ძალიან ღრმა  
 კავშირი გააჩნია პირველყოფილ-დაცემის აქტის პრობლემასთან და ამავე  
 დროს არ უშვებს მხედველობიდან ბოროტების არასუბსტანციურობას, არა-  
 არსისებულობას, რადგან სხვანაირად ქრისტიანული მოძღვრების უდიდესი  
 მონაპოვარი — მონიზმი დადგება ეკვის ქვეშ.

დავით გარეჯელის პიროვნების ჩვენება ნაწარმოებში ერთ საერთო აზრს  
 უკავშირდება: პიროვნების ძლიერი ნებისყოფა, დიდი შინაგანი სიმტკიცე,  
 უდიდესი რწმენა ღმრთისა და მისი მსახურება, რისთვისაც უარყოფილდა ამ-  
 ქვეყნიური ცხოვრება, რისთვისაც ხდება გახიზვნა უდაბნოში და იქ დამკვიდ-  
 რება.

პავლოგრაფის მიერ ისეა მოწოდებული ასკეტი ბერის ცხოვრება, რომ  
 იგი თითქოს იმალება, სურს არავინ მიაგნოს, მაგრამ არსებითად, ყოველივე  
 ეს იმისათვის კეთდება, რომ ეძებონ, მიაკვლიონ და მას დაუკავშირონ თავი-  
 ანთი მოღვაწეობა, სხვა ამ წესზე მოაქციონ, რათა აშენონ, ერთი სიტყვით,  
 ახალი გზები გაკაფონ.

„მსმენელნი ყოველნი და უმეტესითა სურვილითა აღძრულნი ყოვლით  
 კერძო შემოკრებობდეს მისა, და დღითი-დღე ფრიალი სიმრავლე მოიწყოდა  
 უდაბნოსა ამას შინა“<sup>32</sup>.

აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს: „მონოფიზიტური ასკეტიზმი ინდივიდუა-  
 ლისტური ხასიათისა იყო. მის იდეალს შეადგენდა უფრო განდევნილობა,  
 მარტოდ ცხოვრება, ვიდრე ეგრეთ წოდებული კენობითობა, ან ზოგადი ცხოვ-  
 რება, თუმცა ამავე დროს აქ ვხვდებით მაგალითს ფართო კენობითობისასაც. —  
 ასეთივე ხასიათისაა ათცამეტ მამების ასკეტიზმიც, ისინი უეტრფიან განდევ-  
 ნილობას, დაყუდებას, თუმცა არ გაურბიან კენობიასაც“<sup>33</sup>.

<sup>32</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებანი, გვ. 182.

<sup>33</sup> კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

განდევილური მოღვაწეობა თუმცა ინდივიდუალურია, პირადულია, მაგრამ ამასთან ერთად საბოლოო ჯამში საზოგადოებას, ქრისტიანულ მრწამსს, ხალხს ემსახურება.

ისეთი პიროვნება, როგორც არის ბუბაქარი, არ შეიძლება გავხედვით მსახური, სანამ იგი თავის ცოდვას არ შეიცნობს, სანამ არ მიხვდება, რომ ბოროტებას ჩადის. თავდაპირველად ბუბაქარზე მსჯელობისას ავტორი მას ბარბაროზად იხსენიებს, ბუბაქარი ასე მიმართავს დავითს: „მე საწყალობელო ბერო, მე მოკუდინებამი შენი მეგულეების და შენ განრინებასა მეტყუა ამის მფრინველისასა სიკუდილისაგან? თანამდებ-იყო შენდა უწინარეს თავისა თვისისათვის ვედრება ჩემთვის, ვიდრედა ამის ფრინველისათვის“<sup>34</sup>.

პიროვნების გარდასახვა ხდება თავისი თავის შეცნობით. იგი სულ სხვა ფსიქოლოგიისა და მისწრაფებების მატარებელი ხდება.

«Враг изображается обычно в момент своего выступления в поход... или в момент своего поражения, когда он бежит с позором, «дав плечи», или обнимает ноги победителя, «обещаяся работе быть ему»<sup>35</sup>.

სწორად რეალური მოვლენების მხატვრულ ასახვაში ირეალური მომენტებია წინა პლანზე წამოწეული. სწორედ ამ პრინციპითაა გააზრებული დავით გარეჯელის „ცხოვრება“, საიდანაც ნათლად ჩანს სულის ბატონობის იდეალი.

ბუბაქარის გარდაქმნა დავითის მეშვეობით ხდება. პერსონაჟი მთლიანად იცვლის სახეს, ხასიათს, იცვლება მისი შინაგანი სულიერი განწყობა. მაგრამ იგი გაორებული არ არის, არ ორჭოფობს, თავს არ იკავებს, რომ აღიაროს ღვთის ძალა და გახდეს მისი ერთგული მსახური.

„მე და ყოველმან ნათესავმან ჩემმან შეწყყარებულთა ნათლისღებისათა თაყუანის-ვისცეთ უფალსა შენსა და ვაქებდეთ და ვადიდებდეთ ყოველად დიდებულსა სახელსა მისსა უკუნისამდე. და ვიყო მე მსახურ სიწმიდისა შენისა საკმართა მიერ ჩემთა“<sup>36</sup>.

„რა სიახლე შემოიტანა აგიოგრაფიულმა მწერლობამ იდეალური გმირის დახატვისას მითოლოგიასთან შედარებით? უპირველესად, უნდა ითქვას შემდეგი: იმ დროს, როცა მითოლოგიურ ეპოსში ფიზიკური ძალის კულტია დამკვიდრებული, აგიოგრაფიული მწერლობა ადამიანს სულიერი ბუნების მიხედვით აღდეგებს. ეს იყო სიახლე“<sup>37</sup>.

ავტორი დავით გარეჯელის ცხოვრებიდან განსაკუთრებული ყურადღებით ხატავს იმ უცვლელ არსს, რაც ღვთიურობას უკავშირდება. ეს არის მისთვის მთავარი და ეს უცვლელი ბუნება დახატულია ცალკეული მხატვრული სურათებით, რომლებიც იცვლებიან, ურთიერთს ცვლიან.

„დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ წარმოჩენილია ქრისტიანულ მოღვაწეთა ბუნებასთან კავშირი, როგორც ახლა გამოჩვენებულია<sup>38</sup>, დავით გარეჯელისა და სხვა ასურელ მამათა მოღვაწეობა რეალურად უკავშირდება ქვაბს. მათი

<sup>34</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებანი, გვ. 169.

<sup>35</sup> დ. ლ. ი. ხ. ა. ო. ვ. ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

<sup>36</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებანი, გვ. 171—172.

<sup>37</sup> რ. ს. ი. ა. ძ. ე., დასახ. ნაშრომი, გვ. 198.

<sup>38</sup> გ. გ. ა. ფ. ი. ნ. დ. ა. შ. ვ. ი. ა., ძველი ქართული კულტურის კვლევის სპელესტიკური პრობლემები და გარეჯის უდაბნო, სპელესტიკური კვლევა-ძიებანი, სპელეოლოგთა სამეცნიერო სესიი, XII, თბ., 1977, გვ. 3.



ქვაბში ყოფნა ასკეტიზმის თვალსაზრისით გასაგებია. თვით სიტყვა სოციალურად საფარს ნიშნავს და ეს ქვაბი — კლდის სიღრმევე ის სადგომია, სადაც თავს აფარებენ ცხოვრებიდან განდგომილი დავითი და სხვა მეუღლებ-ნოენი. განდგევი ბერების მოღვაწეობა აუცილებლად ქვაბთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, რადგან უდაბნო გულისხმობს ქვაბოვან თავშესაფარს.

ამ ფაქტის დადასტურებას მნიშვნელობა ენიჭება ნაწარმოებში რეალური და ირეალური მოვლენების გამოსაყოფად, მწერლის მხატვრული პრინციპების გარკვევისათვის.

ამრიგად, ავტორის მხატვრულ ასახვაში ქვაბი და უდაბნო რეალური რაობანია. ამასთანავე საყურადღებოა მათი ტერმინოლოგიური მნიშვნელობა. ამ დროს სიტყვა მონასტერი არ არსებობს, ტერმინი „მონასტერი“ მკვიდრდება სამონასტრო მოძრაობაში VIII—IX ს-დან<sup>39</sup>, თუმცა უდაბნოც და ქვაბიც ამის შემდეგაც გამოიყენება. უდაბნოს, ისევე როგორც სვეტის და ქვაბის, დანიშნულება ამქვეყნისაგან, როგორც „ცოდებათა სადგურისაგან“, ფიზიკურ განრიდებას უკავშირდება. ამავე დროს, მაკრო- და მიკროკოსმოსის ანალოგიის თვალსაზრისით, იგი საკუთარი ხორციელი, მატერიალური ბუნებიდან გაქცევაცაა.

უდაბნო, სვეტი, ქვაბი, სულიერი სიმარტოვის და შესაბამისად წმინდანისათვის „ჰაგიოგრაფიული დეკორაცია“<sup>40</sup>. აქ წინა პლანზე გამოდის დუმილი როგორც გამოუთქმელი სიტყვის, ღვთიური, სულიერი ასპექტის მაჩვენებელი. ამას ეყრდნობა დუმილის ესთეტიკა, როგორც ასკეტიზმის ერთ-ერთი მისტიკური პრინციპი.

«В глазах византийца человек был неподвижен тогда, когда он был преисполнен сверхчеловеческим, божественным содержанием, когда он так или иначе включался в покой божественной жизни»<sup>41</sup>.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ამ აზრის კლასიკური ფორმულირებაა — „დუმილი ოქროა არს რჩეული“.

„დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ ეს ვლინდება როგორც უძრაობა, გაჩერება, უმოქმედობა. ამ თვალსაზრისით, დუმილი „დავით გარეჯელის ცხოვრებაში“, ერთი მხრივ, სიუჟეტური, მეორე მხრივ, მსოფლმხედველობითი ფორმაა. ქვაბი, უდაბნო, პრინციპშივე დაკავშირებულია დუმილის ქრისტიანულ წარმოდგენასთან. „დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ არაა ყურადღება გამახვილებული დავითის ჩაცმულობაზე, სახეზე. ეს გასაგებიცაა, რადგან აქ ბატონობს სულიერი შინაარსი.

ყოველ საზოგადოებრივ ყოფას თავისი გასაიდგელელებელი მოვლენა გააჩნია. ადრეული ფეოდალიზმის ეპოქის იდეალური ადამიანის ერთ-ერთი უმთავრესი სახე მეუღლებანია.

„წმინდანობის იდეალი, ისტორიულ-ნაციონალური იდეალის გამომხატველიც იყო. აქ ერთხელ კიდევ უნდა გავიხსენოთ, რომ ნებაყოფლობითი მარტვილობის იდეა, განსხვავებით აღმოსავლეთის საქრისტიანოს სხვადასხვა ერის ლიტერატურისაგან, ქართულ ჰაგიოგრაფიას არ უქადაგია. ქართულ მწერლო-

<sup>39</sup> იქვე, გვ. 4.

<sup>40</sup> ვ. ლაზარევი, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

<sup>41</sup> იქვე, გვ. 33.

ბაში მარტივობა განიხილება არა როგორც ამა თუ იმ პიროვნების ბედი, არამედ ქვეყნის კონკრეტულ-ისტორიული და ნაციონალური ყოფის გამოხატველი მოვლენა<sup>42</sup>.

ჰაგიოგრაფი დავით გარეჯელის მაგალითზე გვიხატავს იმ იდეებს, რაც ეპოქალური მოვლენაა, ე. ი. ინდივიდუალური მოვლენა კი არ არის, არამედ მუდამზნოეობის საერთოდ დამახასიათებელი თვისებაა. „აგიოგრაფულ თხზულებათა პერსონაჟები სახე იღებია და არა სახე ხასიათები. მათში პერსონიფიცირებულია, უპირველესად, მორალური იდეალები. გზა იდეალებისაკენ იმთავითვე განსაზღვრულია“<sup>43</sup>.

საანალიზო ნაწარმოებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი დავით გარეჯელის ახალგაზრდა მოწაფის, ლუკიანეს სახეს: „ხოლო ჰყვა მოწაფე ერთი, სახელით ლუკიანე, რომელიცა საღმრთოთა მადლითა აღძრული შეუდგა სანატრელსა ამას მამასა და ქალაქ მყოფელსა უდაბნოასასა, ღმრთისა მონასა სარწმუნოსა და კეთილ მსახურსა, რამეთუ ზედიდა ნეტარი ესე ლუკიანე მადლითა და სათნოებათა ღირსისა მამისა დავითისთა და სულისა მარგებელთა სწავლათა მისთა, რომელნი აღმოდიოდეს პირით მისით მსგავსად წყაროთა დაუწყუდეღელთა“<sup>44</sup>.

ლუკიანეს სახე უცხო, უჩვეულო, არადამახასიათებელია იმ ჰაგიოგრაფიული ტრადიციებისათვის, რაზეც ადრე გვქონდა ლაპარაკი.

„ღმერთშემოსილო მამაო, ჭეშმარიტად სიტყვსაებრ შენისა არს ესე ყოველი და ვითარ აღმოვიკითხავთ საღმრთოთა წერილთაგან, არს ნაცვლის გებაჲ კეთილთა საქმეთა და მიეგების თითოეულსა საქმეთაებრ თუსთა. რომელიცა რაგვე იმოქმედონ საწუთოსა ამას ცხოვრებასა შინა, კეთილი გინა თუ ბოროტი, გარნა ვხედავ ფრიადსა იწროებასა და უღონობასა ამის უდაბნოასასა, ვითარ დაკლებულ არს ყოვლისაგანვე საჭიროასა. საზრდელისა და თვთ მის წყლისაგანცა, რომელთა მოკლებითა უძლურ იქმნების და მოაკლდების სხეული, ხოლო ჩუენ კაცნი ვართ, მერმეცა ჯორცა ბუნებისა უძლურებასა შინა მყოფნი და მეშინის, ნუსადა ვერ შეუძლოთ მოთმენაჲ ჭირთა და იწროებათა ამის უდაბნოასათა“<sup>45</sup>, — ამბობს ლუკიანე და აქედან ჩანს მისი „ხასიათი“, მისი საფიქრალი და ადამიანური შიში.

რ. ბარამიძე აღნიშნავს: „მრავლის მეტყველია ლუკიანეს გულწრფელი თქმა — „ჩუენც კაცნი ვართ“. ამ უშუალობაში ჩანს მთელი მისი ადამიანური სისუსტე“<sup>46</sup>.

მაგრამ საერთოდ ლუკიანე არ შეიძლება იყოს სუსტი ადამიანი, თუნდაც იმიტომ, რომ მან გადაწყვიტა გაჰყოლოდა დავითს. მართალია, მას თავიდანვე არ ჰქონდა შეცნობილი ის დიდი სირთულეები, რაც ასკეტურ ცხოვრებას მოჰყვებოდა, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ დასთმო ამქვეყნიური ცხოვრება და უდაბნოში გაიხიზნა, უკვე მრავლისმეტყველია. დავითი მას აბარებს მრევლს: „ხოლო ღმრთისა თანა წინა-უძლოდგ მმათა ამათ და განა-

<sup>42</sup> რ. ს ი რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 199—200.

<sup>43</sup> იქვე, გვ. 200.

<sup>44</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებანი, გვ. 151.

<sup>45</sup> იქვე, გვ. 153.

<sup>46</sup> რ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.



მკნობდი მათ, რათა მტკიცედ დაადგრენ სარბიელსა შინა კეთილსა<sup>47</sup> მწიგნობრობისასა“<sup>47</sup>.

ლუკიანე საინტერესო მოღვაწეა. მართალია, მასში ერთგვარი შინაგანი ჭიდილია, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ახლანდელი იწყებს ახალ ცხოვრებას. თხზულების საერთო ფონზე კი დავით გარეჯელი უფრო მთლიანი პიროვნება ჩანს. ერთნაირი ტრაფარეტის მიხედვით კი მასწავლებლის და მოწაფის დახატვა შეცდომა იქნებოდა. თუ ლუკიანეს დახატავდა, როგორც ყველაფერში გამოცდილ და ამ საქმისათვის გაჩენილ კაცს, მაშინ ლუკიანეს მოწაფეობა არ იქნებოდა დამაჯერებელი, თვით ლუკიანეც დავითთან ერთად უნდა ყოფილიყო ახალი ცხოვრების მოთავე და მეთაურიც.

თუნდაც ის ფაქტი, რომ ლუკიანეს სიყრმეზე არაფერს ამბობს ავტორი, თითქოს იმის მიმანიშნებელია, რომ იგი ბავშვობიდანვე არ ყოფილა ასკეტიზმისათვის მოწოდებული. ეს მისი პირველი ნაბიჯებია და მისი შინაგანი განცდები ვასაგებიცაა.

საბოლოოდ ლუკიანემ დასძლია შინაგანი ჭიდილი. აქაც შემწე დავითია, რომელსაც ძალუქს საბოლოოდ გადაიყვანოს ლუკიანე თავის პრინციპებზე, რასაც გაზღაპრებული დანართებიც ახლავს.

ამგვარად, დავითი, ისევე როგორც ყველა მეუღლბნოე, ძალმოსილია მიიზიდოს ხალხი.

პერსონაჟების მიხედვით „დავით გარეჯელის ცხოვრება“ შეიძლება დავითს სამ კატეგორიად.

ვ. ლაზარევი მიუთითებს, რომ ქრისტიანული ხატის კომპოზიციაში უკანა პლანზე მოცემული ფიგურები და საგნები ისევე ემსახურებიან ხატისადმი მლოცველთა ყურადღების გამახვილებას, როგორც ფრონტალური, წინა ფიგურები<sup>48</sup>.

უნდა ვიფიქროთ, რომ მხატვარი თუ მწერალი ერთნაირი პრინციპით უდგება ფიგურებისა და საგნების განლაგებას პლანების მიხედვით.

მეორე პლანის ფიგურები სქემატური კი არაა, არამედ თავისი მონუმენტურობით აძლიერებენ დავითის წინა პლანის პიროვნებას.

«Характеристики людей, характеристики людских отношений и идейно-художественный строй летописи составляют неразрывное целое. Они подчиняются одним и тем же принципам феодального миропонимания, обусловлены классовой сущностью мировоззрения летописца»<sup>49</sup>.

პავლიოვსკის პერსონაჟი თავის თავში დარწმუნებულია, რომ არის უძლეველი, რადგან იგი „მონაა ღმრთისა“. დავით გარეჯელი ასე მიმართავს ბუბაქარს: „არა გაქუს არცა ერთი კელმწიფეობა მოკუდინებად ჩემდა, გინათუ განტევებად, და არა მხოლოდ ჩემდა, არამედ არცა უნდოდა ამის მფრინველისა, რამეთუ ღმერთი ჩემი შემწე ჩემდა არს და მან დამიცვას მე უვნებელი ქადებათა შენთაგან“<sup>50</sup>.

დავითი დარწმუნებულია, რომ მას ღმერთი მფარველობს, რომ ღმერთი იხსნის ყოველგვარი განსაცდელისაგან, ამიტომაც ასე დაბეჯითებით მიმარ-

<sup>47</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებანი, გვ. 176.

<sup>48</sup> ვ. ლ ა ზ ა რ ე ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

<sup>49</sup> დ. ლ ი ხ ა ჩ ი ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

<sup>50</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებანი, გვ. 169—170.



თავს ბუბაქარს და ოღნავადაც არ ეპარება ეჭვი თავის თავში. მთავარია განიხილოს, რწმენა საკუთარი სულიერი ბუნების სიძლიერისა.

ჰაგიოგრაფიაში მნიშვნელოვანია აგრეთვე სიკვდილთან შერიგების იდეა.

სული და ხორცი ემიჯნება ერთმანეთს. სული თავისუფლდება ხორცისაგან. სული უკვდავია, ხორცი — მოკვდავი. და რადგანაც ბერ-მონაზონთა ცხოვრება სწორედ ხორცის დაგმობა და სულიერი ამალღებულობაა, სულიერი განდიდება, ამიტომ, ცხადია, ისინი ყოველგვარი შიშის გარეშე ზედებიან სიკვდილს. ამიტომ სიკვდილი მათთვის დამარცხება არაა, იმდენად რამდენადაც გმირის სული იმარჯვებს.

სული გადადის იმჭევენიურ ცხოვრებაში და აგრძელებს არსებობას ძველის მსგავსად, მხოლოდ უფრო გათავისუფლებული და გაწმენდილი ხორცისაგან. ამიტომ ცხოვრება კი არ წყდება, არამედ გრძელდება უფრო საინტერესოდ, უფრო ამალღებულად, რადგან მთავარი მიზანი — ხორცის დაგმობა და სულიერი განდიდება — აქ პოვებს საბოლოო განხორციელებას, საბოლოო სახეს. „ამ პრინციპთა კვალობაზე გმირთა მოვალეობის ეპიზოდები წარმოდგენილია, როგორც ჰარმონიული გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში“<sup>51</sup>.

აი, როგორაა გამოხატული სიკვდილთან შერიგების იდეა „დავით გარეჯელის ცხოვრებაში“. „თქუენ, შეილხო ჩემხო, ნუ შესსრწუნდებით და ნუცა აღჰშფოთნებით, არამედ უფროსდა განმტკიცდით და განძლიერდით და ცანთ ამოებთა ესე საწუთოასა ამის დაუდგრომელისა, რამეთუ ყოველნივე წარმავლ ვართ წერილისაებრ და არა რომელი სოფლისა ამის მდგომად შერაცხილთაგანი დაადგრების; ხოლო სული, ვითარ უკუდაეებისა მიმღებელი ღმრთისაგან, საუკუნოდ დაადგრების, და გუეგულეების მიღებაჲ კეთილთა გინათუ ბოროტთაჲ, რომელიცა რაჲვე ვიმოქმედეთ ცხოვრებასა ამას შინა“<sup>52</sup>.

ადამიანის იდეალის კვლევამ „დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ მიგვიყვანა შემდეგ დასკვნამდე:

უძველესი ქართული ლიტერატურის ძეგლების მიხედვით ადამიანი იხატება არა ისეთი, როგორც იყო, არამედ როგორიც უნდა ყოფილიყო.

ეს პრინციპი საერთოა ჰაგიოგრაფიული ლიტერატურისათვის და ასეთივე პიროვნებად გვესახება დავით გარეჯელი. ცხოვრებაში ჩართული გაზღაპრებული ფაქტები მეტყველებენ იმაზე, რომ ავტორს გარკვეული ლიტერატურული მიზნები ამოძრავებს, როცა წარმოგვიდგენს დავითს როგორც გაზეყაყებულ და ღვთიერ ძალამინიჭებულ პიროვნებას.

დავითი პოტენციაში არის ძე-ღმერთის სულიერი მადლის მონაწილე და ხალხის ღვთაებამდე ზეამყვანელი. სწორედ დავითია განსახიერება ღმერთისა და ხალხის კავშირისა. ამიტომ დავით გარეჯელი გარკვეული იერარქიის ცენტრალური ფიგურაა: ხალხი-დავითი-ღმერთი.

ასკეტიზმის იდეოლოგია თავისთავად ქმნის ხორცისა და სულის წინააღმდეგობების დაძლევის შესაძლებლობებს. ასკეტობა სოფლიდან გაქცევის, თავის სულთან და შესაბამისად ღმერთთან მარტო ყოფნის იდეალური საშუალებაა.

ნაწარმოებში მნიშვნელოვანია დავითის ქვაბთან, ე. ი. ბუნებასთან კავშირი. როგორც უდაბნო, ისე ქვაბი, ადამიანის სულიერი, უტყუვი საუბრის გან-

<sup>51</sup> რ. ს ი რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 201.

<sup>52</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებანი, გვ. 185.



საბორციელებელი იდეური გარემოა. აქ წინა პლანზე გამოდის დემიტიანე გორც სულიერი ურთიერთობის საშუალება.

ნაწარმოებიდან ყურადსაღებია: სიკვდილთან შერიგების უნარი, სულიერი სრულყოფა ადამიანისა, სულის უკვდავება, სულიერი ამაღლებულობა, სულიერი განდიდება.

К. Г. ГАПРИНДАШВИЛИ

## ИДЕАЛ ЧЕЛОВЕКА ПО «ЖИТИЮ ДАВИДА ГАРЕДЖЕЛИ»

Резюме

В древнейших грузинских литературных памятниках человек, следуя общему принципу агиографической литературы, изображался не таким, каким он был на самом деле, а таким, каким он должен был быть. Именно такой личностью предстает перед нами и Давид Гареджский.

Давид Гареджский олицетворяет собой идеализированного человека, подвижника, в котором были воплощены идеалы, характерные для тогдашней эпохи. Смыслом жизни для Давида Гареджского, как и для других монахов аскетов, является подавление в себе материального начала, умерщвление плоти с тем, чтобы развить в себе духовное начало и причаститься к божественному.

Для средневекового искусства человек является средоточием самых разнообразных форм проявлений материальной и духовной жизни, и, поскольку перед нами литературный образ, то следует его рассматривать вкупе с этическими, логическими и эстетическими проблемами.

В «Житии» встречается сказочный материал, что может свидетельствовать о том, что автором преследовались определенные литературные цели, когда он изображал Давида Гареджского сверхчеловеком, наделенным властью всевышнего.

Потенциально Давид является сподвижником сына божьего в духовных благодеяниях, способствующим вознесению народа к всевышнему. Именно Давид является связующим звеном между народом и божественным началом, в силу чего он (Давид) является в то же время и центральной фигурой в иерархии: народ—Давид—бог.

Идеология аскетизма сама собой создает предпосылки для преодоления противоречий между душой и плотью. Аскетическое затворничество даст человеческой душе реальную возможность уйти от всего земного и быть один на один со всевышним.

Примечательна в произведении взаимосвязь между Давидом и пещерой, т. е. с той же природой. Как пустыня, так и пещера являются идеальной средой для бессловесной беседы с человеческой душой. Здесь на передний план выдвигается молчание — как средство духовного общения.

Интересен подход к таким философским проблемам, как способность примирения со смертью, бессмертие души, величие духа, совершенствование человеческой души. Душа переходит в потусторонний мир и продолжает существование, как и ранее, но более очищенной и более освобожденной; иначе говоря, жизнь не прекращается, а продолжается в более обогащенной, совершенной и возвышенной форме.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი  
 ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა  
 წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა

რუსუდან ჩოლოყაშვილი

## ცხოველთა ზღაპრის პერსონაჟის გაბამისათვის

ცხოველთა ზღაპრის პერსონაჟი ძირითადად მითოლოგიური აზროვნების ნაყოფია. ის შეიქმნა პრეისტორიულ ეპოქაში, როცა ადამიანმა არ იცოდა მიწათმოქმედება და ნადირობას, ველური ნაყოფის შეგროვებას მისდევდა. მისი აზროვნება არსებითად განსხვავდებოდა ჩვენი აზროვნებისაგან, რაც, პირველ რიგში, ტოტემისტურ რწმენაში გამოიხატებოდა.

ტოტემიზმი არის პრიმიტიული წარმოდგენა უძველესი ადამიანისა, რომელიც ბუნებასთან ერთად მთლიანობაში ხედავდა თავის თავს. ძირითადი ნიშანი ტოტემიზმისა იმაში მდგომარეობს, რომ ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის წინაპრად ითვლება ტოტემი და მისი თაყვანისმცემელი ჯგუფის ყოველი წევრი სისხლით ნათესავია ტოტემური კლასის ყოველი წარმომადგენლისა. ტოტემის როლში ყველაფერი შეიძლება შეგვხვდეს: ქარი, მზე, წყალი, რკინა და მრავალი სხვა, მაგრამ ყველაზე ხშირად ცხოველები და მცენარეები გვხვდება. ტოტემთან ნათესაობის რწმენა სიმბოლური არ არის, ის უმადლეს დონეზე რეალურია. ამ ჯგუფის წევრებს სჯერათ, რომ ყოველი მათგანი სიკვდილის შემდეგ გადაიქცევა თავის ტოტემად და ყოველი ტოტემური ცხოველი — გარდაცვლილი ნათესავია!

ტოტემიზმი არქაული საზოგადოების სტრუქტურით არის შექმნილი და მასში ასახულია ამ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური საფუძვლები<sup>6</sup>. ს. ტოკარევი თვლის, რომ ტოტემიზმი წინაგეაროვნულ საზოგადოებაში თავისებური იდეოლოგიურ ზედნაშენს წარმოადგენს, რომლის დროსაც ადამიანს ბუნებაზე გადააქვს წარმოდგენა გეაროვნულ სოციალური ორგანიზაციისა<sup>7</sup>. ტოტემთან ურთიერთობა ისეთია, როგორც ურთიერთობა ახლო ნათესავთან, მას ეძახიან: მამას, პაპას, ძმას. სჯერათ თავიანთი გვარის ტოტემისაგან წარმოშობა. გარეგნული განსხვავება ცხოველსა და კაცს შორის მოჩვენებითია<sup>8</sup>. თვით ადამიანებს შორის ურთიერთობა წარმოუდგენიათ, როგორც ურთიერთობა ადამიანისა ბუნებასთან<sup>9</sup>. უფრო მეტიც, ადამიანები ენათესავენბიან რა ტოტემურ არსებას, მათი სახელითაც კი იწოდებიან. სამხრეთის სლავები ბავშვის გაჩენისას ყვიროდნენ: ძუ მგელმა ლეკვი გააჩინაო. ბავშვს მგლის ტყავში ახვევდნენ, მგლის თვალისა და გულის ნაგლეჯს კი პერანგში უკერებდნენ ან ყელზე ჰკიდებდნენ<sup>10</sup>. მელანეზიაში გეაროვნული ჯგუფები ხშირად ტოტემურ სახელებს ატარებ<sup>11</sup>.

დროთა განმავლობაში ადამიანმა შეიცვალა განსხვავება თავის თავსა და დანარჩენ სამყაროს შორის და მას გამოეყო. შესაბამისად მეტ ინტერესს იჩენდა ადამიანი თავისი არსებობისა და ყოფის მიმართ. ბუნებასა და მის მოვლენებზე მეტად მას უკვე თავისი თავი, ადამიანური ურთიერთობანი აინტერესებდა.

სამყაროს განსხვავებული აღქმა და ინტერესები ფოლკლორში გამოვლინდა — მითოსის პარალელურად შეიქმნა ზღაპარი, სადაც მოქმედი გმირი თვითონ იყო და თავისავე ცხოვრებას გადმოგვცემდა.

ე. მელეტისკი როდესაც მითის ზღაპრად ტრანსფორმირების ძირითად საფეხურებს ჩამოთვლის, დერიტუალიზაციის და დესაკრალიზაციის, მითურ



„მოვლენათა“ ქემპარიტებაში მკაცრი რწმენის შესუსტების და სხვა<sup>გრძელდება</sup> დით, ერთ-ერთ საფეხურად მითური გვირის ჩვეულებრივი ადამიანებით შეცვლას ასახელებს<sup>ბიბლიის</sup> 8.

პირველი ხალხური ნაწარმოები, სადაც უძველესი ადამიანი, მითისაგან განსხვავებით, თავის ცხოვრებაზე მოგვიტორობს, ცხოველთა ზღაპარია. ამ ნაწარმოებში მოქმედებენ ადამიანები, რომლებიც იწოდებიან ცხოველებად ტრადიციული რწმენის შესაბამისად. ამ ვარაუდს ჩამორჩენილ ტომთა ფოლკლორული ნიმუშების განხილვაც უჭერს მხარს. იქ ისინი ცხოვრობენ ჩვეულებრივ კაცთა ცხოვრებით. მაგალითად, აფრიკელი ხალხების აკანისა და ევეს ზღაპართა უმრავლესობაში ცხოველთა სამყარო მთლიანად არის შერწყმული ადამიანთა სამყაროსთან. ცხოველებს აქვთ ოჯახი, ცხოვრობენ სახლებში, ეწევიან განსაზღვრულ საქმიანობას და მეტყველებენ. ამ პერსონაჟებში ვხვდავთ ადამიანისათვის დამახასიათებელ ყველა გრძნობასა და სურვილს<sup>9</sup>.

ცხოველთა ზღაპრის პერსონაჟები ყოველთვის იწვევდა სპეციალისტთა ყურადღებას. ისინი ცხოველთა სახეში გრძნობდნენ გარკვეულ უხერხულობას და ცდილობდნენ მათი პოზიციის გამაგრებას. ქართველი ფოლკლორისტები იზიარებენ საბჭოთა ფოლკლორისტიკაში დამკვიდრებულ აზრს, რომ ცხოველ პერსონაჟებში, ყოველგვარი ალეგორიის გარეშე, პირდაპირ ცხოველები იგულისხმება.

ცნობილი ქართველი მწერალი ვ. ბარნოვი „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილებში“ ცხოველთა ზღაპრის განხილვისას ამბობს, რომ „ეს ზღაპრები არ არის იგავ-არაკები, რომლებშიაც ნართული თქმა არის და პირუტყვთა სახით ადამიანები არიან გამოყენილნი, არამედ პირდაპირა ჰხატავენ პირუტყვთა ცხოვრებას, სწორედ ისე, როგორც სჯეროდა მშობნ ხალხს“<sup>10</sup>.

„ცხოველთა ზღაპარმა იგავური გაგება კლასობრივ საზოგადოებაში შეიძინა. ამნაირად იგავარაკული თხრობის მანერა და ალეგორიულობა ცხოველთა ეპოსის განვითარების ეტაპისათვისაა დამახასიათებელი, — აღნიშნავს პროფ. მ. ჩიქოვანი და სამართლიანად დასძენს, — ეს კი ამ ქანრის თვითუარყოფას ნიშნავს“<sup>11</sup>.

პროფ. ე. ვირსალაძე, აღნიშნავს იგავ-არაკსა და ცხოველთა ეპოსს შორის სხვაობას და წერს, რომ ცხოველთა ზღაპარში, იგავ-არაკისაგან განსხვავებით, ცხოველები არ წარმოადგენენ ადამიანის ალეგორიულ გამოხატულებას, არამედ მათი სახით ნამდვილი რეალური ცხოველები იგულისხმებათ<sup>12</sup>.

პროფ. ა. ცანავა, იხილავს რა ქართულ ზემპირსიტყვიერებაში სატირისა და იუმორის საკითხებს, ჩერდება ცხოველთა ზღაპარზე და ფიქრობს, რომ „ასეთ ზღაპრებში ცხოველთა ურთიერთდამოკიდებულება და ადამიანებთან კავშირი ასახული იყო პირდაპირი მნიშვნელობით. ალეგორიულ გაგებას ცხოველთა ზღაპარი იძენდა თანდათანობით, იმის შესაბამისად, თუ რამდენად ძლიერდებოდა ადამიანის ბატონობა ბუნების ძალებზე და ცხოველებზე“<sup>13</sup>.

როგორც ვხვდავთ, თანდათანობით ცხოველთა ზღაპარმა, მსგავსად ფოლკლორის სხვა ქანრებისა, საკმაოდ იცვალა სახე. ეს, პირველ რიგში, მოხდა მასში მორალიზაციის ელემენტების შეჭრით, რაც უძველეს ზღაპარს არ ახასიათებდა.

უძველესი ზღაპრის გარკვეულ შესატყვისს წარმოადგენს ჩამორჩენილ ტომთა ფოლკლორის ნიმუშები. ისინი გამოირჩევიან არქაიკით, რისი მეშვეო-

ბითაც ვახერხებთ ერთგვარი წარმოდგენის შექმნას ჩვენი წინაპრების (სტრუქტურული) ერთ შემოქმედებაზე.

როგორც ვიცით, ფოლკლორი ინტერნაციონალური მოვლენაა<sup>14</sup> და ამდენად გამართლებულია აღნიშნული საკითხების გარკვევა განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხების ფოლკლორული ნიმუშების მეშვეობით. დღეს ევროპელ ხალხთა ცხოველთა ზღაპრის არსის გავება შეუძლებელია აფრიკელ ხალხთა ცხოველთა ზღაპართან შედარება-შეპირისპირებითი განხილვის გარეშე. აფრიკულ ფოლკლორში ხომ ამ ზღაპრის კლასიკურ ფორმას ვხვდებით. აქ ცხოველთა ზღაპარი საკმაოდ არის დიფერენცირებული მითისაგან<sup>15</sup>. მას ძალიან დიდი ადგილი უჭირავს ამ ხალხის ფოლკლორში. ის, ჯადოსნურ და საყოფაცხოვრებო ზღაპრებთან შედარებით, სრულიად განვითარებული, გაფორმებული და ჩამოყალიბებული ქანია, მთელი ხასიათით და სიუჟეტით წრით, მთავარი გმირის ტიპით და ა. შ.<sup>16</sup>. ცხოველთა ზღაპარი ყველაზე უფრო პოპულარულთაგანია აფრიკულ ფოლკლორში და აქვს მრავალი სიუჟეტი.

განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხების ფოლკლორული მასალის გაცნობამდე უნდა გავითვალისწინოთ მათი აზროვნების თავისებურებანი. ამის შესახებ გ. პერმიაკოვი აფრიკული ზღაპრების ერთ-ერთი გამოცემის შესავალში წერს: „აქ საქმე არა გვაქვს ლოგიკის, ან ჯანსაღი აზრის უქონლობასთან. უბრალოდ, ხაძაპების (აფრიკელი ხალხი. — რ. ჩ.) აზროვნება არსებითად განსხვავდება ჩვენი აზროვნებისაგან. ის, რაც ჩვენ გვეჩვენება ულოგიკო, უაზროც კი, მათთვის სრულიად ბუნებრივია და დამაჯერებელი. მხოლოდ ამ ხალხის აზროვნების ცნობილი არქაულობის გათვალისწინებით შეიძლება სწორად გავიგოთ ის „ბნელი“ ადგილები და წინააღმდეგობანი, რომელნიც გვხვდება მათ მითებსა და ზღაპრებში“<sup>17</sup>.

ვ. პროზი მიგვითითებს, რომ აუცილებელია პირველყოფილი აზროვნების და პირველყოფილი მსოფლმხედველობის მთელი სისტემის შესწავლა. სხვაგვარად ვერ გავიგებთ უძველესი ნაწარმოების ვერც კომპოზიციას, ვერც სიუჟეტებსა და ცალკეულ მოტივებს<sup>18</sup>.

როცა აზროვნების თავისებურებების გათვალისწინებით ჩამორჩენილ ტომთა ცხოველთა ზღაპრებს გავიაზრებთ, უფრო ნათლად შევძლებთ ზღაპრის მთელი რიგი ბუნდოვანი ადგილების დანახვას.

ჩვენ, ამ თვალსაზრისით, განვიხილავთ აფრიკელი ხალხის — ხაძაპების ფოლკლორულ ნიმუშებს. ეს ის ხალხია, რომელმაც დღემდე, ჩვენი უძველესი წინაპრების მსგავსად, არ იცის არც მიწათმოქმედება და არც მესაქონლეობა და ნადირობით ირჩენს თავს.

ხაძაპების ცხოველთა ზღაპრებში პირველ რიგში, რაც თვალში მოგვხვდება, არის დიალოგებში ადამიანებისათვის დამახასიათებელი მიმართვების სისწორე, მაშინ, როდესაც მოქმედი გმირები ცხოველები არიან. მაგალითად:

— აქ მალე უნდა მოვიდეს ერთი კაცი...

— ვინ?

— ქორი ც' უსუმუ!<sup>19</sup>

ან კიდევ: „ლომმა დაიჭირა ანტილოპა. ის ატირდა:

— ჩემო მეგობარო, — უთხრა კურდღელს, — რატომ გამომიყვანე სახლიდან და ჩამავდე ამ კაცის ხელში“<sup>20</sup>.

ეს ცხოველები დიალოგის გარეშეც ხშირად იწოდებიან ადამიანებად. მაგალითად:



„პავიანმა ერთხელ კიდევ ყურადღებით შეხედა ლომს და გაიფიქრა“<sup>21</sup>.  
დიდ კაცს მგონი მე ვერ მოვერევი“<sup>21</sup>.

„ეს ლომები ძალიან საშიში ხალხია“<sup>22</sup>.

„არწივები ნუ ფიქრობენ, რომ ყვავები სულელი ხალხია“<sup>23</sup>.

„—მე საწყალი ქალი ვარ, — თქვა ძუ ლომმა“<sup>24</sup>.

ცხოველთა ზღაპრის პერსონაჟები ხშირად ასე იწოდებიან: მამა სპილო, მამა ყარყატი, აფთარი ხალხი, აფთარი კაცები და სხვა მრავალი.

ჯერ კიდევ ცხოველთა მითში ადამიანმა იცის, რომ ის ადამიანია, რომელიც ერთ დროს ცხოველი იყო. მაგალითად, მითში „როგორ წარმოიშვნენ ხაძაპები“ ესენი თავიანთ წარმოშობაზე ამბობენ:

„ძველად ხაძაპები პავიანები იყვნენ. ერთხელ იშაკომ დაავალა პავიანებს, მისთვის წყლის მოტანა. მიმღუნები წავიდნენ მდინარეზე, მაგრამ მიაღწიეს თუ არა ნაპირს, მათ თამაში გაჩაღეს. პავიანები ისე გაერთნენ, რომ დავალება სულ დააეწყდათ.“

დიღხანს უცადა იშაკომ წყალს... როცა ნახა, რომ პავიანები თამაშობდნენ, ძალიან გაბრაზდა“<sup>25</sup> და გაყო ისინი ორად. ნაწილი აქცია ხაძაპებად — ადამიანებად, მეორე ნაწილი კი პავიანებად დარჩა.

სხვა ტომების ხალხი კი, თუმცა ისევ ცხოველებად იწოდებიან, ადამიანური წარმოშობისანი არიან. მაგალითად, ამ ხალხის მითების უმეტესობა ასე იწყება: „ეს მოხდა უძველეს დროში, როცა აფთრები ჯერ კიდევ ადამიანები იყვნენ“, ან „თავიდან ჟირაფები ადამიანები იყვნენ, მერე იქნენ ცხოველებად“<sup>26</sup>, ან კიდევ: „მაღლა მთაზე... ცხოვრობდა ერთი გველი (იმ დროს ისიც ადამიანი იყო)“<sup>27</sup>.

ცხოველთა ზღაპრის პერსონაჟებს შორის ურთიერთობაც ადამიანურია: მათ აქვთ ოჯახი, ერთმანეთთან მეგობრობენ, ერთმანეთს ეჯიბრებიან და მტრობენ.

ჩამორჩენილ ტომთა ზღაპრებში ეს ურთიერთობანი, ევროპულისაგან განსხვავებით, ერთი სიტყვით არ გადმოიცემა. ხშირად ჩანს მათში მთელი რიტუალები, რომლებსაც ამა თუ იმ შემთხვევისას იმ ეპოქაში ასრულებდნენ ადამიანები.

როგორც ვიცით, ყველა ხალხის ცხოველთა ზღაპრები ორი ცხოველის მეგობრობის გამოცხადებით იწყება. ზღაპარში „კამეჩისა და გნუს მეგობრობა“<sup>28</sup> აფრიკელი ხალხის დამეგობრების მთელი რიტუალია მოთხრობილი:

„ერთხელ გნუ მივიდა კამეჩთან და უთხრა:

— ჩემო მეგობარო, მოდი დავამობილდეთ!

— კარგი, — უპასუხა კამეჩმა, — მე თანახმა ვარ! მხოლოდ ჯერ აქ დავუძახო ჩვენს მოხუცებს; მაშინ მეგობრობა გაცილებით უფრო მყარი იქნება.“

— რაში გვჭირდება მოხუცების დაძახება?

— მომავალში, როცა რომელიმე ჩვენგანი თავისი მეგობრის გვარში მიხვლას მოინდომებს, იქ რომ უკვე იცნობდნენ.

— ეს სწორეა. წადი დაუძახე მოხუცებს!“

როცა მოხუცები მოვიდნენ, მათ ორივეს პირობა ჩამოართვეს, რომ მართლა შესძლებდნენ ისეთ მეგობრობას, როგორც წესია და თქვეს:

„აბა, თუ ორივენი მზად ხართ ერთმანეთთან სამეგობროდ, დაე ქალებმა მოგიმზადონ საკმელი და თქვენც ის ერთად შეჭამეთ!“

ქალები წავიდნენ მდინარესთან და იქიდან მოიტანეს მწვანე ბალახი. მგზავნი და გნუმ ის მეგობრულად შექამაა.

ასევე მთელი რიტუალი უძღვის წინ შევიბრებას, რომელიც, როგორც ჩანს, არ ყოფილა უბრალო ვართობა. ეს რიტუალი გვაქვს ზუნის ინდიელთა (ჩრდილო ამერიკა) ზღაპარში „როგორ შევიბრა თრია კიაკიმელ მრბოლებს“. ამ რიტუალური შევიბრებისათვის სპეციალური მომზადება ყოფილა საჭირო და განსაკუთრებული პირობების დაცვით სრულდებოდა:

„მეოთხე დღეს შევიბრებისათვის ყველაფერი მზად იყო. კიაკიმელი მობრბენლები, რომლებიც სირბილისთვის წმინდა ქოხებში მოემზადნენ, წინ გამოვიდნენ. ისინი ვახდლები იყვნენ, როგორც არის სირბილის დროს მიღებული, ქამრები ეკეთათ და ხელში სარბენი ჯოხები ეჭირათ. შვიინელი ხალხიც მოგროვდა ეკეზე და დაიწყეს ლოდინი... მოხუცი თრია მალე გამოჩნდა მათ შორის სოროდან გამომხტარი. მას თავზე შევროდა პატარა წითელი ბუმბული. მისთვის მომზადებული ჯოხი მან თავის წინ მიწაზე დადო ისე, რომ კბილებით აღება შესძლებოდა და თქვა: თქვენ, რასაკვირველია, მაპატიებთ, თუ ჯოხს სირბილის დროს არ ვისვრი ხოლმე, როგორც ეს მიღებულია“<sup>29</sup>. იქ წარმატება, რასაკვირველია, საპატიო იქნებოდა და ალბათ ამიტომაც მასში გამარჯვებული ადამიანი ტოტემის სახელით იხსენიება.

ცხოველთა ზღაპარში ზუსტი აღწერილობით მოცემული ეს რიტუალები შემთხვევითი არ არის, ისინი ამ ხალხის ყოფის ამსახველი დეტალები.

აფრიკული ფოლკლორის გამომცემელი აღნიშნავენ, რომ ზღაპრებში ხშირად ცხოველები ადამიანებად იწოდებიან. ეს თქმა არ უნდა იყოს ზუსტი. ტოტემური რწმენის ადამიანი ცხოველშიც შესაბამისად ხედავდა თავის თავს და ზღაპარში ცხოველ პერსონაჟში თავის მოძმეს გულისხმობდა. ამდენად უფრო მართებული იქნება გამოთქმა — „ადამიანები იწოდებიან ცხოველებად“.

ჩამორჩენილ (შესაბამისად უძველეს) ტომებს ნამდვილად სჯეროდათ სხვა არსებად გადაქცევის შესაძლებლობა. სწორედ ეს რწმენა ჩანს მითში, როცა განუწყვეტელი ცეკვით ცხოველად გადაქცევის საშიშროება იგრძნობა, მაგალითად ზღაპარში „სპილოს ცეკვა“<sup>30</sup>:

„რახან ბავშვები დაუსრულებლად ასრულებდნენ სპილოს ცეკვას, მოხუცებმა ისინი გააფრთხილეს: „ბავშვებო, თქვენ ძალიან ხართ გატაცებულნი! ამ ცეკვით თქვენ თვითონ არ გადაიქცეთ ცხოველებად“.

მართლაც, როცა ღვთაებებმა ნახეს მათი ცეკვა, თქვეს: „ჩვენ მათ ველურ ცხოველებად გადავაქცევთ“ და ღვთაებამ ადამიანები გადააქცია იმ ცხოველად, რის ცეკვასაც ასრულებდნენ.

ბევრ ხალხს, რომლებიც კულტურული განვითარების დაბალ საფეხურზე დგანან, სჯერათ, თითქოს რომელიმე ცხოველის მიბაძვამ ან მიმსგავსებამ შეიძლება მიიყვანოს ადამიანი იმ ცხოველად გადაქცევამდე<sup>31</sup>.

სხვა არსებად გადაქცევა ნამდვილად სჯეროდათ. მაგალითად: მელანეზიელები რიტუალური ცეკვის დროს ნიღბებს იკეთებენ. ამ ნიღბების გაკეთებისთანავე გარემომცველთა თვალში მოცეკვავი თითქოს თვითონ გადაიქცევა სულად ან წინაპრად, რომელსაც გამოსახავს ნიღბი<sup>32</sup>. ზუსტად ასევე გადაიქცევა ავსტრალიელი ზებუნებრივ არსებად თავისი სხეულის საღებავებით მონატებით, ბუმბულით მორთვით და ა. შ.<sup>33</sup>



თვით ხატვა, ცეკვის მსგავსად, შეიძლება გახდეს მაგიური აქტი. ლეგენდა მოგვითხრობს იმაზე, თუ კენგურუ-ადამიანმა და ძაღლმა-ადამიანმა როგორ გადააქციეს ერთმანეთი ნამდვილ კენგურულ და ძაღლად ერთმანეთის მოხატვით და ამ ცხოველებზე მიმსგავსებით<sup>34</sup>.

ბეჩუანების ყოველ გვარს განსაკუთრებული ტოტემური ცეკვები ჰქონდა. ამიტომ ბუშმენებს თუ უნდათ გაიგონ, რომელ გვარს ეკუთვნის კაცი, ეკითხებიან: „შენ რას ცეკვავ?“<sup>35</sup>

უძველესი ადამიანისათვის სხვა გვართან კეთილმეზობლური ურთიერთობა, ბუნებრივია, აუცილებელი იყო. ისინი სხვა გვარის წარმომადგენლებთან მეგობრობდნენ, ქორწინდებოდნენ, რადგანაც ტოტემიზმისათვის გეზოგამია იყო დამახასიათებელი. მაგრამ ვარდა ქორწინებისა და მეგობრობისა, მათ ერთმანეთთან შუღლი და მტრობაც ჰქონდათ. მტრობის მიზეზი არც ისე ცოტა ექნებოდათ — საკვების ან სასმელის განაწილება, საცოლის მოპოვებით გამოწვეული დაპირისპირება (რისი მაგალითებიც საკმაოდ არის ჩამორჩენილ ხალხთა ფოლკლორში) და ალბათ სხვა მრავალი.

პირველყოფილი ტომები ერთობლივი ძალით აღწევდნენ წარმატებას არსებობისათვის ბრძოლაში, მაგრამ, როგორც ჩანს, საერთო ინტერესების მოგვარება ყოველთვის კეთილად არ მთავრდებოდა და ხშირად დაპირისპირებასა და მტრობასაც კი იწვევდა.

ჩამორჩენილ ხალხთა ფოლკლორში კარგად ჩანს ცხოვრებისეული სიძნელების გადასალახად რამდენიმე ტომის საერთო ძალებით მოქმედების მაგალითები და ისიც, თანდათან როგორ ვეღარ რიგდებიან ამ ტომთა წარმომადგენლები და მტრობენ ერთმანეთს. ეს მტრობა, როგორც წესი, ერთი მხარის სრული გამარჯვებით მთავრდება, მეორე მხარე კი საბოლოოდ დაღუპული და განადგურებული რჩება.

ცხოველთა ზღაპარი პრეისტორიული საზოგადოების სიტყვიერი ხელოვნების ნიმუშია. მასში ადამიანები გადმოსცემენ თავიანთ ცხოვრებას, ყოფას, თვითონ კი ტოტემების სახელებით იწოდებიან, იმ ეპოქის რწმენის შესაბამისად. სხვანაირად შეუძლებელიც იყო — უძველესი ადამიანისათვის ხომ ხელოვნების ესა თუ ის ნიმუში მჭიდროდ იყო დაკავშირებული მთელ თავიანთ სამყაროსთან. „ეკონომიკური, სოციალური, რელიგიური სფეროები და მათთან ერთად ხელოვნებაც, პირველყოფილ ხელოვნებაში გადახლართულია და ურთიერთპირობადებული გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ეს დამახასიათებელია საზოგადოების განვითარების უფრო მაღალი დონისათვის... პირველყოფილი ხელოვნება ხომ სწორად შეიძლება იქნეს გაგებული მხოლოდ სოციალურ კონტექსტში, სოციალური ცხოვრების სხვა მხარეებთან კავშირში, აღებული ერთიან, მთლიან სისტემად“<sup>36</sup>.

ჩვენი აზრით, ცხოველთა ზღაპარსა და იგავს შორის ის განსხვავებაა, რომ ცხოველთა ზღაპარში მოქმედებენ ცხოველებად წოდებული ადამიანები. იგავ-არაქში კი ცხოველ პერსონაჟებში ალეგორიულად იგულისხმებიან ადამიანები. ცხოველთა ზღაპრების შემქმნელი ხალხი ამა თუ იმ ტოტემური ცხოველის სახელს უწოდებს ამ გვარის ადამიანს, ამ შემთხვევაში ზღაპრის გმირს. იგავ-არაქში კი ესა თუ ის ცხოველი გამოყვანილია პერსონაჟად, რომელიც ალეგორიული სახეა ადამიანისა.

პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს გაუცნობიერებელ აღრევასთან, მეორე შემთხვევაში კი გაცნობიერებულად მხატვრული სახის შექმნასთან.



ცხოველთა ზღაპრებში მოქმედებენ ადამიანები, რომლებსაც ამა ცხოველების სახელები ჰქვიათ.

უძველეს ხალხთა ცხოველთა ზღაპრების სიუჟეტი ძირითადად მეტოქეობაზე, ქიშპობაზე, შეჯიბრზე, საკუთარი ძალის უპირატესობის დამტკიცებაზეა აგებული. იქ, სადაც ცხოველთა შეჯიბრია მოცემული, ალბათ, სხვადასხვა ტოტემის, გვარის ხალხი ეჯიბრება ერთმანეთს. ხშირი მეტოქეობა ზღაპარში არც უნდა იყოს გასაკვირი. მშვიდობიანი თანაარსებობის დროსაც კი არ შეიძლება ადგილი არ ჰქონოდა საკუთარი უპირატესობის დამტკიცებას მეზობელ ტომებს შორის. მით უმეტეს, რომ მათი ტოტემური წინაპარი სხვადასხვა იყო და ერთმანეთთან შეჯიბრით ისინი თავიანთ წინაპრებს, თავიანთ ტოტემებს აჯიბრებდნენ და ტომის წევრის სიძლიერეც ხომ ტოტემისგან მოდიოდა. ყოველი მათი დაპირისპირება ტოტემის სახელით და ტოტემისთვის ხდებოდა, ამიტომაც ისინი პირდაპირ ტოტემის სახელით იწოდებოდნენ.

ცხოველთა ზღაპრის შექმნა აზროვნების განვითარების იმ ეტაპს ეკუთვნის, როცა ადამიანს უკვე ჰქონდა გავლებული საზღვარი თავის თავსა და დანარჩენ სამყაროს შორის. ეს ის პერიოდია, როცა მას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ის ცხოველისაგან განსხვავებით ადამიანია. ზღაპრის ქანრულ სახესხვაობათა (ცხოველთა, ჯადოსნური და საყოფაცხოვრებო ზღაპარი) მთავარი გამაერთიანებელი სწორედ ის არის, რომ ზღაპრის მთავარი პერსონაჟი ადამიანია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. Л. Я. Штернберг, Первобытная религия в свете этнографии, Л., 1936, გვ. 198.
2. В. Р. Кабо, Синкретизм первобытного искусства (по материалам австралийского изобразительного искусства). Ранние формы искусства, М., 1972, გვ. 277.
3. С. А. Токарев, Религия в истории народов мира, М., 1976, გვ. 53.
4. Л. Я. Штернберг, დასახ. შრომა, გვ. 32.
5. Е. М. Мелетинский, Первобытные истоки словесного искусства. Ранние формы искусства, М., 1972, გვ. 161.
6. Л. Я. Штернберг, დასახ. შრომა, გვ. 198.
7. С. А. Токарев, დასახ. შრომა, გვ. 82.
8. Е. М. Мелетинский, Поэтика мифа, 1976, გვ. 264.
9. В. И. Вологодина, Фольклор народов акан и эве, (фольклор и литература народов Африки); М., 1970, გვ. 233.
10. ვ. ბ ა რ ნო ვ ი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 10, თბ., 1964, გვ. 247.
11. მ. ჩ ი ქო ვ ა ნ ი, ქართული ფოლკლორი, თბ., 1946, გვ. 292.
12. ელ. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე, ზღაპარი, ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I, თბ., გვ. 384.
13. აბ. ც ა ნ ა ვ ა, სატირა და იუმორი ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში, თბ., 1960, გვ. 21.
14. В. Я. Пропп, Исторические корни волшебной сказки, Л., 1946, გვ. 21.
15. Е. М. Мелетинский, Первобытные истоки..., გვ. 182.
16. Сказки народов Африки, предисловие Е. С. Котляра, 1976, გვ. 6.
17. Волшебный рог. Мифы, легенды и сказки бушменов хадзапи, собраны проф. Л. Коль-Ларсеном, перевод с немецкого и предисловие Г. Пермякова, М., 1962, გვ. 9.
18. В. Я. Пропп, Специфика фольклора, в кн.: «Фольклор и действительность», М., 1976, გვ. 27.
19. Волшебный рог, გვ. 25.
20. იქვე, გვ. 102.
21. იქვე, გვ. 117.
22. იქვე, გვ. 118.
23. იქვე, გვ. 128.

24. იქვე, გვ. 101.
25. იქვე, გვ. 37.
26. იქვე, გვ. 49.
27. იქვე, გვ. 36.
28. იქვე, გვ. 109.
29. Проделки хитрецов. Мифы, сказки, басни и анекдоты о прославленных хитрецах, мудрецах и шутниках мирового фольклора, состав., вступ. статья и редакция текстов Г. А. Пермякова, М., 1977, გვ. 45—46.
30. Волшебный рог, გვ. 32.
31. იქვე, გვ. 149.
32. В. Р. Кабо, დასახ. შრომა, გვ. 295.
33. იქვე.
34. А. Маршалл, Мы такие же люди, М., 1965, გვ. 178—179.
35. Л. Я. Штернберг, დასახ. შრომა, გვ. 198; С. А. Токарев, დასახ. შრომა, გვ. 148.
36. В. Р. Кабо, დასახ. შრომა, გვ. 277.

Р. К. ЧОЛОҚАШВИЛИ

## К ПОНЯТИЮ ПЕРСОНАЖА В СКАЗКАХ О ЖИВОТНЫХ

Резюме

Сказки о животных относятся к образцам устного творчества того этапа развития мышления, когда человек уже осознал свое отличие от животного мира.

В них действуют люди, которые, соответственно верованиям тех эпох, называются именами своих тотемов.

Различие между сказкой и басней заключается в том, что в сказках действуют люди под именами животных, а в баснях под персонажами-животными аллегорично подразумевается человек.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ.  
 რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის  
 ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
 აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის  
 ისტორიის ინსტიტუტმა

## ლია კობახიძე

 აღმოსავლური წარმოშობის ტერმინები ქართულ  
ხალხურ ზღაპრებში

ქართულ ზღაპრებში გვხვდება აღმოსავლური ტერმინები, რომელთა ნაწილი ქართულში ადრე იყო შემოსული, ნაწილი — შედარებით გვიან. „როგორც ცნობილია, ესა თუ ის ტერმინი შეიძლება ირანული წარმოშობისა იყოს, მაგრამ მისი შინაარსი ადგილობრივ ვითარებას შეესაბამებოდეს“<sup>1</sup>. ზოგი მათგანი დაკავშირებულია სარწმუნოებასთან, რელიგიასთან, ზოგი კი ეკონომიკურ ცხოვრებასთან, ვაჭრობა-ხელოსნობასთან. „მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქართველოს მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობანი თავის გამოვლინებას პოულობდა საშინაო ვაჭრობის ხასიათსა და სტრუქტურაშიც. ამას მოწმობენ ტერმინები: „რასტაზარი“, „ჩორსუ“, „დუქანი“, „ოსტატი“, „შეგირდი“ და სხვა“<sup>2</sup>. ამჯერად შევეხებით ზოგ მათგანს. ესენია: უმაღლესი სოციალური ფენების აღმნიშვნელი, სამოხელეო და სოციალურ-ეკონომიკური, ქალაქის ვაჭრობა-ხელოსნობასთან დაკავშირებული, მუსლიმი სასულიერო პირებისა და ნაგებობათა აღმნიშვნელი ტერმინები.

I. უმაღლესი სოციალური ფენის აღმნიშვნელი ტერმინები:

1. ფადიშაჰი. „იყო ერთი ფადიშაჰი“ (ზ. თანდ. 1970, 159)<sup>3</sup>. „სავაჭროდ წავედი ერთ დიდ ფადიშახთან“ (გ. ნოდ. I, 1936, 52). „ჩვენ რომ სინათლე გავანთეთ, ფადიშაჰი, არ დაეთვალეთ“ (გ. ნოდ. I, 1936, 3).

ფადიშაჰი-ფადიშახი-ფადიშაი. სპ. **آشا** (ფადეშაჰ) — მეფეთა მეფე ისლამურ ქვეყნებში.

2. შაჰ-ზადე. „ამ დროს შაჰ-ზადე ამზადებს ცხენსა“ (გ. ნოდ. I, 136, 19). „ამ ბიჭის დანახვაზე ქალმა იკითხა: სიდან და როგორ ჩამოვარდი აქ, შაჰ-ზადე?“ (გ. ნოდ. II, 1940, 12).

სპ. **آشا** (შაჰ-ზადე) — მეფის შვილი

3. ხანი. „იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხანი“ (ნ. ნოდ. 1959, 239). „ხანი სცარცვავეს ღარიბებს, თვისიანებს ამდიდრეს. „ხანი ხოცავს მართალ ხალხს, თვისიანებს ამდიდრებს (მ. ჩიქ. III, 1956, 176).

თ. **خان** (ხან) — აღმოსავლეთის ქვეყნებში: გამგებელი, მონარქი, მთავარი.

II. სახელმწიფო-ადმინისტრაციული ტერმინები:

ა) სამოხელეო ტერმინები:

1. ბეგი „ერთ დროს იყო ორი ბეგი“ (გ. ნოდ. II, 1972, 101). „ერთ

<sup>1</sup> გ. ვაბაშვილი, ირანული წარმოშობის სოციალ-ეკონომიური ტერმინოლოგია უძველეს ქართულ წყაროებში, კრ.: „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“. თბ., 1966, გვ. 110.

<sup>2</sup> გ. ვაბაშვილი, XVI—XVII სს. საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლეთის ურთიერთობის შუქზე, კრ.: „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან“, I, თბ., 1966, გვ. 192; მისივე, მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქები IX-XIII სს. იქვე, გვ. 16.

<sup>3</sup> იხ. პოლოში დართული შემოკლებანი.



ბეგს ერთი ვირი ყოლია“ (ჯ. ნოლ. I, 1936, 104). „იმ სახლში მეგმე მკითხველი ბეგი იდგა. ამ რამდენიმე დღის უკან იმ ბეგს შვილი მოკვდომოდა და იმ ბეგის ცოლი გაცხარებული სტიროდა“ (ჯ. ნოლ. II, 1940, 87). „შერიფ ბეგს დიდად უყვარდა ალი ალა“ (ჯ. ნოლ. II, 1940, 139). „ჩემი სახელია რუშტი ბეგი და მე უნდა წავიყვანო ცოლათო“ (ჯ. ნოლ. II, 1940, 62).

თ. ბიგ || ბიკ (ბეგ ბეკ) — ფეოდალური არისტოკრატიული ტიტული, ბატონი; მოსაუბრისადმი პატივისცემის გამომხატველი მიმართვის ფორმა.

2. ვეზირი. „მეფემ დაიბარა ნაზირ-ვეზირები და ოქრო ვერცხლით დააჯილდოვა“ (ალ. ლლონტი, 1956, 142). „მეფემ ამ შაჰ-ზადეს თან მისი დიდი ვეზირი იახლა და მისი ესკერი“ (ჯ. ნოლ. I, 1936, 75). „შეჰყარა ნაზირ-ვეზირები, თავისი ხალხი მთლად და მაიყვანა ქალი“ (ქართ. მთ. ზეპ. 1958, 376).. „იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე და ჰყვანდა ერთი მოხუცი ვეზირი“ (ე. თაყ. II, 1918, 155). „მთავარ ვეზირს სამი ჯორ-აქლემი თვალ-მარგალიტით დატვირთული მიუძღვნა“ (ხალხ. სიბრძ. II, 1964, 208); (ალ. ლლონტი, 1956, 142).

„მე მოვხუციდი და ჩქარა მოვკვდები, ჩემი ტახტი ერთი დღითაც ცარიელი არ დატოვოთ, თორემ შავი ვეზირი გამეფდება და თქვენ სახლიდან გაგრეკავთ“ (ხალხ. სიბრძ. II, 1964, 142).

არ. ვეზირ (ვაზირ) — ვეზირი, მეფის საბუკოს წევრი, მეფის მრჩეველი მინისტრი მუსლიმურ აღმოსავლეთში<sup>4</sup>.

3. მუხტარი. „სოფლის მუხტარმაც დაიჭირა თვალი მაგაზე — ქალზე. მუხტარი, ხოჯა და ევაზარი არ მამღევენ მოსვენებასო“ (ნ. ნოლ. 1959, 229).

არ. მუხტარ (მოჭთარ) — მამასახლისი.

4. მუშრიბი. „ერთ ხელმწიფეს ერთი მუშერიბი ყავდა. იი მუშერიბი მოკვდა... დანიშნა თავ მუშერიბათ“ (ჯ. ნოლ. II, 1940, 123).

არ. მურაბი (მურაბი) ზედამხედველი, სელჩუყთა ეპოქაში ვილაიეთის გამგებელი. 2. მბრძანებელი, 3. სასახლის მოხელე. მურაბი — აღმოსავლეთის ქალაქებში საერთოდ მეთვალ ყურე მოხელეს ეწოდებოდა. ვრც. იხ.<sup>5</sup>. მუშრიბი — ქალაქის საბაჯოში შემოსული საქონლის, აგრეთვე სასახლის ქონებისა და სასახლის კარის შეყვანის ქონების აღმწერელი<sup>6</sup>.

5. სულთან. „ახმად ალას გუუხარდა — სულთანი მესტუმრაო“ (ჯ. ნოლ. I, 1936, 77). „მან მითხრა სულთან სულეიმანის მაღარასანი“ (ჯ. ნოლ. II, 1972, 112). „იქ ყოფილა ერთი სულთან ფაშა ყერიბმა მივიდა მასთან და თხუა სამუშაო ალაგი“ (ნ. ნოლ. 1959, 248).

<sup>4</sup> ვაზირის შესახებ იხ.: ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. 11, ნაკვეთი პირველი, ტფილისი, 1928, გვ. 116-124. იქვეა მითითებული ლიტერატურა; ე. კულია, სეფ ანთა ირანის საქალაქო წყობილება „თახტირათ ალ-მულუქის“ მიხედვით, კრ.: „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან“, 1, თბ., 1966, გვ. 112.

<sup>5</sup> ვ. გ. აბაშვილი, თბილისის მმართველობა X-XI საუკუნეებში, თსუ შრომები, ტ. 108, 1964, გვ. 344.

<sup>6</sup> მ. ლორთქიფანიძე, ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 148-156.

არ. اعطان (სოლთან)—აქ ამ ტერმინში მონარქი არ იგულისხმება.

6. ფაშა. „ერთ ქალაქში ერთი ფაშა იყო“ (ელ. ვირს. 1958, 321). „ფაშას გუუხარდა ამოიღო და ალიაღას საჩუქვარი მიცა ვორმოცი მანეთი (ჯ. ნოდ. II, 140, 139). „ერთ ფაშას იქ ყოლია არაბეთიდან ჩამოყვანილი ცხენი“ (ჯ. ნოდ. II, 1972, 103). „რუშტი ბეგმა ეს ლამაზი ქალი მუყყანა მამედ ფაშას და უთხრა ცოლად უნდა შევირთაო“ (ჯ. ნოდ. II, 1940, 63).

სპ. پاشا (ფაშა) — ისლამური აღმოსავლეთის ქვეყნებში, კერძოდ თურქეთში, უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო ტიტული.

7. ყავაზი. „მორე დღეს გაგზავნა ყავაზი, მოაყვანია ი გოგვები მასთან სამნივე“ (ჯ. ნოდ. I, 1936, 4). „ყავაზმა წააწყდა ამათ და უთხრა. ყავაზმა მოკიდა ხელი და წიყყანა მეფესთან“ (ჯ. ნოდ. I, 1936, 13).

არ. قاص (ყავაყა)—მოხელე. თ. kavas—მოხელე.

ბ) სოციალურ-ეკონომიკური ტერმინები:

1. აღა. „ბიჭმა უთხრა აღას, აბა, რას მიბოძებო“ (პ. უ. III, 1964, 239). „გამოვიდა აღა და გაკვირვებულს თვალეები დაჭყეტილი დარჩა“ (ელ. ვირს. 1958, 300). „ერთი ამ სოფლის აღა იყო“ (ზ. თანდ. 1970, 163). „ასი წლის წინათ ამ ქობულეთის რაიონში ცხოვრობდა ერთი მდიდარი ოსმან-აღა ჭაყელი (ჯ. ნოდ. II, 1940, 57).

თ. آقا (აღა)—ბატონი, უფროსი, —ტიტული, რომელსაც ფლობდნენ მდიდარი თურქები. აქ პატივისცემის გამომხატველი მიმართვის ფორმაა. ბეგი, ფაშა, სულთანი და აღა ტერმინები გვხვდება ცალკე და საკუთარ სახელთანაც. საზოგადოებრივი მდგომარეობით აღა აზნაურულ წოდებას ეთანაბრებოდა.

2. ზანგი. „მართლაც მისცა წამალი ზანგმა და უთხრა“ (ელ. ვირს. 1949, 123).

სპ. زنگی (ზანგი) ზანგი, შავკანიანი, ეთნიკური ტერმინი, ნახშირია სოციალური მნიშვნელობით, იგი შესატყვისია შავი არაბისა, შავი მონისა ან უბრალოდ მონისა.

3. ხიზმეთქარი. „იყო ერთი ფადიშაჰი. იმას ყავდა გოგო შვილი სამიცი ხიზმეთქარი ...ამ სამივე ხიზმეთქრებმა წვედენ სხვა ქვეყანაში“ (ჯ. ნოდ. II, 140, 163). „მერმე თქვეს, რომ ჩვენ წვედეთ და ვინმესთან ხიზმეთქრათ დაედგნეთო“ (ჯ. ნოდ. II, 1972, 101). „წავალ ერ წელიწად დევე ხიზმეთქარდები და ბელგინ ერთი ცალი ხარი კიდევ ვიშვო პადმეო, მაშინ მოვალ და ცოტას წინ წეეწევიო. ამდგარა და წასულა ეს კაცი სხუა ქვეყანაში ხიზმეთქრათ“ (ჯ. ნოდ. II, 140, 86).

არ. სპ. خدمتکار (ხედმათქარ) მოსამსახურე, მოჯამაგირე. არ. خدمت (ხედმათ) სამსახური. სპ. کار (ქარ) საქმე. თ. hizmetkâr—მოსამსახურე.

4. ხოჯა. „მართლაც უყარაულე შუალამედე, მემრე გაიღო ფანჯარა და გაღმოიდა ხოჯა, რომელსაც ხელში ეჭირა წიკებლა“ (ალ. ლლონტი, 1948, 134). „ხალსს ბრაზი მოსდის, მეტადრე აღიებს და ხოჯიებს, რომ ამ გლახამ რა გვიქნა, ეს რა გაუბედა ფაშის შვილსო“ (ჯ. ნოდ. II, 1940, 69). „ერთიცი ხელავს, რომ გეხსნა ღუშემე და ორი ხოჯა შემოვიდა“ (ჯ. ნოდ. II, 1972, 108).

სპ. **خواجه** (ხეჯე) — ხოჯა, მოხუცი; პატრონი, ბატონი; ვაჭარი, დიდვაჭარი.

III. ქალაქის ვაჭრობა-ხელოსნობასთან დაკავშირებული ოტერმინები:

1. ავჯი, ავჯი ბაში, ბაშავჯი. „ამ დროს ქალაქიდან წამოსულ ავჯის (მონადირე) ძაღლებს წააწყდა“ (ჯ. ნოღ. I, 1936, 22). „ამ დროს ბაში ავჯიმ თავისი დღიობის დღესასწაული მუაწყო... დიდმა ავჯიმ ყველა თავისი სტუმრები ინახულა...“

ეს ამბავი მოუვიდა ავჯი ბაშს“ (ჯ. ნოღ. I, 1936, 24).

თ. avci bas — მონადირეთუხუცესი.

თ. avci — მონადირე. თ. has — თავი.

2. ბეზირგანი. „ამ დროს გამოიარეს ბეზირგნებმა და კითხულობდნენ კაცს, რომელიც თან წაყოლობდათ (საეპროლ)“ (პ. უ. III, 1964, 264). „თქვი, რომ ჩემი ბაბაი დიდი ბეზირგანი კაცი იყო“ (ჯ. ნოღ. I, 1936, 105).

სპ. **بازرگان** (ბაზარგან) — ვაჭარი, წვრილი ვაჭარი, მეღუქნე.

3. დალალი. „უტბაშში გამხდარა ავათ და დალალეები ღვინოსა მსომენ“ (მარტირ. 1956, 140). „ერთ ფადიშაჰს მეგემ დაკარქვია ალთუნის დანა. თელალი დაუძახნია“ (ჯ. ნოღ. I, 1936, 105).

არ. **دالال** (დალალ) — მაკლერი, დალალი.

4. დახლიდარი. „ჩემი პატრონი ბიჭსა და დახლიდარს მოუვიდათ ჩხუბი“ (მარტირ. 1956, 38).

არ. **دخدا** (დახლდარ) — შემოსავლიანი, მომგებიანი, კომპანო, თანამოსაქმე.

5. დურგალი. „ავინი ყოფილან: ერთი დურგალი, ერთი თერძი, ერთიც ხეინჯი“ (ჯ. ნოღ. I, 1936, 13).

სპ. **دورگه** (დორღე) — დურგალი.

6. დუქანი, დუქან-ბაზარი. „ნახა, ერთ ადგილას დიდი და მშვენიერი სასახლეა, წინ მიდგმულია დუქანი, სადაც ერთი ოქრომჭედელი მუშაობს“ (პ. უ. III, 1962, 279). „ერთ დილით ერთი სოცდაგარი მივიდა დუქანში, მოითხოვა სასმელ-საჭმელი. და ბიჭები, დუქანის ახლოს ჩამოხადა ჯორ-აქლემიდან საპალნე. ბიჭები დაუყენა და თვითონ დუქანში შევიდა დასასვენებლად“ (ქს. სიხ. 1938, 177). „გამართული დუქან-ბაზარი, როგორც ვინმეს უგემნია, უჭამნია, უცხოვრია ეგრეა დაქვევებული ყველა“ (ქართ. მთ. ზეპ. 1958, 361). „ქალმა ფირუზას ვეზირობა უბოძა... ფირუზას შუამდგომლობით მინდორი შეისყიდა ხელმწიფისაგან, გააშენა ქალაქი, დასახლეს ხალხი, გაჩაღდა დუქან-ბაზარი“ (ელ. ვირს. 1958, 143).

არ. **دکان** (დოქან) — დუქანი.

სპ. **بازار** (ბაზარ) — ბაზარი.

7. ზარაბი. „ეს ბეჭედი წაიღეო ზარაბთანაო და მიპყიდეო“ (პ. უ. III, 1964, 264). „ზირაბმა გაჰკვირა“ (ჯ. ნოღ. I, 1936, 51).

არ. **زارب** (ზარებ) — საფასურით ფულის გადამხურდავებელი, ფულის მოპყრელი.<sup>7</sup>

<sup>7</sup> ზარაფისა და ზარაბ-ხანის შესახებ იხ.: იგ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წ. 111, 1, ნაკვ. 111, ქართული საფას-საზომო მცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია, ტფლისი, 1925, გვ. 44.



8. მუშტარი. „დაეხევა დიდძალი მუშტარი. ვავარდა ხმა სხამ ზღვარგარეთიდან დიდი ვაჭარი მოსულა და დიდი ძალი საქონელი მოუტანია“ (მ. ჩიქ. II, 1952, 46). „დაინახეს სხვა ვაჭრებმა, რომ იმათთან მუშტარი აღარაეინ მოდის“ (მ. ჩიქ. III, 1956, 200).

არ. مشرى (მოშთარე)—მუშტარი, მყიდველი, გამსაღებელი.

9. ნოქარი. „აპკიდა ჯორ-აქლემს საქონელი. ერთ ნოქარს გაატანა და ეს სოვდაგრის შვილიც თან გააყოლა“ (ელ. ვირს. 1958, 340).

სპ. نوکار (ნოუქარ)—ნოქარი, მსახური.

10. ოსტატი. „გაუგია ოსტატს, რომ შეგირდს ჩემი ხელობა გაუტანია“ (თ. რაზ. I, 1951, 243). „მერე გზა დაულოცა ოსტატმა და გაისტუმრა“ (თ. რაზ. I, 1951, 242).

სპ. استاد (ოსთად)—ოსტატი, ხელოსანი.

11. სარქალი. „შვილი წავიდა, იარა და ერთ მდიდარ კაცს სარქლად დაუდგა“ (თ. რაზ. I, 1951, 81). — გამარჯობა! — გაგიმარჯოს! — ალავ, მგონი, თქვენ სარქალს ეძებთ და მე დაგიდგებითო. — მე ჩემო ძმავ, უთხრა აღამ, ისეთი სარქალი მინდა, რომ თავისი ხელით არაფერი დამაკლოს, ალაღალ და მართლად მოიქცეს და ჯამაგირს რასაც მთხოვს, მივცემო. — ძალიან კარგით, უთხრა სარქალმა“ (თ. რაზ. 1909, 130).

სპ. سرکار (სარქარ) — ზედამხედველი, უფროსი, მმართველი, უფროსი მწყემსი. სარქლად ირჩევენ ერთ გამოცდილ, სიტყვა-პასუხიან მწყემსს, რომელსაც მთიდან ჩამოსვლამდე ემორჩილებიან.

12. სოვდაგარი. „ამ ქვეყანაში სოვდაგრები დადიოდნენ ხშირად ძვირფასი ნივთების საყიდლად“ (ჯ. ნოდ. 1957, 17). „შემოეხევივნენ გარშემო სოვდაგრები, დაუწყეს ვაჭრობა“ (მ. ჩიქ. III, 1956, 163). „ერთ ქალაქში გვერდის გვერდ ორი სოვდაგარი ვაჭრობდა“ (თ. რაზ. 1909, 119). „სად იყო და სად არა, ამ ხესთან დასასვენებლად გაჩერდა შორი მგზავრობიდან მომავალი სოვდაგარი“. (ალ. ღლონტი, 1956, 180). „როდესაც ქალაქს მიუახლოვდნენ, სოვდაგრებმა კაცები გაგზავნეს ქარვასლების დასაგირავებლად“ (თ. რაზ. II, 1952, 5). „რახან შენ ასეთი ღარიბი ხარო, სასოვდაგროთ მივდივარ და წამოდი ჩემთან მოჯამაგირეთათო... წავიდნენ სასოვდაგროთ ჯორ-აქლემებით“ (ალ. ღლონტი, 1948, 99).

სპ. سوداگر (სოვდაგარ)—დიდვაჭარი, ბითუმად მოვაჭრე.

სოვდაგრები ეკონომიკური მდგომარეობით მალლა იდგნენ ბაზარგანებთან შედარებით.

13. უსტაბაში. „უსტაბაში გამხდარა ავათ და დალაღები ღვინოსა მსომენ“ (მარტირ. 1956, 140).

უსტაბაში ამქრის აღმინისტრაციის უმაღლესი მოხელე იყო. მის ერთ-ერთ მთავარ მოვალეობას შეადგენდა ამქრის ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების დაცვა. მუსლიმური რიტუალის კვალობაზე ამქარში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ზნეობრივ სიწმინდეს. მაგალითად, არ სვამდნენ ღვინოს, რაც აკრძალული იყო შარიათით<sup>8</sup>.

<sup>8</sup> კ. კუციია, სეფიანთა ირანის ქალაქები, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან“, თბ., 1966, გვ. 76-79.



„მასპინძელმა სიხარულით მიიპატივა სტუმარი, რომელსაც უსტაბაშის ნიშანი ეკიდა“ (ელ. ვირს. 1958, 325).

თ. ustabas (უსთაბაშ) ხელოსანთა ამქრის უფროსი, უფროსი ოსტატი.

თ. bas — თავი. თ. usta ← اسدا (სპ.) (ოსტატი) შდრ. ოსტატი.

14. ქარავეანი. „ომოდენა ქარავეანს მოუყრია თავი, რომ ჭედვა აღარ არის“. (თ. რაზ. 1909, 177). „ყოველისფერს რომ მოგცემს და გაგზავნი, ქარავეანის უფროსს უთხარი, რომ სანამ შენ არ მიეწეოდე, არსად არ გააჩეროს ქარავეანი, სულ ერთავად იაროს“ (ელ. ვირს. 1958, 214).

სპ. كاروان (ქარ [რ]ავეან)—საქმეზე მიმავალი (?).

15. ქეთხუდა. „ერთხელ წვეულებაში არიან. მასპინძელს ერთი ქეთხუდა სომეხიცა ჰყავს დაპატიებული“ (თ. რაზ. 1909, 131).

სპ. கடხდა (ქეთხუდა)—მამასახლისი.

„ამქრის ადმინისტრაციაში უსტაბაშის შემდეგ ყველაზე გავლენიანი პირები იყვნენ ამქრის უხუცესები — ქეთხუდები, რომელთა თანამდებობა არჩევითი იყო. ქეთხუდების ძირითადი მოვალეობა იყო ამქრის ფინანსიურ-ეკონომიური მხარე. აღსანიშნავია, რომ ირანულ სახელოსნოში რელიგიურ მომენტს უმთავრესი ადგილი ეჭირა. ხელოსანს ევალებოდა კარგად სცოდნოდა ხელობის წარმოშობისა და განვითარების ისტორია, ლოცვები, რომლებსაც იგი წარმოსთქვამდა საწარმოო პროცესში“<sup>9</sup>.

„იყო ერთი მდიდარი ქეთხუდა ვაჭარი. სალამოხედ, შუადღისას და დილით თავისუფალ დროს ლოცვაში ატარებდა“<sup>10</sup> (თ. რაზ. 1909, 20).

როგორც ცნობილია, აბბას 1 (1588—1629) და მისი მომდევნო შაჰების დროს პატივისცემითა და პრივილეგიებით სარგებლობდნენ სომეხი დიდვაჭრები, რომლებსაც დიდი ფინანსიური ძალა გააჩნდათ და სხვადასხვა ქვეყნებთან აწარმოებდნენ სავაჭრო ოპერაციებს<sup>11</sup>. ქართულ ზღაპარშიც მოიხსენიება სომეხი ქეთხუდა.

16. ყასაბი. „სამი ყასაბი იყო და ამ ყასაბებს ერთი სომეხი ჰმეგობრობდა“. (თ. რაზ. 1909, 164).

არ. قصاب (ყასაბ)—ყასაბი.

17. შეგირდი. „წაიყვანა კაცმა ის ვაჟი სადმე ხელობაზე შეგირდათ მისაბარებლად“ (თ. რაზ. I, 1951, 241). „ვაუგია ოსტატს, რომ შეგირდს ჩვენი ხელობა გაუტანიაო“ (თ. რაზ. I, 1951, 243).

სპ. شگیردا (შავგირდა)—მოწაფე, ოსტატის (იხ.) მოწაფე.

18. ჩარჩი. „ერთ მშვენიერ დღეს ჩარჩმა ჩამოატარა ფარჩა და იძახის: ფარჩა, ქალებო, ფარჩა, ქალებო!“ (მ. ჩიქ. 1952, 223).

თ. çerçi—ქორვაჭარი, სპეკულანტი.

19. ჩალანდარი. „ერთი კაცი ქუთაისიდან ახალციხეს მიდიოდა და ხორავი ჰქონდა წასაღები. ამ დროს ერთი ჩალანდარი შემოეყარა“ (ბ. უ. IV, 1964, 101). „მოდიან ჩალვადრები გზაში“ (ბ. უ. III, 1964,

<sup>9</sup> კ. ქუციია, დასახ. ნაშრომი, გვ. 80; ლ. შენგელია, ირანი ქერიმ-ხან ზენდის დროს, თბ., 1973, გვ. 57.

<sup>10</sup> დილით, შუადღისას და საღამოს ლოცვაში ნამაზთა ნაგულისხმევი.

<sup>11</sup> კ. ქუციია, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.



42). „შუალამემ რომ მოატანა, ამ ხის ძირზე მივიდნენ ჩაღანდრები“ (მ. ჩიქ. 1938, 149).

სპ. چاروادار (ჩაღვადარ) — ოთხფეხის პატრონი. პირი, რომელიც ცხენებს ქირაზე ატარებდა, მღვეარი, გამყოლი.

20. ჩაფარი. „სოლომონ ბრძენმა იერუსალიმის ტაძარი რო ააშენა, გაგზავნა ჩაფრები მთელს ქვეყანაზედ, რომ ყველა მოსულიყო და დაეფასებინა რა ღირდა სოლომონისაგან აშენებული ტაძარი“ (თ. რაზ. 1909, 262).

თ. çapar—შიკრიკი. რევოლუციამდე დაბალი ჩინის პოლიციელი. კუთხ.: მცველი.

21. ჩობანი. „იყო ერთი ჩობანი, სულ უკანასკნელი ღარიბი“ (ჯ. ნოდ. II, 1972, 95) (ნ. ნოდ. 1959, 222). „იქ ბევრი საქონელი დეიანახა, აძებდენ ჩობნები“ (ქართ. ზღ. (აქ.) 1973, 97).

თ. چوبان || چوپان (ჩუბან, ჩუფან)—მწყემსი.

22. ხარაზი. „ერთ ხარაზს ათი თუმანი მისცა, წამოიყვანა თვალეზახეველი, შეაკერინა ერთი დიდი ტყავის პერანგი“ (თ. რაზ. I, 1951, 34).

თ.-სპ خراز (ხარაზ) — ხარაზი.

23. ხეინჯი. „ავინი ყოფილან: ერთი ღურგალი, ერთი თერძი, ერთი ცხეინჯი“ (ჯ. ნოდ. I, 1936, 13). „გვედა ერთი თვე და იმ ერთი თვის განმავლობაში ხეინჯი აკეთებს ერთ ჰაუზს ოქროით და ძვირფასი ქვებით მოკაზმული“ (ჯ. ნოდ. I, 1936, 14, 15).

თ. хушма — ოქრომჭედელი.

IV. მუსლიმი სასულიერო პირები:

1. დავრიში. „მე მიყავარ ბებერს, როცა გამოგლევიძოს, მანდვე ქვესკნელს დავრიში გე ბი არიან, მამაჩემის სულისათვის პარაკლისს იხდიან... ჩავიდა ქვესკნელს და ჰკითხა დავრიშებს“ (ელ. ვირს. 1949, 304, 5).

„ხელმწიფემ დავრიშის ტანისამოსი ჩაიცვა და წავიდა ფინაჩის სანახავად... დავრიში რომ დაინახა ფინაჩმა, სიხარულით მიიბატიცა, ხელგაშლილი მიეგება — მობრძანდი, ძია დავრიშ მობრძანდი. ერთი კარგი რამე დაუკარი! დავრიშის ტანისამოსში გადაცემულმა ხელმწიფემ დაუკრა“ (ალ. ლლონტი, 1956, 159). „იყო და არა იყო რა, ერთ ქვეყანაში ერთი ხელმწიფე იყო. რამდენი შვილიც გაუჩნდებოდა, დავრიშ ხელმწიფე უჭამდა“ (ალ. ლლონტი. 1948. 147).

სპ. دارویش (დარეშ) — მორწმუნე მუსლიმთა რომელიმე გაერთიანების (ორდენის) წევრი. ღერვიშთა ერთი ნაწილი მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდა და მოწყალეების თხოვნით ირჩენდა თავს. ამიტომ ღერვიში მათხოვარსაც ნიშნავს. ამ ზღაპრებში უფრო ხშირად წმინდანად გვევლინება.

2. მოლა. „ერთ მოლას სამი გოგო ყავდა“ (ნ. ნოდ. 1959, 266). „გოგომ უთხრა: — ნუსხაფების გამჩენმა, ხოჯის ტონი მიყვარხარო, მოლას გუუნარდა ძალვან და ალთუნის ბეჭედი აჩუქა“ (ნ. ნოდ. 1959, 267). „იყო ერთი მოლა, ჰყავდა სამი ვაჟი. მოლამ აიღო თავისი დოვლათი და რაც ჰქონდა, შეიღებს გაუყო“. (პ. უ. IV, 1964, 89). „ქმარი მივიდა მოლასთან და უთხრა: — მე მივდივარ მოსაგებში და ჩემ ოჯახობას შენ მიხედო“ (ნ. ნოდ. 1959, 229, 30). „სად იყო და სად არა, მოვიდა ერთი მდიდარი მოლა“ (შ. ძიძ. 1959, 65). „ამის გავონებაზე გამოვარდა კარგი მღვეარი და ერთი მოლისას ძლივს შეასწრო შევარდნა სახლში. დევმა შესჩივლა



მოლას... მოლამ უთხრა: არაფერი შეუძლია იმ უბედურს, ტყვეობაში მისი შინებიათ“ (ქს. სიხ. 1938, 146).

არ. **مَلِكٌ** (მოლკ) — მუსლიმური სასულიერო პირი.

3. მუდერისი. „შუათანა ძმამ ხუთი წლის განმავლობაში გახტა გელჩეკ მუდერისი“ (ჯ. ნოლ. II, 1972, 166). „შუათანამ თქვა, რომ მე იმდენი უნდა ვისწავლო რომ მუდერისი უნდა გავხდეთ“ (ჯ. ნოლ. II, 1972, 165). „ამ კაცმა რომ ელიფი წეილო, იმ მუდერის ხოჯას, რამდენიმე წელიწადში რაც ისწავლა და რაც იცოდა, სულ დავიწყდა, როგორც პირველად იყო, ისე გახდა“ (ჯ. ნოლ. II, 1972, 166, 7).

არ. **مدرس** (მოდარრეს) — მუსლიმური უმაღლესი სასულიერო პირი. სასულიერო განათლების მქონე; განსწავლული.

4. ყადი. „წამოდი, ჩვენს ყადთან ვიჩივლოთ, თუ ეგ თხა არ იყოს, ყადების ხელმწიფემ უთხრა“ (პ. უ. IV, 1964, 82). „ერთ კაცს ლამაზი ცოლი ჰყავდა. ეს ქალი სოფლის ყადის მოსწონდა“ (ზ. თანდ. 1970, 188). „კეისარმა, რომ თავისი ბედლის გატეხვა შეიტყო, ძლიერ ეწყინა და მაშინვე ყადთან გაიქცა იმის შესატყობად, თუ ვინ გატეხა ბედელი, ყადმა უთხრა:“ (პ. უ. IV. 1964. 113). „ყადიმ დაიბარა ბიჭი და უთხრა“. (ზ. თანდ. 1970, 172). „მაშინ ამ კაცმა ყადთან წვეიდა საჩიველად. ყადმა გამეიბარა ორივე. მოლა დილით ადრე ადგა. ერთი მოზრდილი კოლოფი... ყადს წაუღო და უთხრა: ამას საჩუქრად გაძლევო“ (ნ. ნოლ. 1959. 260).

არ. **قاضی** (ყაჯი) — მოსამართლე, მუსლიმური მაღალი თანამდებობის პირი. ყადი წყვეტდა სამოქალაქო და სასულიერო საკითხებს.

„ყადი სასულიერო მსაჯული იყო. მის მოვალეობას შეადგენდა მტკიცედ დაეცვა „დიდებულ შარიათისა“ და „ბრწყინვალე სარწმუნოების“ წესები. ყადის თანამდებობის დანიშვნისას უპირატესობას აძლევდნენ იმ პირებს, რომლებიც სეიდების შთამომავლებად ითვლებოდნენ და ამიტომ კარგად ჰქონდათ შეთვისებული შარიათის ნორმები. ყადი ძირითადად ასამართლებდა იმ პირებს, ვინც სამოქალაქო და საოჯახო წესებს არღვევდა (სისხლის სამართლისაგან განსხვავებით)“<sup>12</sup>. ბუნებრივია, რომ მორწმუნე და სამართლიანი ყადების გვერდით, როგორც ყველა მაშინდელ სახელმწიფო აპარატში, იყვნენ ცრუ და გაიძვერა მოსამართლენი. ეს ყველაფერი უხვადაა ასახული ქართულ ზღაპრებში.

5. შეიხი. „მე ამდენი ხანია, აქა ვარ, ეს ჩემი შეიხი იყო და მე ვერაფერი გაუგეო“ (ჯ. ნოლ. 1972, 149). „ერთი შეიხი დადის, როგორც შეიხი თესვა გადაკიდებული და იძახის აჰუ! აჰუ! გომა დიდი მართალი კაცი“ (ჯ. ნოლ. 1972, 148).

არ. **شیخ** (შეხ) — მოხუცი; მოძღვარი, სწავლული, სასულიერო ორდენის წინამძღოლი.

6. ხოჯა. „მე მივდივარ ხოჯობაზე, მინდა მუდერისი გავხდეთ“ (ჯ. ნოლ. 1972, 165). „მარა იგი ჩააბარა მისი სოფლის ჯამის ხოჯას დიდი იმედით,

<sup>12</sup> კ. კუციბა, სეფიანთა ირანის სიქალაქო წყობილება „თაშქირათ-ალმულუქის“ მიხედვით. „ნარკვევები მაზნაბელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან“, თბ., 1966, გვ. 118.

რომ ხოჯა ნამდვილი მუსლიმანი არისო“ (ჯ. ნოდ. I, 1936, 72). „მოიწვია იმ ღამეს იმ სოფლის აღიები, ბეგები და მისი ჯამის ხოჯაც“ (ჯ. ნოდ. I, 1936, 77). „არის ერთი ხოჯა, რომელიც ადის მზნარეზე, ეხანს დეიძახებს და ბოლოს მინარეიდან გადმოხტება“ (ჯ. ნოდ. II, 1940, 100).

„ხოჯა სოციალური ფენაა — მსხვილი დიდვაჭარი, რომელიც უმთავრესად საგარეო ვაჭრობასთან არის დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ საგარეო ვაჭრობით დაკავებული მსხვილი დიდვაჭრები სპარსულ წყაროებში ტერმინ „ხოჯათი“ აღინიშნებოდნენ“<sup>13</sup>. აქ განვიხილავთ იმ მნიშვნელობებს, რომლებიც მუსლიმანურ სარწმუნოებასთანაა დაკავშირებული.

V. ნ ა გ ე ბ ო ბ ე ბ თ ა ნ და კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი ტ ე რ მ ი ნ ე ბ ი:

1. ა ხ ო რ ი. „წაყვა პაჯი ახმედ აღას და დეიწყო ახორში სამსახური“ (ჯ. ნოდ. I, 1936, 77). „ერთხელ ნენეთ ჩავიდა ახორში, თხა მოწველა, რძე ამოიტანა და თაროზე შემოდგა“ (ქართ. ზღ. (აჭ.) 1973, 25). „მელამ ცხვარი ახორში შეიყვანა და დაკლა... შევიდნენ ახორში და დაკლული რომ ნახეს, მელამ იყვირა“ (ქართ. ზღ. (აჭ.) 1973, 20).

სპ. اخور (ახორ)—ბოსელი, თავლა, ცხენის ბაგა.

2. თ ე მ ბ ე ლ ხ ა ნ ა, „ხონდა გაკეთებული თემბელხანა ხელმწიფეს“ (ჯ. ნოდ. I, 1936, 57).

სპ. تامل خانه (თემბელ—ხანე) ზარმაცების, უქნარების თავშესაყრელი ადგილი. სპ. تامل (თემბელ)—ზარმაცი, ხანე (ხანე)—სახლი.

3. დ ე ლ უ გ ი. იმიტომ გამოგალბა ხუნდის დელუგი“ (ჯ. ნოდ. I, 1936, 143).

თ. delik—ხერელი (შდრ. დილეგი).

4. დ უ ქ ა ნ ი — იხ: III — ქალაქის ვაჭრობა-ხელოსნობასთან დაკავშირებული ტერმინები.

5. კ ო ლ ი ბ ა ი. „ერთ ყანაში ერთი კოლიბაი ნახეს“ (ჯ. ნოდ. I, 1936, 5).

თ. kulübe—ქოხი, გომური.

6. კ ო შ კ ი. „იმ კოშკზე შემოხვეული იქნება ვეშაპი. ვეშაპი არავის არ უშვებს კოშკთან“ (ქართ. ზღ. (აჭ.) 1973, 49).

სპ. كوشك (ქუშქ)—კოშკი, სასახლე.

7. მ ა ხ ა ნ ი. „არაბი შეიყვანეს მახანში და სცემეს მაგრაოთ“ (ჯ. ნოდ. II, 1940, 157).

ჯ. ნოღაიდელს ეს ტერმინი განმარტებული აქვს, როგორც „საწამებელი ოთახი“. ამის კვალობაზე:

არ. محلات (მიჰნათ)—წამება, ტანჯვა, უბედურება(?).

8. მ ე დ რ ე ს ე. „მესამე დილას მედრესაში წავიდა და ხოჯას უთხრა“. (ჯ. ნოდ. II, 1940, 119). „მოდის ლალე ჩაიფრებული, გეიარა მედრესეს ახლოს, როცა თალიბები დასასვენებლად გამოუშვეს“ (ჯ. ნოდ. II, 1940, 170).

არ. مدرسة (მედრესე)—მაჰმადიანური სასულიერო სასწავლებელი.

<sup>13</sup> კ. კუციია, სეფიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, თბ., 1966, გვ. 57 (ამ მნიშვნელობით იხ. სოციალ-ეკონომიურ ტერმინებში).



9. მეზერი. „ამისათვის ესტირი ამ მეზერზე (საფლავზე) იმყოფება ჩემი შემსიბანუ“ (ჯ. ნოლ. I, 1936, 48).

არ. مزار (მზარ)—აკლდამა.

თ. mezar (مزار)—აკლდამა.

10. მეზელული. „დედამისმა ამოსძახა მეზელულიდან“ (ჯ. ნოლ. I, 1936, 36). „როცა მეზელულზე მიგვყავდა, ჩემმა ცოლმა დეიწყოსიცილი“ (ჯ. ნოლ. II, 140, 103).

თ. mezarluk (مزارلق)—სასაფლაო.

11. მერეგი. „დედინაცვალმა ხენიფე დამალა მერეგში და ხელმწიფის შვილს აჩვენა მისი გოგო“ (ქართ. ზღ. (აჭ.) 1973, 76).

თ. merék—საბძელი.

12. მეჩითი. (ჯამე). „ამ მუშაობის დამთავრების შემდეგ გვიგო, რომ სხვა სახელმწიფოში დიდი ჯამე (მეჩითი) კეთდებოდა და გასწია და წვედა. ჯამის ქვანდა მოზიდოს“ (ჯ. ნოლ. II, 1940, 84). „მართლაც ამ მეფემ დეიკავა უსტიები, და დაწყებია ჯამეს კეთება. მეფემ მისცა ფული უსტიებს. თვითონ შევდა ჯამეში და ათვალეირებს“ (ჯ. ნოლ. II, 1940, 8). „—რა ქენი და იმ ჯამეში შედი და ილოცე“ (ქართ. ზღ. (აჭ.) 1973, 44). „ჩემდა სასახელოთ ერ მშენიერ ჯამეს ავაშენეფო“ (ჯ. ნოლ. II, 1940, 8).

არ. مسجد (მასჯედ)—სამლოცველო.

არ. مسجد جامع (მასჯედ-ე-ჯამე')—საკრებულო მეჩითი.

13. მინარეთი. „არის ერთი ხოჯა, რომელიც აღის მინარეზე, ეზანს დეიძახებს და ბოლოს მინარეიდან გადმოხტება“ (ჯ. ნოლ. II, 1940, 100).

არ. مناره (მანარე)—მეჩითზე მიშენებული კოშკი, საიდანაც მოეზინი (იხ.) მლოცველებს ლოცვად მოუხმობს.

14. მოედანი. „წავიდა, და ნახა, რომ ამოულიათ ის ცარიელი ტანი კუბრიელთა, დაუციდიათ მეიდანზე. დაუყენებიათ მცველები და უთქვამთ“ (პ. უ. IV, 1968, 107). „ერთი კაცი მყავს მოსაკლავი, მთელი საზოგადოება შეიკრიბა მოედანზე“ (ალ. ლლონტი, 1948, 163).

სპ. میدان (მაიდან)—მოედანი, ხალხთა თავყრილობის ადგილი, შენობებით შემოფარგლული.

15. სარაია. „თემბელ მემედაის საცოლეს გუუყეთებია სარაია, ოქროს მერდევენებით“ (ჯ. ნოლ. I, 1936, 62). „მამაჩემს რუმ სარაია აქ გაყეთებული, ის ოსტატები უნდა მომიყვანო აქაო“ (ჯ. ნოლ. II, 1972, 143). „ინატრა ქალმა, ღმერთო ერთი სარაიები გააჩინეო და გაჩნდა მართლა კარგა სარაია“ (პ. უ. III, 1964, 200). „შენ მასეთი ჩიტი რუმ გყავს, შეგიძლიან, რომ ფილდისის სარაია აგოთ და შით იმცხოვროთ.

ფილდისის ძვალ ვინ მოიტანსო იმდონ რაოდენს, რომ სარაია ეგვოსო“ (ჯ. ნოლ. 1972, 127).

სპ. سرای (სარაი)—სასახლე, სახლი (შდრ. სრა).

16. ქარვასლა. „როდესაც ქალაქს მიუახლოდნენ, სოვდაგრებმა კაცები გაგზავნეს ქარვასლების დასაქირავებლად. საწყალმა კაცმა გამოუგზავნა აღას კაცი და შემოუთვალა, რაც კარგი ქარვასლა არის ქა-



ლაქში, ის დაიჭირავეო“ (თ. რაზ. II, 1952, 5). „სწორედ ამ დროს ქართველნი დას მოადგნენ აქლემებით დატვირთული ვაჭრები“ (ნ. ნაკ. 1935, 50). „დაიჭირავე საწყალმა კაცის აღამ ერთი დიდი ქარვასლა და დაიწყო მოლოდინი თავის მოვაჭრეს“ (თ. რაზ. 1909, 6).

სპ. სპ. **كروان سرا** (ქარვან—სარან)—ფუნდუკი.

17. ყ ა ვ ა ხ ა ნ ა. „კაცმა ყ ა ვ ა ხ ა ნ ა შ ი შეიყვანა, მიართვა საკმელი და დემშვიდობა. ბიჭი საკმელს მიეძალა, შემდეგ ყავაც მიართვეს“ (ზ. თანდ. 1970, 170). „სანამ მამა მხნედ იყო, შვილები ნებიერობდნენ, თავს არაფერზე იწუხებდნენ და მთელ დროს ყ ა ვ ა ხ ა ნ ე ბ შ ი ატარებდნენ“. „... შვილებმა ყურად არ იღეს მამის ნათქვამი და ყ ა ვ ა ხ ა ნ ე ბ შ ი ხეტიალი მაინც არ მოიშალეს“ (ზ. თანდ. 1970, 135). „ორივე ძმა ერთხელ ყ ა ვ ა ხ ა ნ ა შ ი სალალობოდ მისულიყვნენ“ (ელ. ვირს. 1958, 395).

არ. სპ. **خانه هوه** (ყაბე—ხანე)—საყავე.

18. ყ ა ს ა ბ ხ ა ნ ა. „ის უწყალო ღარიბი იყო და ყ ა ს ა ბ ხ ა ნ ა შ ი ეგდო ხოლმე“ (პ. უ. III, 1964, 264).

არ. სპ. **خانه قصاب** (ყასაბ—ხანე)—საყასბო, ხორცის სავაჭრო დუქანი.

19. ჩ ა დ ი რ ი. „ერთი ოყა მატყლითაო იმფერ ჩ ა დ ი რ ს მოექსოვ, რო თავის ჯარებით რო შევდენ, ჩ ა დ ი რ ი ნახევარი კიდევ ცარიელი დარჩებაო“ (ქართ. ზღ. (აჭ.) 1973, 66).

თ. çadir←სპ. **چادر** (ჩადერ)—კარავი, ფარდული.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

- თ. რაზ. 1909 — ხალხური ზღაპრები ქართლში შერგებილი თ. რაზიკაშვილის მიერ, ტფ., 1909.
- ე. თაყ. 1918 — ხალხური სიტყვიერება, ზღაპრები, გურიაში შერგებილი კ. კალანდაძის მიერ, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს რედაქტორობით, წ. II. ამოღებულია „ძველი საქართველოს“ I და IV ტ., ტფ., 1918.
- ნ. ნაკ. 1935 — ნ. ნაკაშვილი, ხალხური ზღაპრები, ტფ., 1935.
- ჯ. ნოდ. I. 1936 — ჯ. ნოდლი, აჭარის ხალხური სიტყვიერება, წ. I, ბათუმი, 1936.
- ქს. სიხ. 1938 — ქს. სიხარულიძე, ქართული საბავშვო ფოლკლორი, თბ., 1938.
- მ. ჩიქ. 1938 — ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქტორობით, კომენტარებით და ლექსიკონით, ტ. 1, 1938.
- ჯ. ნოდ. II, 1940 — ჯ. ნოდლი, აჭარის ხალხური სიტყვიერება, წ. II, ბათუმი, 1940.
- ალ. ლლონტი 1948 — ალ. ლლონტი, ქართული ზღაპრები, თბ., 1948.
- ელ. ვირს. 1949 — ელ. ვირსალაძე, ქართული ხალხური ზღაპრები, თბ., 1949.
- თ. რაზ. II, 1952 — ქართული ხალხური ზღაპრები, შერგებილი თ. რაზიკაშვილის მიერ, წ. II, თბ., 1952.
- მ. ჩიქ. II, 1952 — ხალხური სიტყვიერება, II, ქართული ხალხური ზღაპრები, II, მ. ჩიქოვანის რედაქციით, თბ., 1952.
- მ. ჩიქ. III, 1956 — ხალხური სიტყვიერება V, ქართული ხალხური ზღაპრები III, მ. ჩიქოვანის რედაქციით, თბ., 1956.
- ალ. ლლონტი, 1956 — ალ. ლლონტი, ქართული ხალხური ნოველა, სტალინირი, 1956.
- ა. მარტირ. — ა. მარტიროსოვი და ი. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956.
- ქართ. მთ. ზეს. 1958 — ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება. მთიულეთ-გუდამაყარი, ტექსტების მოშადლება, რედაქცია, გამოკვლევა და შენიშვნები ელ. ვირსალაძისა, თბ., 1958.



- ბ. ნოღ. 1959 — აჭარის ზეპირსიტყვიერება ჩაწერა, დამუშავა, შესავალი წერილი, შენიშვნები და ცალკეული სიტყვათა განმარტება დაურთო ნ. ნოღაიდეშა, ბათუმი, 1959.
- პ. უ. III, 1964 — პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, III, თბ., 1964.
- პ. უ. IV, 1964 — პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, IV, თბ., 1964.
- ხალხ. სიბრძნე II, 1964 — ხალხური სიბრძნე ზეთ ტომად, ქართული ზღაპრები, II, თბ., 1964.
- ზ. თანდ. 1970 — ზ. თანდილავეა, ლაზური ზღაპრები, თბ., 1970.
- ჭ. ნოღ. II, 1972 — ჭ. ნოღაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, II, დიალექტოლოგიის საკითხები, ბათუმი, 1972.
- ქართ. ზღ. (აჭ.) 1973 — ქართული ზღაპრები, აჭარული, I, ტომის რედაქტორი აღ. მსხალაძე, ნ. ნოღაიდელი, ბათუმი, 1973.

Л. Н. КОТАШВИЛИ

## ТЕРМИНЫ ВОСТОЧНОГО ПРОИСХОЖДЕНИЯ В ГРУЗИНСКИХ НАРОДНЫХ СКАЗКАХ

Резюме

Грузия исторически была связана с Востоком. Территориальное расположение способствовало культурным взаимосвязям этих народов. Культура Востока, в частности Ирана, обогащала не только Грузию, но и проникала в Европу. Столь обильные восточные элементы-реалии отразились не только в литературе и живописи, но и в фольклоре.

В грузинских народных сказках находим термины восточного происхождения: 1. Термины, означающие высшие социальные сословия. 2. Государственно-административные термины: а) чиновничьи термины; б) социально-экономические термины. 3. Термины, связанные с городским ремеслом и торговлей. 4. Названия мусульманских духовных лиц. 5. Термины, связанные с городскими постройками.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად.  
 გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის  
 ინსტიტუტის ირანული ფილოლოგიის განყოფილება  
 წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 წევრ-კორესპონდენტმა ღ. კობიძემ

გ ზ ლ ნ ა რ ა ნ ი ნ შ ა

## მ ა რ თ ი ქ ა რ თ უ ლ ი ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი ს ის ტ ო რ ი ა

XI საუკუნეში ეტრატზე ლამაზი ნუსხურით გადაწერილი ხელნაწერი, რომელიც დღეს დაცულია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში (ქუთ. 181), შეიცავს მაკარი მეგვიბტელის სახელით ცნობილ თხზულებათა კრებულს. კრებული ასეთი შედგენილობით წარმოგვიდგება: 1. მაკარის სწავლანი — 26 თავი (2v—249r), 2. მამა ესაიას თხრობა (249r—256v) და 3. ეპისტოლეები I და II (256v—312v). ხელნაწერი ბოლონაკლულია, II ეპისტოლეს სხვა ნუსხებთან შედარებით აკლია დაახლოებით ხუთი ფურცელი.

ნუსხას აქვს სხვადასხვა დროის მრავალი მინაწერი, რომლებიც გამოგვეცემენ ამ ხელნაწერი წიგნის საინტერესო თავგადასავალს.

უშუალოდ ეპისტოლეთა წინ, მამა ესაიას თხრობის და გადამწერის ანდერძის შემდეგ არის მინაწერი „ესენი ძუელად თარგმნილნი არიან“. მინაწერი შესრულებულია მთავრულით, ტექსტის ხელით. ხელნაწერის გადამწერი თავის ანდერძში, რომელიც ამ მინაწერს უსწრებს წინ, 26 სწავლას და „მამა ესაიას თხრობას“ უწოდებს ასე: „ეპისტოლენი ახალთარგმნილნი“ (მინაწერის ტექსტი იხ. ქვემოთ). მთარგმნელის ვინაობა არც ერთ მინაწერში არ არის მითითებული. ფსევდონამაკარის თხზულებათა სხვა ნუსხის (Ath 21—1030 წ.) მიხედვით ვიცით, რომ 26 სწავლისაგან შემდგარი კრებული უთარგმნია ექვთიმე მთაწმიდელს, ხოლო ორი ეპისტოლე და „მამა ესაიას თხრობა“ ექვთიმეს თარგმნილი არ არის, ისინი ძველად უთარგმნია უცნობ მთარგმნელს<sup>1</sup>.

ხელნაწერი გადაწერილია პალავრაში. მის მომგებელს გრიგოლ ხარბიტონ-ლაერელს იგი შეუწირავს დერთუფის დედათა მონასტრისათვის. მისი ანდერძი მოთავსებულია 2r-ზე — „სახელითა ღმრთისაათა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაათა და შეწვენითა ყოველთა წმიდათა მისთაათა მე, გლახაკი სულითა და ფრიად ცოდვილი და ნარჩევი ყოველთა მოწესეთა გ რ ი გ ო ლ, ღირს ექვთიმე აღწერად წმიდისა მაკარის ეპისტოლეთა და სარწმუნოებით შევწირენ წმიდასა ეკლესიასა წმიდისა ღმრთისმშობლისასა დ ა რ ს ა დ ე რ თ უ ფ ა ს ნ ი ა ფ ო რ ო ბ ა ს ა თ ე ბ რ ო ნ ი ა მ ა ს ს ა, ა ს უ ლ ის ა ვ ა ჩ ე მ ხ ე უ ლ ის ა ს ა (ადიდენ ღმერთმან წმიდა და უბოჲოდ სული მათი აქა და უმეტეს საუკუნესა) სალოცველად და საკითხავად ყოველთა დათა ქართველთა, რომელნი მყოფ არიან ქრისტეს მსახურნი მას დარსა შინა მოსაკვსენებლად სულისა ჩემისა ცოდვილისა, მშობელთა და ძმათა და ყოველთა თვისთა ჩემთა და ყოველთა და მოწაფეთა და შვილთა ჩემთა სულიერთა. და აწ ცრემლითა გვედრებდი, წმიდანო ღმრთისანო, ვინცა იმსახურებდით წმიდათა ამით წიგნთა, წმიდათა ლოცვათა შინა თქუენთა მოგვკსენენით“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ფსევდონამაკარის თხზულებათა ქართული ვერსია, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გ. ნინუამ, თბ., 1981.

<sup>2</sup> მინაწერი გამოქვეყნებულია: კ. ე. ე. ლ. ი. ძ. ე., ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო კრებუთა მაზლობელ აღმოსავლეთში, ვენიკის მოამბე, XIII, თბ., 1942, გვ. 111 (აქ ამოკითხულია „ნაჩე მტუელისასა“. მინაწერში კი ამჟამად იკითხება „მხუელისასა“, ჩვენ დავტოვეთ ეს წაკითხვა, თუმცა სიტყვის მნიშვნელობა ჩვენთვის გაუგებარია); შ. ო. ნ. ი. ა. ნ. ი., „ნიაფორ“ სიტყვა „შმ. ნინოს ცხოვრებაში“, ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, VII—VIII, თბ., 1976, გვ. 20—21.



ე. მეტრეველის აზრით, ამ ანდერძში მოხსენიებული გრიგოლ ხარბიჭონლაგრაძის 1662 ხელნაწერის მომგებელი გრიგოლ ხარბიჭონლაგრაძის ერთი და იგივე პიროვნებაა<sup>3</sup>. „გრიგოლ ხარბიჭონლაგრაძე, — წერს ე. მეტრეველი, — პალაგრაში მისივე ინიციატივით გადაწერილი ორი ხელნაწერი (ივლისხმება H 1662 და ქუთ. 181) შესწირა პალესტინის დედათა ორ მონასტერს, ქართველ დედათა სავანეებს — დერტავსა და დერთუფას“<sup>4</sup>.

ქუთ. 181-ის ტექსტის ხელისა და გრიგოლ ხარბიჭონლაგრაძის ანდერძის ხელის შედარებამ მკვლევარს საშუალება მისცა დაესკვნა, რომ ქუთ. 181-ის გადამწერი გრიგოლი არ არის, როგორც ეს მითითებულია ქუთაისურ ხელნაწერთა აღწერილობაში<sup>5</sup>. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გრიგოლის ანდერძის მელნის ფერიც განსხვავდება ნუსხის ტექსტის მელნის ფერისაგან: ანდერძი მუქი, თითქმის შავი მელნითაა ნაწერი, ტექსტის მელანი კი მოყავისფროა.

ე. მეტრეველი ვარაუდობს, რომ ხელნაწერის 104V და 152V-ზე მთავრულით, ტექსტის ხელით შესრულებულ ორ მინაწერში მოხსენიებულ ორ პირთაგან — გიორგი და იოსებ — ერთ-ერთი უნდა იყოს ამ ნუსხის გადამწერი.

ე. მეტრეველის ეს ვარაუდი დასტურდება და ზუსტდება ქუთ. 181-ის გადამწერის ანდერძით, რომელიც მოთავსებულია ფსევდომაკარის სწავლთა 26 თავის (ექვთიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი კრებულის) მომდევნო 27-ე თავის (მამა ესაიას თხრობის) შემდეგ და წინ უსწრებს ადრე თარგმნილ ორ ეპისტოლეს. ეს ანდერძი იწყება 156V-ს მეხუთე სტრიქონიდან, შესრულებულია ტექსტის ხელით და მელნით და იმდენად ერწყმის მის ზემოთ მოთავსებულ ტექსტს, რომ ძნელად გამოსარჩევია და გამოსაყოფი. მინაწერი, როგორც ვხედავთ, ისეთ ადგილზე არის ჩართული, რომ იგი აქ შეიძლება მოხვედრილიყო მხოლოდ ნუსხის გადაწერის პროცესში: „იღებოდა ღმერთსა, მიზეზსა და მომცემელსა ყოვლისა კეთილისასა. დაესრულა და დაიწერნეს ეპისტოლენი ახალთარგმნილნი წმიდისა მაკარი მეგვპეტელისანი კელითა უღირსისა გ[იორგის] ი ს ი თ ა<sup>6</sup> ლავრასა წმიდისა მამისა ხარბიჭონისსა, წმიდანო მამანო, რომელნი იკითხვიდეთ, ლოცვა ყავთ ჩემთვის. ნუსხის გადამწერი გიორგი ხარბიჭონის ლავრის მოღვაწე ყოფილა.“

მამასადამე, ხარბიჭონის ლავრაში გრიგოლის ხარბიჭონა და გიორგის ხელით გადაწერილი ნუსხა მისი მომგებლის გრიგოლის სურვილით მალე გამხდარა დერთუფის დედათა მონასტრის კუთვნილება.

ხელნაწერის შემდგომ ბედზე მიგვანიშნებს 1r-ზე მოთავსებული მხედრული მინაწერი, რომელიც ნუსხის მეორედ აკინძვის დროს საცავ ფურცლად გამოყენებული ეტრატის recto-ზე არის მხედრულით შესრულებული:

1. „ქ. ესე წიგნი დევთობნორი
2. მე, თეკლა ლაკლაკორ[ის]
3. ქალმან ამირთავა<sup>7</sup> ვიქსენ

<sup>3</sup> ე. მეტრეველი, „დერტავისა და დერთუფის ხელნაწერების ირგვლივ“, კრებულში „აღმოსავლური ფილოლოგია“, ტ. IV, თბ., 1976 გვ. 74—89.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 81.

<sup>5</sup> ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. 1, თბ., 1953, გვ. 334.

<sup>6</sup> ანდერძში ეს სიტყვა დაქარაგმებულია: „ისითა, რაც უღრის „გიორგისითა“ სახელი გრიგოლ საერთოდ და ამ ხელნაწერშიც ქარაგმდება სხვაგვარად: „გრგლ (იხ. ამ ნუსხის 2r).“

<sup>7</sup> დ. მეტრეველი ძე ვ. სილოგავა, რომელთაც ვთხოვე წაეკითხათ ეს მინაწერი, აქ კითხულობენ „ამირთავა“.



4. და თო ვინ ეკლესიაი დევ
5. თობნორი გააკაციელო
6. ს, მე ნუ მთობწ არ შემს
7. და ვე კულ... ას წი
8. გნი და მომიკსენებდი ვი
9. ნცა იკითხვიდეს დაშლი
10. ლი იყუ და მე ჩემითა შევაკ
11. აზმიე

ხელნაწერის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ეს მინაწერი მეტად საყურადღებო ცნობებს შეიცავს. მინაწერის ხელი საკმაოდ ძნელად გასარჩევია. ასობში არაა სიმეტრიული და ამის გამო ეტრატის გვერდიც საკმაოდ არაეკონომიურად არის გამოყენებული. ჩანს, მინაწერის ავტორი არ ყოფილა წერაში დიდად გავარჯიშებული.

წარწერა საკმაოდ ძველი ჩანს. როგორც ხელის მიხედვით, ისე სხვა მონაშრებით მის ზემო თარიღად XIII საუკუნე შეიძლება ჩაითვალოს.

განსაკუთრებით ძნელად იკითხება მინაწერის მეხუთე და მეექვსე სტრიქონები. საკმაოდ კარგად იკითხება მესამე სტრიქონი, ოღონდ სადავოა მეორე სიტყვის წაკითხვა, რომლის მეორე ასო მოხაზულობით უფრო ჰგავს „შ-ს“, მაგრამ ჩვენ მაინც დავტოვეთ წაკითხვა „ამირთავა“, რადგან იმის მიუხედავად, რა სიტყვა ჩაჯდება აქ, მაინც ჩანს, რომ ნუსხა ყოფილა დერთუფის მონასტრის კუთვნილება: „ესე წიგნი დევთობნორი“<sup>8</sup>. მინაწერის მომდევნო სტრიქონებიდან ირკვევა, რომ ნუსხა როგორღაც მოხვედრილა თეკლა ლაკლაკურის ქალის ხელში. თუ ჩვენი წაკითხვა სწორია, მას ხელნაწერი ტყვეობიდან გამოუხსნია.

კარგად იკითხება მეოთხე და მეხუთე სტრიქონები: „თუ ვინ ეკლესიაი დევთობნორი გააკაციელოს“.. როგორც ვხედავთ, აქ ნათქვამია, რომ იმ დროს, როცა ნუსხა თეკლა ლაკლაკურის ხელში მოხვდა, დერთუფის დედათა მონასტერი დაცარიელებული, უკაცრიელი ყოფილა (საინტერესოა თავისთავად კაცრიელ ფუძის ზმნური ფორმა — „გაკაციელოს“).

მინაწერის ბოლო სტრიქონები გვამცნობენ, რომ ნუსხა დაშლილი ყოფილა და თეკლას აუცილებინებია: „მე ჩემითა შევაკაზმიე“, — წერს იგი. 3რ-ზე, არშიაზე არის სხვა მხებურული მინაწერი: „ლაკლაკურისა თამარის არის, სამარხველი არის ესე“. ამ მინაწერის (რომელიც წიგნის რაობასაც განსაზღვრავს) ხელი თეკლა ლაკლაკურის მინაწერის ხელისაგან განსხვავდება (ნაწერია ლამაზად, გაწაფული ხელით) ხელი თეკლას მინაწერთან შედარებით უფრო გვიანდელი ჩანს.

XIII საუკუნეში 1244 წელს აღმოსავლეთის მთიარეშე მუსულმანურმა

<sup>8</sup> წარწერაში ორჯერ (1 და 4—5 სტრიქონებზე) არის მონასტრის სახელი დამახინჯებული ფორმით — „დევთობნორი“. აქ ლაპარაკი არ არის ო/უ მონაცვლეობაზე. მით უფრო მოულოდნელია ამ სიტყვის ასეთი ფორმით ხმარება, რომ იქვე (2რ-ზე) მოთავსებულ ხელნაწერის მომგებლის გრიგოლ ხარბიჭნაძე-ერეკლის ანდერძში სავსებით გასარკვევი ლამაზი ნუსხურით წერია სწორი ფორმა — „დერთუფა“. ეს შეცდომა ადასტურებს, რომ მინაწერის შიგნისმოყვარული ავტორი თვითონ მაინცდამაინც გაწაფული მწერალ-მწიგნობარი არ უნდა ყოფილიყო. მისი სმენით აღქმული და ქართულად გააზრებული გეოგრაფიული სახელი „დერთუფა“ იღებს ახალ ფორმას და ასე ყალიბდება ხალხური ეტიმოლოგიის საინტერესო ნიმუში — „დევთუბანი“.



ტომებმა, რომლებიც ისტორიულ წყაროებში ხვარაზმელებად იწოდებიან, არაა არბიეს იერუსალიმი.

ეს შემოსევა არ გავრცელებულა ისე დიდხანს, როგორც სალადინის ლაშქრობა (1187 წ.), მაგრამ საკმაო აღმოჩნდა იმ მიდამოებში არსებული ქრისტიანული კულტურის მრავალი კერის გასანადგურებლად. ცნობილია, რომ ამ დროს განადგურდა კაპათის ქართული მონასტრის ბიბლიოთეკა. ერთადერთი, იმ მიდამოებში არსებულ ქართულ სავანეთაგან ნაკლებ დაზიანებულია ჯვრის მონასტერი, რომლის ბიბლიოთეკა განადგურებას გადაურჩა და არ დაზიანებულია არც სალადინის ლაშქრობის დროს და არც ხვარაზმელთა შემოსევის შედეგად<sup>9</sup>.

ქუთ. 181-ის ზემოთ მოყვანილი მხედრული მინაწერის ტექსტი უნდა მიგვანიშნებდეს დერთუფის მონასტრის განადგურებასა და მისი ბიბლიოთეკის წიგნთა დაქსაქსეზე.

ვინ უნდა ყოფილიყო თეკლა ლაკლაკურის ქალი?

ლაკლაკი ადამიანის სახელად დასტურდება „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ტექსტში. ამ თხზულების მიხედვით სულა, ბეშქენ და ლაკლაკი იყვნენ დიდი მთავრის გიორგი ჩორჩანელის დისწულები. ვინაიდან გიორგი ჩორჩანელი უშვილოდ გარდასულა, თავისი ადგილ-მამული და უფლებანი დისა და დისწულებისათვის დაუტოვევია<sup>10</sup>. გიორგი ჩორჩანელის დას ლატავრი რქმევია (შემდეგ, ალბათ მონაზვნობაში — თეკლა). ლატავრი — ყოფილი თეკლა იყო „ცოლი დისა დიდისა მთავრისა მირიანისი, ძისა ბეშქენ ბაღლაუნდისაჲ, ძისა იოვანესი“<sup>11</sup>.

მირიანისა და გიორგი ჩორჩანელის დის ლატავრის ერთ-ერთ ვაჟს ლაკლაკს სამეგვიდრეო დავის დროს მოუკლავს თავისი დის ქმარი. სწორედ ამ ლაკლაკისაგან იღებს სათავეს სამხრეთ საქართველოს დიდგვაროვანთა ერთ-ერთი შტო — ლაკლაკისძეთა გვარი<sup>12</sup>.

ნ. ვაჩნაძის ცნობით, პროფ. ილია აბულაძეს მიაჩნდა, რომ ლაკლაკი არის ფრინველის სახელი, გამოყენებული ადამიანის სახელად<sup>13</sup>. ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ ერთეული — ლაკლაკი ფიქსირებული არ არის. სულ ხან-საბოარბელისნის „სიტყვის კონაში“ „ლაკლაკი“ გაიგივებულია „იშხვართან“ („ი შ ხ ი ვ ა რ თ ა ნ“), რაც, თავის მხრივ, განმარტებულია როგორც „ფ რ ი ნ ვ ე ლ ი, შ ა ვ ი ლ ა კ ლ ა კ ი“. ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში „ლ ა კ ლ ა კ ი“ არ არის გატანილი ლექსიკურ ერთეულად. არის „ი შ ხ ვ ა რ ი“, რომელიც განმარტებულია ასე: „შავი ლაკლაკი, ეროდიოს ასიდა (ბ ჰეანძე — ყანჩა).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მასალებში ჩვენ დაექვსნეთ ლექსიკური ერთეული ლაკლაკი. იქ დადასტურებულ ყველა კონტექსტში სიტყვა

<sup>9</sup> ე. მეტრეველი, ჯვრის მონასტრის სალაპე წიგნის უძველესი ფენის დათარიღებისათვის, „მაცნე“, 1964, № 5, გვ. 275.

<sup>10</sup> აღრინდელი ფოთალური ქართული ლიტერატურა, II, ბასილი ზარზმელი, ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა, კ. კეკელიძის რედაქციით და გამოქვეყნებით, თბ., 1935, გვ. 126.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 172.

<sup>12</sup> ნ. ვაჩნაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975, გვ. 176.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 108.

ხმარებულა მხოლოდ ფრინველის მნიშვნელობით, თანაც ყოველი კონტექსტში ამოწერილია გვიანდელი ხელნაწერებიდან: „კაცმან... დაიჭირა ლაკლაკი უთხრა ლაკლაკმან: ხმრთის გულისათვს, ნუ მომკლავო“ (მელის წიგნი 75,10). „მიუვლინა მათ მეფედ ლაკლაკი“ (ეზოპე 37,19). „ლაკლაკმან ტაბლასა მას ეერა რაჲსა ძალ-იდვა ჭამა“ (ეზოპე 37,19). „მასვე დღესა ლაკლაკმანცა მოიწვია მელი ტაბლად“ (ეზოპე 42,11). „ლაკლაკმან არ უწინააღმდეგა“ (ეზოპე 41,32). „მელი იცინოდა ლაკლაკსა მას ზედა“ (ეზოპე 42,7). „კარი მარგებელი ლაკლაკისა ვორცთა და კვერცხთა“ (კარაბ. 424, 31, 1950 წ.).

სიტყვა „ლაკლაკი“ არაბული წარმოშობისაა, არაბულიდან არის შესული სპარსულში.

სხვა წყაროებში ლაკლაკი როგორც საზოგადო სახელი ჩვენ არ შეგვხვედრია.

გარდა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ტექსტისა ლაკლაკი არ შეგვხვედრია არც ადამიანის სახელად არსად ჩვენთვის ცნობილ სხვა ხელნაწერსა თუ ისტორიულ საბუთში.

ლაკლაკისძეთა გვარის წარმომადგენელნი მოხსენიებულნი არიან შემდეგ ისტორიულ საბუთებში: 1. X საუკუნის ლაკლაკისძეთა სამწერობლის წარწერაში ნახსენებია ივანე ლაკლაკი<sup>14</sup>. 2. ზარზმის ფერისცვალების ხატის წარწერაში (XI ს.) მოხსენიებულია ლაკლაკისძეთა საგვარეულო<sup>15</sup>. 3. ათონის ივერთა მონასტრის აღაპებში არის მიქელ ლაკლაკი. კ. კეკელიძე ამ აღაპს ათარიღებს 1112—1118 წლებით<sup>16</sup>. 4. ლაკლაკთა ქალი ქრისტიანა მოხსენიებულია ჯვრის მონასტრის აღაპებში<sup>17</sup>. დათარიღებულია ეს აღაპი XIV—XV სს<sup>18</sup>.

ლაკლაკისძეთა გვარის ისტორია, მკვლევართა აზრით, XIII საუკუნეში გრძელდება. ეს დასაბუთებულია როგორც ნ. ვაჩნაძის ზემოთ მითითებულ შრომაში, ასევე დ. კლდიაშვილის მოხსენებაში „ჯაყელ-ციხისჯვარელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიისათვის“<sup>19</sup>.

ზემოთ განხილული ლიტერატურის მიხედვით, ყოველ შემთხვევაში XIV—XV საუკუნეებზე გვიან ლაკლაკისძეთა საგვარეულოს წარმომადგენელთა კვალი ხელნაწერ ძეგლებში არ ჩანს. დღემდე ცნობილ ლაკლაკისძეთა გვარის წარმომადგენლების ნუსხას უნდა დაემატოს ქუთ. 181-ის ზემოთ მოყვანილ წარწერაში მოხსენიებული ორი ქალის — თეკლასა და თამარის სახელები. ჩვენი აზრით, თეკლა და თამარი სხვადასხვა პიროვნებაა (და არა ერთი პიროვნების ორი სახელი — ერობისა და მონაზვნობისა), რადგან მათი მინაწერები განსხვავდება ხელის მიხედვით: თამარის მინაწერი შედარებით ახალია, თეკლას მინაწერი კი უფრო ძველია.

<sup>14</sup> ნ. ვაჩნაძე, დასახ. შრომა, გვ. 115.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 116.

<sup>16</sup> კ. კეკელიძე, ეტიუდები, II, თბ., 1948, გვ. 231, 232.

<sup>17</sup> ე. შეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 104.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 174.

<sup>19</sup> კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის სესია, მიძღვნილი ინსტიტუტის დაარსების 20 წლისთავისადმი, თბ., 1978.

7. მაკნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1981, № 3



ვეფქრობთ, რომ თეკლა ლაკლაკურის წარწერა XIII საუკუნეზე უფრო ადრეა დასაბუთებული არ უნდა იყოს.

ლაკლაკურ ფორმაში ჩანს ქალის გვარი მაწარმოებელი -ურ სუფიქსი, რომელიც ამავე ფუნქციით საკმაოდ ხშირად გვხვდება ისტორიულ საბუთებში. განსაკუთრებით ხშირია ამგვარად ნაწარმოები ქალის გვარები „ტბეთის სულთა მატიანეში“<sup>20</sup>.

всем желании вместить их в плиту нельзя, поэтому конструкция читаемого предположения не правомерна. К тому же между буквами ს и მ (ცხოველ-მყოფელი) оставлено свободное пространство, хотя там прослеживается след буквы ა. Между словами მყოფელი, რომელი имелась целая плита, на которой были высечены часть буквы ლ и еще несколько других, рецензент же довольствуется одной буквой ო. Следовательно, вопреки проявленной В. И. Силогава уверенности, его чтение не соответствует действительности. Желая как-то оправдать свои «коррективы», он вносит в текст несуществующее и не высеченное на месте слово <ღვეკვარეზ>, якобы «зачитое» резчиком. Если в рамках одной строки снабдить эпитафиста правом столь существенных и свободных упражнений, то можно читать что угодно, но тогда придется отказаться от эпитафических памятников как источников истории.

В надписи перечисляются освобожденные полководцем географические пункты, локализацией части которых следует заняться специально. В. И. Силогава это делает с удивительной и ничем не оправданной легкостью. «Մարի — это географическое название, — гласит он, а откуда он его знает, как и где его локализовать — не сказано. «Вагедзор — тот же Ваедзор» — продолжает рецензент, не заботясь даже о том, что локализуемый Вагедзор (?) находился на пути маршрута Иване с севера или северо-востока Армении к месту высечения надписи, Ваедзор же (тот же Вайоц-дзор) находится южнее Севана и никак не вписывается в маршрут Иване. Рецензент ищет местонахождение Нор-Берда и высказывает ряд предположений, тогда как этот географический пункт хорошо известен и в локализации не нуждается (см. карту в моей книге). Предельно оригинально в надписи, высеченной в самой «стране кечарийцев» (от Кечаруйка до Тежаруйка 3—4 км) вместо კეზ(ა)-რ(ე)ლთ [ქ(უე)ყენ(ა)შდღის] читать კეზ(რ)ლ(ი)თ [ქუეყენაშდღის, не считаясь не только с местонахождением надписи, но даже с элементарной грамматикой грузинского языка (კეზროლ ით ქუეყენაშდღის?). Город Кечор/Кечрол армяно-грузинских источников находился в области Габеланк вблизи монастыря Царакар и ничего общего не имеет с Кечаруйком нашей надписи. К тому же не только к концу XII в., но и в начале XIII в. он еще находился в руках иноверцев.

Беда не в том, что налицо столько несуразностей в чтении и интерпретации одной надписи, а в том, что, по мнению В. И. Силогава, до него эта надпись «не была подобающим образом издана», хотя и «является драгоценным историческим источником» (с. 163) и что, очевидно, он склонен полагать, что сам осуществляет это «подобающее издание».

Стремление быть оригинальным и вольность при чтении надписей ощутимы на всех страницах рецензии. Во всех приведенных и исследованных акад. И. А. Орбели четырех надписях Карса башни именуются բարձ-ами (бурдж, ბურჯი)<sup>11</sup>, следовательно, жители этого города их так и называли, а вот В. И. Силогава решил в их уста вложить новое слово — კოშკი (хотя и знал о существовании чтения ბურჯი по рецензируемой книге). В той же каресской надписи — в чтении рецензента — имя амиры города представлено в трех вариантах — **Равмала**, **Размала** и **Ралмала**, одинаково загадочных для армянской и грузинской ономастики. Но вот в армянской надписи от 1236 г. тот же амира назван Авраамом (Աբր[ահ]մա), что, несомненно, следовало учесть (и учтено в моей книге, с. 84—85). Читая дату той же надписи, наш автор в качестве единичного числа выставляет букву ჰ (9000), что никак не согласуется с нашими представлениями о числовом значении грузинского алфавита. Тут ссылка на надпись Етифания неуместна, ибо, как установлено автором рецензируемой книги (с. 40—41), там эта ошибка возникла при транслитерации изначального мхедрульного текста (Պ-Յ) и из одной ошибки нельзя выводить новую теорию о порядковом значении грузинских букв.

Какой бы палеографической особенностью ни отличалась каресская грузинская надпись, ее дату следует читать 358, т. е. 1237 г., как это предложено Е. С. Такайшвили и П. М. Мурадяном. Если угодно, гораздо легче допустить, что резчик перепутал асомтаврულიе буквы ზ и ჰ, чем придумывать новую дату и новую теорию. Если это так, то В. И. Силогава неправильно восстанавливает и последнюю часть надписи, ибо в 1237 г. исполнил-

<sup>11</sup> См. «Избранные труды», с. 469—470.

ся 15-й год царствования Русудан, а не 16-й. Кстати, в армянской надписи из Карса от 1236 г., имеющей аналогичную с грузинской конструкцию предложения и даже одинаковое содержание, сказано «այլ ալիկ [ხჳს ძჳ თჳრქ რა] զախորհրեիկ իւր, т. е. «в это лето исполнился 14-й год ее царствования», В. И. Силогава же предпочитает множественное число — «их (მათისა) царствования», чтобы отличаться от предыдущих исследователей.

Рецензент, опять-таки почему-то, не считает с фонетическими и графическими особенностями рассматриваемых надписей. В шахназарской надписи четырех братьев графема  $\alpha$  встречается трижды— $\nabla\alpha\beta\gamma\delta\epsilon\dots\zeta\eta\theta\iota\kappa\lambda\mu$  и ни разу не чередуется с буквой  $\circ$  (имеется  $\lambda\sigma\tau\upsilon$ ,  $\varphi\psi\chi\eta\theta\iota\kappa$ ,  $\mu\sigma\tau\upsilon$ ,  $\lambda\sigma\tau\upsilon$  и т. д.). Следовательно, у меня не было(и теперь нет) основания полагать, что в буквосочетании  $\nabla\alpha\beta\gamma\delta\epsilon\zeta$   $\alpha$  употребляется в значении  $\circ$  ( $\nabla$ ( $\mu\theta\lambda$ ) $\alpha\beta\gamma$  ( $\theta\sigma\tau\upsilon$ ) $\delta\epsilon\zeta$ ), тем более, что открытие титла  $\nabla\alpha$  общеизвестно, а в слове  $\zeta\eta\theta\iota\kappa\lambda\mu$  резчик отлично знает применение  $\alpha$  после гласной  $\epsilon$ . В силу этих обстоятельств, при чтении имени святого я исходил из фонетических норм самой надписи и предложил читать буквосочетание  $\nabla\alpha\beta\gamma\delta\epsilon\zeta$  как  $\nabla$ ( $\mu\theta\lambda$ ) $\alpha\beta\gamma\delta\epsilon\zeta$ [ $\alpha$ ]. Вначале я тоже был уверен, что в данном сочетании налицо  $\beta$ , а не  $\delta$ , но внимательное изучение показало, что зубчик графемы соединяется с основным стержнем тонким полукругом (это осталось незамеченным исполнителем прориси надписи в моей книге). Все это и дало основание вместо предлагаемого проф. Л. Меликсет-Бехом **Геоργია** читать **Савва**. Названные «подробности» не интересуют нашего рецензента, ему важно найти повод для замечаний.

Руководствуясь какими-то неведомыми палеографическими правилами, он сокращает под титлом последнюю гласную буквы слова надписей— $\mu\theta\lambda\alpha\beta\gamma\delta\epsilon\zeta\eta\theta\iota\kappa\lambda\mu$  (с. 165),  $\nabla$ ( $\mu\theta\lambda$ ) $\delta\epsilon\zeta\eta\theta\iota\kappa$  (с. 166) и т. д. Насколько резонно пытаться надписей приводить в согласие с литературным представлением истории языка—затрудняюсь сказать. Лично я это считаю недопустимым.

В. И. Силогава до того решителен в своих чтениях и интерпретациях, что даже каменные образования не в силах приостановить его. И это говорит не ради образного выражения, а в буквальном смысле. Куртанская надпись XI в. четко обрамлена со всех четырех сторон, а это значит, что она и завершается в этих рамках. Наш рецензент так искал конечную часть надписи, что ему пришлось придумывать несуществующую концовку —  $\epsilon\psi\chi\eta\theta\iota\kappa\lambda\mu\delta\epsilon\zeta\eta\theta\iota\kappa\lambda\mu\sigma\tau\upsilon\alpha\beta\gamma\delta\epsilon\zeta\eta\theta\iota\kappa\lambda\mu$ ... или  $\alpha\beta\gamma\delta\epsilon\zeta\eta\theta\iota\kappa\lambda\mu\delta\epsilon\zeta\eta\theta\iota\kappa\lambda\mu$  (с. 165). Но, во-первых, куда ее поместить, пусть даже мысленно, и, во-вторых, если в надписи говорится  $\theta\sigma\tau\upsilon\alpha\beta\gamma\delta\epsilon\zeta\eta\theta\iota\kappa\lambda\mu$   $\zeta\eta\theta\iota\kappa\lambda\mu$   $\delta\epsilon\zeta\eta\theta\iota\kappa\lambda\mu$ , то какая логика могла заставить автора надписи повторить то, что уже сказано? Заблуждение рецензента началось с того, что собственное имя  $\gamma\delta\epsilon\zeta\eta\theta\iota\kappa$ , т. е.  $\zeta$ ( $\theta\sigma\tau\upsilon\alpha\beta\gamma\delta\epsilon\zeta\eta\theta\iota\kappa$ ) $\mu$ ( $\alpha\beta\gamma\delta\epsilon\zeta\eta\theta\iota\kappa$ ) (Георгий), восстановленное мною в исследовании и в переводе, воспринял как  $\zeta\lambda\alpha\beta\gamma\delta\epsilon\zeta\eta\theta\iota\kappa$  (убогий). Это и заставило вместо сказуемого  $\delta\epsilon\zeta\eta\theta\iota\kappa$ ( $\mu$ ) $\nabla$ ( $\mu\theta\lambda$ ) $\delta\epsilon\zeta\eta\theta\iota\kappa$  (писал я, написано мною), прочесть имя  $\delta\epsilon\zeta\eta\theta\iota\kappa$ ( $\mu$ ) $\nabla$ ( $\mu\theta\lambda$ ) $\delta\epsilon\zeta\eta\theta\iota\kappa$  (Дмитрий). Он не обратил внимания на абсолютную идентичность сохранившейся части буквы  $\nabla$  с имеющейся в предыдущих строках. Все это привело к тому, что цельная и замечательная надпись XI в. оказалась фрагментарной, а ее автор (он же строитель церкви) Георгий, сын марзбана Дмитрия, превратился в нового и неизвестного по источникам архиепископа Дмитрия. И это дается во имя того, чтобы «исправить» «неисправности и ляпы» издания П. М. Мурадяна (с. 164). Так можно «исправлять» любой текст и в любых обрамлениях.

У меня много возражений по поводу остальных замечаний В. И. Силогава, но в рамках этой небольшой ответной статьи нет возможности их изложить, да и необходимости в этом я не вижу, ибо то, что неприемлемо, и не будет учтено в русской редакции книги. Непонятно лишь одно — можно ли рецензировать книгу на армянском языке, прочитав в основном ее грузинские куски? Если такое практикуется, то насколько уместно рецензировать то, что показалось неприемлемым для рецензента, а об остальном либо не говорить, либо пересказывать так, будто этот вопрос исследует им.

Как бы то ни было, я рад появлению этой рецензии, ибо в ней опубликованы три неизвестные автору книги надписи и приводятся тексты трех других, фотокопиями или текстами которых я не располагал.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

**В. Т. Джангидзе, «Ингилойский диалект в Азербайджане»  
(вопросы грамматической и лексической интерференции).**

Издательство «Мецниереба», Тбилиси, 1978, 175 с.

Язык как общественное явление всегда находится в движении и развитии, которые завязят от сдвигов, происходящих в жизни. Бурное развитие современного общества предъявляет к языку каждой национальности повышенные требования. Если данный язык не может полностью удовлетворять эти требования, его носители полностью или частично прибегают к помощи другого языка, имеющего более широкие функции. В результате этого у народов разных национальностей, живущих по соседству, возникает необходимость в овладении языком соседнего народа. Таким путем возникает общее контактирование языков. Языковые контакты представляют собой всеобщее явление, характерное для современного мира, оно обусловлено развитием общества.

Проблема языковых контактов, а также типологическое исследование контактирующих языков, принадлежащих к разным языковым семьям с различной морфологической структурой, стояли в центре внимания лингвистической науки и по сей день являются одной из актуальных проблем современного языкознания.

Данная монография посвящена историко-лингвистическому исследованию грузинско-азербайджанских языковых контактов на уровне ингилойского и кахского диалектов, генетически «чуждых» и в корне отличающихся друг от друга по морфологической и материальной структуре. В результате анализа связей между этими диалектами выявлены фонетические, морфологические и синтаксические особенности языковых интерференций в ингилойском, исследованы самые главные экстра- и интралингвистические факторы в сфере межязыковых и междиалектных контактов, а также выделены те диалектологические особенности, которые являются результатом контактирования ингилойского диалекта с говорами азербайджанского языка.

Проанализировав различные теоретические спорные, а порою и противоречивые взгляды и суждения на решение тех или иных вопросов проблемы языковых контактов, высказанные в советской и зарубежной лингвистической литературе, автор приходит к правильному выводу, что «определенная ситуация контактирования языков или языковых единиц (диалектов, говоров) порождает определенный вид двуязычия, что двуязычие есть продукт языкового контакта» (с. 12).

Широкий лингвистический, а также историко-социологический диапазон, масштабные диахронические перспективы монографии определяют и ее научно-теоретическую актуальность. Она представляет собой важный опыт историко-лингвистического исследования междиалектных контактов грузинского и азербайджанского языков, изучение которых может содействовать решению одной из актуальных и недостаточно изученных до сих пор проблем общего языкознания.

Автор монографии очень основательно разрабатывает совершенно новую проблематику и дает как для общего языкознания, так и для аллоллотологии (лингвистическая интерференция) ценные исторические и лингвистические материалы. Дифференцированное исследование на фонетическом, морфологическом и лексико-семантическом уровнях по формам и путям языковых изменений дает целый ряд новых положений. Многие еще неразрешенные, может быть, даже неразрешимые проблемы очень смело дискутируются и побуждают к дальнейшим исследованиям. Сжатые, конкретные и убедительные обобщения автора по исследуемому вопросу, его научно-логические выводы дают основание утверждать, что данная монография вышла из-под пера человека, обладающего прекрасными исследовательскими способностями.

**Б. С. ГАСАНОВ**

Доцент кафедры романо-германской филологии  
АПИИЯ им. 50-летия СССР (г. Баку)



## „მეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგინ კომისიის შედეგები

## 1978 წ. 6 ოქტომბერი (გაგრძელება)

- 1004 ფრიდონ თქუნი ესე სიტყუანი მოთქმითა შუენიერითა;  
სული დაიღეს, დაღუმდეს, მივლენ არ თურე მღერითა.  
ავთანდილ მჭურეტთა აშუენებს ტურფითა აერ-ფერითა,  
და მელნისა ტბათა მიჯარვით ჰპურავს გიშრისა ჰერითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 997) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ფრიდონმა თქვა ეს სიტყუები მშვენიერი მითქმით; გაუმდნენ, დაღუმდნენ, სიმღერით არ მიდიან. ავთანდილი მჭურეტელებს აშუენებს ტურფა იერით, მელნის ტბებს (=თვალებს) მიჯარვით (მვიდროდ) ფარავს გიშრის ლატეებით (=წამწამებით).

- 1005 ქალაქს შევიდეს, მუნ დახჭდა სრა მოკაზმული სრულითა,  
საქელმწიფოთა ყოვლითა გასაგებლითა სრულითა;  
მონანი ტურფად მოსილი წესითა იყენეს რულითა!  
და შეჭრფინვიდიან ავთანდილს გულითა სულწასრულითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 998) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილის აზრით, მეორე ტაგების შიგნით (ეჭურასთან) მძიმე უნდა დაისკვას. პროექტი უცვლელად იქნა მიღებული.

სტროფის შინაარსი: ქალაქში შევიდნენ, იქ დახჭდათ სასახლე, მოკაზმული სასახლის შესაფერისად, სრული მეფური წესად; ტურფად შემოსილი მონები როგორი წესით იყენეს! შეხაროდნენ ავთანდილს მოუთმენელი გულით.

## 1978 წ. 13 ოქტომბერი

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განხილეს სტროფები: 1006; 1007; 1008; 1009; 1009,1; 1010; 1011 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშალოშვილმა, ნ. კოტეტიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა).

- 1006 შევიდეს და დიდი შექმნეს ჯალაბობა, არ ხალვათი;  
იქით-აქათ დიდებულნი წარბეგებით ათჯერ ათი;  
თუით ორნივე ერთგან დასხდეს; ვითა ვინ თქუას ქება მათი!  
და ბროლ-ბალახსა აშუენებდა ზოგან მინა, ზოგან სათი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 999) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

რედაქციის აზრით, ჯ ა ლ ა ბ ა მ ა მ კონტექსტში შეკრებილობას ნიშნავს.

ი. გიგინეიშვილი: პირველი ტაგის აზრი მე ასე მესმის: შექმნეს დიდი და არა ხალვათი ჯალაბობა. ტაგში დიდი და ხალვათი უპირისპირდება ერთმანეთს.

გ. კარტოზია: „მეფხისტყაოსანში“ ხალვათი მსაზღვრელ სიტყვად არ იხმარება. ხალვათი ამ ტაგშიც სუბსტანტივია და უპირისპირდება ჯალაბობას: შექმნეს დიდი ჯალაბობა და არა ხალვათი (=ხალვათობა).

სტროფის შინაარსი: შევიდნენ და შექმნეს დიდი შეკრებილობა, არ განმარტოებულან: იქით-აქეთ ასი (ბევრი) დიდებული რიგის მიხედვით დაჯდა; თვითონ ორივენი ერთად დასხდნენ; ვინ ან როგორ თქვას მათი ქება! ბროლ-ბალახს (სახეს) აშუენებდა ზოგან მინაწარი (სითეთრე), ზოგან — გიშერი (სიშავე).

- 1007 დასხდეს, შეიქმნა პურობა, გამარავლებდეს მახალსა,  
უმასპინძლებდეს ავთანდილს, ვითა მზახალი მზახალსა,

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მ ა ც ნ ი, ენიისა და ლიტერატურის სერია“, 1974, №№ 3, 4; 1975, №№ 1, 3, 4; 1976, №№ 1, 3, 4; 1977, №№ 3, 4; 1978, №№ 1, 2, 3, 4; 1979, №№ 1, 2, 3, 4, 1980, № 4.

მოიღებდინ კურქელსა ტურფასა, ახალ-ახალსა,  
 და მაგრა მის ყმისა მჭურტელთა გული მიეცა, გლახ, აღსა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1000) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: დასდენენ, შეიქნა პურობა, გაამრავლეს სასმისები, აეთანდღის მას-პინძლოდნენ, როგორც მძახალი მძახალს, მოჰქონდათ ახალ-ახალი ლამაზი კურტელი, მაგრამ იმ მოყმის (ეთანდღის) მჭერეტელთა გული აღმა მოიცვა.

1008 მას დღე სუეს, ჰამეს, გარდაცა ნადიმი მსმელთა დასისა.  
 გათენდა, ბანეს აეთანდილ, რიცხუი ძეს მუნ ატლასისა,  
 შესამოსელი შემოსეს დრაჰკინისა ბეერათასისა,  
 და შეარტყეს წელთა სარტყელი, დაუღებელი ფასისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1001) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: იმ დღეს სევს, ჰამეს, დამთავრდა მსმელთა ნადიმი. გათენდა, აეთანდილი დაბანეს, იქ უამრავი ატლასი (ატლასის ტანსაცმელი) დევს, მრავალ ათას დრაჰკინად ღრებულნი ტანსაცმლით შემოსეს, წელზე ფასდაუღებელი სარტყელი შეარტყეს.

1009 ყმაჰან დაყვნა დღენი რამე, თუცა ყოვნას ვერა სთმობდა,  
 ფრიღონს თანა ნადირობას გავიდის და თამაშობდა,  
 სწორად ჰყოცდა შორს და ახლოს, თუ რას ჯელსა მიპყრობდა,  
 და მისი სროლა მშვილდოსანსა ყუელიკასა აწბილებდა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1002) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ნადირობას (ნადირობად), ჰყოცდა (ხოცდა). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მოყმემ (იქ) დაყო რამდენიმე დღე, თუმცა დაყოვნებას ვერ ითმენდა, ფრიღონთან (ერთად) სანადიროდ გადიოდა და ერთობოდა, ერთნაირად ხოცავდა შორს და ახლოს, თუ რამეზე ხელს აღმართავდა, მისი სროლა ყველა მშვილდოსანს აწბილებდა.

1009,1 ქალაქს შევიდეს, ჯმა გაქდა, მუნ ზათქნი იქნებოდიან;  
 ქალნი და ყმანი დაჯარვით მისად საჭურტელად რბოდიან;  
 იგი ნახიან, დაბნდიან, ცნობასა მიჰტლებოდიან;  
 და ახლოს შეყრისა უღირსთა რამცა ქნეს, იჯრებოდიან.

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 1198) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: გაქდა (გახდა), იქნებოდიან (იქნებოდიან), ცნობასა (ქუჟასა), იჯრებოდიან (ისჯებოდიან).

გ. კარტოზია: მეოთხე ტაეპში უფრო მართებული ჩანს ზოგი ხელნაწერის (A<sup>1</sup>A<sup>2</sup>) წაკითხვა: ახლოს შეყრისა უღირსნი, რამცა ქნეს, იჯრებოდიან (=ახლოს შეყრის უღირსნი იჯრებოდნენ, რომ რამე ექნათ, რამე ეღონათ).

რედაქციამ უცვლელად მიიღო პროექტის წაკითხვა.

სტროფის შინაარსი: ქალაქში შევიდნენ, ხმა გაჰარდა, იქ დიდი ხმაური შეიქნა; ქალი და კაცი მის საჭურტელად ჯგუფ-ჯგუფად მობობდა; მას რომ ნახავდნენ, იბნიდებოდნენ, ვონებას კარგავდნენ; ახლოს შეყრის ღირსი ვინც ვერ გახდა, რა ექნათ, ერთმანეთს ეტლებოდნენ.

1010 ყმა ფრიღონს ეტყუის: „გესმოდეს ჩემი აწ მონაქსენები:  
 მე შენი გაყრა სიყუდილად მიჩნს და მით თავსა ვევენები,  
 მაგრა არა მცალს დღეკრულსა, ცეცხლი მწუხეს მოუთმენებები,  
 და გზა გრძელი, საქმე სასწრაფო მიც, დია დავეყენები.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 103) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მიჩნს (მიჩს).

რედაქციის წევრებმა ყურადღება მიექციეს იმას, რომ მეორე ტაეპში ირღევია იდენტური რითმა, ხოლო მეოთხე ტაეპის სარიტმო სიტყვა (დავეყენები) 1-ის კონინექტურაა. რადგანაც არსებული ხელნაწერები არ იძლევიან ტექსტის უკეთ გამართვის საშუალებას, რედაქციამ უცვლელად მიიღო წარმოდგენილი პროექტი.

სტროფის შინაარსი: მოყმე (ავთანდილი) ფრიდონს ეუბნება: «გესმოდეს ახლა ჩემი ნათქვამი: მე შენთან გაყრა სიკვდილად მიმანია და ამით ჩემს თავს ვენებას ვაყენებ, მაგრამ დღე-კრულს არა მცალია, გაუძლები ცეცხლი მწვეავს, გრძელი გზა, სასწრაფო საქმე მაქვს, დიდად ვუოვნდები.

1011 მართალია, შენი გამყრელი თვალი თუ ცრემლსა ღმრთიდესა,  
დღეს წაუვალი ვერა ვარ, მით ცეცხლი სხტაა მწუტიდესა;  
დგომა მგზავრისა ცთომაა, კარგსა იქს, თავსა სწუთთიდესა;  
და საღა გინახავს იგი მზე, წამომყვე ზღუისა კიდესა».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1004) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: იქს (იქმს). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მართალი იქნება, შენთან გამოვრებული თვალი თუ ცრემლს დაღვრის, დღეს წაუსვლელი ვერ დავრჩები, ამიტომ სხვა ცეცხლიც დამწვეავს; მგზავრის დადგომა (გაჩერება) მოცდუნავს, კარგს იხამს, თავს რომ შევგონებდეს; წამომყვეი ზღვის ნაპირას, სადაც გინახავს ის მზე (ნესტანი).

1978 წ. 20 ოქტომბერი

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1012; 1013; 1014; 1015; 1015,1; 1015,2 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. კოტეტიშვილმა, ნ. ცეციტიშვილმა).

1012 ფრიდონ უთხრა: „დასაშლელი ჩემგან არა არ გვთხოვობის;  
ვიცი, რომე აღარა გცალს, შენ ლახტარი სხტა გესობის;  
წადი, ღმერთი გიწინამძღვრებს, შენი მტერი დაემკობის,  
და მაგრა თქუთი, თუ უშენობა ჩემგან ვითა დაითმობის?

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1005) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ მეოთხე ტაეპის ბოლოს კითხვითის ნაცვლად დაისვა ძახილის ნიშანი.

სტროფის შინაარსი: ფრიდონმა უთხრა: „(წასვლის) დასაშლელს ვერაფერს გეტყვი; ვიცი, რომ აღარ გცალია, შენ სხვა ლახვარი გესობა; წადი, ღმერთი გიწინამძღვრებს, შენი მტერი დაემკობა, მაგრამ ესა თქვი, თუ უშენოდ მე როგორ ვაქვლებ!

1013 ამას გვადრებ, არ ეგების მარტოსაგან წასღვა შენი;  
თანა ყმათა წამოგატან, იმსახურენ, იახლენი,  
აბჯარი და საგებელი, ერთი ჯორი, ერთი ცხენი.  
და არ წაიტან, გაირკები დაწუთი-ვარდი, ცრემლთა მდენი».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1006) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ე. მეტრეველი: მესამე ტაეპში ზმნა-შემასმენელი არა გვაქვს. თუ მეორე ტაეპის ბოლოს მიმდებს მოვშლით, იმსახურენ და უცავიწირებდა ამ ტაეპის სახელს (იახლენ აბჯარი, საგებელი, ჯორი, ცხენი).

ი. გიგინეიშვილი: მესამე ტაეპი უზმნო წინადადებას წარმოადგენს. არ არის საჭირო მისი დაკავშირება წინა ტაეპის ზმნასთან. მეორე ტაეპის ბოლოს წერტილი დაესვათ, მესამის ბოლოს კი ძახილის ნიშანი.

ა. ბარამიძეს, გ. კარტოზიას, ც. კიკვიძეს მიანიჭათ, რომ მესამე ტაეპი აზრობრივად დაკავშირებულია მეორესთან და პუნქტუაციური ცვლილებები საჭირო არ არის.

ს. ცაიშვილი და შ. ძიძიგურის აზრით, მესამე ტაეპი ტირეებით უნდა გამოიყოს მეზობელი ტაეპებისაგან.

დაადგინეს: მეორე და მესამე ტაეპების ბოლოს დაისვას ტირეები; მესამე ტაეპში, ტირეს წინ, მძიმის ნაცვლად დაისვას ძახილის ნიშანი.

მეოთხე ტაეპში დაწუთი ვარდი დაიწერა ცალ-ცალკე, ორ სიტყვად.

სტროფის შინაარსი: ამას მოგახსენებ, არასგზით არ შეიძლება შენი მარტო წასვლა; თან

ემებს წაგაყოლებ, იმსახურე, (თან) იახლე, — აბჯარი და საგებელი, ერთი ჯორი (და) ერთი ცხენი (წაიყოლე)! — არ წაიყოლებ და გიარჯები წენ, ვარდივით ლაწვი, ცრემლების მღენელი“.

1014 მოახსნა ოთხნი მონანი, მისანდობელნი გულითა,  
 სრული აბჯარი საეცო ქაფითა, საბარკულითა,  
 სამოცი ლიტრა წითელი აწონით, არნაკულითა,  
 და ერთი ტაიჭი უებრო მით უნაგრითა სრულითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1007) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: მეოთხე ტაუპში მით უნაგრითას ნაცვლად ზოგი ხელნაწერი (A<sup>3</sup> A<sup>4</sup> A<sup>9</sup>) კითხვობს: უნაგრიითა (შდრ. აგრ. A13C<sup>6</sup>-ის მით უნაგრიითა), რაც უფრო სწორი წყაიბება: ქართულში ი ხმოვნის რედუქცია არ ხდება. ამიტომ უნაგრი-ლუქის შეკუმშვა არ იყო მოსალოდნელი. ამ ფუძის შეკუმშული ფორმების ამოსავლად უნაგრი-ლუქი უნდა მივიჩნიოთ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მით უნაგრიითა-ში მით ნაწევარი უფუნქციო გამოდის.

უნაგრიითა ფორმის მიღებას მხარს უჭერს ე. მეტრეველი. რედაქციის დანარჩენმა წევრებმა აღნიშნეს, რომ უნაგრი-სახელის შეკუმშული ფორმების ხმარება ძველ ქართულშივე დასტურდება. მით ნაწევრის ამგვარი (უფუნქციო) ხმარება „ვეფხისტყაოსანში“ სხვაგანაც დასტურდება. ანგარიში უნდა გაეწიოს პოემის ხელნაწერებისა და გამოცემების ტრადიციის და დარჩეს მით უნაგრიითა.

დაადგინეს: დარჩეს წაიბთვა მით უნაგრიითა (წინააღმდეგნი — ი. გიგინეიშვილი, ე. მეტრეველი).

სტროფის შინაარსი: მოიყვანა გულით მისანდო ოთხი ყმა, (მოიტანა) კაცის შესაქური სრული აბჯარი საბარკულითა და საბარკულით, სამოცი ლიტრა ოქრო აწონით, უკლებად, ერთი საუკეთესო ცხენი უნაგრიის სრული ვაწყობილობით.

1015 ერთსა ჯორსა წუთივამაგარსა საგებელი აუცილა;  
 წაიღა და ფრიდონ შექდა, მასთანავე გამოვიდა,  
 აწ გაყრისა მომლოდინესა ეღებოდა ცეცხლი, სწუტიდა,  
 და მოსთქვამს: «თუმა მზე გტეახლა, ჩუენ ზამთარი ვერ დაგუზრვიდა“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1008) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ერთ წვიმავარ ჯორს მისი საგებელი აუცილა; ფრიდონი წაიღა და ცხენზე შექდა, მასთან (ავთანდილთან) ერთად გამოვიდა, ახლა გაყრის მომლოდინეს ცეცხლი ეღებოდა, წავადა, მოსთქვამს: „მზე (ავთანდილი) რომ ჩვენთან ყოფილიყო, ზამთარი ვერ გაგვეინადა“.

1015,1 ფრიდონ მიუძღვა მას გორსა, ახლოს წამდგომსა ზღვისასა,  
 „მე აქათ ვნახე, რომლისა შუქნი არ ჰკვანან სხვისასა“.  
 მკარსა აჩვენებს, ანიშნებს, წასტლასა ქაჯთა გზისასა,  
 და ეტუჟის, თუ: „რად არ დამქოლავ მნახავსა იმა დღისასა?“

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 1204<sup>1</sup>) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: ეტუჟის, თუ (ეტყვის თუ). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ფრიდონმა მიიყვანა იმ გორასთან, ახლოს რომ გადასდგომოდა ზღვას, „მე აქედან დავინახე (ნესტანი), რომლის შუქი სხვისას არ ჰკვანან“. ქაჯეთის გზის მიმართულებას აჩვენებს, ანიშნებს, ეუბნება: „რატომ არ დამქოლავ იმ დღის მომსწრეს?“

1015,2 ავთანდილ უთხრა: „ნადგელი არ გამართებს შენ ეგზომია,  
 რას ძნელად გიჩანს დაკოცა და იმა ქაჯთა ომია?  
 ეგ არ არის, უკრმ[ლ]ობა განგებით არ მოგვლომია,  
 და აროდეს ქნილა საქნელი, რაც არა ღმერთსა ნდომია.“

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 1204?) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.  
ხელნაწერთა ჩვენების საფუძველზე მესამე ტაუში უჭ რ მ ლ ბ ა შეიცვალა უ ქ მ რ ბ ა ფორმით.

სტროფის შინაარსი: ავთანდილმა უთხრა: „შენ მაგდენი ნაღველი არ გმართებს, რა საძნელოდ მივაჩნია იმ ქაჭებთან ომი და (მათი) დახოცვა? ასე არ არის, უმოქმედობა განგებით არ გრგებია (წოლად), არასოდეს მომხდარა ის, რაც ღმერთს არ უნდოდა.“

1978 წ. 3 ნოემბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გვირგვინი, გ. კარტოზია, ც. კვიციანი, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 1016; 1017 (პროექტი მოამზადეს ც. კვიციანი, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალაშვილმა, ნ. კოტეტიშვილმა, ნ. ციტიშვილმა); 1018; 1019; 1019,1; 1020 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კვიციანი, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

- 1016 ზარი მის ყმისა წასლვისა გაქდა, მიეცნეს წუხილსა.  
მოატყდეს მოქალაქენი, ღარსა ვინ ჰყიდა თუ ხილსა;  
კმა ზახილისა მათისა ჰგევანდა აერთა ქუხილსა,  
და იტყოდეს: „მზესა მოვშორდით, მო, თქალნი მიეცნეთ წუხილსა!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1009) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: იმ მოყმის (ავთანდილის) წასლის ზარი (მწუხარების ხმა) გაისმა, წუხილს მიეცნენ. უამრავი მოქალაქე მოაწყდა, ხილსა თუ ძვირფას ქსოვილებს რომ ყიდა; მათი ყვირილის ხმა ცის ქუხილს ჰგავდა, ამბობდნენ: „მზეს (ავთანდილს) მოვშორდით, მოდით, თვალენი დაივისოთ!“

- 1017 ქალაქი გაელეს, მივიდეს პირსა დიდისა ზღუისასა,  
მაშინ ფრიდონის ნახლსა, ნასაქლომეფსა მზისასა,  
მუნ დაადენდეს ნაკალსა სისხლისა ცრემლთა ტბისასა,  
და ფრიდონ უამბობს ამბავსა მის მნათობისა ტყუისასა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1010) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მეოთხე ტაუპის ბოლოს ორწერტილის ნაცვლად დასმულია წერტილი. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ქალაქი გაიარეს, მივიდნენ დიდი ზღვის ნაპირას, მაშინ ფრიდონმა რომ ნახა, სადაც მზე (ნესტანი) იჯდა, იქ სისხლის ცრემლებით იტირეს, ფრიდონი უამბობს ტყვე მნათობის (ნესტანის) ამბავს.

- 1018 „აქა მათ ზანგთა მონათა მზე მოიყვანეს ნავითა,  
კბილეთერი, ბაგებალასში, სახედავითა შავითა;  
ცხენი გაქუსლუ, გავაგე წაგტრა კრმლითა და მკლავითა,  
და შორს მნახეს, აღრე გამეკტეს, ნავი მფრინველი ჩნდა ვითა“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1011) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მფრინველი (მფრინველი). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: აქ იმ ზანგმა მონებმა მოიყვანეს ნავით მზე (=ნესტანი), კბილეთერი, ძოწისფრბაგებებიანი, შავი თვალებით; ცხენი გაქუსლუ, გადაეწყვიტე ძალით (ხმლით და მკლავით) წართმევა, (მაგრამ) შორს დამინახეს, სწრაფად გამეკტნენ, ნავი ფრინველივით ჩანდა.

- 1019 მოგტყენეს ერთმანერთსა, გაამრავლნეს ცრემლთა ღჭრანი,  
აკოცეს და გაუახლდეს მათ ორთავე მათნი წუხანი,

გაიყარნეს გაუყრელნი ძმადღიენი და ვითა ძმანი,  
 და ფრიდონ დადგა, ყმა წავიდა, შემხედველთა შკლველი ტანი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1012) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ერთმანეთს მოეხვიენენ, ბევრი ცრემლი დაღვარეს, (ერთმანეთს) აკოცეს და ორივეს თავ-თავისი ტყიფილი გაუშლდა, გაიყარნენ როგორც გაუყრელი ძმადნაფიციები და ძმები, ფრიდონი დარჩა, მოყმე, შემხედველთა შკლველი ტანი (=ავთანდილი), წავიდა.

1019,1 გამოესალმნეს, აკოცეს, ორთავე ცრემლი სდიოდა;  
 ყმამან გაქუსლა, მართ ოდენ საქმესა ისწრაფიოდა;  
 ფრიდონ სიცოცხლეს იგმობდა, სიკეთლისა არად ჩიოდა,  
 და ტარიელ-ავთანდილისა გაყროლსა გული სტიყოდა.

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 1208<sup>1</sup>) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: გაყროლსა (გაყროლსა). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: (ერთმანეთს) გამოეთხოვნენ, აკოცეს, ორივეს ცრემლი სდიოდა; მოყმე (ავთანდილმა) გაქუსლა, მხოლოდ საქმეზე წაპრობდა; ფრიდონი თავის სიცოცხლეს იგმობდა (სიცოცხლეს იწყველიდა), სიკეთილს არაფრად თვლიდა, ტარიელთან და ავთანდილთან გაყროლს გული სტიყოდა.

1020 ყმა მიმავალი მიუბნობს, მსგავსი მთვარისა სრულისა.  
 არს თინათინის გონება მისად სალხენლად გულისა;  
 იტყუებს: „მოგშორდი, სიცრუე, ვაჰ, საწუთროსა კრულისა!  
 და შენ გაქტს წამალი ჩემისა მამრთელბეღი წყლულისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1013) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ვაჰ (ვა). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: სავსე მთვარის მსგავსი მიმავალი მოყმე (ავთანდილი) მილაპარაკობს. თინათინზე ფიჭრი არის მისი გულის გამხარბელი; ამბობს: „მოგშორდი, ვაჰ, წყველი წუთისოფლის სიცრუე! შენ გაქტს ჩემი წყლულის გამკურნებელი წამალი.

### 1978 წ. 10 ნომერი

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გვიგნიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. შეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განხილეს სტროფები: 1021; 1022; 1023; 1024; 1025; 1026 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მახარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

1021 რად სიცხე გულსა ნიადაგ მწტავს გმირსა სამს ალეებისა?  
 რად გული კლდისა ტინისა შემქმნია სამ სალეებისა?  
 არ შეუძლია ლახტარსა დაჩენა სამსა ლებისა,  
 და შენ ხარ მიზეზი სოფლისა ასრე გასამსალეებისა“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1014) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედუქციის წევრებმა აღნიშნეს, რომ პირველ ტაბუში წავითხვა სამს ალეებისა (=სამი ალის) გრამატიკულად გაუმართავია. ი. გვიგნიშვილის წინადადებით სარიტორი სიტყვად მიღებულ იქნა სამსალეებისა. მართალია, მეოთხე ტაბუშიც ამავე სამსალა ფუძის შემოცეული სიტყვაა ორთმად, მაგრამ სრულ ტავტოლოგიას მაინც არა აქვს ადგილი: I ტაბუში სახელია, II-ში — ნაზმნარი სახელი. ი. გვიგნიშვილისავე წინადადებით მეორე ტაბუში სალეებისა ფორმისათვის ამოსავლად მიჩნეულა სალა (სათამაშო ქვა) და არა სალი. ასეთი გაგება ნათელს ზღის ტაბუის აზრს: ერთმანეთს უპირისპირდება ტინის კლდე და სალა (მცირე სათამაშო ქვა).

პირველი ტაბუის ბოლოს კითხვის ნიშნის ნაცვლად დაისვა მძიმე.

პროექტი ამ ცვლილებებით მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მუდამ რატომ მიწევს გმირს გულს სამსალეები (საწამალეები)? ტინი კლდის გული რატომ ვადამტყევი სალა (მცირე სათამაშო ქვა)? (=ტინის გული რად გ-

მიცედა?) სამ ლახვარს არ შეუძლია ლევის (ცემით დალურჯებული ადგილის) დაჩენა? შენსულის  
ხიზღიქცხუქცხ

1022 ავთანდილ მარტო ზღუის პირსა მივა ოთხითა მონითა,  
წამალსა ტარიელისა ეძებს ყოვლითა ღონითა,  
დღისით და ღამით მტირალი იღურების ცრემლთა ფონითა,  
და ჩალად უჩნს ყოვლი ქტუყანა, მისევე ჩალისა წონითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1015) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: უჩნს (უჩს). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ავთანდილი ოთხი მონით (მსახურით) მარტო მიღის ზღვის ნაპირას, ყველა საშუალებით ეძებს ტარიელის წამალს, დღისით და ღამით მტირალი ცრემლების ნაკადად იღვრება, მთელი ქვეყანა ჩალად, ჩალის წონისად მიჩნია.

1023 სადაცა ნახნის, ეუბნის, მგზავრნი ზღუის პირსა რებულნი,  
ჰკითხის მის მზისა ამბავი; დღენი გლნა გასებულნი.  
ქედსა გარდადგა, აქლემნი აუჩნდეს ლარკიდებულნი.  
და მოქარავენნი ზღუის პირსა დაყრით დგეს, დაყმუნებულნი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1016) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: გარდადგა (გარდადგეს), დაყმუნებულნი (შეკირვებულნი). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: სადაც ნახვდა ზღვის პირას მთავალ მგზავრებს, გამოელაპარაკებოდა, ჰკითხავდა იმ მზის (ნესტანის) ამბავს; ასი დღე იარა. ქედზე გადადგა, დაინახა ლარკიდებული (ძვირფასი ქსოვილებით დატვირთული) აქლემები. მექარავენები ზღვის პირას იდგნენ შეწუხებულები, განჩნებულები.

1024 მუნ ქარავანი ურიცხუი იდგა მის ზღუისა კიდესა.  
შეიკირვებდეს, ჰმუნეიდეს, ვერცა დგეს, ვერცა ვლიდესა.  
ყმამან სალამი უბრძანა, ქებასა შეასხმიდესა,  
და ჰკითხა, თუ: „უინ ხართ, ვაჰარნო?“ — მათ საუბარი ჰკიდესა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1017) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: იქ, იმ ზღვის ნაპირას, მრავალრიცხოვანი ქარავანი იდგა. წუხდნენ, დარღობდნენ, ვერც იდგნენ, ვერც მილიოდნენ. მოყმე მიესალმა, (მექარავენებმა) ქება შეასხეს, (ავთანდილმა) ჰკითხა: „უინ ხართ, ვაჰარნო?“ — მათ საუბარი გაუბეს.

1025 უსამ იყო ქარავნისა უხუცესი, კაცი ბრძენი.  
მოაყენა ხობტა სრული, დალოცა და უქნა ზენი.  
ჰკადრეს: „მზეო, სიცოცხლე და შენ ამოჰვე ჩუენი მლხენი,  
და ჩამოვე და მოგაცენით ამბავი და საქმე ჩუენი“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1018) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ამოჰვე (ამოხვე). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: უსამი იყო ქარავნის უფროსი, ბრძენი კაცი. ღირსეული (შესაფერი-სი) ხობტა შეასხა, დალოცა და ზენე (ქცევა) შეუქო. (მექარავენებმა) მოახსენეს: „მზეო, შენ ამოხვედი ჩუენი სიცოცხლე და გამხარებელი, ჩამობრძანდი (ცხენიდან) და მოგახსენებ ჩუენს ამბავსა და საქმეს.“

1026 გარდაცდა. ჰკადრეს: „ჩუენ ვართო მობაღდადენი ვაჰარნი,  
მაჰმადის სჯულის მკირავნი, აროდეს გუისმან მაჰარნი,  
ზღუთა მეფისა ქალაქსა სავაჰროდ გამოწაჰარნი,  
და საქონელსრულნი, მდიღარნი, არ ლარნი გტქონან ნაჰარნი.“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1019) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: გამოწაჰარნი (გარდმონაჰარნი). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ჩამოქვეითდა. მოახსენეს: „ჩვენ ვართო ბაღდადეგი ვაჰარები, მაჰმადის რჯულის აღმსარებლები, არასდროს გვისევას მაჰარი, ზღვათა მეფის ქალაქში სავაჰ-“



როდ წამოსულები (გამოპირილები), ბევრი საქონლის მქონენი, მდიდრები, ღარი (სტრუქტურული ქსოვილები) ნატაეები როდი გვაქვს.

### 1978 წ. 17 ნომბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 1027, 1028; 1029 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ); 1030; 1031; 1032; 1033 (პროექტი მოამზადეს ე. კვიციმე, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. კოტეტიშვილმა, ნ. ცვიტიშვილმა).

1027 ჩუენ აჲ ვპოვეთ ზღუის პირსა კაცი უსულოდ მდებარე,

უშუეღეთ, ენა მოეცა სიტყუისა გამოგებარე;

გაკითხეთ, თუ: «ვინ ხარ, ღარიბო, რასა საქმისა მდებარე?»

და გვითხრა: «თუ შეხუალთ, დაგვოცენ; კიდე ცოცხალ ვარ მე ბარე?»

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1020) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა უშუეღეთ (ვეშეღეთ), მდებარე (მძებარე) [III ტაეპი].

ი. გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ ზოგი ხელნაწერი მეორე ტაეპში კითხულობს ენა მოეკეცას (=ენა მოუბრუნდა), რაც შინაარსობრივად საყურადღებოა.

დაადგინეს: ენა მოეკეცა შესაძლებელი წაკითხვაა, მაგრამ რადგანაც რედაქციათა უმრავლესობა (ABD) და გამოცემათა ტრადიცია მოეკეცას უქერს მხარს, დარჩეს პროექტის წაკითხვა.

სტროფის შინაარსი: ჩვენ აჲ, ზღვის პირას, ენახეთ უსულოდ მდებარე კაცი, ვუშეღეთ, ენა ამოიღვა (სიტყვის გამოთქმელი ენა მიეცა); ვკითხეთ: «ვინ ხარ, უცნობო (უცხო მოგზაურო), რა საქმე გავქვს (რა საქმის მქონე ხარ)?» გვითხრა: «თუ (ზღვაში) შეხვალთ, დავცოცავენ; მე განა კიდეც ცოცხალი ვარ?»

1028 თქუა: «ქარავანი ვეგუბთი გამოვემართეთ ვრითა,

ზღუასა შევეღით ტუირთუღნი ღარიბთა მრავალღერიბთა,

მუნ მეკობრეთა დაგუტოცენს ძელ-საგნისისა წუერიბთა;

და ყუღლაი წაქდა, არ ვიცე, აჲ მოსრულღვარ მე რითა?»

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1021) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა ძელ-საგნისისა (ძელის საგნისის). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: თქვა: «მოქარაენები ვეგუბტიდან გამოვემართეთ ჯარით (მცველებით), ზღვაში შევეღით მრავალღვარი ძვირფასი საქონლით დატვირთულები, იჲ მეკობრებმა (ავაზაკებმა) დავგვოცენს ძელ-საგნისით (ძელ-საგნისის წვერით); ყველა დაიღუპა, არ ვიცე, აჲ როგორ მოვღდი!».

1029 ლომო და მზეო, ესეა მიზეზი აჲ დგომისა,

დაბრუნებებთა გუეცემის ზიანი არსაზომისა;

შევიღეთ, ვამ თუ დაგუტოცენს, ძალი არა გუაქუს ომისა,

და ვერცა ვღვათ, ვერცა წასრულღვართ, ღონე წაგუსღვია რჩომისა».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1022) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა ვამ(ვა).

ი. გიგინეიშვილის აზრით, მეორე ტაეპში უკეთესია ზოგი ხელნაწერის წაკითხვა — ზიანი არსაზომისა.

პროექტი მიღებულ იქნა უცვლელად.

სტროფის შინაარსი: ლომო და მზეო, ეს არის ჩვენი აჲ დგომის (შეფერხების) მიზეზი, დაბრუნებით უზომო ზარალი მოგვცევა (მოგვეცემა); რომ შევიღეთ (ზღვაში), ვაითუ დავგვოცონ, ომის თავი არა გვაქვს, ვერც ვღვათ, ვერც წაესულღვართ, ყოფნის ძალა წაგვსღვია.

1030 ყმამან უთხრა: «ენიცა კმუნავს, ცუღია და ცუღად სცემენს!

რაცა მოეცა საქმე ზენა, მომავალი არ აგუტობენს;

მე მივინღობ სისხლთა თქუენთა, შემოვისხამ, და-ცა-მწუთების,

და ვინცა გებრძვის, ჯრმალი ჩემი მბრძოლთა თქუენთა დააცუთების».





საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1023) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

რედაქციამ მიიღო ი. გიგინეიშვილის ვარაუდი, რომ მესამე ტაგის პირველი ნახევრის აზრია: მე მივინდობ იმ სისხლს, რომელიც თქვენ უნდა დაგვეღვარათ.

სტროფის შინაარსი: მოყმემ უთხრა: „ვინც კუმუნავს (წუხს), ამაოდ გარჯილა და ტყუილად ცდება; რაც მოდის ზეციური (ზეცაში გადაწყვეტილი) საქმე და მოსასვლელია, არ აცდებდა; მე ვიკისრებ (ჩემს თავზე მივიღებ) იმ სისხლს (რომელიც თქვენ უნდა დაგვეღვარათ). მე შემომგახსნა, დამეწვეოს, ვინც თქვენ გებრძვით, მათზე გაცეთება ჩემი ხმალი“.

1031 მოქარავენნი აივსნეს სიხარულითა დიდითა,  
 თქუეს: „ყმა ვინშეა ჰაბუცი, არა ჩტენებრეე რიდითა,  
 აქტს თავისაგან იმედი, ვიყენეთ გულითა მშუდიითა“.  
 და შევიდეს, ჩასხდეს ხომალდსა, გამართეს ზღტისა კილითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1024) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მოქარავენები დიდი სიხარულით აივსნენ, თქვეს: „ეუღაც რაინდუნოყმეა და არა ჩვენსავით მოშიში (შიშით შეპყრობილი). (თავისი) თავის იმედი აქვს, დამშვიდებული (მშვიდი გულით) ვიყოთ“. ხომალდში ჩასხდნენ, ზღვაში შევიდნენ, ზღვის პირ-პირ გაემართნენ.

1032 სიამოვნისა დარითა იარეს, არ სიმნელითა.  
 მათი ბადრაგა აეთანდილ უძღტის გულითა ქველითა.  
 გამოჩნდა ნავი მეკობრე დროშითა მეტად გრძელითა,  
 და მას ნავსა ნავთა სალუწლად საჯნისი ჰგია ძელითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1025) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: სასიამოვნო დარით, ადვილად იარეს, მათი ბადრაგა (მცველ-გამყოლი) აეთანდილი მიუძღვის მამაცი გულით, გამოჩნდა მეკობრეთა ნავი (ხომალდი) მეტად გრძელი დროშით. იმ ნაეზე არის ნაეების სალუწი სახნისიანი ძელი.

1033 კიორდეს და მოდიოდეს, იზახდეს და ბუქსა ჰკრესა;  
 შეუშინდა ქარაგანი მათ ლაშქართა სიდიდესა;  
 ყმაზან უთხრა: „ნუ იშოშვით თქტენ იმთასა სიალდესა,  
 და ანუ დაეჭკოც იმ ყშელასა, ან სიკუდილი ჩემი დღესა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1026) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: დაეჭკოც (დაეხოც).

ი. გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ მეოთხე ტაგეში წაკითხვა იმ ყ უ ტ ე ლ ა ს ა დიდ ეჭეს იწვევს. რალაც გაუგებრობის შედეგი უნდა იყოს.

ა. ბარამიძეს და ს. ცაიშვილს დასაშვებად მიიჩნიათ ყველა ნაცვალსახელთან ჩვენებითი იმ ნაცვალსახელის ხმარება.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს პროექტის წაკითხვა.

სტროფის შინაარსი: მოდიოდნენ და ყვირნას სცემდნენ, იძახდნენ და ბუქი აახშიანეს; იმ ლაშქრის სიდიდემ ქარაგანი შეაშინა; მოყმემ (ეთანდილმა) უთხრა: „ნუ გამიწებთ თქვენ მათი გმირობა (ვაეკაცობა), ან ყველას დაეხოცავ, ან დღეს მოგვეღვებ (ჩემი სიკვდილი იქნება დღეს).“

#### 1978 წ. 24 ნომბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კვიციანი, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. შიშიგურია.

განიხილეს სტროფები: 1034; 1035; 1036; 1037 (პროექტი მოამზადეს ც. კვიციანმა, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. კობერიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა).

- 1034 უგანგებოდ ვერას მიზმენ, შე-ცა-მებნენ კმელთა სპანი;  
განგებაა, არ დაერჩები, ლახტარნია ჩემთუის მზანი;  
ვერ დამსწინან ვერ ციხენი, ვერ მოყუასნი, ვერცა ძმანი.  
და ვინცა იცის ესე ასრე, ჩემებრევა გულოვანი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1027) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ღვთის ნების გარეშე ვერაფერს მიზამენ, (მთელი) ხმელეთის ლაშქარიც რომ შემებას; (თუ) ღვთის ნებაა, ვერ გადაერჩები, ჩემთვის ლახტარები გამზადებულია; ვერ მიხსნიან ვერც ციხე-სიმაგრენი, ვერც მეგობრები, ვერც ძმები. ვინც ეს ამგვარად იცის, ჩემებრევე გულაღია.

- 1035 თქტენ, ეკპარნი, ჯაბანნი ზართ, ომისაცა უმეცარნი,  
შორს ისრითა არ დაგვოცუნენ, ჩაივშენით თანა კარნი;  
მარტო მნახეთ, ვით შევება, ვით ვიჟმარნე ლომნი მჯარნი!  
და მეკობრისა ნავისანი სისხლნი ნახნეთ მონალტარნი\*.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1028) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: თქვენ, ეკპრები, ლაჩრები ზართ, ომის უყოღინარნი, შორიდან ისრით არ დაგვოცონ, თან ჩაივდეთ კარები; მარტო მნახეთ, როგორ შევება, როგორ ვიხმარო ლომებრი მხარ-მკლავი! მეკობრეთა დაღერილ სისხლს ნახეთ.

- 1036 ჩაიციუ ტანსა აბჯარი ქვევითა ვეფხებრ მკრჩხალითა.  
მას კელითა კეტი რკინისა ჰქონდა კელითა ცალითა;  
ნავისა თავსა გულითა წადგა შიშუშუვალითა,  
და ვითა მჭურტელნი ჭურტითა, მტერნი დაკონცა კრმალითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1029) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

შ. მიძიგური: მართებულია ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდი, რომ მკრჩხალი = მკვირცხლს. ეს ორი სიტყვა ეტიმოლოგიურადაც უკავშირდება ერთმანეთს.

ი. გიგინეიშვილიც მხარს უჭერს ამ ვარაუდს. მისი აზრით, აქ საქმე გვაქვს ცხ/ჩხ კომპლექსების მონაცვლეობასთან, რაც სხვა შემთხვევებშიც დასტურდება.

პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ტანს ჩაიცივა აბჯარი ვეფხისებრი სიმკვირცხლით, მას ცალ ხელში რკინის კეტი ჰქონდა; უშიშარი გულით წადგა ხომალდის თავში, მტრები ისე დახოცა ხმლით, როგორც მჭურტელები ცქერით.

ც. კიციძეს და ს. ცაიშვილს მიაჩნიათ, რომ პირველი ტაეპის შინაარსი ასე უნდა გადამოიხსნას: ტანს ჩაიცივა აბჯარი ვეფხევიით მკვირცხლი ქვევით (მოძრაობით).

- 1037 კოლდეს იგი ლაშქარნი, კმა მათი არ გაწყდებოდა,  
ამგერეს ძელი, რომელსა ზედა საენისი ჰგებოდა;  
ყმა ნავის თავსა უშიშრად ქტე ღდა, არ თურე კრთებოდა,  
და კეტი ჰკრა, ძელი მოსტება, სხუთით არათ არ მოსტყდებოდა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1030) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი ადინშნა, რომ მეოთხე ტაეპის მეორე ნახევარში უკეთესია წაკითხვა: ლომს მკლავი არ უდრკებოდა, რომელიც პ. ლარაძისეული ხელნაწერიდან მომდინარეობს. არ არის გამორიცხული, რომ პ. ლარაძეს რომელიმე ძველი ხელნაწერიდან ჰქონდეს აღებული ეს წაკითხვა.

ა. ბარამიძისა და ს. ცაიშვილის აზრით, აღნიშნული წაკითხვა პ. ლარაძის კონიექტურაა. პ. ლარაძე ეყრდნობა ვახტანგის გამოცემას. მისგან განსხვავებული წაკითხვანი არტანუჯული რედაქციის ავტორთა ნახელავია, საკუთრივ მისი სიხალეა.

პროექტი მიღებულ იქნა უცვლელად.

სტროფის შინაარსი: მოლაშქრენი კოლდენ, მათი ხმა არ წყდებოდა, ამგერეს ძელი, რომელზეც სახნისი იყო წამოგებული; მოყმე (ავთანდილი) ნავის თავში იდგა, (უშიშრად) როდი კრთოდა, კეტი ჰკრა, ძელი მოსტება, სხვაგვარად არაფრით არ მოსტყდებოდა.



ՅԵՐԱՅԱՆԻ  
ՆՈՅՆԱԳՐԱԴԱՐԱՆ